193
1931

ეროვნებისა

ვ ე ფ ხ ვ ი ს ტ ყ ა ო ს ა

საქართველოს ეროვნებათა ფედერალთა საერთაშორისო

8-9

1931

ხახელგამი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს პროლეტარ
მწერალთა ასოციაციი
უფლებამოსილი ორგანო

ინ. 59799

პროლეტარული მწერლობა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სამხატვრო-სალიტერატურო
ჟურნალი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1931 წელიწადი მეხუთე
სახელგამი-ტფილისი

8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა. კ. სამხარეო კომ. სამდივნოს დადგენილება პროლეტარულ მწერალთა ა. კავკასიის ასოციაციის მოხსენების შესახებ

1. ა. კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, რომ წარსული პერიოდის განმავლობაში ა. კავკასიისა და რესპუბლიკების პროლეტარულ მწერალთა ასოციაციები, რომლებიც სალიტერატურო—პოლიტიკურ გეზს ძირითადად სწორედ ატარებდენ, რაც პრაქტიკულად დადასტურებულია იდეოლოგიურ ფრონტზე კლასიურად, მტრულად განწყობილ ძალთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლით (აქტივიზებული ბურჟუაზიულ-კულაკური საშიშროების წინააღმდეგ, დიდმპყრობელური და ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოსვლების წინააღმდეგ, და სხვ.) და მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკის წინააღმდეგ სალიტერატურო სფეროში,—თავისი შეუჩერებელი ზრდა-განვითარებით გადაიქცნენ პროლეტარულ მწერალთა ძირითად ორგანიზაციებად, მთავარ სალიტერატურო-პოლიტიკურ როლს ასრულებენ საბჭოთა მწერლობაში, წარმოადგენენ რა პარტიის დასაყრდენს სალიტერატურო ფრონტზე.

2. თუმცა უდაოა, იდეურ-პოლიტიკური და შემოქმედებითი ზრდა ა/კ. პროლეტარული ლიტერატურისა, რომელმაც თავის ზრდასთან დაკავშირებით საბოლოოდ გაანადგურა ოპორტიუნისტული გეზი მემარჯვენე და „მემარცხენე" კაპიტულიანტებისა, რომლებიც თვით პროლეტლიტერატურის შექმნის შესაძლებლობასაც უარჰყოფდენ და მის კრიზისს წინასწარმეტყველებდენ,—არც ამიერ კავკასიისა და არც მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებმა არ უზრუნველყვეს პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის რიგების საჭირო გადაჯგუფება უფრო გადაწყვეტით იმ ამოცანებისკენ შემოსაბრუნებლად, რომელნიც სოციალისტური მშენებლობის მოცემული ეტაპის თავისებურებათაგან გამომდინარეობენ.

3. ა/კ. პროლეტარული მწერლობა ჯერ კიდევ არასაკმარისი აქტიურობით მონაწილეობს ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში, მან ჯერ კიდევ არ იბრუნა პირი წარმოებისკენ, და პირველ ყოვლისა ბაქოს ნავთისა, ბამბისა და კოლმეურნეობისაკენ, საკმარისად არ არის მის მიერ ასახული ლიტერატურაში გიგანტიური სოციალურ-ეკონომიური ძვრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახეს ძირითადად სცვლიან.

4. ა/კ. სამხარეო კომიტეტი, აღნიშნავს რა პროლეტმწერალთა ახალი კადრების ზრდას პროლეტმწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევით, რაც მომას-

წავებელია სალიტერატურო მოძრაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისა, ამასთანავე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ეს გაწვევა ა/კავკასიაში მოხდა არა ორგანიზაციულად, საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად და სათანადო ორგანიზაციებთან, კერძოდ—პროფკავშირებსა და კომკავშირთან—შეუკავშირებლად. ყველაფერი ეს უარყოფითად დაეტყო გაწვევის შედეგების დამაგრებისათვის წარმოებულ მუშაობას და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებში ჩაბმულ გეგმაშეწონილი სწავლების ორგანიზაციას. ამასთანავე სათანადოდ არ იყვნენ შეფასებული მუშგლეხკორთა მასები, რომლებიც პროლეტარული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ახალი კადრების აღზრდა-განვითარების საქმიანობაში მეტად ღირებულ მასალას წარმოადგენენ.

პროლეტმწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევის არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების მასიური მუშაობის მოუგვარებლობა და სუსტი კავშირი მასებთან სოფლად და ქალაქად.

5. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციის ხელმძღვანელობის არსებითს ნაკლს დღესაც ისევ წარმოადგენს ადმინისტრირების ელემენტები და ზოგჯერ ფორმალური მიდგომა თვითკრიტიკისადმი, რაც უმთავრესად იქიდან გამომდინარეობს, რომ ივიწყებენ პროლეტმწერლობის ორგანიზაციათა იდეურ აღზრდელობით ხასიათს. ყველა ამას, ერთად აღებულს, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ა/კ. პროლეტმწერალთა ბოლშევიკური კადრების კონსოლიდაციაზე.

6. ა/კავკასიისა და რესპუბლიკების პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებში წარმოებულმა შემოქმედებითმა დისკუსიამ, მიუხედავად სიმწვავისა, არ მოგვცა დადებითი შედეგები, ვინაიდან ძირითადი შემოქმედებითი საკითხები დისკუსიის მიერ უგულებლად იყო დატოვებული. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციის დისკუსიის მეტად არსებით ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დისკუსია ა/კ. ერების პროლეტმწერალთა შემოქმედებით მასალას არ ეყრდნობოდა და საზოგადოდ იგი კონკრეტობას იყო მოკლებული. საჭიროა ყველა შეცდომის მხედველობაში მიღება და მომავალში გაშლა-გაფართოება შემოქმედებითი დისკუსიისა, რამაც მიზნად უნდა იქონიოს პროლეტარულ მწერალთა მიერ ერთადერთი სწორი მეთოდის—დიალექტიკური მატერიალიზმის შეთვისება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ სფეროში მარქსისტულ კრიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პროლეტმწერლების მიერ შემოქმედების სუსტი მხარეების აღმოფხვრას.

7. თუმცა პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია საკითხს თანამგზავრთა შესახებ სწორედ აყენებდა, აბ მიმართულებით წარმოებული მუშაობა მაინც მოითხოვს გაღრმავებასა და გაძლიერებას. მეტად თვალსაჩინო ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა თანამგზავრებთან აზერბაიჯანში, სადაც საჭიროა დაჩქარებით დაარსდეს პროლეტარულ-საკოლმეურნეო მწერლების კავშირი და საბჭოთა მწერლების კავშირი.

8. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ ვერ შესძლო თავისი გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ მოექცია ხელოვნების ისეთი მეტად თვალსაჩინო დარგები, როგორიცაა: თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა და სხვა,

სადაც ჯერ ძლიერია, ხოლო ზოგან ბატონობს კიდეც ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ტენდენციები.

9. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციის ორგანო—„На рубеже Востока“ და რესპუბლიკანურ მწერალთა ასოციაციების ორგანოები: „პროლეტარული მწერლობა“ (საქართველოს ასოციაცია), „გრეკან დირკერუნ“ (სომხეთის ასოციაცია), „ედებიეტ ჯეფესენდა“ (აზერბაიჯანის ასოციაცია) ჯერაც არ გადაქცეულა ა/კ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების მასიურ ორგანოებად. ყველა ამ ჟურნალს ახასიათებს სოციალისტური მშენებლობის საკვანძო პრობლემების სუსტი ასახვა, ადგილებთან ორგანიული კავშირის უქონლობა, მკითხველთა აქტივის მცირერიცხოვნება და მათთან მუშაობის ჩაუტარებულობა, კოლექტიური ხელმძღვანელობის უქონლობა და იდეურ-პოლიტიკური ფორმულების ჩამოყალიბებისადმი დაუდევარი მოპყრობის შემთხვევები.

10. მეტად არსებით ნაკლს წარმოადგენს სუსტი კავშირი სამეცნიერო-თეორიულ ძალებთან, მარქსიზმისა და ლენინიზმის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მტკიცე ამხანაგების გამოუყენებლობა ა/კ. სალიტერატურო მოძრაობის საკითხების დასამუშავებლად და რეაქციონურ-ბურჟუაზიულ მწერლებსა და ლიტერატურათმცოდნეებთან მედგარი ბრძოლის საწარმოებლად.

11. კვლავ სუსტი და ჩამორჩენილია მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც,—მიუხედავად ლიტერატურაში მტრულად განწყობილ ძალებთან წარმატებით ბრძოლისა („ჩობანოვჩინის“ გამოაშკარავება და დანგრევა აზერბაიჯანში, ლიტერატურათმცოდნეთა ბურჟუაზიულ-იდეალისტური მეთოდოლოგიის გამომჟღავნება საქართველოში და სხვა),—მეტად ჩამორჩენილია იმ მოთხოვნებს, რასაც უყენებს მას პარტია, და კერძოდ მოთხოვნას—დადებითად იქნას დამუშავებული მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები.

აღნიშნავს რა პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციის ძირითადად სწორ სალიტერატურო-პოლიტიკურ ხაზს და იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულ სხვადასხვა ნაკლს, რომელნიც ძირითადად იმას წარმოადგენენ, რომ ა/კ. პროლეტლიტერატურა საშინლად ჩამორჩა სოციალისტურ მშენებლობას, ა/კ. სამხარეო კომიტეტი პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციის მიერ მიღწეულ საქმიანობის დონეს არასაკმარისად სთვლის და შემდეგ წინადადებას იძლევა:

1. განაგრძობს რა იდეოლოგიურ ფრონტზე შეუწყვეტელ ბრძოლას და თანაც თანდათან გააძლიერებს ამ ბრძოლას კლასიური მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგ, რომლებიც მოიპოვებიან ჩვენს რიგებში მემარჯვენე და „მემარცხენე“ უკლონისტების სახით, პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია პარტიის ხელში კლასიური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ მებრძოლ იარაღად უნდა გადაიქცეს.

2. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ გადაჭრით უნდა იბრუნოს პირი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანებისკენ,—იმ წლისა, როდესაც უნდა დამთავრდეს ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ამოყვანა. ა/კ. და რესპუბლიკანურ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბაქოს ნავთი,—როგორც ა/კ. მთელი მეურნეობის გადამწყვეტი და წამყვანი დარგი. ამასთანავე ერთად, მწერლები, რომ-

ლებიც ჰქმნიან ლიტერატურას, „ნაციონალურს ფორმით და პროლეტარულს შინაარსით“ არ უნდა დაკმაყოფილდენ ბრძოლისა და მშენებლობის ასახვით, მხოლოდ თავიანთი რესპუბლიკების ფარგლებში, არამედ ასახონ აგრეთვე გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა, როგორც ცალკე მოძმე რესპუბლიკების, ისე მთელი კავშირის და ამით განამტკიცონ ინტერნაციონალური კავშირი მთელი ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან.

3. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა განაგრძოს ბრძოლა როგორც იმ შეუფასებლობის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენენ მემარჯვენე ოპორტიუნისტები დამკვრელ მუშათა პროლეტლიტერატურაში ჩაბმის საკითხში, ისე „მემარცხენეების“ წინააღმდეგ, რომლებსაც ახასიათებს გაბერილი პროცენტებისადმი მისწრაფება. ამასთანავე ერთად, განაგრძობს რა დამკვრელთა ჩაბმას ლიტერატურაში, ასოციაციამ დაუყოვნებლივ უნდა გაშალოს კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობა გაწევის შედეგთა დასამაგრებლად — მუშათა კლასის წრიდან პროლეტლიტერატურაში შემავალი ახალი კადრებისადმი ყურადღებით და ალღოიანი მიდგომით, ამ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდით და სხვა.

4. რეკონსტრუქციის პერიოდის მიხედვით თავისი მუშაობის ძირიანად გადახალისებასთან ერთად, პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია გადაჭრით უნდა გადავიდეს ოპერატიულობასა, დამკვრელობასა და სოცშეჯიბრებაზე, ფართოდ უნდა განავითაროს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების მუშაობა მწერალთა ინტერნაციონალური ბრიგადების ა/კ. ინდუსტრიალურ-სამრეწველო ცენტრებსა და კოლექტივიზაციის გზაზე დამდგარ სოფლებში ორგანიზებული და სისტემატიური დაგზავნით.

5. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა გარდაქმნას რესპუბლიკანური ასოციაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის სისტემა და მეთოდები, კერძოდ კი — ხელმძღვანელობა აზერბაიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა, რომელსაც, თავისი მუშაობის სპეციფიურ პირობათა გამო, ყველაზე მეტად ესაჭიროება გეგმაშეწონილი და კონკრეტული ხელმძღვანელობა. საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ხელმძღვანელობით პროლეტმწერალთა სარაიონო და საოლქო ორგანიზაციები (აფხაზეთი, სამხრეთოსეთი ნახჭევანის ოლქი), რომელნიც გამწვავებული კლასიური ბრძოლის პირობებში, მტკიცე იდეურ-პოლიტიკურსა და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას მოითხოვენ.

6. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა გაშალოს შეურიგებელი კრიტიკა ოპორტიუნისტულ შეცდომათა მატარებლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მემარჯვენეთა წინააღმდეგ, რომელნიც მოცემულ ეტაპზე ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენენ: აგრეთვე უნდა გააფართოოს ეს კრიტიკა „ლიტფრონტოვშჩინის“ ნაშთების წინააღმდეგ, და განაგრძოს შეურიგებელი ბრძოლა მერყევებისა და მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს მიჩქმალოს თავისი შეცდომები. ამასთანავე პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს პარტიის გენერალურ ხაზზე მტკიცედ მდგომი კომუნისტური ძალების კონსოლიდაციის პირობები.

7. ამასთან ერთად საჭიროა პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია მტკიცედ დაადგეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გზას, მიუხედავად პიროვნებისა, ხელი აიღოს ამ კრიტიკის, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში ხდება, ფორ-

ლებიც ჰქმნიან ლიტერატურას, „ნაციონალურს ფორმით და პროლეტარულს შინაარსით“ არ უნდა დაკმაყოფილდენ ბრძოლისა და მშენებლობის ასახვით, მხოლოდ თავიანთი რესპუბლიკების ფარგლებში, არამედ ასახონ აგრეთვე გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა, როგორც ცალკე მოძმე რესპუბლიკების, ისე მთელი კავშირის და ამით განამტკიცონ ინტერნაციონალური კავშირი მთელი ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან.

3. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა განაგრძოს ბრძოლა როგორც იმ შეუფასებლობის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენენ მემარჯვენე ოპორტიუნისტები დამკვრელ მუშათა პროლეტლიტერატურაში ჩაბმის საკითხში, ისე „მემარცხენეების“ წინააღმდეგ, რომლებსაც ახასიათებს გაბერილი პროცენტებისადმი მისწრაფება. ამასთანავე ერთად, განაგრძობს რა დამკვრელთა ჩაბმას ლიტერატურაში, ასოციაციამ დაუყოვნებლივ უნდა გაშალოს კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობა გაწევის შედეგთა დასამაგრებლად — მუშათა კლასის წრიდან პროლეტლიტერატურაში შემავალი ახალი კადრებისადმი ყურადღებით და ალღოიანი მიდგომით, ამ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდით და სხვა.

4. რეკონსტრუქციის პერიოდის მიხედვით თავისი მუშაობის ძირიანად გადახალისებასთან ერთად, პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია გადაჭრით უნდა გადავიდეს ოპერატიულობასა, დამკვრელობასა და სოცშეჯიბრებაზე, ფართოდ უნდა განავითაროს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების მუშაობა მწერალთა ინტერნაციონალური ბრიგადების ა/კ. ინდუსტრიალურ-სამრეწველო ცენტრებსა და კოლექტივიზაციის გზაზე დამდგარ სოფლებში ორგანიზებული და სისტემატიური დაგზავნით.

5. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა გარდაქმნას რესპუბლიკანური ასოციაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის სისტემა და მეთოდები, კერძოდ კი — ხელმძღვანელობა აზერბაიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა, რომელსაც, თავისი მუშაობის სპეციფიურ პირობათა გამო, ყველაზე მეტად ესაჭიროება გეგმაშეწონილი და კონკრეტული ხელმძღვანელობა. საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ხელმძღვანელობით პროლეტმწერალთა სარაიონო და საოლქო ორგანიზაციები (აფხაზეთი, სამხრეთოსეთი ნახჭევანის ოლქი), რომელნიც გამწვავებული კლასიური ბრძოლის პირობებში, მტკიცე იდეურ-პოლიტიკურსა და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას მოითხოვენ.

6. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა გაშალოს შეურიგებელი კრიტიკა ოპორტიუნისტულ შეცდომათა მატარებლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მემარჯვენეთა წინააღმდეგ, რომელნიც მოცემულ ეტაპზე ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენენ: აგრეთვე უნდა გააფართოოს ეს კრიტიკა „ლიტფრონტოვშჩინის“ ნაშთების წინააღმდეგ, და განაგრძოს შეურიგებელი ბრძოლა მერყევებისა და მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს მიჩქმალოს თავისი შეცდომები. ამასთანავე პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს პარტიის გენერალურ ხაზზე მტკიცედ მდგომი კომუნისტური ძალების კონსოლიდაციის პირობები.

7. ამასთან ერთად საჭიროა პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია მტკიცედ დაადგეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გზას, მიუხედავად პიროვნებისა, ხელი აიღოს ამ კრიტიკის, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში ხდება, ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალურ ჩატარებაზე, გააფართოოს იგი თავიდან ბოლომდე, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს და დაეხმაროს იმ მწერლებს შეცდომათა გამოსწორებაში, რომლებიც მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკს ლიტერატურაში გადაჭრით გაემიჯნენ.

8. ა/კ. სამხარეო კომიტეტი, აღიარებს რა არადამაკმაყოფილებლად დისკუსიის გაშლას შემოქმედებითს საკითხებზე, საჭიროდ სთვლის, რომ სწორედ ამ დისკუსიის ხაზით უნდა მიიმართებოდეს გადაჭრა საერთო ამოცანისა — მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიკურ მატერიალისტური მეთოდის დაუფლება. ამასთანავე, პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავის მუშაობაში ამ ხარვეზის შევსებას და თანაც არ დაივიწყოს ის გარემოება, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია ნამდვილი ამხანაგური გარემო პირობების შექმნაზე, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანების სალიტერატურო-პოლიტიკური ხაზის ფარგლებში შემოქმედებითი დაჯგუფებებისადმი ყურადღებით მოპყრობაზე.

9. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უნდა აწარმოოს გადამჭრილი ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მწერლებსა და ლიტერატურათმცოდნეებთან, ძირიანად მოსპოს იდეური გავლენა მენშევიკებისა, მუსავატელებისა და დაშნაკებისა ჩვენთან ახლო მდგარ მწერალთა ფრეებზე და გააძლიეროს მუშაობა თანამგზავრებთან. ამასთანავე ერთად საჭიროა ასოციაციამ, ამ თანამგზავრთა ჩვენი მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმით, გააძლიეროს და დააჩქაროს მათი დიფერენციაცია და გადააქციოს ისინი, რომელნიც იმედებს გაამართლებენ, ჩვენს ნამდვილ მოკავშირეებად.

10. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაცია რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ხელოვნების ისეთ თვალსაჩინო დარგებს, როგორიცაა თეატრი, კინო, მხატვრობა და სხვა და გაუწიოს მათ დახმარება და ხელმძღვანელობა მუშაობის გადახალისებაში.

11. საჭიროა ჟურნალი „На рубеже Востока“ გადაიქცეს ინტერნაციონალური აღზრდისა და ა/კ. პროლეტარულ მწერალთა ლენინური სწავლების მებრძოლ მასიურ ჟურნალად.

12. პროლეტარულ მწერალთა ა/კ. ასოციაციამ უფრო გადაჭრით უნდა მიიზიდოს თავის რიგებში სამეცნიერო-შემოქმედებითი ძალები, რომლებმაც რესპუბლიკანურ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებს უნდა გაუწიონ აქტიური დახმარება ფილოსოფიაში ლენინური ეტაპის დამუშავებისა და შეთვისების საქმეში, პლეხანოვის შეცდომათა კრიტიკულ დაძლევათა და პერევერზევ-შჩინისა და დებორშჩინის ნაშთებთან ბრძოლის საფუძველზე.

13 საკავშირო კომპარტიის (ბ) ა/კ. სამხარეო კომიტეტი ავალებს ა/კ. სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიათა ც. კ კულტპროპებს—გააძლიერონ ა/კ. პროლეტლიტერატურული ორგანიზაციებისთვის პარტხელმძღვანელობის გაწევა მათ მუშაობაში აღნიშნულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად და მათი შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

ა/კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს რა ახალგაზრდა პროლეტმწერალთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, ავალებს ა/კ. და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს მიიღონ გადამჭრელი ზომები მწერალთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ეული

საოქტომბრო

ყოველ წელიწადს
ახალ-ახალს
ვუმღერთ ოქტომბერს,—
მიწას ცეცხლიანს,
აჯანყებას
მილიონების...
ვიხსენებთ მეხის
გავარდნასა
და ცხრაასჩვიდმეტს,
ვიხსენებთ დიდი
ბელადისა
ხმას მოწოდების.
ჩამწკრივებულა
წლები
და დღეები ბრძოლის
ლექსი ვერ იტყვის
რაც გვინახავს,—
გამოგვიცდია,
მოწამენი ვართ
ქარიშხლების,
ღელვის და ქროლვის
რაც დღეს შევძლებდით—
ხვალისათვის
არ მოგვიცდია.
ყოველ წელიწადს
ახალ-ახალს
ვუმღერთ ოქტომბერს,—
ახალ სიმღერას
ახალ ლექსით
ვუთხზავთ პარტიას,
რომ აფრიალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოში
დროშას ცეცხლის ფერს
მტრისგან ბრძოლებში
არა ერთხელ
დაჭრილს,—ნატყვიარს.
ამხანაგებო,
სმენა იყოს
ყველა ქვეყნიდან!
სანამ ოქტომბრის
მზე სხივებსა
ყველგან არ მოფენს,
ელოდეთ დასხმას
მოსისხლე მტრის
ბანაკებიდან,
ძველი ქვეყანა,
ხედავთ, კვდება
და ველარ ითმენს!

ხ ა ნ დ რ ო ე უ ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

განგაში

სურათი მეექვსე*)

ზურაბ ღვინიაშვილის კარმიდამო. ეზო შემოღობილი. გვერდით ულის შარა-გზა. მუხის ძირში ზის ზურაბის დედა, რაღასაც ჩიფჩიფებს. ჭიშკართან დგას ზურაბის და მართა. ვიღასაც ელოდება. აივნის კიბეზე ზის ელპიდე თავჩაღუნულად.

მართა. სად არიან აქამდის? (შორიდან ზაქარიას ხმა)

ზაქარია. მართა, მართა!

მართა. ძლივს! სად ხარ კაცო? მიამბე საქმის ვითარება!

ზაქარია. ცეცხლი ხომ გინთია?

მართა. როგორ არა... დავკლა რამე?

ზაქარია. წყალი აადუღე და თავზე გადამასხი!

მართა. უი, ჩემ თავს! მაშ ყველაფერი გათავდა? გამოგრიცხეს?

ზაქარია. გამწმინდეს და გამომაგდეს!

მართა. უი, უი!

მეტია. ზაქარია, წუხელ სიზმარში მამიდაშენი ფედოსი ვნახე, როგორ არის?

ზაქარია. მოკვდა.

მეტია. მშვენიერი დიასახლისია! აცოცხლოს ღმერთმა, უთხარი შემოიაროს ჩვენსას... რა ხანია არ მინახავს?

ზაქარია. მოკვდა, მოკვდა!

მეტია. ვინ, ფედოსი? უი, უი, ფედოსი მამკვდარა! (მოსთქვამს)

მართა. უჰ, უჰ, გაჩუმდი! ეხლა გაიგე? ორი წელია რაც მოკვდა!

მეტია. ჩემზე უფროსი იყავი ფედოსი, რა გეჩქარებოდა ფედოსი!

ზაქარია. რა გინდა, ვიცოცხალო? ზაქარია იტირე, უბედურო ზაქარია! რა მოგივიდა? პატიოსანი კაცი იყავ, აბრეშუმის პიჯაკი გეცვა, გცნობდნენ, გენდობოდენ, ჭამდი, სვამდი, წაგართვეს, გამოგაგდეს, პანღურიც მოგაყოლეს! რატომ არ ტირი ახლა?

მართა. შენი ბრალია ყველაფერი, რადროს ვაჭრობა იყო?

ზაქარია. შენმა ძმამ ზურაბმა დამღუპა! რა დავუშავე ამ ხალხს? რა ჩავიდინე ისეთი? დუქანი ავაშენე.—კოლექტივის საწყობად გადააქციეს! ქონება შევიძინე—კოლექტივს მივეცი! მეტი რა უნდათ?

მეტია. საცოდავო ფედოსი, საცოდავო ფედოსი!

---

* დასაწყ. იხ. ჟურ. „პროლ. მწერ." № 6-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია. წაიყვანე, ჩაკეტე, თორემ შემომაკვდება.

ელპიდი. წამო ბები! (მიჰყავს)

მართა. პირველად ვისზე ილაპარაკეს?

ზაქარია. ჩემზე! ყოფილი ვაქარი ხარო, რევოლიუციის დროს სად იყავიო, დიქტატურას ხელს უშლიო! რა ვქნა ახლა? არაფერი!

მართა. ოჯახი ილუპება, თავზე გვენგრევა! (შემოდის გოგო)

გიგო. ზაქარია, აფრასიონი აქ არის?

ზაქარია. აფრასიონ კრებაზეა, იწმინდება!

გიგო. არ მოვა?

ზაქარია. მოვა, მაგრამ როგორი მოვა არ ვიცი!

გიგო. თუ მოვიდეს, უთხარი: გიგო მოვიდათქვა! არ წავიდეს!

ზაქარია. კაცო, ვინ მოვიდა, რა მოვიდა, თავი დამანებე, მე ჩემი დარდი მაწუხებს!

გიგო. შენც გაგწმინდეს?

ზაქარია. წმინდანი ვიყავ—გამთათხეს!

გიგო. უჰ, ბონდო შენი... (მიბრბის)

ზაქარია. (პაუზის შემდეგ) ზაქარია!

მართა. ჰა...

ზაქარია. ბამბას რომ ყიდულობდი, რას ფიქრობდი? ამდენი ფული წყალში რომ გადაყარე, ამოღებას ვისგან მოელოდი? ჭკუა სად გქონდა, თავი სად გქონდა? მოკვდი! მოკვდი! (თავზე შემოირტყავს) ახია შენზე!

შემოდიან აფრასიონ და ზინაიდა

ზინაიდა. აფრასიონ...

აფრასიონ. თავი დამანებე.

ზინაიდა. ადამიანო, ხმა ამოიღე.

აფრასიონ. (ელპიდეს) სიმონა სახლშია?

ელპიდი, არა.

მართა. ზინაიდა ქალო... აფრასიონ...

აფრ სიონ. გაჩუმდით თქვენი დედა ვატირე მე! (გადის)

ზინაიდა. უი, უი!

ზაქარია ოოო, მაშ მარტო არ ვყოფილვარ! (ხითხითებს)

მართა. ზაქარია...

ზაქარია აფრასიონი თუ გამოაგდეს, მე ვინ დამტოვებდა?

ზინაიდა. უი, უი!

მეტია. (მეორე ოთახიდან) საცოდაო ფედოსი... (შემოდის ზურაბი)

ზურაბ. ჰო, ჰო, იტირეთ—იჩხავლეთ! იგლოვეთ ზურაბ ღვინიაშვილის ოჯახი! გათავდა... გათავდა... ყველაფერი გათავდა.

მართა. ნუ გადარეულხარ, რაც მოხდა-მოხდა!

ზაქარია მარტო ხომ არა ხარ ზურაბ... ჩვენც შენს დღეში ვართ.

ზურაბ. ჰო, მარტო არა ვარ! ჩვენ ბევრი ვართ ზაქარია, ბევრი... ჩემს აკვანზე მიწაში გახვეული უზალთუნი ეკიდა. დედის ნანინა გამდიდრება იყო ჩემი. წყევლა სიღატაკე! მიწა საფლავისთვისაც მშურდა. მიწის ხორცსა და სისხლს შევეზარდე. ღრმად ჩაძირულ ხის ფეს-

ვებს შევნატროდი. რომ ჩემივე სხეულის ძარღვებიც იმ ფესვებივით მიწაში გამჯდარიყვენ! სიმდიდრეს ვიღებდი, სამდიდრეს...

ზაქარია. კარგი, გეყოფა.

ზურაბ. შენ მიწის არ გაგეგება ზაქარია, შენ ვაჭარი ხარ!

მართა. წამოდი, სადილი არ გინდა?

ზურაბ. (გასწვეს კიბეზე თავჩაღუნულად ჩამომჯდარ ელპიდესაკენ) მუხლებში თავი რად ჩაგირგავს შვილო? აჰა, განთავისუფლდი, ვინც გინდა ამოირჩიე! ვისაც გინდა—გაჰყევი! შენ ხომ წინასწარ გაჰყვიროდი ჩემს დაღუპვას? აჰა, აგისრულდა: ზურაბ ღვინიაშვილი მოკვდა...

ზაქარია. კარგი, ზურაბ, რა მოხდა შე კაცო?

ელპიდი. შედით, სირცხვილია!

ზაქარია. წამო ზურაბ, წამო! (შედიან სახლში)

თემშარაზე მოიჩქარიან ოლენა და აკვირინა, საუბრით.

ოლენა. კი, მაგრამ, რა საჭირო იყო კრების ხელმეორედ მოწვევა?

აკვირ. არ ვიცი!.. არ ვიცი!

ოლენა. ეს მხოლოდ გოლიას თვითნებობაა, მეტი არაფერი! ბონდომ არც კი იცის ეს ამბავი! კოლმეურნეთა განწყობილება ცხადია: უმრავლესობა ბამბას მოითხოვს, რომ გაიტანონ მაშინ—რა ვქნათ?

აკვირ. წამოდი იქ ვნახავთ რაც მოხდება! (ეზოკართან შეეჯახება სიმონი)

სიმონ. (ოლენას აჩერებს) ოლენა საქმე მაქვს შენთან!

ოლენა. რა გინდა? (აკვირინა გარბის)

სიმონ. სიმართლის გაგება!

ოლენა. რა სიმართლის?

სიმონ. მდივნობიდან გადამაყენეს, უჯრედიდანაც გამომრიცხეს, გამაშავეს... მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ ოლენა, სანამდე შენგან პასუხს არ მივიღებ! გავიქცეთ აქედან... წამოდი ქალაქში, ვიმსახურებ ვისწავლით, იქ კულაკისშვილობით ვერავინ დამჩაგრავს! წამოდი ოლენა!

ოლენა. ქალაქში წასვლა არ შემიძლია... ჯერ ერთი საშუალება არა მაქვს! (წასვლას აპირებს)

სიმონ. (ხელს დაუჭერს) მეორე? სთქვი, რა მიზეზია?

ოლენა. არის მიზეზი.

სიმონ. მე გითხრა?

ოლენა. სთქვი!

სიმონ. არა... მე სხვა რამეს გეტყვი ოლენა! ხომ გახსოვს როგორი კომკავშირელი ვიყავ? მაშინ თუ მჩაგრავდა ვინმე—მხოლოდ მამაჩემი. ვმუშაობდი კიდეც! ჩემზედ ავს ვერავინ იტყოდა, შენც კარგი თვალებით მიყურებდი... მერე, რა მოხდა, ხომ იცი? შენ სხვამ აგიყოლია, მეც ყველაფერზე გული ამიცრუვდა! (აცრემლებით)

ოლენა. რა საჭიროა ეს ყველაფერი...

სიმონ. რა საჭიროა, რა საჭიროა? გველო, უსინდისო. ეხლა მეუბნები? მაშინ ხომ გეყურებოდა ჩემი!.

ოლენა. გამიშვი...

სიმონ. არ გაგიშვებ, არ გაგიშვებ! რას მოვერიდო, ვის შევუშინდე? ბონ-დოს? ინტრიგანს?

სახლიდან გამოდიან ზურაბი და ზაქარია.

ზურაბ. აი, ჩემი სასახელო შვილიც...

სიმონ. ოლენა... ოლენა, მე თქვენ გიჩვენებთ...

ზურაბ. გადავყევი, გავზარდე, ვასწავლე, მეგონა კაცი გამოვიდოდა! აჰა შეხედე, ზაქარია!

სიმონ. ჰო ჰო—შეხედეთ, როგორ აგდებენ კომკავშირიდან კულაკის შვილს...

ზურაბ. გესმის ზაქარია.

სიმონ. ესმის, ესმის... მეც ვიცი, რომ მხოლოდ ზაქარიასთანა ხალხს...

ზაქარია. რა შუაშია აქ ზაქარია? შენ, ბიძია თავში ჭკუა რომ არ გქონდეს ამხანაგებმა რომ დაგიბრიყვონ, ქალმაც რომ ზურგი შეგაქციოს, რა შუაშია ზაქარია?

სიმონ. დიახ, შენ ხარ შუაში! ჩარჩო, სპეკულიანტო!

ზაქარია. ზურაბ მომაშორე ეს ყმაწვილი, რა უნდა ჩემგან.

ზურაბ. გაჩუმდი!

სიმონ. (ყვირილით) არ გავჩუმდები, არ გავჩუმდები, თქვენმა სპეკულიანტობამ დამლუპა, ისედაც ავი თვალით მიყურებდენ, ხალხი გააბრიყვეთ, კოლექტივი დაშალეთ, კოლმეურნეები ერთმანეთს წაკიდეთ! (კიბეზე ჩაიკეცება)

ზაქარია. ჰო-და შენც უნდა გესარგებლა მდგომარეობით, მტრები ხომ გყავს? ხმა რატომ არ ამოიღე?

სიმონ. ვინ მტერი, რა მეთქვა, ვის წინააღმდეგ...

ზაქარია, ვინც მოგხსნა, ვინც დაგჩაგრა, ვინც ქალი წაგართვა...

სიმონ. (რევოლვერს იძრობს) გაჩუმდი, გაჩუმდი!

ოთახიდან გამორბიან ქალები.

მართა. ზურაბ, სიმონ... მტრებს უხარიათ...

ელპიდი. მუდამ ყვირილი, მუდამ ჩხუბი, ოხ, ღმერთო!

ზურაბ. შედით სახლში!

ზინაიდა. წამოდი სიმონ!

ზაქარია. ჩემი იყო, აგიწევდი მაგ ყურებს...

ზურაბ. ნუ ამტყუნებ, ზოგში მართალია...

ზაქარია. დასწყევლოს ეშმაკმა, ყველაფერში მტყუანი როგორ გამოდის ეს ზაქარია? (შემოდიან დიანოზ და აფრასიონი)

დიანოზ. უწინაც ვამბობდი: კოლექტივი ნაადრევიათქო! გავბრიყვდი და მაინც ჩავეწერე... რა მინდოდა? უკოლექტივოთ პურს ვერ ვჭამდი თუ? ქე არ გამომაგდეს? ამ ჩემს ფეხებს! მოკვდება ეხლა დიანოზ სირბილაძე შიმშილით! ანდა: რა დავაშავე? ჩემისთანა ღატაკი მეორე არ იყო ამ სოფელში... უიმე დედაჩემო...

აფრასიონ. რა უფლება აქვთ, გეკითხებით მე თქვენ, რა უფლება აქვთ გუშინდელ კომკავშირელებს ძველი პარტიულის ბედ-ილბალი გადაწყვიტონ? უმიზეზოთ: ჯერ გამგეობიდან. მერე ჩემივე დაარსებულ კოლექტივიდან... უმიზეზოთ...

ზინაიდა. ჰო, უმიზეზოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია. უმიზეზოთ!

დიანოზ. ხი, ხი, ხი!

აფრასიონ. თქვენ კი? თქვენ ღირსი ხართ, ჩარჩებს და კულაკებს კოლექტივში არ აჩერებენ! მაგრამ მე?

ზურაბ. ზაქარია, ამ კაცს ცხრაას ხუთიდან უბრძოლია. ბომბები უსვრია... და ეხლა? უმიზეზოდ!

აფრასიონ. ვიჩივლებ, საკანტროლო კომისიაში ვიჩივლებ!

ზურაბ. გეწყინა?

აფრასიონ. ფეხი დამადგეს, გამსრისეს, დამითხოვეს, გამომაგდეს!

ზურაბ- მალე პარტიიდანაც გამოგაგდებენ...

აფრასიონ. არა, ეგ არ იქნება. მე მაგათ დავუმტკიცებ თუ ვინ არის აფრასიონ ჩარგაძე! მე ჩვიდმეტიდან მიბრძოლია ბიძია! რევოლიუციას თავი შევწირე კატეგორიულად... ძველი ვარ, ძველი...

ზურაბ. გლახაკი ხარ... ლაჩარი...

აფრასიონ. (გაიწევა) ზურაბ, თავი დამანებე, თორემ... მოვედი!

დიანოზ. (შუაში ჩავარდება) სუთ კაცო, ჩვენ თუ დავირიეთ ეხლა ერთმანეთს, კარგა ლ წავა ჩვენი საქმე, უიმე დედაჩემო! ზაქარია ხმა ამოიღე!

ზაქ. (რომელიც ხის ძირშია ჩამომჯდარი) არ ვარგა ჩხუბი, არ ვარგა!

აფრასიონი გადის გაბრაზებული. პაუზა. დიანოზი ხის ძირში ჩამოჯდება.

დიან. გამოგვრიცხეს, ბამბაზედაც უარი გვითხრეს. მარდახაც ფულს მოიტანს, თითო გროშს გადმოგვიგდებენ სამოწყალოთ! იქცევა ქვეყანა!

ზაქ. რაო, მარდახა ფულზე გაგზავნეს? იმ ღვთის გლახაკს ანდეს ამდენი ფული?

დიან. გიგოს თავისი ყურებით გაუგონია... ბონდომ დააბარა თურმე მარდახას...

ზაქ. ზურაბ, აფრასიონ! როგორ შეიძლება? მარდახას—ბონდისათვის, ბონდოს მარდახასათვის... ამდენი ფული... ორეთში უნდა გამოიაროს, ტყეში უნდა გამოიაროს... ამდენი ფული... გადვირევი!

დიან, ვსთქვათ: ვინმემ იცის ეხლა ეს ამბავი... დახვდა გზაში და...

ზაქ. დაბრუნდა მარდახა, ფული გაქვს? არა მაქვს!

დიან. მოვლენ კოლმეურნეები, ფულს მოგვცემთ? ვერ მოგცემთ.

ზაქ. რას იტყვის მაშინ ბონდო.

ზურაბ. რევიზიაც კარზე უკდის...

დიანოზ. დანაკლისი თუ აღმოჩნდა საწყობში...

ზურაბი. უმჯობესია საწყობი სულ არ აღმოჩნდეს...

ზაქ. ა, რაო? ზურაბ...

ზურაბ. შემოდით სახლში... (შედიან პაუზა)

შედიან. ქალებს ოთახიდან გამოყავთ ზურაბის დედა.

მართა. წადი იქ დაჯექ, იმათ საქმე აქვთ.

მეტია. რა საქმე აქვთ?

ელპ. წამოდი ბები, შენ ვერ გაიგებ მაინც.

ზურაბი. ელპიდე, გიგო თუ მოვიდეს, გამოუშვი.

ელპ. (მართას შემკითხავად გადახედავს).

მართა. არ ვიცი! (შორიდან ისმის ხუშუტის ძახილი).

ხუშუტი. მაინძელო!

მართა. ვილაცაა გოგო!

ელპ. მობრძანდით...

ხუშუტი. ღმერთმა ბრძანება ნუ მოგიშალოს! ზურაბი სახლშია?!

ელპ. დიალ!

ხუშუტი. ზაქარია?

მართა. შინ არის!

ხუშუტი. აბა დიანოზიც აქ იქნება!.. მეც მივემატები და—შედგება გაწმენდილ ელემენტთა მთლიანი კოლექტივი!..

მართა. შენც გამოგრიცხეს?

ხუშუტი. რას ჰქვია გამომრიცხეს, გამწმინდეს! (უახლოვდება ფანჯარას) ძმებო, გაწმენდილებო! თქვენ ქეიფობთ ეხლა ვიცი მე! (ბალკონზე ჩამოჯდება და ღიღინებს) „მასპინძელსა მხიარულსა ჰყავს სტუმრები საყვარლებიო“.

დიანოზ. (კარებთან) უიმე დედაჩემო! ხუშუტი, რა გემღერება?!

ხუშუტი. აქ არიან ძმები, გაწმენდილები?

დიან. ხუშუტია მოდი აქ! წადი, ეხლავე დაგეწევი!

ხუშუტი. დაეწევი? გავიგე მე შენი... დიანოზ თუთუნი გაქვს?

დიან. საძაგელი თუთუნია.

ხუშუტი. მოიტა... სულ ერთია... თუთუნს კი არა, მალე ბამბასაც გავაბოლებთ მგონი, საწყობში რომ აწყვია დასტა-დასტა! იძლევი თუთუნს კაცო?

დიან. დამიცადე აქ, ეხლავე გამოგიტან! (შედის)

ხუშუტი. (მიცოცდება ფანჯარასთან) გამარჯობათ დელეგატებო! კონფერენცია გაქვთ?! ზედმეტი ვარ ხომ?! (მობრუნდება) თქვე ოჯახდაქცეულებო, არც კომუნისტები ბენდობიან, ალარც თქვენ! რა კაცი ვარ აბა მე? ელპიდე მამაშენს უთხარი—ზაქარიას ნუ ენდობი, კოლექტივიდან ხომ გამომაგდო, მალე სახლიდანაც გამოგაგდებს—თქვა!

ელპ. რა ამბავია?

ხუშუტი. ჯერ არაფერი ამბავია... ჰო, თუმცა არის... კოლექტივის რევიზია ჩამოვიდა, მაგრამ ბუხჰალტერი ბანკის რევიზიაზეა წასული... ზაქარიას უთხარი: შეიძლება ბედაურები დაიხოცონ, ბაგრამ ვირებს მოედანი მაინც არ დარჩებათ—თქვა! (შემორბის გიგო)

გიგო. ელპიდე! ელპიდე!

ხუშუტი. ჰა, მოვიდა მეექვსე ინტერნაციონალი!

გიგო. ზურაბი სახლშია?

ხუშუტი. კი, კი, კონფერენციაზეა! მიდი, მოხსენება გაუკეთე! ზაქარიას უთხარი: თავს მოუარე, კუდზე ფეხი არ დაგაჭირონ—თქვა! (გადის. ოთახიდან გამორბის დიანოზ).

დიანოზ. მოდი, მოდი, მოდი... ხუშუტია წავიდა? ვინმემ თუ გვიკითხოს არ არიან სახლში-თქვა შენი ჭირიმე!

პაუზა. ელპიდე კარებთან მოცოცდება, უსმენს.

მეტია. ვინ იყო გოგო?

ელპ. გიგო იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტია. გიგო? წმინდა არს... ყაჩაღს და ქურდ-ბაცაცს რა უნდა ჩემს ოჯახში? რა მინდაო?

ელპ. (კარებთან უსმენს) გაჩუმდი!

მეტია. რას იკბინები გოგო? სხვასაც დაგვიანებია შენსავით გათხოვება, მაგრამ არ გადარეულა.

ელპ. გაჩუმდი—მეთქი.

მეტია. ღმერთო მომკალი? რას ჰქვია გავჩუმდე? ეს—ღა მაკლია შენ გამიხდე ამ ოჯახის უფროსი.

ელპ. ოჰ, ღმერთო! (კარებს მოშორდება).

მეტია. რა მოხდა გოგო?

ელპ. რა სთქვეს, რა სთქვეს!?

მეტია. რა ვსთქვი გოგო, ხომ არ გაგიჟებულხარ?

ელპ. გიგოს დაავალეს... მხეცები, რას ჩადიან?

მეტია. ჯვარი აქაურობას! გოგო, რას ბოდავ?

ელპ. მხეცები, წყეულები, ყაჩაღები... არ შეიძლება ისინი ხალხს ღუპავენ, რას ერჩიან საწყალ ურიას? ვიტყვი... ვიტყვი ყველაფერს! (გარბის).

მეტია. მიშველეთ, მიშველეთ... ელპიდე გაგიჟდა...

ოთახიდან გამოცვივდებიან ზურაბ, ზაქარა, დიანოზ და სხვ.

ზურაბ. რა ამბავია!

ზინაიდა. ბები რა მოხდა?

მეტია. (ბოსთქვამს) ელპიდე გაგიჟდა... გარედ გავარდა, ყველაფერს ვიტყვიო... ასე იცის ახლად გაგიჟებულმა...

ზურაბ. სიმონ! დაეწიე, დააბრუნე... ხმა ჩაუწყვიტე...

გიგო. ზურაბ, აკი საქმე გამოდის...

ზურაბი. კოლექტივიდან ხომ გამოგაგდეს?

ზაქარია. ყველაფერი ხომ წაგართვეს?

გიგო. კარგი, ნუ გადამრიეთ! (გარბის)

მეტია. (მოსთქვამს) ელპიდე შვილო, რა დროს გაგიჟდი...

ზურაბ. ნუ ჩხავი, ენას ამოგაძრობ...

ზაქარია. მე თუ მკითხავ—ქალისთვის ენა სულ ზედმეტია!

სურათი მეშვიდე

ეპოზიდი პირველი.

სცენა აღმასკომთან. საღამო.

გოლია. (ფანჯარასთან. ელსმენით) ორეთი, ორეთი... ორეთია? რომელი ხარ ამხანაგო! თედორე? აი რა ამხანაგო თედორე! ხვალ დილით ვაპირებთ ბამბის გადაზიდვას ტრესტის განყოფილებაში... გეყურება? გაეცი განკარგულება, რომ ორეთის ურმები დილიდანვე მოვიდეს საწყობთან! (შორიდან ისმის ოლენას ხმა)

ოლენა. გოლია, გოლია...

გოლია. რა იყო, რა მოხდა?

ოლენა. კრებაზე საშინელი აურ-ზაურია, ზოგიერთები კოლექტივის დაშლას მოითხოვენ!

გოლია. კოლექტივის დაშლას?! ვინ მოითხოვს?!

ოლენა. ვისაც შენ კრების უფლება მიეცი, რა საჭირო იყო! აკა ბონდომ გაგაფრთხილა?..

გოლია. შენ პირზე მხოლოდ ბონდო გაკერია... მიკვირს ერთი წამით მიგიტოვებია...

ოლენა. შენ, როგორც აღმასკომის თავმჯდომარემ, უნდა მიიღო ზომები.

გოლია. მე უკვე მივიღე ზომები... ბამბას ხვალ დილით გადაზიდავენ...

ოლენა. საქმეს ეგ არ უშველის... (შემორბის ბონდო)

ბონდო. ამხანაგო გოლია... რისთვის დამიძახეთ? მარდახას შესახებ ხომ არ არის რაიმე ცნობა?

გოლია. ჯერ არაფერი... კრებაზე რა ამბავია?

ბონდო. ამხ. გოლია, შენმა უტაქტო ნაბიჯმა ჩიხში მოგვამწყვდია, ხომ იცოდი როგორი გამწვავებული მდგომარეობაა კოლექტივში? პროვოკატორები გავრეკეთ, მაგრამ მათი შხამი ჯერ კიდევ სწამლავს ხალხის გონებას! რა ვქნათ? რა პასუხი გავსცეთ? ფული ხელთ არა გვაქვს, ბამბას ვერ დავურიგებთ, უმრავლესობა კი მოითხოვს...

გოლია. ყველას დავაპატიმრებ...

ბონდო. ეს ხომ დაუშვებელია!? გავიგოთ რომ კოლმეურნეებს უფლება აქვთ შრომა აინაზღაურონ, ჩვენ კი ვემუქრებით.

გოლია. ილაყბონ რამდენიც უნდათ! განკარგულება მოვა—შევასრულებთ!

ოლენა. ეს კი ხალხის მასხრად აგდებაა.

გოლია. გაჩუმდი! შენ ვინ გკითხავს?

ბონდო. ამხანაგო გოლია.. არ ვიცი... თქვენ ამ კრებით მდგომარეობა უფრო გაამწვავეთ... წამოდით, პასუხი გაეცით.

გოლია. ჩემთან მოვიდენ, აქ გავსცემ პასუხს... სპეკულიანტები, გამდიდრება მოუნდათ.

ბონდო. ეს არ არის მართალი! შეიძლება ერთი-ორი მართლაც სპეკულიანტობდეს, მაგრამ უმრავლესობა ანკესზეა წამოგებული...

ოლენა. ასე მუშაობა არ შეიძლება... ბონდო მე წავალ კრებაზე... გივის მივეშველები.

ბონდო. წადი, მეც ეხლავე დავბრუნდები (ოლენა გარბის) რევიზია კარზე მოადგა, მარდახაც არ ჩანს, საბა არ ჩამოვიდა, არ ვიცი, არ ვიცი... შემოდის ზაქარია.

ზაქ. საღამო მშვიდობისა... არ მინდოდა შემეწუხებინეთ, მაგრამ გაჭირვებული კაცი რას არ იზამს? ბატონო თავმჯდომარეებო ჩემი საქმე როგორ იქნება? მგონი რაღაც ნამუშევარი მერგება კოლექტივიდან!..

გოლია. ბამბა გინდა?

ზაქ. არც ბამბა მინდა არც მატყლი! მოისპო მაგათი ძირი და სახსენებელი.

გოლია. დღეს საღამოს მარდახა ფულს ჩამოიტანს და მოგცემთ.

ზაქარია. ეგრემც კარგი დაგემართოს. დღეს ჩამოიტანს ვითომ? რა ვიცი, იქვიანი კაცი ვარ და... ხალხშიც ხმები დადის... დღეს ფული ვის

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გააბრიყვებს? არა... ისე... მარდახა სანდო ბიჭია... მაგას როგორ ჩაიდენს? უჰ, რას არ მოჰორავს ეს ხალხი? მე მართალია ვოლექტივის წევრი არა ვარ, მაგრამ მასზე გული მაინც მტკივა, როდესაც ამბობენ: მარდახამ ფული გაიტაცაო — მწყინს, და თუ მართლა გაიტაცა-არც ის გამიხარდება! თუმცა საშიში რა უნდა იყოს, სად გაიქცევა? ნახვამდის ბატონო თავმჯდომარეებო.

ბონდო. აი, კიდევ ახალი პროვოკაცია!

გოლია. რა ვიცი... იქნებ გამართლდეს! მარდახას ასე დაგვიანება რაღაც საეჭვოა... შენი კანდიდატია, უფრთხილდი!

ბონდო. ჰორებს თავი დაანებეთ!.. სირცხვილია... ამხ. გოლია მოდიხართ თუ არა კრებაზე...

გოლია. მე აღმასკომის თავმჯდომარე ვარ და არა კოლექტივის... (შემორბის გივი)

გივი. ბონდო კრებაზე მთელი არევ-დარევაა! მარტო ვერაფერს გავხდი! ვინმე მაინც დაესწროს, პასუხი გასცეს!.. მარდახას დაგვიანება ხომ მდგომარეობას უფრო ართულებს?! ათასგვარი ხმებია! ვაი თუ მართლა... (ზაქარია კუთხეში დგას და უსმენს).

ბონდო. შენც დაიჯერე? სისულელეა...

გივი იმ ჩერჩეტმა ინსტრუქტორმაც თავი წაიღო. ბრალს გდებენ ბონდო, ამბობენ: მარდახა ბანკში განგებ გაგზავნა რევიზიის თავიდან ასაცილებლადო...

ბონდო. ვიცი, ვიცი...

გივი. მაგრამ მარდახა.. მარდახა!.. (ბონდოს შეაჩერდება) ბონდო, თავზე ხომ არ დაეცენ?

ბონდო. აჰ!.

გივი. ყველაფერი მოსალოდნელია.

ბონდო. გივი, წადი კრებაზე... ეხლავე მოვალ..

გივი. კარგი... არ დაიგვიანო... (გარბის)

ბონდო. მარდახას ფული გუშინ უნდა აეღო! ალბათ ვერ ჩაუსწრო. დღეს დილით მიიღებდა, აქამდე კაცი არ ჩანს. მარდახას მიერ ფულის გატაცება? არა, შეუძლებელია! მაშ, ერთად ერთი მიზეზი — თავდასხმა. მტერი იბრძვის ყოველმხრივ, ყოველ საშუალებით. მე აქ რა მინდა? აქ რას გავხდები?არა... სჯობს მე თვითონ... (შემოხვდება ინსტრუქტორი, თავშეხვეულია)

ინსტრ. ამხანაგო, რას მიშვრებით მე? ვიწყებთ თუ არა რევიზიას?

ბონდო. თავი დამანებე!

ინსტრ. რას გავს ეს? ამხანაგო თავმჯდომარე.

გოლია. რა ამბავია?

ინსტრ. (ახველებს) აი, კიდევაც გავცივდი! სურდო შემეყარა! სიკვდილიც მოსალოდნელია! როგორ ფიქრობთ ამხანაგო? მე თქვენ საქმეებს თავს შევსწირავ თუ?

გოლია. რა მოხდა ამხანაგო...

ინსტრ. თუ დღეს კიდევ ანგარიში არ ჩაუბარებიათ, მივდივარ კატეგორიულად! მერე თქვენ აგეთ პასუხი.

გოლია. ამხანაგო თუ საქმისთვის ჩამოსულხართ, გააკეთეთ კიდეც, მუქარა ზედმეტია!.

ინსტრ. როგორ უნდა გავაკეთო, როდესაც თქვენი კოლექტივის თავმჯდომარე ჩემთან დალაპარაკებასაც არ კადრულობს? წელან აქ შემხვდა და ყურადღებაც არ მომაქცია!

გოლია. ხომ ხედავთ არ სცალიან... მოიცადეთ!

ინსტრ. მეყო ამდენი ცდა! ამხანაგო თავმჯდომარე გთხოვთ დამიდასტუროთ რომ მე ჩამოვედი სარევიზიოთ და ისევ ქალაქში მივდივარ: რევიზია კი ვერ ჩავატარე, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას არ მაქცევს... მომეცით, მომეცით მოწმობა!

გოლია. ვერავითარ მოწმობას ვერ მოგცემთ.

ინსტრ. ეს ხომ დაუდევრობაა ალმასკომის ხაზითაც?

გოლია. ამხანაგო! ალმასკომის რევიზია თქვენთვის არ დაუვალებიათ! ნუ იმუქრებით (შედის ალმასკომში)

ინსტრ. უკაცრავად, მადლობთ... ვნახოთ, (მიდის)

შემორბის ოლენა

ოლენა. ბონდო, ბონდო, დავმარცხდით, მტერმა თავისი გაიტანა... ბონდო, ბონდო, არ არის, გოლია სად არის ბონდო?

გოლია. (ოთახიდან) არ ვიცი, თავი დამანებე, ხელს ნუ მიშლი.

ისმის ხუშუტის ღიღინი. შემთვრალია.

ხუშუტი. მოვდივართ მოგვიხარიან, მოგვყავს დედალი ხოხობი... არა, ხოხობი კი არა კოკორინაა! ქვრივი კოკორინა! ოლენა ბიძია. რად მოგიწყენია. ქორწილს თუ მალე გადიხდი, მოვდივარ ჩემი სანოვაგით, ისეთი მსუქანია, როგორც მე... ვისი მოკლულია თუ ვიცოდე, ზაქარია ბაკურაძე მომიკვდეს...

ოლენა. თავი დამანებე. (გადის)

ხუშუტი. ხე, ხე, ხე! ვიცი, ვიცი... ბონდო, ეხ, სიყვარულო! (ზაქარია კუთხე-კუთხე მოიპარება) ზაქარია, მე დამეძებ? (ზაქარია გარბის) ხი, ხი, ხი! ჩემო კოკორინავ. შენ რომ იცოდე, რა ხდება ეხლა ამ ქვეყანაზე, გაცოცხლდებოდი და სიცილისაგან ისევ მოკვდებოდი. კოლექტივში ამხანაგები კბილებით ჭამენ ერთმანეთს. აქეთ მარანის ერთა ლიგა იკრიბება და პლანებს აწყობს. იქით მარდახამ ფული ხელთ იგდო დი მოუსვა პალესტინაში. რევიზია ჩამოვიდა და თიაქარი დაემართა! ძაღლი პატრონს ვერ სცნობს! გეყურება? ყველა შეჭმაზეა! ასეთია ცხოვრების ლოლიკა! ან შენ უნდა შემჭამო, ან მე! უმჯობესია მე შეგჭამ... წამოდი. ვახშამზე დაგპატიჟებ! (მიდის. პაუზა. გამოჩნდებიან ზაქარია და სიმონი)

სიმონ. რა ქენი?

ზაქარია. მთელი კოლექტივი კრებაზეა! საწყობის ახლოს კაცის ჭაჭანება არ არის!

სიმონ. ბონდო სად არის? კრებაზეა?

ზაქარია. არა,.. აქ იყო წელან... მგონი მარდახას დასახვედრად ხაიქცა.

სიმონ. მით უკეთესი, წადი, აქ ნუ გაჩერდები! (გარბის)

ხუშუტი. (ზაქარია ქურდულად მიიპარება. შეეჩეხება ხუშუტი) ზაქარია სად გამექეცი? შემომხედე სახეში: შენი თვალები ამბობს: პატრონი მამაძაღლი მყავსო! რათ გამექეცი? ამ ადგილს რომ უვლი მოხერხებულად, ხომ არაფერი გაქვს გუნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარია. თავი დამანებე ხუშუტი... ხუმრობის ხასიათზე არა ვარ.

ხუშუტი. (ქათამს ესაუბრება) ჩემო კოკორინავ, ხომ ხედავ აგერ კაცი რომ დგას! ამ კაცს თავში გეგმა აქვს. ეს გეგმა მე ვიცი. ჰო-და შენის თანდასწრებით ასე ვეუბნები მას: ან მოიტა ასიანი, ან მივდივარ მილიციაში.

ზაქარია. კაცო ხომ არ გაგიჟდი? რას ბოდავ?

ხუშუტი. ხე, ხე, მართალი არ არ გეგონოს, გეხუმრე! მართლა ძალიან მიჭირს მასესხე ერთი ასიანი?!

ზაქარია. სად მაქვს, ამდენი ფული.

ხუშუტი. არ გაქვს? აბა წამომყევი მილიციაში. იქ ვისესხოთ! (ეწიკება)

ზაქარია. რალაც ხუთთუმნიანი მიგდია ჯიბეში.

ხუშუტი. დღეს მეყოფა და ხვალისათვის ვიფიქროთ!

ზაქარია. (გადასცემს) კი მაგრამ, სანამ უნდა იყო ჩემს პენსიაზე?

ხუშუტი, სანამ ჭკუას არ ისწავლი და მამაძაღლობას თავს არ დაანებებ! ბიჭო შენ მატყუებ მე? წამოდი, ამ კოკორინას კურტუმოზე გპატიჟებ.

ზაქარია. არ მინდა კაცო!

ხუშუტი. წამოდი-მეთქი. მართალია შენ დიდი საქმე გაქვს, მაგრამ რახან მე გეუბნები... ზნაჩიტ უნდა წამოხვიდე.

ზაქარია. არ მინდა კაცო, კისრამდე ვარ სავსე შენი პატივისცემით!

ხუშუტი. წამოდი!

შემოდიან გივი, კუპრა და სხვები.

გივი, აი, საძმე სანამდე მივიდა.

კუპრა. სულერთია, დაადგინონ რამდენიც უნდათ.

ბენო. ჩვენი ბრალია... დროზე არ მივიღეთ ზომები და ეხლა?

პეტრე. რას ჭქვია დავმარცხდით? კულაკების პროვოკაციამ შეგაშინათ?

განგალა. დავმარცხდით ძმებო... დავმარცხდით!

გივი. რეზოლიუცია მიიღეს... თუმცა კოლექტივის მშრომელი ნაწილი გაყოფის წინააღმდეგია...

კუპრა. ბონდო მაინც სად წავიდა?

განგალა. საბა აქ არ არის... გოლია ზის თავისთვის... ბონდოც სადღაც დაიკარგა!

გივი. გოლია!

გოლია. რა ამბავია...

კუპრა. დაადგინეს...ხალხი საწყობისაკენ დაიძრა.

გოლია. გასწით ეხლავე, ვინც ძალა იხმაროს დააპატიმრეთ.

განგალა. რას ამბობ, როგორ თუ დავაპატიმროთ.

პეტრე. ეგრე ლაპარაკი არ შეიძლება, შენ ყოველთვის პირზე გაკერია „დავიჭერ-დავაპატიმრებ“! აი, მაგას ჭქვია ! ულელური მემარცხენეობა, თუ არ მოიშლი მაგგვარ ლაპარაკს, უჯრედში დავსვამ საკითხს... კი არ უნდა დააპატიმრო, არამედ დაარწმუნო-დააკერო, აი ეს იქნება პარტიის ხაზი...

გივი. ბიჭებო რა არის ეგ სინათლე!

ბენო. (არბის მაღლობზე) ახ!

კუპრა. რა მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენო. საწყობს ცეცხლი... ცეცხლი ეკიდება.

პეტრე. როგორ თუ ცეცხლი... (ჩაჩქოლი)

გივი. დავიღუპეთ!

ბენო. აგერ ვიღაც მორბის! (შემორბის მილიციონერი ანდრია)

ანდრია. ამხანაგო თავმჯდომარე, საწყობს ცეცხლი ეკიდება. ნავთის კასრი გასკდა, ცეცხლი ბამბას მოედო!

გოლია. ხედავთ მტერი როგორ გათამამდა? ჩქარა განგაში! ყველანი ხანძართან, ბამბას უშველეთ!

პეტრე. ბამბას ვუშველოთ ბიჭებო!...

გივი. ბამბა გადავარჩინოთ!

ყველა. ბამბა, ბამბა! (შემორბიან დიანოზ, ზაქარია და სხვა).

დიანოზ. ბონდო სად არის, ბონდო! ის გვიშველის!

გოლია. სად იქნება თუ არა იქ?

ზაქარია. იქიდან არ მოვრბივარ? მას არ დავეძებ?

ოტია. სახლში თუა!.

დიანოზ. მე გადავძახე... შინ არ არის!

გლეხი. ბონდო ნახევარი საათის წინ ორეთისკენ გარბოდა.

დიანოზ. გარბოდაო?

ზაქარია. ოჰო!

ოტია. ჩვენ ბამბა გვეღუპება, თავმჯდომარე კი ორეთისაკენ გარბის! როგორ მოგწონთ ეს?!

ინსტრ. ხომ ვამბობდი, აშკარად გაფლანგვაა მეთქი. ანგარიში არ ჩამაბარეს. რევიზიის წინ საწყობი დასწვეს...

გოლია: ანდრია, გასწი ეხლავე! ბონდოს დაეწიე, დააბრუნე! (შემორბიან გლეხები, ჩოჩქოლი)

დიანოზ. ვიწვით, ვიღუპებით ხალხო!

პეტრე. შველაა საჭირო... წამოდით!

ზაქარია. არიქა ჩვენი ნაოფლარი გადავარჩინოთ!

ხუშუტი. ჰაი-ჰუი! არიქა ზაქარია, არიქა!

გლეხები. გავსწიოთ, გადავარჩინოთ საწყობი, ბამბა!
(გარბიან ჩოჩქოლით. ხუშუტი ჩამორჩება).

ხუშუტ. კი მაგრამ: კოლექტივის წევრი მე არა ვარ... საწყობიდანიც არაფერი მერგება, ბამბას არ მაძლევენ... გავიქცე ახლა და წვერ-ულვაში შევიტრუსო? მერე ვინ მეტყვის მადლობას? თუმცა... ო, არა! სხვა რამე არ იფიქრონ ამ ოჯახდაქცეულებმა... ასეთ დროს მართალი შეიძლება ჩავარდეს, მტყუანი კი გამოძვრეს... (შემორბის სიმონი)

სიმონ. რა მოხდა ხუშუტი?

ხუშუტი. აი, ხომ ხედავ იწვის, ცეცხლმა რევიზია გააკეთა და ბამბაც გაანაწილა!

სიმონ. უჰ, უჰ! გავიქცეთ!

ხუშუტი. არიქა, არიქა! სიმონ ბიძია! ვინ ჩაიდინა ეს საქმე თუ იცი?

სიმონ. გაჩუმდი თორემ!
(გარბიან. შორიდან ისმის ჩოჩქოლი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიზოდი მეოთხე

სცენა ორეთში. არხთან. ხიდზე დგას გიგო. ჭურდულად მიდამოს ათვალიერებს. ისმის შორიდან მომავალ გლეხების საუბარი. გიგო ხიდქვეშ იმალება. გამოჩნდებიან ორეთელი გლეხები. საღამოა.

ვასო. ფირილა, აღარ ამოდიხარ ზევით?!

ნიკა. ფირილა თევზებს დარაჯობს!

ფირალა. (ამოდის) თქვენ ხუმრობთ და, დარაჯი მართლაც საჭიროა... სამი დღეა ზედიზედ კალათა ცალიერი მხვდება! ერთი გავიგებდე, სხვა არაფერი მინდა...

ნიკა. არხი მარნელებისაა, შეუძლიანთ თევზის ჭერაც აგიკრძალონ...

ფირილა. რათ უნდა ამიკრძალონ?! არხი ჩვენს მიწაზეა!

ვასო. წამო, ბევრს ნუ ლაპარაკობ... შენი მიწა!.. მოკვდები და ზედვე დაგაყრიან ამ შენს მიწას...

დათია. (თავს ამოყოფს ხიდედან) აი ნახავთ, ვისი კალათა მეტს დაიჭერს?

ნიკა. ჩემი კალათა ისეთ ადგილზეა, რომ... იცის ბიჭმა!

ფირალა. ეს ვისი კალათაა წყალს რომ მიაქვს?

ვასო. ნიკა, შენი კალათა!

ნიკო. უჰ! (გადახტება)

დათია. ვუშველოთ, ცოდვაა!

ფირალა. წყალში არ ჩავარდე შე ოხერო, თორემ ვინ ამოგიღებს?

დათია აქეთ ბიჭო, აქეთ! გზა მოუჭერი!

ფირალა. იჩქარე ნიკა, ზღვამდე მაინც დაეწევი!

დათია. ახია შენზე... ტრაბახა! (გარბიან)

პაუზა, შორიდან მოისმის მარდახას ღიღინი, გიგო ხიდიდან თავს ამოყოფს.

გიგო. მოდის! (იმალება)

მარადახა. (ხიდზე ჩერდება, მღერის) „მერცხალი კუდმაკრატელა ჩემთან დაბინავდაო“.

გიგო. (ბურგში ეპარება) მარდახა, ფული მოიტა თორემ მოგკლავ!

მარდახა. ვინ ხარ კაცო შენ, გაგიჟდი კაცო შენ?

გიგო. (ყელში ეცემა) გაჩუმდი.

მარდახა. ხალხის ფულია კაცო, გაგიჟდი კაცო? შენ გგონია მოგცემ? სჯობია წყალმა წაიღოს! (პორტფელს გადააგდებს) მიშველეთ, მიშველეთ!

გიგო. ჰო, შენი! (ხიდზე გადახტება)

მარდახა. მიშველეთ! თავზე დამესხნენ! (სამჯერ გაისვრის რევოლვერიდან)

ხმა არხიდან. რა ამბავია? (ჩოჩქოლი)

ამოოჰყავთ დაჭერილი გიგო.

ფირალა. აქეთ ამოეთრიე.

გიგო. ხელი გამიშვი!

მარდახა. (დაშინებული) არ გაუშვათ, თორემ კიდევ დამხვდება.

დათა. რა იყო მარდახა?

მარდახა. თავზე დამეცა! ფულის წართმევა უნდოდა!

ფირალა. შენ, ეი, ვინ ხარ? (ბაშლიყს ჩამოგლეჯს)

ყველანი. გიგო?!

გიგო. ხელი გამიშვით! ჩემი ბრალი არ არის...

მარდახა. არა გრცხვენიან გიგო შენ! ჩემი დაღუპვა გინდოდა?

გიგო. ხელი გამიშვი...

ვასო. ბიჭებო, აქ რაღაც სხვა ამბავია, წავიყვანოთ ალმასკომში.

გიგო. არ წავალ!

ფირალა. აქეთ წამოეთრიე, თორემ...

მარდახა. (რევოლვერზე) ამას ხედავ?!

გიგო. ჩემი ბრალი არ არის!

დათა. ჩვენც ეს გვინდა გავიგოთ ვისი ბრალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა. ჩემს კალათას რა ვუყო? (მიყავთ)

ვასო. წამო შე გლახაკო (ჩადიან)

დათია. (სველ პორტფელს ჩხრეკს) ბიჭო მარდახა, ფული ხომ არ დასველდა!

მარდახა. დარდი ნუ გაქვს... ფული ისეთ ალაგას მაქვს შენახული, რომ წყალი კი არა, ჰაერიც ვერ მიაგნებს.

დათია. სად ბიჭო?

მარდახა. სად? მაინც და მაინც გინდა იცოდე? აგერ ლაჯებში მაქვს ამოკრული!

დათია. (იცინის) წავიდეთ!

ხიდზე ამოდიან ნიკა და კომკავშირელები.

ვასო. შენი კალათა ეხლა მაგრადაა.

ნიკა. აჰა, კიდევ წაიღებს?

ვასო. (არბის) ამოდი, ჩვენებს დავეწიოთ, რაღაც საინტერესო ამბავია... უჰ, ეს რა არის კაცო?!

ნიკა. ცეცხლი!

ვასო. მარანში, აღმასკომთან.

ნიკა. რა საშინელებაა? შეხედე რამსიმაღლეზე ვარდება ცეცხლი?!

ვასო. შველაა საჭირო, ჩვენებს გავაგებინოთ!

(გარბიან ყვირილით, შორიდან ისმის ჩოჩქოლი).

ეპიზოდი მესამე

მარანის აღმასკომის მეორე მხარე, გლეხებში მითქმა-მოთქმა და ფუსფუსი. შემოდიან ოტია და პეტრე.

ოტია. ჩემი საკუთრება, ჩემი სისხლი და ოფლი, ვინ დასწვა, ვინ?!

პეტრე. შენი—ჩემი! ნამდვილი თუ გინდა—ამ შენ-ჩემობამ დაღუპა ხალხის ქონება.

დიანოზ. კარგი დრო შეარჩია ვილაცამ!

აფრასიონ. მე ვამბობდი: ფრთხილად ვიყოთ-მეთქი და აი!

ოტია. მე არ ვიცი ვინც დასწვა! დამნაშავეს მოვითხოვ!

ხუშუტი. მე არც დამნაშავეს ვეძებ და არც დანაშაულს! ბამბა არც მერგებოდა და არც მაძლევდით.

ინსტრ. სწორედ, რევიზიის წინ დაწვეს... (შემოდიან გლეხები)

დიანოზ. აფრასიონ, ბოროტ კაცს ცხვირზე შეეტყობა, სოლომონის ბაბუა განთქმული ყაჩაღი იყო.

აფრასიონ. სოლომონზეა იქვები თუ?

დიანოზ. აბა! გოლიამ დაატუსაღა თურმე!

ოტია. არაფერს ანგარიში არ გავუწიეთ! ჩვენი სისხლი და ხორცი ცეცხლში ჩასწვეს! ეგ არის სამართალი?

ხუშუტი. როგორც სჩანს! (შემოყავთ გივი. დაზიანებულია).

თომა. ნუ გეშინია არა გიშავს...

გივი. ბონდო სად არის?

თომა. სადღაც გაჰქრა, ის კაცი, წავიდეთ შინ!

გივი. არსად არ წავალ, ბონდო უნდა მოვიდეს.

დიანოზ. ასეთ დროს კოლექტივის თავმჯდომარე აქ უნდა იყოს, აქ...

თომა. ჯიუტი ხარ, გაუფრთხილებელი! ცეცხლთან ხუმრობა სად გაგონილა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი. დაიწვა თომა! ყველაფერი დაიწვა!

თომა. გულს ნუ გაიტეხ! ბევრი გადაარჩინეს!

შემოდა-რევენ სოლომონს.

ყველა. სოლომონ!

სოლომონ. ხალხო, არა ვარ დამნაშავე, დამიჯერეთ! მართალია: ვყვიროდი, ვიგინებოდი, ვიმუქრებოდი, მაგრამ ისე როგორ გავგიჟდებოდი რომ ჩემი ნაოფლარისთვის ცეცხლი წამეკიდებია?!

აფრას. შენ გეცოდინება ვინ არის დამნაშავე.

სოლომ. საიდან კაცო, საიდან მეცოდინება! მე ხომ კრებაზე ვიყავი?

აფრ. ეგ არ არის საბუთი!

ზაქ. (შემორბის კოჭლობით) მიშველეთ დავსახიჩრდი, ფეხი დავიწვი!

ხუშუტი. მალამო უშოვეთ ზაქარიას!

ზაქ. სოლომონ, წაწყდი შენ, რა გვიქნი კაცო ეს.

სოლომ. არ გრცხვენია ზაქარია, რას მეუბნები?

ზაქ. ხომ იძახდი დავწვავო?

დიანოზ. შეკაცო—მარტო სოლომონი კი არ იძახდა დავწვავო!

აფრასიონ. მე მგონია შენც მაგის მოკავშირე ხარ. მაშ ვინ იძახდა? მე ვიძახდი, გოლია ამბობდა?

სოლომ. ბონდომ სთქვა კაცო.

აფრ. ეს არ გამიგონია?

დიანოზ. ახალგაზრდებო მხარი დამიჭირეთ! ბონდო არაფერ შუაშია აქ!

ოტია. სად არის ეხლა ბონდო.

დიანოზ. რა ვიცი სად არის, მისი ძიძა კი არა ვარ მე!

გლეხი. რევიზია ხუთი დღეა უცდის! რატომ?

დიანოზ. იმიტომ, რომ მარდახა ფულზეა წასული!

გლეხი. სხვა კაცი არ იშოვებოდა ამ სოფელში?

დიანოზ. არ გენდვენ ძმაო, არა... არა აქვს ამის ნება თუ! მარდახა სანდოაო! ეჩხუბე ეხლა!

ოტია. მერე, რატომ არ დაბრუნდა მარდახა?

დიანოზ. ესეც ბონდოს ეცოდინება! როგორ შეიძლება კაცის ასე აბუჩად აგდება? უიმე დედაჩემო!

პეტრე. ამხანაგებო, მოხდა ყოვლად საშინელი ამბავი, ბოროტმა ხელმა ცეცხლს მისცა ხალხის ავლა-დიდება! ჩვენ ჯერ არ ვიცით ვინ არის დამნაშავე, ამიტომ პირადი ინტერესებით ნურავის შეურაცყოფთ!

ზაქ. რომ ვიცოდე არ ვიტყვი? ხელები უნდა წააჭრა, ხელები!

ხუშუტი. ზაქარია, მალამო არ გინდა?

ინსტრ. ამხანაგებო, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ რომ ამ ბოლო ხანში ან უკეთ რომ ვსთქვათ რეკონსტრუქციის პერიოდში ძალიან გახშირდა ეკონომიური ხასიათის კონტრევოლიუცია! (ახველებს) უჰ, რა საშინლად გავცივდი? ჰო—და, ეკონომიური კონტრევოლიუცია, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს კონდრატიევშჩინასთან...

გოლია. გვადროვე ამხანაგო.

ინსტრ. მე თქვენ გადროვეთ, გიცადეთ ერთი კვირა და რევიზიის წინ—საწყობი დასწვით! ამხანაგო თავმჯდომარე თქვენ აგებთ პასუხს ოფიციალურ ხაზით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლია. ამხანაგო!

ზაქ. რა კაცი ხარ შენ თავმჯდომარეს რომ ემუქრები?

ხუშუტი. ზაქარია, გაჩუმდი!

აფრას. ხალხო, რა მოხდა ეს? თავბრუ მესხმის პირდაპირ, ვერაფერი ვერ გამიგია! ვისმა ბოროტმა ხელმა ჩაიდინა ეს ამბავი რომ მთელი სოფელი საგონებელში ჩააგდო? ამას მარტო სოლომონი, ეს შეუგნებელი, ღარიბი და ღატაკი გლეხი ვერ ჩაიდენდა. საქმე მეტად რთულია, წინასწარ დაგეგმილი და მოფიქრებული! საწყობი დასწვეს, ფული გაიტაცეს! მერე? როდის, აღარ იკითხავთ? სწორეთ რევიზიის წინ! ენა მებმება ამხანაგებო, მაგრამ იქვები, იქვები მახრჩობს! ამ საერთო უბედურების დროს ვინ გვაკლია ეხლა ჩვენ? აბა გახედეთ ერთმანეთს? და თუ ვინმე გვაკლია, სად არიან ეს პირები, ან როდის და რა პირობებში დასტოვეს სოფელი? ამხანაგებო, მე არ მინდა ბრალი ვისმეს დავსდო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვლაპარაკობ, როგორც მოქალაქე!..

კუპრა. თავი დაანებეთ მიკიბ-მოკიბულ ლაპარაკს, მოქალაქის უფლებებსაც... სთქვით პირდაპირ—ბონდოა დამნაშავე?

აფრ. აჰ, უყურეთ ამას! ეგ ვსთქვი კაცო მე? ხმა ამოიღეთ!

ზაქ. ბონდო რა შუაშია?

დიანოზ. აღიარე, ძმაო სოლომონ! სასჯელი შეგიმსუბუქდება, ხომ ხედავ ეჰვი რა პატიოსან კაცზე მიაქვთ?

სოლომ. კაცო, ხალხო, არაფერი ჩამიდენია!

აფრას. ნურავინ იფიქრებს, თითქოს მე ბონდოს განზრახ ბრალს ვსდებდე, მაგრამ საბუთებს რა ვუყო?

ოტია. რა გითხრათ თქვენ, კოლექტივის თავმჯდომარემ, ბონდომ?

დიანოზ. რა მითხრა? მე ბამბას დავსწვავ და თქვენ მაინც არ მოგცემო (გლეხებში გაკვირვება) მაგრამ ეს იხუმრა ალბად!

აფრას. რაო კაცო? ამას როგორ იტყოდა?

დიანოზ. ანდა: ეს კაცი რომ იცდის აქ, სარევიზიოდ ჩამოსული!

ინსტრ. მაშ, მაშ!

ზაქ. ჰო-და რა გითხრათ თქვენ კოლექტივის თავმჯდომარემ ამხ. ბონდომ?

ინსტრ. კატეგორიული უარი! რევიზია არ შეიძლებაო.

დიანოზ. ალბად საქმეები არ ექნებოდა რიგზე!

ზაქ. კი, მაგრამ... ბამბა რა შუაში იყო აქ?

გივი. თომა, ხედავ რა ხდება?

თომა. დააცადე, სთქვან ყველაფერი! (შემოდის გოლია)

აფრას. ამხანაგებო, მე ვფიქრობ: საინტერესოა გავიგოთ თავმჯდომარის აზრი! თანაც გვითხრას რა ზომებია მიღებული დამნაშავის აღმოსაჩენად! აქ ბრალდებას ერთ კაცს უყენებენ! მე, რასაკვირველია, ამ ბრალდებას არ ვიზიარებ, მაგრამ სიმართლისათვის საჭიროა იმ კაცის აქ ყოფნა...

გოლია. ის კაცი მოვა, თუმცა მე დარწმუნებული არა ვარ ბონდოს დანაშაულში, მაგრამ მილიციონერიც დავადევნე...

კომკავშირელები. ბონდოს, მილიციონერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგალა. ჩვენს ბონდოს!

გივი. ამხანაგო თავმჯდომარე ეს ხომ თვითნებობაა.

თომა. გაჩუმდი... შვილო სიმართლეს ტალახი არ მოეცხება!

გოლია. მე აკი ვამბობ: არა ვარ დარწმუნებული, რომ ბონდო ამას ჩაიდენდა, მაგრამ...

პეტრე. არ ვიცი... ყველაფერს ვიფიქრებ და...

აკვირინა. განგალა, მარდახას შესახებ არაფერია?

განგალა. არაფერი!

ხუშუტი. ბიძია გივი, შენ კარგი ბიჭი ხარ. შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ ერთ რაღაცას გეტყვი და — ყური მათხოვე! ცხოვრება გაბმული მავთულია ბიძია, ზედ ფრთხილად უნდა გაიარო, თორემ... ფეხი თუ გადაგიცდა...

დიანოზ. მოდი ზაქარია, თორემ სთქვა ყველაფერი იმ ოხერმა.

ზაქ. ხუშუტი წამოდი შინ, არ გეძინება?

ხუშუტი. არ მეძინება კაცო, რას ჩამაცივდი? (შორიდან საბას ხმა)

ყველა. საბა, საბა!

საბა. ხალხო, ამხანაგებო, ძმებო, ეს რა ამბავია. რა უბედურებაა? ვის, ვის შეეძლო ასეთი ბოროტების ჩადენა? გზაში გავიგე, გამოვიქეცი! ნეტავი ფეხი მომტეხოდა! მე სიხარული მომქონდა, თქვენ უბედურება დამახვედრეთ? ქონება დაიწვა, არაფერია — გავუძლებთ, კიდევ შევქმნით, მაგრამ სინდისი დაიწვა ხალხო! ამხანაგობა დაიწვა, ნდობა დაიწვა... დამნაშავეს ვიპოვნით, დავსჯით კიდეც, მაგრამ ეს ხომ არ გვამართლებს, ბონდო! სად არის ბონდო?

გოლია. არ ვიცით.

საბა. როგორ თუ...

აფრას. საბა! ბონდო გაიქცა ძმაო!

საბა. რაო, გაიქცა?

გოლია. ხანძრის წინ! რატომ არ ვიცი?

ინსტრ. ანგარიშებიც არ ჩამაბარა... არაფრისგზით არ ჩამაბარა!

აფრ. ერთი სიტყვით საწყობი ვიღაცამ დასწვა.

საბა. სთქვით პირდაპირ: ბონდოს აბრალებთ?

გოლია. არ ვაბრალებთ, მაგრამ...

საბა. მაგრამ რა? სად წავიდა ბონდო? ვინ იცის, დამნაშავეს ჩვენ არ დავფარავთ, არც პარტიულს, არც უპარტიოს! მაგრამ ვაფრთხილებ ყველას, თუ ვინმეს სურს პირადი ინტერესებით ბონდოს გაშავება, იცოდეს, პასუხს აგებს ხელისუფლების წინაშე... სთქვით, სად წავიდა ბონდო?

გოლია. მილიციონერი დავადევნე!

საბა. ოჰო, მილიციონერიც დაადევნე? ყოჩაღ ამხ. თავმჯდომარეო.

გივი. აქ მთელი ისტორიაა საბა!

საბა. შენ რა მოგიგიდა?

თომა. ცეცხლში... ხომ იცი გიჟია... შიგ შეიჭრა.

ხოლომონ. საბა, შედით ჩემს მდგომარეობაში! ასე დაიქცეს ჩემი ოჯახი, თუ რამეში ვიყო დამნაშავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბა. ეხ, შენ რა შუაში ხარ...

დიანოზ. მართალია, სოლომონი რა შუაშია! აქ ვილაც სხვაა შუაში!

აფრ. მეც ასე ვფიქრობ!

ზაქ. კაცო, მაშ ვინ არის დამნაშავე, თავისთავად გაჩნდა ეს ცეცხლი მუდრეგი?

ხუხუტი. ზაქარია, შენ გაჩუმდი!

აფრ. ფული ვინც გაიტაცა ვიცით.

გლეხებში. ბამბა ვინ დასწვა?!

აფრ. ჰო, საქმეც ამაშია!

საბა. მარანში არის ძალაუფლება. მე ვიცი იქვე ვიზედაც გაქვთ... კარგათ დაიხსომეთ! ბონდოს ჩვენ არ დავინდობთ თუ დამნაშავეა, მაგრამ...

(შორიდან ისმის ბონდოს ხმა: „ამხანაგო თავმჯდომარე".)

ყველა. ბონდო?

ბონდო. (აღელვებით) ამხანაგო თავმჯდომარე, დამნაშავე თქვენს წინ დგას, მიიღეთ ზომები!

გლეხებში. რაო? დამნაშავე?

ბონდო. ჰო, დამნაშავე! აკი დარწმუნებული ხართ, რომ ბონდომ ხალხის ქონებას ცეცხლი წაუკიდა!

საბა. ბონდო მოიცა...

ბონდო. მოვიცდი, მოვიცდი ამხ. საბა! მე ხომ მუდამ ვიცდიდი, ვითმენდი და აი: ხომ ხედავთ? საქმე სანამდე მივიდა... თქვენ იქნებ გგონია, რომ მახვილი მხოლოდ ჩემს წინააღმდეგ იყოს მიმართული, ან პირადი მტერი მყავდეს? არა, აი ნახეთ: სიმონ, სიმონ! ხომ გჯერა, რომ შენს საკოლეზე არ გეცილებოდი?

სიმონ. (პაუზის შემდეგ) მჯერა!

ბონდო. აფრასიონ, შენ რას იტყვი? რისთვის წაგართვი თავმჯდომარეობა?

აფრას. კარიერისათვის, განდიდებისათვის...

ბონდო. აახ! კარიერისათვის? განდიდებისთვის? მაშ, თქვენ მდებთ ბრალს... გისმენთ!

საბა. აფრასიონ, სიტყვა შენ გეკუთვნის!

აფრ. კარგი, რახან ასეა... ვიტყვი... პირველი: შეს კოლმეურნეებს დაემუქრე—ბამბას დავწვავ და არ ჩაგაბარებთო! ხომ მართალია?

ბონდო. მართალია.

საბა. როგორ... ეს... მერე?

აფრას. მეორე: კოლმეურნეთა უკანასკნელ კრებიდან თქვენ შეგნებულად ვაიქეცით, რამაც ხალხში არევ-დარევა გამოიწვია! ხომ მართალია?

ბონდო. მართალია!

აფრას. სამი დღე რევიზიას აცდევინეთ... ხომ მართალია?

ბონდო მართალია.

აფრ. უცხო, უპარტიო, არასაიმედო ბიჭი სახალხო ფულისთვის გაგზავნე... ხომ მართალია?

ბონდო. (ხმა მაღლა) მართალია!

აფრას. და ბოლოს: ხანძრის წინ აქედან გაიქეცი, ესეც ხომ მართალია?

ბონდო. ესეც მართალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრას. აი, ეს ხალხი დამიდასტურებს, რომ შენს მოსვლამდე მე სხვა ბრალდება არ წარმომითქვამს. ამოიღეთ კაცო ხმა! ამის მეტი მითქვამს რამე?

დიანოზ. ერთი სიტყვაც...

ზაქ. კრინტიც ვერ დაუძრავს...

საბა. ბონდო, ხანძრის წინ სად იყავ?

ბონდო. შეიძლება... ყველაფერი მართალი იყოს, მაგრამ ხანძრის წინ თუ სად გავიქეცი... ამას ჯერჯერობით ვერ ვიტყვი.

საბა. ბონდო!

ბონდო. ვერ ვიტყვი.

პეტრე. ბონდო, შვილო!

ბონდო. ვერ ვიტყვი!

კომკავშ. ბონდო!

ბონდო. ვერ ვიტყვი! (ხმამაღლა)

საბა. ბონდო, ხომ იცი პარტიისგან რა ნდობით იყავ...

ბონდო. მე პარტიისთვის არ მიღალატნია!

საბა. მე, როგორც უჯრედის მდივანი, გიბრძანებ—რისთვის გარბოდი სოფლიდან, სთქვი!

ბონდო. არ შემიძლია!

საბა. კარგი! ამხ, თავმჯდომარეე, პატაკი! ბრალდებული ეხლავე რაიონში გადაიგზავნოს მილიციის თანხლებით. დე უმაღლესმა ორგანოებმა გამოარკვიონ!

ბონდო. როგორც გინდათ! (პაუზა)

გოლია. მზად არის!

ბონდო. გმადლობთ! წასვლის წინ აი რას გეტყვით: ჩემი შეცდომები პარტიის წინაშე სულ სხვაა, ეს არის ზედმეტი დათმობა. თქვენს ბრალდებას კი შეურაცყოფად ვლებულობ. ვნანობ რომ მუშაობამ უქმად ჩამიარა... აფრასიონ გაიმარჯვე?

აფრას. სიმართლემ გაიმარჯვა ძმაო!

სცენის უკან ისმის მარდახას ხმა.

მარდახა. კოოპერატია ვინ დასწვა! საწყობი ვინ დასწვა?

ბონდო. მარდახა!

ყველა. მარდახა! (გამოჩდება მარდახა. აღფრთოვანება).

ბონდო. (გადაეხვევა) აი, ვის საშველად გავრბოდი?

მარდახა. ბონდო, შენი რევოლვერი ჩაიბარე, სამჯერ გავისროლე... აქ რა ამბავია!

საბა. სად იყავ მარდახა?

მარდახა. ორეთში... თავზე დამესხენ... კინაღამ ფული...

ყველა. ვინ, ვინ? (სცენის უკან ჩოჩქოლი)

მარდახა. აქეთ გამოიყვანეთ... (შემოათრევენ გიგოს)

ყველა. გიგო! (გაკვირვება)

თედორე. აი, ეს კაცი არხზე დავიჭირეთ...

გიგო. ჩემი ბრალი არ არის... შემაცდინეს... სხვებმა დამავალეს...

საბა. ვინ? ვინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგო. (იქით-აქეთ იხედება. ზურაბს შეაჩერდება). ვინ? ვინ დამავალა?

ზურაბ. (მოთმინებიდან გამოსული ჯოხს ხეთქავს გიგოს) სთქვი!

ყველა. მოჰკლა!

გიგო. (ბარბაცით ზურაბისკენ მიიწევს) ამან... ზაქარიამ, დიანოზმა, სიმონმა...
(სცენის უკან ვარდება თოფი, ჩოჩქოლი).

ქალის ხმა. სიმონამ თავი მოიკლა.

ზურაბ. შვილო! (იქვე ჩაიკეცება. დუმილი. გაკვირვება).

საბა. ეხლა?!

ფ ა რ დ ა

ა ლ ი ო მ ა შ ა შ ვ ი ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ქარიშხლის მოლოდინში

ჯონ ელიოტი ოცნებობს*

სურების ტყე ნისლით შესუდრულა.

სახელდახელოდ აგებულ ხის კარავში რაღაცას ჩოჩქოლობენ. უცხო სტუმრები სწვევია სურებს.

მაგიდაზე გადაშლილ საქართველოს რუკას გარშემო ეხვევიან სპეციალისტები.

ფერადი ფანქრებით რუკას ხაზავენ, ციფრებს აჯამებენ.

— სურების ტყე... მდინარე სუფსა... შავი ზღვა...— გაავლო ხაზი ინჟენერმა და ინგლისელ კონცესიონერს ჯონ ელიოტის თვალში შეატყდა.

— სუფსა... შავი ზღვა.—ოცნებობს კონცესიონერი და ჩიბუხს ათითხინებს.— ხმელთაშუა ზღვით პირდაპირ ინგლისში.— უმატებს თვითონვე და ისევ ოცნებაში იძირება.

ოცნებობს ინგლისელი... დიახ, ოცნებობს... რადგან, მართალია, სურების ტყე მდიდარია ძვირფასი ფიქვნარით, ნაძვნარით, სოჭითა და ურთხელით, მაგრამ...

— გზა?!

— ?!

— გზა...

აი, აქ კი დაფიქრდენ უცხოელი სპეციალისტები.

დაფიქრდა კონცესიონერი ჯონ ელიოტიც.

— გავიყვანოთ რკინის გზა,—დაარღვია ელიოტმ მყუდროება.

— ?!

— ძვირი დაგვიჯდება, ვერ გავუძლებთ,—გაბედა მრჩეველმა.

— გზატკეცილი?!

— საექსპლოატაციოდ არ გამოდგება.

— მაშინ მდინარით. წყალი ხომ ყველაზე იოლი საშუალებაა ხე-ტყის გადასაზიდად.

— მართალია! ტივებით, პირდაპირ შავი ზღვისაკენ.

ინჟენერი შეყოყმანდა.

— ღრანტეები, კლდეები? —იკითხა ვილაცამ.

— მეც მაგაზე ვფიქრობდი,—გამოამჟღავნა ყოყმანი ინჟენერმა.

---

* ნაწყვეტი რომანიდან: „ნაბიჯები“.

— სუფსის კალაპოტი ვიწროა, ორწოხებიანი. ტივებს ვერ გავმართავთ.

— მეც ასე ვფიქრობ,—კვლავ დაადასტურა ინჟენერმა.

— არ კმარა მარტო ფიქრი, —შენიშნა ელიოტმა,—უნდა გავმართოთ და გავიტანოთ.

კონცესიონერი კვლავ ჩაფიქრდა წამოჭრილ დაბრკოლებაზე. მას თვალწინ წამოუდგა კონცესიზე უკვე დახარჯული ორმოცდა ათი ათასი გირვანქა სტერლინგი, გაითვალისწინა მომავალში მოსალოდნელი ხარჯები, არა ნაკლები ასი ათასი გირვანქისა და...

— ავინაზღაურებ... წკეპლას არ დავტოვებ საკონცესიო ფართობზე, ოღონდაც..

მრჩეველი უდავოდ ეთანხმება კონცესიონერს. ეთანხმება და თავს აქიცინებს.

გადაწყდა: ხე-ტყეს შავ ზღვამდე მდინარე სუფსით გავიტანთ. ხოლო რომ წყალმა ტივები გაატაროს, საჭიროა მდინარის კალაპოტის გაწმენდა და გასუფთავება.

— ლაღუმები, აფეთქება—და კალაპოტიც გაიწმინდება,—დაასკვნა საბოლოოდ კონცესიონერმა, და მახლობელი ფოსტის განყოფილებიდან ტელეგრაფმა წაიღო ცნობა ინგლისში ასაფეთქებელ ნივთიერებათა მარაგის, სურების ტყეში გადმოგზავნის შესახებ.

დამშვიდებულმა ჯონ ელიოტმა ჩიბუხი ხელიდან გააგდო, ძვირფასი ინგლისური სიგარა გააბოლა და თარჯიმანის მეშვეობით მზარეულს ბიფშტექსი დაუკვეთა.

ელიოტი იჯდა სუფსის პირად და დაწკურული თვალებით ჯერ ხელუხლებელ სურების ტყეს ზვერავდა.

ტაფაზე სისხლიანი ბიფშტექსი შიშხინებდა.

* * *

წყალი გაიტანს ამ საწნახლის ტოლა მორებს?—კითხულობს ყაბალახით თავშეხვეული.

— ამბობენ, წყალი უნდა გაიწმინდოსო.

— თუ გინდა გაიწმინდოს, მაინც ვერ ზიდავს წყალი ამ ხეებს.

— ლანჭერს შეურჩევს.

— ლანჭერს? მაინც მეეჭვება! ლანჭარი თვენახევარში ჩათავდება და მერე ბაწრით თუ წაათრევ, თორემ წყალი ვერ მოერევა ამ სისხო მორებს.

— ვერ მოერევა და...

მუშებში სიცილი ატყდა.

— დაგვრჩება ამდენი ნამუშევარი.

— რას დატოვებს!—დაეჭვდა ერთი.

— ინგლისელი რამეს დატოვებს? დაემოწმა მეორე.

— თუ არ დატოვებს, რკინის გზა უნდა გამოიყვანოს ბათომიდან...

— არც რკინის გზას გამოიყვანს და არც ტყეს დატოვებს.

— დამიჯერე რომ დატოვებს...

— ერთი შენც! რას დატოვებს, როცა ორი ვაგონი ლაღუმის წამალი და ფითილი გამოუწერია ინგლისიდან. აი კარჩხლები უნდა ააფეთქოსო,—დაიჟინა ირაკლიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, მოგვხმარებია ღმერთი გურულებს. სამუშაო გვექნება. ცალკე ტყეში სამუშაო, ცალკე აფეთქებაზე.

— ხელფასზე მაგრა დავიჭიროთ თავი.—გაფრთხილების ნიშნად თქვა ერთმა.

— მართლა, ნუ გეშინია, ინგლისიდან არ მოიყვანოს მუშები. რას გახდება!

— ეს ჩვენს რწმუნებულზეა დამოკიდებული.

— რწმუნებულის იმედით ფართო ლოგინს ნუ დაიდგამ, წამოიძახა ერთმა.— რწმუნებული თვითონ ფიქრობს გამდიდრებას, ჩვენთვის როგორ იბრძოლებს.

— არ იბრძოლებს და არ ვიმუშავებთ.

— შენ არ იმუშავებ, მაგრამ...

— რა...

— სხვები იმუშავებენ,—წყენით თქვა ილიკომ,

— დადგენილება გამოვიტანოთ.

— წრის სხდომაზე დავსვათ.—ახმაურდენ მუშები.

ილიკო ჩაფიქრდა.

— იცით რა, ბიჭებო? რწმუნებული დიდი გაიძვერა ვინმეა. ვინ იცის, როგორ მოაჭახრაკოს საქმე ინგლისელთან. ამიტომ...

— ამიტომ ერთსულოვნობაა საჭირო. პირი შევკრათ.

— პირი შევკრათ და სანამ კომიტეტი არ დაადგენს, ხალხს სამუშაოზე ნუ გამოვიყვანთ.

— ჩუ!—წამოიძახა უცებ ილიკომ.—ქიშვარდი მოდის, ჩვენი რწმუნებული. ახლავე მოველაპარაკოთ.

— მოველაპარაკოთ.

შარაზე მართლაც გამოჩნდა ელიოტის ადგილობრივი რწმუნებული ქიშვარდი შერვაშიძე. მაღალი, თვალტანადი, განიერ მხარბეჭიანი. ამაყად იჯდა შერვაშიძე კოხტა იორლაზე.

იორლა მოთოხარიკობს ქაფმორეული და ლაგამს ძოღნის... რწმუნებული კი სარფიან ოცნებას გაუტაცნია. ოცნებობს შერვაშიძე, კონცესიაზე, კონცესიონერზე, მოსაგებზე, გამოსარჩენზე და...

— სიქას გავაცლი მაგ ინგლისელ იორქშირს, ტყავს გავაძრობ. ცალკე ელიოტის დავცინცლავ, ცალკე ამ ცხვრის ფარას გავკრეჭ.

რწმუნებულმა კონცესიონერის კარავის მილმა თავმოყრილ მუშებს მოავლო თვალი და ცბიერად ჩაილიმა იორლაზე კოდალივით გამართულმა.

რწმუნებულს მიესალმენ. ცხენი ჩამოართვეს.

— რას იტყვით ახალს?—იკითხა შერვაშიძემ.

— ახალს თქვენგან მოველით.

— საჭიროა მოვილაპარაკოთ.

— კარგი, ახლავე მოვილაპარაკოთ.

ქიშვარდი კარავიდან გამოსულ ინგლისელს მიესალმა.

მუნჯურად გაუღიმა სერ ელიოტიმ აზნაურ შერვაშიძეს.

ღიმილიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდენ.

— რას მოითხოვენ თქვენი მუშები დღიურად?—იკითხა ელიოტიმ.

— ორ მანეთს. არ დააყოვნა შერვაშიძემ.

— ორი მანეთი... არ შემიძლია. ექვსი აბაზი და სამუშაო იარაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შევეკითხები და ვნახოთ.

რწმუნებული ხალხს მოუბრუნდა

— სამ აბაზს იძლევა ღღიურად და სამუშაო იარაღს.

— სამ აბაზს?

— ცოტაა!

— დაგვცინის თუ?..

— არ ვიმუშავებთ,—აყაყანდენ ერთხმად მუშები.

— ჩვენი ხარჯით სამ აბაზად როგორ ვიმუშავებთ?!

— რაო?—დაინტერესდა მუშების ხმაურობით ინგლისელი და მუშებს მიუახლოვდა.

— უარს ამბობენ. არ ვიმუშავებთო,—გადასცა რწმუნებულმა თარჯიმანს, რომელიც ძლივს-ძლივობით ლაპარაკობდა რუსულად, თარჯიმანმა კი კონცესიონერს მოახსენა.

— მანეთ ნახევარი ღღიურად... მეტი კი არც ერთი კაპეიკი.—მოუმატა ელიოტმ.

— თხუთმეტ შაურს იძლევა... მეტის მომატება არ შემიძლიაო,—გააცნო რწმუნებულმა მუშებს კონცესიონერის უკანასკნელი წინადადება.

— ცოტაა.

— არ ვიმუშავებთ.

— არ იმუშავებთ და...

— რა! ერთბაშად ინგლისიდან არ მოიყვანოს მუშები!..

— მოიყვანს, რატომ გგონია, რომ ვერ მოიყვანს,—შეესიტყვენ ერთმანეთს მუშები.

— თხუთმეტ შაურად როგორ ვიმუშავებთ... მანეთ ნახევარი, წინაალმდეგ შემთხვევაში არ ვიმუშავებთ.—დაასკვნა ილიკომ.

— დიახაც არ ვიმუშავებთ,—დაემოწმენ ილიკოს მუშები.

— ვეცდები და ვნახოთ—შეტრიალდა რწმუნებული.

— რაც უნდა ის ნახოს. მანეთ ნახევარი რა დიდი ხელფასია?!

— არ მოგვცემს და ნუ ვიმუშავებთ.—გულს იმაგრებდენ მუშები.

— არც სხვა მუშებს მოვაყვანიებთ.

— შენც ამბობ, რაღა?!—აიღერღა ირაკლი გვარამაძე.

— რა? შენ გგონია მივაყვანიებთ?

— ვინ გეკითხება, რომ არ მოაყვანიებთ.

— მაშინ გაიგებს.

— კარგი, ერთი თუ ძმა ხარ,— აიტკიცენ ზოგიერთები.

— ბიჭებო.—ჩაერია საუბარში კონცესიონერთან მოლაპარაკების შემდეგ დაბრუნებული რწმუნებული.—იძლევა ექვს აბაზ ნახევარს, იმ პირობით, თუ ძალიან იერთგულებენო.

— ცოტაა!..

— ცატაა, მაგრამ—დათანხმდენ ბოლოს მუშები.

— თუ გინდათ, სანარდზე იმუშავეთ... ნაჭრობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიმუშავებთ.

— იმუშავეთ... და, მერწმუნეთ, სამ მანეთზე მეტს გააკეთებთ დღეში.

კონცესიონერიც მოხარული იქნება, რადგან სამუშაოს ადრე დაამთავრებს და ლანქრობაზე წყალი გაწმენდილი დაურჩება...

რწმუნებული სანარდო სამუშაოში მეტს სარგებელს ხედავდა ახლა და ამიტომ იყო, რომ ასე გულმოდგინედ ურჩევდა მუშებს სანარდოზე გადასულიყვენ.

მუშები გავიდენ სამუშაოდ.

მეორე დღეს სურების ულელტეხილს შიშის ზარს გვრიდა ერთი-მეორეზე შეწყობილი ლაღუმების გრიალი და ორ კედელ შუა გამომწყვდეული დამაყრუებელი ხმაურობა აყრუებდა.

მუშები აფეთქებდენ მდინარის კალაპოტს. ელიოტი კი მსოფლიო ბაზრისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში ფრანკო-ტყის შესახებ ოცნებობდა.

დანისლული გული

მოწყენილი გავიდენ ძმები სანისლიაზე.

რთვილს შეუფიფქავს გაშლილი საძოვრები.

ჯოგი ალარ მოჩანს თვალუწვდენ მინდორში. ჟალტამიც რთვილით შეტრუსულა.

ურიდიას ჯოგი შარას აშფოთებს გაბმული ბღავილით.

შემოდგომის მზე ეპარება მთის კალთებს.

სიპებს ოშხივარი აუდის. სიპებზე სითბო მომაგრებულა. ჩამოჯდა ძიკი.

ბეგლარი შველთვით ახეტებს თვალებს დართვილულ მინდვრებში.

მთის წევრი გატიალდა: ნისლი გადარეკა ფართხალა სიომ. ნისლი გადარეკა, მაგრამ ძმების გული დანისლულია.

გამოჩნდა ბარი.—სამოსული.

შეყვითლებული სოფლები, რთველალებული, მომარაგებელი.

უფერულია შემოდგომის მზე, საერთოდ მზის სხივები.

უსიცოცხლო და ფერმკრთალია. უნებლიედ გრძნობ ზამთრის სიახლოვეს და გული გეკუმშება.

ძიკი გაჰყურებს თვალუწვდენ სივრცეს. შორს დანისლული სვანეთის მთები, თეთნულდი, უშბა... დაბლა—სამეგრელო და იმერეთის კალთები. ცენტრში—სამტრედია, რკინის გზის დეპო, საკვამლურები.

— ეჰ!—დაიგმინა ძიკიმ გულსაკლავად.

— რა იყო?

— არაფერი.

— რაზე ამოიოხრე ასე მწარედ! იქნებ სოფელი მოგენატრა?

— როგორც ყოველთვის. იცი, ბეგლარ,—ასწია თავი ძიკიმ და ხელი ბარისკენ გაიშვირა.—მე სოფლისათვის დავბადებულვარ, მყუდრო ოჯახური ცხოვრებისათვის, შენ კი... აბა, ამ მთაში რა გამაძლებინებს. მთაში და გავარდნილი...

— მიზეზი მთა როდია.

— გარწმუნებ.

— მიზეზი სულ სხვა რამეა.

— არა მეთქი!

— შენ ბარშიაც ცუდი მებრძოლი ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიკი დაფიქრდა.

„მართლაც რომ ცუდი მებრძოლი“...—აღარ დაასრულა აზრი ძიკიმ და მოიღრუბლა.

— უსუსური ვარ. ამას თავიდანვე ვგრძნობდი.

— რამდენჯერ გითხარ დამტოვე მეთქი!—აიტკიცა ბეგლარ.

ძიკი დამუნჯდა. ნერწყვი წვალებით გადაყლაპა.

— განიარაღდი. დაუბრუნდი მყუდრო ცხოვრებას.

— მრცხვენია!—აღინღილდა ძიკი.

—რცხვენია...—დასცინა ბეგლარმა გაფხორილ ძიკის—გასწი. სულერთია, მე სხვაგან ვაპირებ.—აიმაღლა ხმა ბეგლარმა.

— სად. ბეგლარ?

— ეგ შენი საქმე არ არის.

— ბეგლარ!

— არ არის მეთქი!

— ბეგლარ?

— ?!

ტყე შეიშმუშნა. მოისმა გამაყრუებელი ხმაურობა და კანტი-კუნტი გრიალი.

ძიკი შეტოკდა. სროლა მოაგონდა. კარავზე თავდასხმა, თავდასხმის დროს დამალვა და თავმოკატუნება.

— გრ-რ-რ-რ!—კვლავ აქუხდა სურების ხეობა, და მთები შეზანზარდა.

— რა მოხდა, ბეგლარ? ნუთუ...—გაუფართოვდა თვალები ძიკის.

— არაფერი! კლდეებს აფეთქებენ,—მშვიდად უპასუხა ბეგლარმა.

— შენ... საიდან იცი, რომ აფეთქებენ?

— ვიცი. სურებში რომ ვიყავი, იქ გადმომცეს.

— გუშინწინ?!

— უფრო ადრეც.

— მაშ, შენ...

— არა, მე რუსეთში ვაპირებ გაპარვას,—იცრუა ბეგლარმა.—ამასწინადაც გეუბნებოდი: მომწყინდა მეთქი! მომწყინდა და მუშაობას უნდა შევუდგე.

ძიკი კვლავ ჩაფიქრდა. თუმცა მას ყველაფერი ადრევე ქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ დღესაც გაიტაცა.

— მე... თუმცა, რა სჯობია ახლა სოფელს, სოფელში ყოფნას.

მატარებელი შეიჭრა რომელიღაც სადგურში და ღია მინდორზე დატოვა ნისლი ტყვიისფერი.

— მიქრის მატარებელი. მიქრის!—ძიკიმ ხელმოფარებით გადახედა ბარს და ისევ განაგრძო: აი, საბერიოც! ალვის ხეებს ხომ ხედავ, ბეგლარ!! შეყვითლებულ ალვის ხეებს.

— ვხედავ—უგულოდ თქვა ბეგლარმა და ფიქრებს მისცა თავი.

დაფიქრდა ძიკიც ახლა ის სულ სხვა ფიქრებში გართულიყო ურაველაზედაც კი ელენე აგონდებოდა ძიკის იმ ღამეს, რომ შეეფეთა ურიდიას ოჯახში.

დამუნჯდა ძიკი. წარბი დახარა ელენეზე ფიქრებით აფორიაქებულმა.

— მშვიდობით, ძიკი!—ერთბაშად წამოიძახა ბეგლარმა და უმცროს ძმას ხელი გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიკიმ თვალები ვერ გაუმაგრა ბეგლარის ანთებულ თვალებს და გამოუვალი უხერხულობა იგრძნო.

— მშვიდობით.—გაუმეორა ბეგლარმა.—ადამიანი როცა სოფლისაკენ მიიწევს, შეუძლებელია მისი სხვა გზით ტარება.

— ბეგლარ! მე მრცხვენია ჩემი საქციელის...

— არაფერია. წადი, შეურიგდი მთავრობას. იცხოვრე წყნარად და მოსვენებით, თუ კი ასეთ ცხოვრებას სადმე მიაგნებ.

— ბეგლარ!

— დედას მიხედე კია! მისი სიცოცხლე ძვირად მიღირდეს. მშვიდობით!

ძიკიმ კანკალით ასწია ხელი, ბეგლარის გაწვდილ ხელს ოდნავ შეეხო და დაბლადაცემულივით მოლვენთა. რა არ მოაგონდა ამ წუთში ძიკს... სოფელი... კარავი, ურდია... გოჩა ურიდია...უჩა... ელენეც... ბეგლარმა იგრძნო ძიკის უსიცოცხლო ხელი... უსულგულო გამოთხოვება, და სიზმარივით მოაგონდა მიზარხანზე თავდასხმისა და გაქცევის დღეები, ძიკის სიმხდალე და ლაჩრობა.

— ბეგლარ! მე შენს თანამგზავრად ვერ გამოვდექი. ამხანაგობა ვერ გაგიწიე. ... ხარ ჩემი, მაგრამ სულ სხვა ყაიდის კაცი ხარ. პირდაპირ გეტვი: კარავზე თავდასხმის დროს...

ძიკი დამუნჯდა. მოფიქრებულის თქმა ვერ მოახერხა.

— რა?—უგულოდ შეეკითხა ბეგლარი ძიკის.

— არაფერი.—შევშინდი და დავიმალე, როგორც ყოველთვის.

— კარგია, ძიკი, რა საჭიროა აღსარება, ღვიძლი ძმის წინაშე, ჩვენ ხომ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. დამალვა არაფერია, საკუთარ სიცოცხლეს ვინ არ უფრთხის და არ ეფერება, მაგრამ... მაგრამ როცა სიმხდალის წინ გამბედაობაც წარმოიჭრება, ორჭოფობაც... ერთი სიტყვით, სასწორზე შედგება ორი სხვა და სხვა სიდიდის საკითხი... და როცა პირადული დაწონის სასწორს, ეს კი ცუდია და გამოუსწორებელი.

— ბეგლარ, ეგ გადაკრული სიტყვები?! რისთვის?

— არაფერია ოდესმე შევხდებით ერთმანეთს. სულ სხვა პირობებში დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. ახლა კი გასწიე! ეცადე ჩიჩიასთან კარგი კავშირი გაბა,—დასცინა ბეგლარმა ძიკის,—ეცადე, თუ წარჩინებას არა, უზრუნველად მაინც იცხოვრო.

— ბეგლარ! ეგ რა დაცინვაა?!

— არაფერია: ჩიჩიას გადაეცი მარცხენა ფეხს გაუბრთხილდეს. შენ კი... ეცადე...

— ბეგლარ! არ წავალ სოფელში,—აილეწა ძიკი ერთბაშად და ყურებამდე გაწითლდა.

წახვალ—დამშვიდებით მიუგო ბეგლარმა.—ჩემზე კი იტყვი—რუსეთში გაიპარა თქო! საცაა მართლა რუსეთში ვიქნები და იქ მეძიონ მაგ მუტრუკებმა. ძიკი დედაჩემი არ დაგავიწყდეს. აი, ჩემი უკანასკნელი დავალება. უჩემობა არ იგრძნოს დედაჩემმა. სხვა... სხვა რა უნდა დაგავალო, ნუ გაიხარებ თუ ჩემი სიავე შეიტყო, ...ჩემობა შენ... თუმცა რა დროს ეგ არის.

— ბეგლარ! მე მშიშარა ვარ და...

— არა, შენ სხვა ვინმეც ხარ, მაგრამ ძმა ხარ ჩემი და, ხომ გითხარ, სხვა დროს შევხვდებით მეთქი! ჩიჩიასთან კავშირს ჩემთან კავშირი გერჩია, მაგრამ კმარა! გზა მშვიდობისა!

ბეგლარს თვალწინ წამოუდგა ამ რამოდენიმე კვირის წინად კარავზე თავდასხმის ეპიზოდი, ძიკის მონაწილეობამ ამ თავდასხმის მოწყობაში, ღალატი... მაგრამ,— ბეგლარმა აქ დუმილი არჩია, ძიკის ხელი ჩამოართვა და წვრილ ბილიკს დაჰყვა ხეობისაკენ.

— კაცუნა! პატარა ადამიანი!—გაიტარა გულში ბეგლარმა.

— ბეგლარ — ტირილით წარმოიძახა ძიკიმ.

— დედაჩემი მეთქი!—გაუმეორა ბეგლარმა ძმას და გზა განაგრძო.

ბეგლარი შეწუხდა ძიკისთან გამოთხოვებაზე. შეწუხდა, მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის იყო, რომ დანისლული გული გაჰყვა ღვიძლ ძმას, ძმისადმი.

ბეგლარი წუხდა მარტოობას, მაგრამ სხვა გზა რომ არ იყო!! მომავლის პერსპექტივა ამას მოითხოვდა. ბრძოლის გეგმა მსხვერპლით თავდებობა. ბრძოლა კი აუცილებელი იყო ბეგლარის აზრით. ბეგლარი ახლა იმასაც ნანობდა, რომ ეს ერთი წელი ტყუილ-უბრალო ხეტიალში გაატარა, კარავიდან კარავში მოგზაურობას შესწირა. ნანობდა რომ ის დღესაც არ იყო სახეიროდ ჩამბული მოძრაობის ორგანიზაციულ ფერხულში. გრძნობდა განდეგილობას, ჩამორჩენას შეუკავშირებლობას, მაგრამ მოპავალი ხომ წინ იყო.

— მეგობარს სწორედ დღეს შეუსრულდა 25 წელი.

ჩიჩიას გაუძნელდა ძომტვრეული ფეხის გამრთელება. ქუთაისის საავადმყოფოში მოათავსეს ჩიჩია სამკურნალოდ. გუბერნატორის განკარგულებით საუკეთესო ექიმები მიუჩინეს, მაგრამ გაძნელდა ფეხის ძვლის გამრთელება.

შეწუხდენ ექიმები.

შეწუხდა ჩიჩია.

სიძნელე ბოლოს დაბრკოლებად შეიცვალა: გამოირკვა რომ მომტვრეული მარჯვენა ფეხი რამდენიმე მილიმეტრით უნდა დამოკლებულიყო. ამან გააცოფა ჩიჩია საბოლოოდ, ასეთმა დასკვნამ გუნება შეუცვალა.

საჩივრის ბარათი გაგზავნა გუბერნატორთან, ყველაფერი მოახსენა: „შევწირე ფეხი ხელწიფე— იმპერატორის საკსახურს, და ეს ექიმები კი... ვეჭვობ; რომ აქ სოციალისტების ხელი არ მუშაობდეს.“

გუბერნატორი ააშფოთა ბოქაულის ასეთმა დაეჭვებამ, თუმცა მცირე ფიქრის შემდეგ თვითონვე დაასკვნა:

— შესაძლოა... შესაძლებელია!

გუბერნატორმა ეს ამბავი მოახსენა ქუთაისში შემთხვევით სტუმრად ჩამოსულს მთავარმართებლის მოადგილეს გენერალ შირინკინს, რომელმაც ჩიჩიას ასეთი „საგმირო“ ამბების გაგონებაზე სურვილი გამოთქა— თვითონვე ენახულებია ჩიჩია საავადმყოფოში და ყველაფერი დაწვრილებით, გამოეკითხა „თავდადებული“ ბოქაულისათვის.

მეტად შეაქო ჩიჩია შირინკინმა. გიორგი ჯვარზე წარადგინა. „წვრილმალი ხარჯებისათვის“ ხუთასი მანეთი გამოუწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარმატება პირველი შესაძლებლობის თანავე!—მიუბრუნდა გენერალი შირინკინი ქუთაისის გუბერნატორს, რომელმაც თავის მხრივ არ დააყოვნა და მის უდიდებულესობას ასე მოახსენა:

— განზრახული მქონდა, სპეციალურად მომეხსენებინა თქვენთვის ბოქაულ ჩიჩიას დაწინაურების შესახებ... რაკი თქვენმა უდიდებულესობამ თვითონვე ინება განკარგულების მოხდენა, ვეცდები დაუყონებლივ შევასრულო თქვენი კეთილი სურვილი.

ჩიჩია სიხარულით ცას დაეწია.

მას სრულიად გადაავიწყდა, რომ დაჭრილი იყო, ფეხმომტვრეული... ის ახლა მზად იყო გამოწერილიყო საავადმყოფოდან და თავისი საბოქაულო სანიმუშოდ დაეყენებია ქუთაისის გუბერნიაში.

— მივაციმბირებ... ჩავაძალლებ!—ფიქრობდა ჩიჩია მოძრაობაში შემჩნეულ „თავხედების“ შესახებ და ასე მიდიოდა დღეები ქუთაისის საავადმყოფოში.

ჩიჩია თავბრუდახვეული იყო ასეთი წარმატებით, მას სიზმრად ეჩვენებოდა ყოველივე თვალითნახული: გუბერნატორი, მთავარმართებელის მოადგილე გენერალი შირინკინი...

ჩიჩია აღტაცებაში მოდიოდა გაუგონარი მიღწევებით.

— პირადად მინახულა. გიორგის ჯვარზე წარმადგინა...

„დაწინაურება პირველ შესაძლებლობისთანავე“: მაშ, მედგრად, მურთაზ ჩიჩია... შენი ბედის ვარსკვლავი ახლა ამობრწყინდა...

გამართლდა ექიმების წინასწარი კონსულტაცია. ჩიჩიას ფეხა დაუმოკლდა.

— დამასახიჩრეს... განგებ დამაკოჭლეს!—კბილების ხრჭიალით ამბობდა ჩიჩია, როცა მას ფეხის შესახებ ეკითხებოდენ—დამასახიჩრეს მაგრამ... დამაცადონ!..

ჩიჩია დაბრუნდა სამეგრელოში.

საბოქაულო ჩამოიარა. ყველა სოფელი საკუთარი თვალით დაათვალიერა, მამასახლისები გააფრთხილა და თითეულ მათგანს გაუგონარი განკარგულება დაუტოვა.

— შეუძლებელია... წარმოდგენილი!—გულში ფიქრობდენ მამასახლისები მაგრამ ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა.

გუბერნატორის ნებართვით ჩიჩიამ ჩაფართა რაოდენობა გაადიდა საბოქაულოში; სამი კაცი პირად მცველებათაც გაიჩინა.

— ქვეყანა მემტერება. სიფრთხილეს თავი არა სტკივა! —ფიქრობდა ჩიჩია და საბოქაულო კაბინეტთან ფეხს ისე არ გადაადგამდა, თუ ჩაფართა გუნდი და გადაცმული მცველები შორიახლო თან არ დაყვებოდენ.

— წინანდებურად ფეხიც აღარ მემორჩილება.—ამბობდა ჩიჩია, და მართლაც მას კოჭლობას ვინ არ შენიშნავდა.

ჩიჩია სწუხდა დაკოჭლებას. წუხდა, რომ ცერებზე სიარული აღარ შეეძლო ფეხმოტეხილ ბოქაულს, და, რაც მთავარია, მანკიანი ფეხი ცხენოსნობასაც უშლიდა, მაგრამ მწუხარების იერი იმწამსვე გაუქრებოდა სახეზე, როცა დაკოჭლების გამო მიღებულ საჩუქრებსა და წარმატებას გაითვალისწინებდა, როცა ოქროს ჯვარ-მედალს ხელს შეავლებდა, ანას ორდენს მიუალერსებდა.

— საცაა მაზრის უფროსი გავხდები, ორასი ათასი კაცის ბატონ-პატრონი და ხელისუფალი... შემდეგ... შემდეგ კი... ვინ იცის?!—ჩიჩიამ მრთლა არ იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თუ რა წარმატება შეეძლო მიეღო მაზრის უფროსის სავარძლის შემდეგ. არ იცოდა. ვერ ერკვეოდა ტიტულებისა და ჩინების თანმიმდევრობაში. არ იცოდა, მაგრამ ეს როდი ცემდა სახელგანთქმული ბოქაულის რეპუტაციას...

ჩიჩია ჩაიკეტა საბოქაულოში. ფეხზე დააყენა ხელქვეითი მოხელეები და ჯაშუშ—პროვოკატორთა ქსელი.

მოდიოდა ცნობები ყოველი კუთხიდან.

ჩიჩია ზეიმობდა პირად გამარჯვებას.

— უცხო ახალგაზდა გთხოვსთ.—მოახსენა ჩიჩიას კარის კაცმა.

— გვარი არ იკითხე.

— ძიგუა უნდა იყოს.

— შემოუშვი.

ჩაფარი გაიძურწა კაბინეთიდან, და რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩიჩია აწეული ტონით ესაუბრებოდა აბრაგობიდან ახლახან გამოქცეულ ძიკი ძიგუას.

— სო გულეხეტიალუდი თემზა ხანს?*—დაცინვით იკითხა ბოქაულმა და ძიკი ფრხჩხილებამდე ჩაათვალიერა.

— ყველაფერი იაზრა. დაემუქრა კიდეც!—გაბედა ძიკიმ.

— ახლა სად არის?

— რუსეთში. ასე თქვა, რუსეთში უნდა გავიპაროვო.

— სტყუი!—აიტაცა ბოქაული და ჩვეულებისამებრ ფეხი დააბაკუნა.

— ღორონთს გიფუჩუა?**

— ცრუობ!

— როგორ გავბედავ!

ჩიჩია წამოსდგა სავარძლიდან, ფანჯარას მიადგა.

ძიკი სიარულზე დააკვირდა თავხედ ბოქაულს. უსწორმასწორი სიარული და კოჭლობა ძიკის თვალში მოხვდა.

— მომჩერებიხარ?!—შენიშნა ჩიჩიამ და მომტვრეულ ფეხს დააკვირდა.—როგორ მოგწონს?!

— ?!

— გიხარია?

— როგორ გეკადრებათ.

— მე ვიცი, რაც გეკადრება, თქვ...

ჩიჩია დაწყნარდა.

— კარგი! შენ ის მითხარი, სად არის ამჟამად ბეგლარი?

— აკი მოგახსენეთ: რუსეთში აპირებდა გაწცევას მეთქი!

— მერე, იენ რას აკეთებდი?

— აკი მოგახსენეთ...

— სცრუობ! მიქარავ! თავზე ეფარები!

— აბა, საიდან, როცა...—ძიკის რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უცებ დამუნჯდა თითქო ყელში ლუკმა გაეხირა.

— როგორ მოვიქცეთ?!

ძიკი კითხვით ნიშანს დაემსგავსა.

---

* სად დაეხეტებოდი ამდენ ხანს?

**) ღმერთს გეფიცები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გინდა ჩინი, წარმატება, ფულები და მიწამამული?!

ძიკის ჩინის გაგონებაზე თვალები გაუფართოვდა, ტანში გააჟრჟოლა.

— მინდა, — გაბედა მან ბოლოს.

— ამისათვის კი...

— რით გემსახურო...—დაასწრო ძიკიმ ბოქაულს.

— მზად ხარ სამსახურისათვის?! მეფის ერთგულობისათვის?!

— ყოველ წამს. სულ მუდამ.

— მაშ, დაჯექ და მისმინე.

ჩიჩია ჩამოჯდა საბოქაულო სავარძლის ძგიდეზე, გვერდით ძიკი მოისვა და ორივენი მომავალი სამოქმედო გეგმის დასახვას შეუდგენ.

„კაი ამბავი, ჩიტო, ოქროს ნისკარტი"

სალომე ელოდა გავარდნილი შვილების შინ დაბრუნებას.

ჩიტის ყოველ დაძახებაზე მოხუცი ფრთას შეისხამდა, გამხიარულდებოდა და შვილების მოლოდინში თვითონაც აჭიკჭიკდებოდა: „კაი ამბავი, ჩიტო, ოქროს ნისკარტი".

შემდეგ მთელი დღე ჭიშკრისკენ იყურებოდა, შარას ბეჯითად ათვალიერებდა, გამვლელ-გამომვლელს ხელმოფარებით აკვირდებოდა, განსაკუთრებით ნაბდიანებს ათვალიერებდა. ელოდა შვილებს. შვილების მოალერსებაზე ოცნებობდა.

— ალბად დღისით გამოჩენას ერიდებან, სალამოს შემოიპარებიან. მოვლენ ჩემს ფაცხაში და სიხარულით ამივსებენ გულს,—აიმედებდა სალომე თავის თავს მზის ჩასვლამდე.

დაბინდდებოდა თუ არა, სალომე სალამურ ფიჩხს მოიმარაგებდა, წახვეულ ლადარს გამოჩხრეკდა, ცეცხლს მოანთებდა და თვითონ მთვარის შუქზე ფაცხის წინ ჯირკზე ჩამოჯდებოდა.

ელოდა სალომე გავარდნილ შვილებს, შვილებთან ალერსსა და მოფერებას.

— თვალს მაინც გადავავლებ, დაველაპარაკები. დავმუნჯდი მარტოდ ყოფნით, ლაპარაკი გადამავიწყდა.—ფიქრობდა სალომე და თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა. ჭიშკრისაკენ-თქო ვამბობ, თუმცა კარგა ხანია სალომეს ეზო-მიდამო პარტახს წააგავდა და ჭიშკრის ადგილას ორი ბოძი ესო წაბლის ისიც ცალ მხარეს გადაზნექილი (ეტყობოდა, ღამით ვილაცას ეწვალებია ამოსათხრელად, მაგრამ ვერ მორეოდა და ისე გადაღრეცილი მიეტოვებია)... ჰო და სალომეს, ჩვეულებისამებრ, მაინც ამ ბოძებისაკენ ეჭირა თვალი...

— მოვტყუვდი. ახლა ჩიტის დაძახებას კი არა, ადამიანის ნათქვამსაც არ დაეჯერება,—სალომე ფიქრებში შეტოპავდა, და ოხვრით ივსებოდა გავერანებული ეზო-მიდამო: შავი წასრული. შავი მოგონება, ქმარი. ქმრის სიკვდილი. შვილები.

სალომე ოხრავდა ქმარ-შვილის და ოჯახის მოგონებაზე და რაღაცას ბუტბუტებდა და ცალიერ სივრცეში უგზო-უკლოდ ახეტიალებდა ჩათუთქულ თვალებს. ძაღლის ხმაურებას აყურადებდა. ბუს დაძახებისა ეშინოდა და გულგასივებული იწყევლებოდა. ყველაფერს თავისებურად ზომავდა, მოვლენებს შესაფერ დასკვნებს უკეთებდა, მაგრამ გავიდა აგერ შვიდი თვე, ჩიტმა შვიდასჯერ დაიძახა, წარბიც ბევრჯერ მოექავა სალომეს, სიზმარიც ნახა: ვითომ შვილებს ეა-

ლერსებოდა, მაგრამ... შვილები ისევ აგვიანებდენ დედასთან დაბრუნებას.

სოფელში კი ხან რას იტყოდენ ძმების შესახებ და ხან რას. სალომე ჭორს ყურს არ უგდებდა, მაგრამ ზოგჯერ ძალაუნებურად ჭორების ტყვეობაშიც ვარდებოდა.

— ძიკიმ ბეგლარს უღალატა. ჩიჩიასთან კავშირი გააბა და ურიდიას კარავზე თავდასხმის მოწყობაში მონაწილეობა მიიღო — „ჩასცდა სალომეს ყურში. ქვა იყო შვილების მოყვარული დედის გული, თუმცა...

— არა, ძმას როგორ უღალატებდა. ძუძუს როგორ შემირცხვენდა? — ინუგეშებდა თავს სალომე და, ძიკის ხალიათში დაეჭვებულს, თავში ორჭოფი აზრი უტრიალებდა: „ბავშვია... იქნება ქე შემიცდინეს მაგ ძალლთაპირებმა?"

სალომე გულ-მკერდს იმჯილავდა, უხმოდ ანჩხლობდა, მთავრობის მისამართით იგინებოდა. იგინებოდა და გამწარებული გულმკერდს იპოტნიდა, მაგრამ ვისღა ესმოდა დღეს სალომეს საჩივარ-საყვედურები?!.

შემოდგომის დღე იყო.

სალომე მთელი დღე მზის ყურზე იჯდა. ძველმანების დასაკერებლად ყაჭს ართავდა და ტკბილად ამთქნარებდა. მოხუცის მახლობლად ხანშესული კატაც კოტრიალობდა.

სალომეს დაღამებაც არ უგრძვნია მზეზე დაბრუებულს, — ხოლო როცა თითისტარზე კვირისთავი წაძვრა და ასაღებად დახრილმა ველარ დაინახა, მაშინ იგრძნო დაღამება და ფაცხის კარი შეაღო.

ღადარი გამოჩხრიკა სალომემ, ცეცხლი მოანთო და რამდენიმე ტარო მომღრალი სიმინდი ცეცხლს მიუფიცხა.

სალომე ყაჭსაც ართავდა და ღადარში ჩაფიცხებულ სიმინდის ტაროებსაც უთვალთვალებდა: თითისტარით გადააბრუნებდა, შემწვარ გვერდს მოუნაცვლებდა

კარგა ხანი გასულიყო.

სოფელს ეძინა.

სალომეს ფეხის ხმა მოესმა. ყურები სცქვიტა, ნაოჭიანი სახე გაუბრწყინდა, დამჭკნარ ტუჩებზე ღიმილი გადაეკრა. ფაცხის კარს მიაშტერდა.

ფეხის ხმა ახლოვდებოდა.

— ვინ უნდა იყოს, თუ არ... სალომე სმენად გადაიქცა.

— ღამით კი არა, დღისით არავის ვახსოვარ და...

კარი გაიღო.

ნაცნობი სახე. ნაბადი. წულა-მესტები.

— შვილო ბეგ...—სალომეს ხმა ჩაუწყდა.

— დიაჩქიმი! — გაშალა ძიკიმ ხელები მშობელი დედის გადასახვევად.

ძიკი! შვილო! — სალომე დაისეტყვა, მარტო ძიკის დანახვაზე, მაგრამ უცებ ისევ აენთო და ძიკის კისერზე მოეხვია, შუბლი დაუკოცნა, მოეფერა, კანკალი აუვარდა. სიხარულით სასოება დაკარგა და ხმის ამოღება ველარ მოახერხა. ბოლოს გონს მოვიდა, ძიკი თვალებში ჩაისვა და გაოცებული ისევ ფაცხის კარს-მიაშტერდა.

ფეხის ხმას ხელახლა მიუყურადა.

არაფერი ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიკიმ ნაბადი მოიხსნა, თოფი კუთხეში მიაყუდა. პატრონტაში ლოგინზე დააგდო, ჩამოჯდა, სული ამოითქვა.

სალომე განცვიფრებული იდგა ფაცხის სიღრმეში და ძიკის ცივი, შიშნაკრავი მზერით ათვალიერებდა.

— ბეგლარი. ბეგლარ სად არის?!—დაიგმინა უცებ მოხუცმა და ცეცხლითა და იჭვით სავსე თვალები ძიკის გადაუტრიალა. — რა უყავ ბეგლარი. ხომ ცოცხალია.

— ცოცხალია. რუსეთში გაპარვას აპირებს, — იჩქარა ძიკიმ.

— რუსეთში... ჩემდა უნახავად... ღორონთი.

— შენ როდი ახსოვხარ, რომ შენზე იფიქროს. — აბორძიკდა ძიკი და თავი დახარა.

— ჯოლორის სქუა.* ხმა ჩაიკმიდე. — გაფიცხდა სალომე.

— დიაჩქიმი! — შეკრთა ძიკი დედის ასეთ წამოძახილზე.

— სალახანა! შხამით გაზრდილო! — მოულოდნელად შეუტია სალომემ ძიკის და დედაშვილურ შეხვედრას მდუღარე გადაესხა.

— დიაჩქიმი!

— დიაცი ხარ! უღირსი შვილი!

— რა მოხდა, დიაჩქიმი?

— ბეგლარს არ ვახსოვარ? ბეგლარი ჩემზე არ ფიქრობს? — აკანკლდა სალომე მთელი სხეულით და ძიკის რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა.

— ფიქრობს... მაგრამ...

— ხმა. ბეგლარი რუსეთში გაიპარა?! სტყუი. სცრუობ. როგორც ყოველთვის.

— დიაჩქიმი! — დაიბნა ძიკი და ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— ბეგლარმა დამივიწყა? ბეგლარს ალარ ვახსოვარ? შენ ცრუობ, ძიკი. შენ ენატანიობ და საუკეთესო შვილს მაძულებ და მის სიყვარულზე გულს მიცივებ.

— მე ეს არ მითქვამს, დიაჩქიმი! ბეგი... ბეგლარი რუსეთში უნდა გაქცეულიყო.

— შენ სადღა მოეთრეოდი?!

— მე... მე შენთან გამომგზავნა... შენდა მოსავლელად გამომისტუმრა... თვითონ ბეგიმ გამომგზავნა, ღორონთს გიფუჩუა!

— სცრუობ! შენ თვითონ გამოიქცეოდი. მიატოვებდი, ულალატებდი.

— ღორონთი! ვულალატებდი. — დაიბღავლა ძიკიმ და სიმწარისაგან თვალები მუშტის ტოლა გაუხდა.

— ულალატებდი... მიატოვებდი! მე ყველაფერი გავაგე. ძიკი! მე ყველაფერი დაწვრილებით ვიცი! ძიკი! შავდღეზე დაბადებულო! ჩამქრალ ვარსკვლავზე გაჩენილო! ძიკი მოლალატე!

— დიაჩქიმი!

— ნუთუ ყველაფერი მართალია, რასაც ამბობენ?! მიპასუხე ნუთუ მართალია?

— რამ გადაგრია, ადამიანო!

---

* ძაღლის შვილო!

— გავიგე, ყველაფერი მიამბეს. არ მჯეროდა. ვფიქრობდი: ძმა ძმას, როგორ ულალატებდა მეთქი!

— დიაჩქიმი! — დაყვერილ გველივით დაიგრიხა ძიკი.

— ვფიქრობდი: ძუძუს როგორ შემირცხვენდა, ნიკო ძიგუას სახელს როგორ შეურაცხყოფდა მეთქი!

სალომეს თვალი დაუბნელდა. დასნეულებულსა და დასუსტებულს გული ამოუჯდა და ჯორკოზე ჩაკეცილს ქვითინი წასკდა.

სალომემ სასოება დაკარგა, უგრძნობლად შეიქნა და სუნთქვა შეეკრა.

შეშინდა ძიკი, საგონებელში ჩავარდა. თვალწინ მრავალი უცნაური სურათი წამოუდგა და შეშინებულმა უეცრად გაქცევა დააპირა. მან ფაცხა ჩაათვალიერა, კარისაკენ ფეხი გადადგა. ამ დროს სალომეც ახრიალდა, ხელები უგრძნობლად გაასავსავა, მუგუზალს წაეპოტინა, გასაქცევად მომზადებულ ძიკის რომ შეხედა ფიჩხის შუქზე, ისევ აინთო და აელვარდა:

— გარბიხარ?! ახლა ჩემგანაც გარბიხარ? უსირცხვილო!

— ექიმისთვის უნდა დამეძახა. — მოისაზრა უცებ ძიკიმ.

— ექიმისთვის? — სალომე მოსულიერდა, თვალები კაბის კალთით ამოიწმინდა და დაშოშმინებულმა ცეცხლზე ფიჩხი წამოუმატა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სალომე ბეგლარზე ფიქრებში ჩაინთქა: ხან რას ფიქრობდა დაეჭვებული მშობელი და ხან რას.

— ხომ ცოცხალია?! — ბრძანების კილოთი იკითხა მან ბოლოს.

— ცოცხალია, დიაჩქიმი! კარგად არის, — მოღიმარი სახით სცადა ძიკიმ სალომესთან საუბრის აღდგენა, მაგრამ მოხუცი კვლავ ფიქრებმა გაიტაცა და ისევ სიჩუმე გამეფდა კარგა ხანია მყუდროებას დაჩვეულ ფაცხაში.

ძიკიმ უხერხულობა იგრძნო მშობლურ კერასთან. ფაცხის კედლები უცნაური სახის მოეჩვენა, კერა ნელთფილი, დედის გული ჩამქრალი, დაფერფლილი.

— რასა ჰგავს ეს? — ფიქრობდა ძიკი. — ნუთუ ძმებშიაც გამორჩეული ვარ? ნუთუ დედის თვალშიაც დავკარგე ნდობა?

ძიკი მოიღრუბლა; თითქო თავზე მდულარე დაასხესო, წარბი ისე შეიკრა და გაგოროზდა. უგუნებობის ბეჭედი მოიხაზა უნაოჭო, გადარეცხილ შუბლზე.

ძიკი მოიხარა და მიწას დააშტერდა: — „უბედური ვარ, ცუდის თვალით გამორჩეული“. — დაასკვნა უმალ.

— სანამდე ფიქრობ დარჩენას. — უთავბოლოდ იკითხა სალომემ ძიკის აქ ყოფნით თითქო გაბეზრებულმა.

— როგორ თუ სანამდე? — განცვიფრდა ძიკი, მაგრამ სალომეს განცვიფრებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა შვილის ასეთ მოულოდნელ პასუხზე. სალომეს ასე ეგონა, თუ ძიკი ერთი ღამით მოიპარა შინ, მალულად, ჩუმად და უთენია ისევ გაიპარებოდა, პოლიციის თვალს მოერიდებოდა, მაგრამ დახე...

— მაშ სამუდამოდ დაბრუნდი? — დაცინვის კილოთი გამოაზოგა სიტყვა სალომემ.

— სამუდამოდ. ოჯახს ხომ მიხედვა სჭირდება, პატრონობა.

— პოლიცია? ჩიჩია? — ხელმოფარებით იკითხა სალომემ.

— შევურიგდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? — თითქო სმენას არ უჯერიაო, იფეთქა სალომემ.

— შეეურიგდი, — გაიმეორა ძიკიმ.

— უიმე. უიმე! — შეიცხადა კრინით სალომემ და თმები გაიწეწა. — პოლიციას შეურიგდი, ნიკო ძიგუას შვილი პოლიციას შეურიგდი?!

— რა მოხდა, დიაჩქიმი, არაფერი მესმის! ყოველივე ეს ბეგლარის თანხმობით და მისივე რჩევით მოხდა.

— სტყუი, სცრუობ! სად არის მაშინ თითონ ბეგლარი. სად არის თვითონ, სად?

— დიაჩქიმს გიფუჩუა, ბეგლარი თანახმა იყო.

— სცრუობ! გააღე კარი! — სალომემ ხელი ფაცხის კარს მიუშვირა, თვალები ნაღვერდალივით დაანთო და ძიკის ხმამაღლა შეუტია: — გააღე კარი! გაეთრიე! აღარ გიხილოს ჩემმა თვალებმა! დავკარგე ქმარი, დავკარგე საუკეთესო შვილი ბეგლარი! შენ რა შავ ქვად მიფიცებ — მხდალს, მშიშარს, მოღალატეს. გასწი!

ძიკის თავზარი დაეცა. არ მოელოდა დედის გულის ასე გაქვავებას. მას ვერ წარმოედგინა რომ ოჯახზე ხელდარეცხილი მშობლის გული, გავარდნილი შვილის შინ დაბრუნებას უსაზღვრო სიხარულით არ შეხვდებოდა. ამიტომ...

— წავალ... — საცოდავად დაიკნავლა ძიკიმ და ფეხზე წამოდგა. — წავალ მაგრამ არა იქ, — აიმაღლა ხმა მან.

— პოლიციასთან, ჩიჩიასთან წახვალ, არა? — მოუჭრა სალომემ. — გასწი! — ამოიგმინა და ქვითინი წასკდა მოულოდნელი ამბით აღელვებულს.

ჰ ა ბ ა რ დ ა!

გრიალებს სურების ულელტეხილი.

ლაღუმების გრიალი საომარ განწყობილებას იწვევს მსმენელში. ორკედელ შუა გამომწყვდეული აფეთქების ხმა გრგვინვით ასკდება ულელტეხილის ვეება კედლებს, კედლებს ნაძვნარ-ფიჭვნარით დაძაძულსა და დაფარულს. ასკდება და გრუხუნით მიექანება დასავლეთისაკენ.

აღმოსავლეთით მთა საზღვრავს ულელტეხილს.

გრძელია ულელტეხილი, თითქო უბოლო და უსრულო.

ორი კედელი თვალუწვდენელი. კედელი კარჩხალებით ამოყორილი, ორწოხებით დაღარული და დასერილი.

სუფსა კივილით ასკდება ჭკარჩხალებს, სიპებსა და ხშირ ორწოხებს.

ყოველ მოხვეულში გადმოქუხს აქაფებული ვერცხლივით ქათქათა და შუშასავით გამჭირვალე.

სიპ-კლდეზე შემდგარან ყაბალახიანი მუშები.

ბურღავენ გრანიტს ნაკვეთიანი ბურღებით.

მეუროები ურტყავენ ეროს.

მზად არის ხვრელები ლაღუმებისათვის.

— ამფეთქებელნო!

— მზად არის!

მუშები მოშორებით გადადიან მორიგ სამუშაოზე. თან აფეთქების ალაგს ეფარებიან, თანაც ახალ სამუშაოს იწყებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარობენ ამფეთქებელნი.

ხელში სანიშნოდ ანთებული ფითილი უჭირავთ.

ფითილით — ლაღუმებსაც უკიდებენ ცეცხლს ასაფეთქებლად, თანაც თვალყურს ადევნებენ გაქცევის დროის მოახლოვებას,

— მზად არის!

ორმოცდაათი ლაღუმი ელოდება აგრიალებას.

შარა გზა დაცულია: დარაჯები უთვალთვალებენ.

კლდე ტყეს უერთდება.

კიდობანივით ამართულა კლდე, რომელიც უნდა აფეთქდეს.

ფითილი იწვის.

დენთის სუნი ფარავს არემარეს.

— რა უნდა იყოს? — ეკითხება თავის თავს მახლობელ ტყეში გზადაბნეული უცხო მგზავრი, რომელსაც მიმართულება სწორედ კიდობანა კლდისაკენ უჭირავს.

მგზავრი გზა აბნეულია.

დენთის სუნი საფრთხეს მოასწავებს.

მგზავრი ორჭოფობს, აქეთ-იქით იყურება.

გაქცევა საფრთხილოა.

ხმის ამოღება მით უარესი.

— რა უნდა იყოს? — კვლავ ეკითხება თავისთავს მგზავრი.

ამფეთქებელნი გარბიან კიდობანა კლდიდან.

უფროსი ამფეთქებელი დარჩა კლდის ძირას, უკანასკნელი ფითილი გაანაცალა, იქაურობას თვალი მოავლო და: „ჰაბარდა!“ დაიყვირა მან გამოზოგებით. მგზავრს ყურში ჩაეწვეთა გაფრთხილების ხმა, მიხვდა გაფრთხილების მნიშვნელობასაც, მაგრამ...

ჩიხში რომ მოემწყვდა უცხო მგზავრი?!

აქეთ-იქით — ორწოხები, გაუვალი და ხავსმოკიდებული.

დაბლა კლდე. კლდე, რომელიც უნდა აფეთქდეს.

ჩაჩიხულია მგზავრი, საფრთხის წინაშე დაჩოქებული.

ერთად ერთი გზა ისევ აღმართია, საიდანაც ჩამოვიდა მგზავრი დაბლობში.

დაიცალა კლდე ამფეთქებელთაგან.

უკანასკნელმა ამფეთქებელმაც კლდე ჩამოირბინა და ტყისკენ მიბრუნდა: ანთებულ ფითილს დააკვირდა. ფითილიდან ისევ ტყეს გადახედა და უცხო მგზავრი აჩრდილივით შეეფეთა გაფაციცებული ამფეთქებლის თვალებს.

— ვინ უნდა იყოს?

ფიქრის დროც არ არის, ფითილი იწვის...

— ჰაბარდაააა! — ეს ღა მოასწრო უკანასკნელმა ამფეთქებელმა და დაბლა დაეშვა.

დაიფერფლა ფითილი. ორი გოჯი-ღა დარჩა დასაწვავი, საფარამდე კი ოციოდ ნაბიჯია.

გარბის ამფეთქებელი და თვალწინ უცხო მგზავრის სილუეტი უტრიალებს. „რომ აქეთ გამოიქცეს? რომ აფეთქდეს? არა... ხომ გავაფრთხილე? შეუძლებელია“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირაკლი, ჩქარა, ჩქარა! — ესმის მას ხმები ამხანაგების.

ირაკლი გარბის, საცაა საფარს მოეფარება, მაგრამ მგზავრი? მგზავრი ხომ...

— ჩქარა, ჩქარა! — ფეხების ბაკუნით აფრთხილებენ ირაკლის.

დაიფერფლა ფითილი.

— თვალი მოვკარი..:

ირაკლი სულს ვერ იბრუნებს.

— მოდიოდა... შევუძახე, მაგრამ... — შეუერთდა ფერწასული ირაკლი გახიზნულ მუშებს.

— ვინ მოდიოდა?!

— ჩვენები ხომ...

— ვილაც ნაბდიანი... შორს იყო, ვერ გავარჩიე.

— ნაბადიანი?!

— ?!

— მაღალი მომეჩვენა, — მოითქვა სული ირაკლიმ და ამხანაგებს დააკვირდა.

— მაღალი? გაოცდა ილიკო.

— ჰაბარდა მეთქი, შევუძახე. მგონია გაიგონა. თავი მაღლა ასწია, მაგრამ ფითილიც იწვოდა და...

— იწვოდა. გლახაკი! — გაცხარდა ილიკო.

— გლახაკი?! — ასწია თავი ფერწასულმა ირაკლიმ.

— აბა, არ შეგეძლო „ჰაბარდა"-სთან ერთად „უკან გაიქეცი" დაგეყვირა.

— ვერ მოვიაზრე, — დამუნჯდა ირაკლი.

— ვინ იქნებოდა?!

— ვინც უნდა იყოს...

— ვერ მოვასწრებ, რომ... — წამოიძახა სევემ.

— გრ-რ. რ-რ! — იგრგვინა სევეს საპასუხოდ კიდობანა კლდემ.

— რ-რ-რ.-რ-რ! — მიჰყვა ზედიზედ დანარჩენები, და კლდე გახლეჩილ ვაშლივით გაცალკევდა.

წყალმა იჩხრიალა ახალ კალაპოტში.

ზათქით და ზავთით დაექანა მოხეთქილი ლოდები. ცაში ატყორცნილი ქვის ნატეხები ბზრიალით წამოვიდა დედამიწისაკენ.

ნისლით შეიკრა მახლობელი მიდამოები.

აქოთდა დამწვარი დენთი.

— წავიდეთ.

— დაიცათ. ვგონებ კიდევ უნდა აფეთქდეს.

— არა ყველა აფეთქ...

— გრ-რ-რ-რ! — იგრიალა უკანასკნელმა ლალუმებმა.

— არ ვარგა! ერთბაშად უნდა აფეთქებულიყო. რას იტყვიან ინგლისელები?! — აწუწუნდა ირაკლი.

— ერთი შენც!

— რაც უნდათ, ისა თქვან, — წამოიძახა ილიკომ, — მე სხვა რამე უფრო მაფიქრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღას ვუშველით, თუ...

— შველა კი შეიძლებოდა, რომ...—ილიკომ ზიზღით გადახედა ირაკლი გვარამაძეს და ფითილის გორგალი მკლავზე წამოიცვა.

— თუ პირობები ხელს არ მიწყობდა?!

— დაჩუმდი. პირობები!.. შენ მუდამ პირობები გაკერია ენაზე. გლახაკო!

— ილიკო რად იცი ხოლმე ასე ახირება?! ლანძღვას რას მემართლები?

— ცხვირს იქითაც უნდა იხედებოდე. საკუთარ თავს გარდა სხვისი დანახვაც უნდა შეგეძლოს...

შარაზე გამოჩნდა შერვაშიძე და ინგლისელი ინჟენერი.

— ყოჩაღ, ბიჭებო!—შორიდანვე მოუწონა მუშებს შერვაშიძემ და გარღვეული კლდისაკენ ხელი გაიშვირა.

— აჰა, გაიხარე, მოგიწონეს ნამუშევარი—დასცინა ილიკომ ირაკლი გვარამაძეს.

— როგორც ჩანს, გასჭრა დაწუნებულმა წამალმა?! რას იტყვით?!—ღიმილით მიმართა მუშებს შერვაშიძემ.

— კარგად იმუშავა. თუმცა წამალი დაბალი ღირსებისაა.

— ცხოველი რომ იყოს.. გვასახელებდა,

— ორმაგად იხმარეთ. რა გენაღვლებათ.

— ნაღველი გაშოროსთ, მაგრამ...

— ჰო! ინგლისს წამალი არ გამოელევა?!

— ნორმა?!

— ნორმა უნდა გაგვიდიდოს...

შერვაშიძემ თავი მოიფხანა. არ ახსოვდა თუ დენთის ხმარება ნორმით იყო გათვალისწინებული.

— არა, ეცადეთ. საქმეც კარგად გააკეთოთ და სარგებელიც ნახოთ.

— საიდან ვისარგებლებთ, გეტყვი მე!..

— რას იტყვი, ხოსია, რა გაწუხებს?!—მიუბრუნდა ქიშვარდი ახალგაზრდა წვერმოშვებულ ვაჟკაცს, ხოსია ტრაპაიძეს.

— რაღა არ გვაწუხებს, გეტყვი მე, როცა ასე მცირე ხელფასს ვიღებთ და თოფის წამალს გამოზუსტულს; ჰაჰვით გამორწყული წამალი, გეტყვი მე, სად გაგონილა?!

— მართალია „გეტყვი მე"!..—გაექომაგენ ხოსიას ზოგიერთებმა.

— „გეტყვი მე"!..—დასცინეს ხუმრობით აქეთ-იქიდან.

— იცინე, გეტყვი მე, იცინე, ვნახავ, რას წაულებ ცოლშვილს თვის ბოლოს.

რას წაულებს და...

— ხუმრობა იქით იყოს,—ჩაერია საუბარში ათისთავი ილიკო,—წამლის ნორმა მეტად განსაზღვრული გვაქვს. ქიშვარდი, თქვენ უნდა იზრუნოთ ამის შესახებ...—მეტის მოთხოვნაც არ შეიძლება. მართლა და ვაჭრობა ხომ არ უნდა დავიწყოთ ამ თოფის წამალით.—წინწინ გამოექომაგა რწმუნებულს ირაკლი გვარამაძე.

მუშებმა წყენით გადახედეს გვარამაძეს. აქ. აქა-იქ ნიშანდობლივად ჩაახველეს და მასიური აღშფოთება მუნჯურად აღნიშნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არ შეიძლება? პირადაპირ შეება გვარამაძეს ილიკო,—არ შეიძლება, რომ ვილაც ოხერ ინგლისელ კაპიტალისტს მისივე საჭიროებისათვის, მდინარის გასაწმენდი კლდეების ასაფეთქებლად, ლაღუმისათვის საჭირო თოფის წამლის ნორმის გადიდება მოვთხოვოთ?! არ შეიძლება, რომ ხელფასის სიმცირეზე მოველაპარაკოთ?

ქიშვარდიმ და გვარამაძემ ერთმანეთს გადახედეს.

— რაც შესაძლებელი იყო, ჩვენ უკვე მოვითხოვეთ.—დასძინა გვარამაძემ.

— არა, მე კიდევ ვეცდები, ხოსია ჩემო, ვეცდები ნორმა გავადიდებინო,— მიუბრუნდა ხოსიას შერვაშიძე, თითქო აქ მარტო ხოსია მოითხოვდა დენთის ნორმის გადიდებას და არა ყველა მუშა მთლიანად.

ქიშვარდიმ გვერდი აუქცია ამფეთქებლებს და ინგლისელ ინჟენერს, რომელიც, იქვე მახლობლად ბრეკზე შემდგარი, ბინოკლით ტყის დასალიერს ათვალიერებდა, მოწიწებით მკლავზე ხელი ჩამოჭკრა და აფეთქებულ კლდეზე ანიშნა.

— ისეთი ბიჭები შევურჩიე თქვენს სამუშაოს, რომ უნამუსო კაცი ვიყო, თუ ხუთი მანეთი ცოტა არ იყოს მაგათთვის დღიურად.

— მართალია, მართალია! ვეცდები ყველაფერი დაწვრილებით ავუხსნა სერ ჯონ ელიოტის: იქნება მოუმატოს კიდეც.

— დიდად დამავალებთ, სერ, დიდად დამავალებთ! სხვა არა იყოს რა, ამას თქვენი ინტერესებიც მოითხოვს, სამუშაო ჩქარა დასრულდება და გაზაფხულზე ტივების პირველ ქარავანს გავგზავნით ინგლისისაკენ.

ინჟენერი და ქიშვარდი ახალ სამუშაოს წაადგენ თავზე; ბურღზე მომუშავენი დაათვალიერეს.

— წელებზე რომ ფეხი დაიდგა, ამ წყლის კალაპოტის გაწმენდა მაინც არ მოხერხდება,—ფიქრობს შერვაშიძე,—რკინისგზას ინგლისელი იორქშირი აქ არ გამოიყვანს. გზატკეცილი არ გამოდგება.

ქიშვარდი ოცნებაში გაეხვია.

— ვხვეტავ და ვხვეტავ ამ სტერლინგებს, სანამ ინგლისურ სალარობზე მიმიწვდება, შემდეგ კი...—ქიშვარდიმ ულვაშებში გაიღიმა.—შემდეგ... ვინ იცის... სურების საკონცესიო ხე-ტყის პატრონი: სერ შერვაშიძე... ქიშვარდი შერვაშიძე... სერ კიშ. Da-c! ყველაფერი მოსალოდნელია...

ინჟენერი კარავს მიუახლოვდა. ქიშვარდიმ გვერდი აუქცია ინგლისელ სპეციალისტს და შარას აედევნა წყლის სათავის მიმართულებით.

— წაიგრძელებს ენას!—აუტყდენ ირაკლის ამხანაგები, როცა შერვაშიძე და ინჟენერი თვალიდან მოეფარენ.—სალახანა!

— ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკეთ, ამხანაგებო!

— წადი, შენი ამხანაგის...

— ლაქია!

— ქვემძრომი!

— წრის სხდომაზე მოგელაპარაკებით.

— კარგია, ამხანაგებო!—მიუბრუნდა მუშებს ილიკო ტოროტაძე, ჩვენ შევეცდებით ირაკლის ღირსეული პასუხი მოვთხოვოთ სადაც ჯერ არს, აქ კი... წავიდეთ ახლა სამუშაოზე.

— პასუხი?! მასა ჩემსკენ იქნება ყოველთვის, ამხანაგო ილიკო! ჩემს აზრს მასა დაიცავს ყოველთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ასე გგონია?!

— კომიტეტში ხომ დარწმუნდით...

— აგერ ბურთი და მოედანიც, ვნახოთ!!

— ვნახოთ!

— შეუძლებელის მოთხოვნა უაზროა და შეუძლებელიც! რომ მიატოვოს კონცესია და გაიქცეს ეს ინგლისელი, ხომ სრულიად უმუშევრად დავრჩებით ამდენი ხალხი?!

— რაო?

— „შვიდი დღე კვირაში": აბა, როგორ გგონიათ, თუ კი ხელს არ შეეუწყობთ მაგ ვიღაც ოხერ ინგლისელს, ადგება და მოუსვამს აქედან...

— მოუსვას, თუ მოუსვამს.

— მერე, შენ რა? დარჩები უმუშევარი და გათავდა!

— აბა, არ გვქონია საშველი უკაპიტალისტებოდ.

— გვიან შეგიტყვია! ბათუმში რომ როტშილდისა და ნობელის ქარხნები არ მუშაობდეს, სად შეინახავდენ თავს იგი შენი მეზობლები, დღეს რომ შაგრენის წყლა-მესტებით დადრან გამოპიწკულნი.

— აუუ, ჩემო ძმაო!—უკივლეს მუშებმა გვარამაძეს.

— ეს არის შენი პროგრამა?!—უკივლეს ირაკლის ზოგიერთებმა.

— წრის სხდომაზე მოვილაპარაკოთ საღამოს, ამხანაგებო!

— მოვილაპარაკოთ, მოვილაპარაკოთ!

მოულოდნელი შეხვედრა

ლალუმების გრიალმა შესძრა არე-მარე.

სუფსას ქუსილივით აედევნი დამაყრუებელი ხმაურობა.

ტყე შეზანზარდა. ქუხილი იქცა ორმაგ ქუხილად და დაძაძულ ნაძვნარზე შენარცხებული ჰაერის ტალღები გრუხუნით აედევნა უღელტეხილს მდინარის შესართავის მიმართულებით.

ჩიხში მიმწყვდეული უცხო მგზავრი შეკრთა მოულოდნელ აფეთქებაზე. მან თუმცა წინასწარ იცოდა სუფსის კალაპოტის გაწმენდის და ინგლისური კონცესიის შესახებ და ამ უკანასკნელ ხანებში თითქმის ყოველდღე, განუწყვეტლივ ესმოდა ლალუმების გრიალი, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა თუ ეს ხმაურობა ტობახჩის მიდამოებში ხდებოდა, ამიტომ სწორედ ცხვირწინ შეეფეთა აფეთქების ადგილს ბარში მიმავალი გზააბნეული მგზავრი.

შეეფეთა.

აფეთქდა, მაგრამ უვნებლად დარჩა პირველ და მეორე შეჯგუფულ აფეთქებაზე.

მგზავრმა თავისუფლად ამოისუნთქა. ერთი მოხედვაც—და მდინარის ახალმა კალაპოტმა მიიპყრო ყურადღება.

წყალმა იჩქრიალა ახალ კალაპოტში და ჟალტამი წალეკა ელვის სისწრაფით.

— გათავდა,—გაიფიქრა უცხო მგზავრმა და კიდობანა კლდისაკენ დაეშვა მუშებთან შეხვედრის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრი სათოფეზე მიუახლოვდა გარღვეულ კლდეს.

ახალ კალაპოტში მოთამაშე მდინარის ტალღებს დააკვირდა, რომ მოულოდნელად იხუვლა კლდის მარჯვენა ბრეკმა და მგზავრმა დაკარგა წონასწორობა, ორივე ფეხით წაიფორხილა, ყურები აუჟრიალდა და თითქო მიწა იძრა. მისი ტანი უნებურ მოძრაობას დაემორჩილა.

— წამიც—და შრაპნელივით წამოვიდა გრანატის ნატეხები, დაგორდა ტყიდან ჰაერში გატყორცნილი ლოდები და...

— მიშველეთ! —დაიღრიალა მგზავრმა სავსე მკერდით.

ქვიშითა და ნისლით დაიბურა იქაურობა, შეკუიშული ჰაერი ქარშეთივით მოასკდა მახლობელ ტყეს. მგზავრმა იგრძნო მძლავრი დაჯახება.

დაჯახება თეძოს არეში.

— მგზავრი ბალახებში გაიშხლართა, თითქო ფეხებში ცელი გამოჰკრესო.

საშინელი ტკივილი იგრძნო მარცხენა მენჯზე, მაგრამ ჩქარა შეგრძნობის უნარიც დაჰკარგა და ჩაიკეცა. აფეთქების ხმა მდინარემ გაიტაცა ჩვეულებრივად, და კიდობანა კლდის მიდამოებში სიწყნარე გამეფდა.

— ხმა გაიცინეთ, გეტყვი მე?!.

— ყრუ ვართ, რომ ვერ გაგვეგონა? —დასცინეს ხოსიას ამხანაგებმა.

— განა ლაღუმის, გეტყვი მე!

— მაშ?!

— „მიშველეთო“! მომესმა, გეტყვი მე, ალბათ ის თუ იყო, ირაკლი რომ ამბობდა:

— წავიდეთ!

— ვუშველოთ!

მუშების ჯგუფიდან საჩქაროდ განცალკევდენ სევე გვიჩია, ხოსია ტრაპაიძე და კიდევ რამდენიმე მუშა; განცალკევდენ და ირაკლის მითითებით ტყისკენ გაექანენ.

დანარჩენი მუშები ტექნიკოსს შემოეხვიენ გარშემო და ახალი სამუშაოს დაგეგმვას შეუდგენ.

მიდის სევე გვიჩია ტყის მიმართულებით და მუშტის ტოლა თვალებს ვეფხვივით აბრიალებს, დაკვერილ ბალახს აკვირდება, ჟალტამს ათვალიერებს.

მიაგნო: აგერ, ნაკვალევი. აქედან შორს ვერ გაიქცეოდა.

— „ქვის ნამტვრევები: ლოდები, ვაი თუ“...—ფიქრობს გვიჩია მგზავრის ძებნაში და ტყის სიღრმეს უახლოვდება.

— უ—უ—უ!—დაიყიჟინა სევემ, თითქო ბულამ დაილმუიალა; ყიჟინა მიასკდა უღელტეხილის ორივე მხარეს.

ბაიბური არ ისმის.

სევემ კიდევ დაიყიჟინა, რაზედაც გრძნობა დაკარგულმა მგზავრმა თვალები გაახილა, თეძოს არეში ტკივილი იგრძნო და თავი დაჭრილად წარმოიდგინა.

— პოლიცია თუ შემომესია!—გაიფიქრა ჯერ კიდევ გონს მოუსვლელმა მგზავრმა და უმალ თოფს წაწვდა, ხელბომბს დახედა, ქვას მოეფარა და თავდაცვის მიზნით, სასროლად მოემზადა.

გვიჩიას ხმაურობა შემოესმა. დაუყურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეი, რომელი ხარ?!—განგებ შეუძახა გვიჩიამ და ბალახებში შეიჭრა:— ხოსია, ღელის პირად წამოუარე!

— კი წამოუარ, გეტყვი მე, მაგრამ იქნება მოელანდა ვინმე ირაკლის.

— შველას რომ ითხოვდა... შენ თითონ არ ამბობდი... არა, ხოსია, არ შეიძლება ვინმე არ იყოს.

მგზავრი გაიტრუნა, მუშების ლაპარაკს მიუყურდა, იცნო.

— ვინ იქნებოდა... — ეკითხება გვიჩიას თავისიანებს.

— რა ვიცი. ალბათ მწყემსი იქნება.

— ან შეიძლება ყავრის ოსტატი იყოს.

გვიჩია შედგა.

— უუუ.—სცადა მან ერთხელ კიდევ დაყიჟინება.

— უთუოდ მუშებია. დამეძებენ.—გაიფიქრა მგზავრმა და თვითონაც—აღარ დააყოვნა გვიჩიას დაძახებაზე.

ყიჟინაზე ყიჟინით უპასუხა.

— ის არის.—წამოიძახეს ერთხმად მუშებმა და ჟალტამს მოედვენ გაფაციცებით.

— სადა ხარ, ვინ ხარ?

— მე ვარ... დაბლა ჩამოდით.—მოისმა პასუხი.

მგზავრი წამოდგა. შეგებება მოინდომა, მაგრამ თეძო აღარ დაემორჩილა და, მენჯმოშლილი, ქვაზე ჩამოჯდა.

ყოველი შემთხვევისათვის თოფი წკიპზე შეაყენა.

სევე წაადგა მგზავრს თავზე.

საბრძოლველ მდგომარეობაში აღმოჩნდა უცხო მგზავრი.

— ვინ ხარ?—იკითხა შემკრთალმა სევემ. „იარაღი მაინც წამომეღო“— გაიფიქრა მან თავისთვის და ოდნავ შეწუხდა.

მგზავრს ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა. დააკვირდა.

მგზავრი შედგა. სევე ემცნაურა. თოფი დაბლა დახარა და გახარებულმა ტუჩები ღიმილით დაიმშვენა.

გვიჩია დაიბნა.

— ვინ უნდა იყოს?!—შეეკითხა სევე თავის თავს, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა, მგზავრი ნაცნობებს ვერ მიამსგავსა.

— სევე!—წამოიძახა მგზავრმა, ერთბაშად, როცა დარწმუნდა, რომ ის მოულოდნელად შეხვდა გვიჩიას სურების ტყეში.

— ნაცნობია, გეტყვი მე...

— სევე.—კვლავ წამოიძახა მგზავრმა, თოფი ხელიდან გააგდო და შესაგებებლად წაიწია.

სევემ თვალები გააცეცა. ნაძალადევად გაიღიმა, მგზავრს რამდენჯერმე ახედ-დახედა, თვალებში ჩააშტერდა, ცხვირზე დააკვირდა, მაგრამ... „ფუი, ასეთ მახსოვრობას!“ ვერაფერი მოიგონა, ვერ იქნა, ვერ შეიცნო უცხო მგზავრი.

ბოლოს გონს მოვიდა. თავი სამეგრელოში წარმოიდგინა, „ნუ თუ?“—გაიფიქრა და დარწმუნებულმა, რომ გუმანი სწორად მიიტანა თავის მეზობელზე, დაუფიქრებლად წამოიძახა:

— ბეგლარ!

— სევე! ჯიმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან? როგორ? ეგ წვერი?—სევე ბეგლარს წვერზე მიაშტერდა, სიხარულით ცას დაეწია. აცქმუტდა, ბავშვივით აფართქალდა.

— შენ საიდან? აქ როგორ გაჩნდი?

ბეგლარი და სევე გვიჩია თვალებგაბრწყინებულნი ერთმანეთს გადაეხვიენ, და ლამის ყველაფერი გამოაშკარაევს წინდაუხედავი მოკითხვითა და ძველი ამბების მოგონებით, მაგრამ ფრთხილი იყო ბეგლარ ძიგუა, ამჟამად ბეგი ლადარიად წოდებული. სევეც—მრავალ ჯანდარაში გამოვლილი და საკმაოდ გამოცდილი.

— წავიდეთ, შინ ვისაუბროთ,—თქვა სევემ.

— წავიდეთ,—დაემოწმა ბეგლარი და ფეხზე წამოდგა.

სევე შეიკმუხნა, როცა ბეგლარმა ფეხის გადადგმაზე მწარედ დაიკვნესა, და მოულოდნელი სიხარული მწუხარებად შეეცვალა სახეგაბრწყინებულ გვიჩიას.

— რა მოგივიდა, ბეგლარ. საფრთხილო ხომ არაფერია?!

— არაფერი. თქვენმა ლაღუმებმა დამაჯილდოვეს! ლოდი მომხვდა, ტყიდან დაგორებული, და როგორც ვატყობ, თეძოს ძვლები დამიზიანდა,—თქვა და გაიღიმა, გაჭირვებით ნაბიჯი გადაადგა, ყავარჯენის მაგიერ თოფზე დაეყრდნო.

— მოდი, ხოსია, მხრებში შევუდგეთ!—მიმართა სევემ ხოსიას, როცა შეატყო, რომ ბეგლარს სიარული უძნელდებოდა.

— სად წავიყვანოთ?—ჩუმად იკითხა რომელიღაც მუშამ.

— ჩემსას. გეტყვი მე... ჩემი და მოუვლის,—ხმამაღლა თქვა ხოსიამ.

— ჩემი და...—ჩაეწვეთა ყურში ბეგლარს და რატომღაც ტანში გააჟრჟოლა.

— წავიდეთ!

სევე და ხოსია მხარში ამოუდგენ ბეგლარს და ჟალტამიდან დაიძრენ.

გზაში ხოსია ეკითხება ბეგლარს:

— საიდან მოდიოდი, ამხანაგო? აქ როგორ გაჩნდი?!

ბეგლარმა პასუხი არ დააყოვნა, სევეს თვალი ჩაუკრა და დაბალი ხმით დაიწყო:

— მთაზე ვიყავი. საყავრე ნაძვები დავათვალიერე.

ხოსიამ ეჭვის თვალით გადახედა ბეგლარს და გულში გაიფიქრა: „თოფი, ნაბადი, იარაღი, აქ რაღაც სხვა ამბავია“.

ხიდზე გავიდენ. სოფლის შარას დაადგენ.

— მით უკეთესი, თუ „ისეთი“ ვინმეა;—დაასკვნა ხოსიამ და ეზოს ჭიშკარი შეაღო.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი

დაბრუნდა თუ არა ძიკი ხეთაში, მაშინვე ოჯახურ საქმეებს მოეკიდა: ისლგადამძვრალი ფაცხა გამოხურა, ჯოკები ახალი წირეხით გამოიკრა, საჯორგი გაუკეთა, შეფუთნა, გააკოხტავა; გაპარტახებული ეზო შქერის წკნელითა და აკაციის სარებით შემოღობა, ეზოს ახალი ჭიშკარი აკიდა, საზამთროდ შეშა მოიმარაგა.

ძიკი გაიტაცა ოჯახურმა საქმიანობამ, თუმცა ჩიჩიასთან სიარულსა და საიდუმლო თათბირებსაც არ ივიწყებდა გამდიდრებისა და გადიდკაცების სურვილით თავბრუდახვეული.

— ცარიელი ხელებით რა უნდა გავხდე?! არც სახლი, არც საქონელი, აღარც ფული და აღარც ნდობა ხალხის თვალში. შელესული ფაცხა, ჭვარტლიანი ბინა და... და სხვა არაფერი.

რა ვქნა? რა ვიღონო? როგორ მოვიქცე? გავიდე სამუშაოდ?!.—ძიკი ფიქრებს ვერ ართმევდა თავს და გულშეღონებული გავერანებულ ეზოში დაეხეტებოდა. დაეხეტებოდა და დროგამოშვებით ხმამაღლა ოხრავდა.

სალომე ძიკის არ ეკარებოდა, გაოგნებელი, ხან ეზოში დაბორიალობდა, ხან მეზობლებში და მუდამ ბეგლარზე ფიქრობდა.

დღე ისე გავიდოდა, ძიკის ერთხელ არაფერს კითხავდა, იჯდა, გლოვობდა თავის ბედსა და მოსწრებას და ბეგლარის სადღენგრძელოდ ლოცვებს ამბობდა, ღმერთისა და მღვდელმსახურების ბევრი არაფერი სწამდა სალომეს, მაგრამ განგებისა კი ეშინოდა; ქვეყნისა და ზეცის ბატონ-პატრონად განგება მიაჩნდა.

— ძიკის გაზრდას გველი გამეზარდა... ეს სამიწე ძუძუ მაგ დასამეხებლის მაგიერ ძაღლის ლეკვისთვის მეწოვებია.

სალომე ოხრავდა, იცრემლებოდა, გულმკერდს იპოტნიდა და ძიკის საქციელით გამწარებული სიგიჟის პირად მოდიოდა.

— ძმას უღალატა, მამის ანდერძს შეაფურთხა. ღორონთი! ეგ რა გამიჩინე საჭიროდ და სავალალოდ!

სალომე ძირს ქვეყანას იხსენიებდა წყევლა-კრულვით და მაღლა ზეცას შიშითა და კანკალით აყვედრიდა თავის უბედურებას. არაფერი აღარ ახარებდა სალომეს დამეხილ გულს. ძიკის ოჯახურ საქმიანობას გულამრეზილი უყურებდა.

მეზობლებს უკვირდათ სალომესა და მისი უმცროსი შვილის, ძიკის, ასეთი გულცივი დამოკიდებულება.

— ბეგლარზე ამოუდის მზე!

— ბეგლარი საფიცრადა ჰყავს!

— ბეგლარი აკერია ენაზე,—ამბობდენ მეზობლის ქალები.

— ნეტა, რად შეიძულა უმცროსი ბიჭი?!

— ამბობენ, ავი ყბის პატრონი არისო.

— იმასაც ამბობენ, რომ ბეგლარს უღალატაო, გასცაო...

— ჰო და დედამისიც მაგისთვის ემდურის თურმე...

— ნუ იტყვი, ქალო!

— ბეჩა, რა ესმის აგი ჩემს ყურებს?!

— ასე ამბობენ და ყურს ვერ დავიფსებ!

— სისხლად და ბოლმად მაგისთანა შვილი!

— მაგას იძახის უბედური დედამისიც!

— უიმე, უიმე! ახლა კი მეცოდება მაგ შავდღეზე გაჩენილი სალომე. უიმე, შე საცოდავო!—გამოჰქონდათ დასკვნა იმავე დედაკაცებს.

— მომილოცავს, სალომე, შვილის დაბრუნება,—საეჭვო გულწრფელობით მიულოცა სალომეს დუქნებიდან შინდაბრუნებულმა უჩა ურიდიამ და კარგა ხნის უნახავ მეზობელს ხელი გაუწოდა.

— ნეტა სულ არ გამჩენოდა, შენს დღეგრძელობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ, დაო სალომე, ღმერთს რისთვის სცოდებ... ჩემი ოჯახი დააქ-ცია და დაამხო, თორემ... შენ რა გაქვს სამდურავი!—ურიდიამ თავი ჩაღუნა, შეკრეჭილ წვერზე ხელი ჩამოისვა და ტალახიანი ყავარჯენი ქვის კიდეს მოუ-კაკუნა.—მცოდნოდა პატივისცემას ასე დამისწავლიდა, მაშინ ვანახებდი მაგას ვინ იყო უჩა ურიდია... დღეს ყველაფერს მემართლება. კიდევ იმ შენი უფროსი ბიჭის ხათრი მაქვს, შვილებს გეფიცები, თორემ.—უჩამ პირჯვარი გამოისახა,— დღესვე წავიდოდი გუბერნატორთან და ციმბირს აქით არ მოვახედებდი მაგ ნამუსზე ხელდარეცხილს...

— უი, ეგ მოუკვდა დედამისს.

— ცალკე გოჩა გადამეკიდა: „კარავზე შენ გამომიგზავნეო", ცალკე მეც ვხედავ, რომ ოჯახი დავაქციე... ათი წლის თავნაყარი წყალში გადავყარე, ქარს გავატანე...

ურიდიამ მწარედ ამოიოხრა და აღელვებულმა წვერი კიდევ უფრო მაგ-რად ჩამოიფხიკა.

— შვილად არ მინდა... სისხლ-ხორცად არ მიმაჩნია. დამიჯერე, უჩა, შვი-ლად არ ვიფიცებ, მაგრამ რა ვქნა. სისხლში ხელი როგორ გავისვარო ამდენი ხნის ქალმა.

— როგორც ამბობენ, სამსახური კარგი უშოვია.—შენიშნა უჩამ გესლიანად.

— რა სამსახური... არაფერი უთქვამს...

— მაზრის უფროსის განკარგულებით, ჩიჩიას მოადგილედ დაუნიშნავთ შენი ვაჟიშვილი, ნუთუ არ შეგიტყვია?.. ალბათ დიდი დამსახურება მიუძღვის, თორემ... ურიადნიკობა ასე... მოულოდნელად...

სიტყვა „მოულოდნელის" მაგიერ რაღაც სხვა უნდოდა ეთქვა ურიდიას, მაგრამ ენა შეუბორძიკდა და უნებლიედ „მოულოდნელად" წამოიძახა:

— უიმე, შვილო!—დაბალი ხმით შეიცხადა სალომემ—და ამ ამბის გამგო-ნეს გული შეუღონდა.

შარაზე დუქნებიდან მომავალი ძიკი გამოჩნდა.

ურიდია შეკრთა ძიკის დანახვაზე, სალომესთან საუბარი გასწყვიტა და წასვლა დააპირა.

ძიკი ურიდიას მიესალმა.

უჩამ დუმილით უპასუხა ძიკის მისალმებას და ზურგი შეაქცია.

— ზურგი შემომაქციე! მე შენ გიჩვენებ თამაშას!—გადმოყარა დორბლი ძიკიმ და ხანჯალს ჩააფრინდა.

— ქრისტეს ფეხის მტკვერელო!—აკაპასდა სალომეც, მაგრამ ძიკის ყურა-დღება ისევ ურიდიასკენ იყო მიქცეული, ისევ ურიდიას „თავხედობაზე" ფიქ-რობდა შეურაცყოფილი ურიადნიკი.

— მემდური, რადგან თავისუფლად დადიხარ ცოდვილ დედამიწაზე?!.

— ვისთვის ცოდვილია, მართლაც, ეს ქვეყანა, მაგრამ ურიდიას, ცოდვები მართლაც რომ შეუწყნარებელია და მიუტევებელი.—ორაზროვანად თქვა ური-დიამ და წვერი ჩამოიფხიკა.—ურიდია გიჟია გიჟებს შორის და რეგვენი რეგ-ვენთა შორის.

— დაიგმინა ურიდიამ და ძიკისაკენ პირი იბრუნა.—შენ ციმბირი გაგი-გონია ძიკი!—აკანკალებული ხმით. იკითხა ბოლოს ურიდიამ და ყავარჯენს დაეყრდნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამიგონია. სიბერის ჟამს აგარაკად გამოგადგება. ვეცდები სათანადოდ გიშუამდგომლო.

— ჩაჩიასთან რას არ გააწყობ,—შენიშნა უჩამ.

— რაკი სოფლის მწერლობა წაგართვა, ახლა ჩიჩიასაც ემდური? წინად... წინად რატომ არაფერს ამბობდი?!

ურიდია ძიკის მიუახლოვდა, გულგრილად ახედ-დახედა და რაკი თვალი შეავლო, რომ ძიკი ხანჯლის ტარს რაღაც საეჭვოდ ატრიალებდა, თვითონაც არ დააყოვნა ჭაღარა ურიდიამ ხანჯლის ტარზე ხელის წავლება.

— ჩიჩიასთან ეთრევი, ურიადნიკად ემზადები?—ჩაერია სალომე ლაპარაკში და ძიკის ზიზღით გადახედა.

—კმარა, დიაჩქიმი!— ძლივს მოიბრუნა სული ძიკიმ და უსაზღვრო აღშფოთება გულში ჩაიკლა. ძიკი გრძნობდა დანაშაულს, გრძნობდა და აშკარად ხედავდა უღირსი საქციელის შედეგებს, მაგრამ... „ოჯახი მინდა, მიწა-მამული მინდა ქონება, სახლ-კარი, სახელი და დიდება. მინდა მიცნობდენ საბოქაულოში მაზრაში, გუბერნიაში, იმპერიაში მინდა პირველი კაცი ვიყო ჩემიანებს შორის ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს შორის. მინდა წარმატება, მინდა სიმდიდრე მინდა... მინდა და...

— ძიკი ოცნებაში შეტოპავდა. წარსულს იგონებდა, მომავალს ითვალისწინებდა. „რევოლიუციაში მე ვინ გამახარებს?!. ძმა რომ ძმა არის, ისიც კი მეჯიბრებოდა პირველობაზე. ჯერ რევოლიუცია სიზმარცხადიც არ არის და ის კი წინდაწინვე მეჯიბრებოდა. პირველობას იჩემებდა, მბრძანებლობას ლამობდა, ლამობდა თავის გამოჩენასა და ამოტივტივებას. ძმა... ძმა ძმის მიმართ... სხვები ხომ... არა! შენი არჩეული გზა სწორია, ძიკი ძიგუა! რევოლიუცია სიზმარია, რევოლიუცია ახალი სახარებაა... ახალი სარწმუნოება.

სანამ სიახლე გზას გაიკაფავდეს, სანამ ოცნება სინამდვილედ იქცეოდეს, შენი ძვლებიც კი არ დარჩება დედამიწის გულში. ძველი გზა კი ნაცადია, გათელილი და გატკეპნილიც. ჩინი, ჯვარ-მენდლები, სახელი და დიდება. განუსაზღვრელი უფლებები და პატივისცემა. მე რევოლიუცია არ მესმის, მე არ ვიცნობ რევოლუციას. სამაგიეროდ არც რევოლიუცია მიცნობს მე. მე ვხედავ, თუ როგორ მიიწევენ წინ ჩემი ტოლ-სწორები. მე ვხედავ, თუ როგორ წარჩინებას აღწევენ ზოგიერთები სრულიად მცირე დროის განმავლობაში მეც მინდა სახელი და დიდება, მინდა ფული და სიმდიდრე. მაშ წინ ძიკი ძიგუა; შენი და შენი ძმის, ბეგლარის, გზა სხვა და სხვა მიმართულებისაა. ერთმანეთს არ შეხვდებიან, არასოდეს გადაჯვარედინდებიან... ასეთია ჩემი არჩევანი, და წინ, წინ მეთქი, მშიშარო ძიკი!“

ძიკიმ თვალები გაახილა.

ხანჯლის ტარზე ხელწავლებული ურიდია იდგა მის წინ და დაფიქრებული მიწას დაჰყურებდა.

— მაშ ასე... ციმბირითაც მემუქრები!

დაბლა თქვა ურიდიამ, ძიკის თვალებში შეხედა და უცებ მიახალა:—პასპორტი, ჩემი პასპორტი ციმბირშიაც მიგიყვანდა.

ურიდია დადუმდა.

— პასპორტი! პასპორტი ბეგლარმა ამოიჩემა, თორემ ან შენს კარავთან რა მესაქმებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვა რაღა მესაქმებოდა... მიზანს ხომ მიახწიე. ფულიც გექნება და თანამდებობაც. ჩიჩია... ჩიჩია რას არ გაგიჭახრაკებს.

— ბოდავ! სიცხე გაქვს!—აიტკიცა ისევ ძიკი და თვალები თითქო წამოცვენას ლამობენო.

— მე თუ გინდა შორებელი ვიყავი... ბეგლარი ხომ...—აჩიფჩიფდა ამღვრეული ურიდია.

— რა?

— ვიცით, ყველამ კარგად ვიცით... შენი გზა მოკლეა, ძიკი... შორს ვერ წაგიყვანს. ჩაიჩეხები... ხალხი დიდია, ხალხის ძალა განუსაზღვრელია. მე მოძრაობის კაცი არ ვარ, მაგრამ მომავალი მოძრაობისაა, შენ კი... ჭაობისკენ ეშურები, სიდამპლესა და შმორის სუნს ვერ გრძნობ ახალგაზრდა კაცი... გაიგუდები, ძიკი, გაიგუდები!—ურიდია რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა ძიკის და უკან არ მოუხედია, ისე ბუტბუტით გასწია შინისაკენ.

ურიდიასთან ერთად სალომეც დაიძრა ადგილიდან, და გაშეშებული ძიკი დარჩა შუა შარაში.

— მაშ ყველაფერი იციან?—ფიქრობდა ძიკი—იციან, რომ მე კარავზე თავდასხმის მონაწილე ვარ, ისიც იციან, რომ მე ბეგლარის... არა, ეს არ იციან, საიდან გაიგებდენ... ბეგლარმაც არ იცის... რომ სცოდნოდა. ხომ თუმცა... არა, წამოსვლისას რად მითხრა: მომავალში შევხვდებით და მაშინ მოვილაპარაკოთო?!—

— ძიკი ისევ დაფიქრდა თავის აწმყოსა და მომავალზე. დაფიქრდა ბოლო დროის თავის არჩევანზე, რომლის მიხედვით სამოშაო გეგმაც შეადგენდა, დაფიქრდა ჩიჩიასთან კავშირზე და...

— არა, ჩემი გზა სწორია! ურიდია უნდა განადგურდეს მთელი ოჯახით... ბეგლარი... ბეგლარს თავის გზას მიუჩენენ, ასე რომ ჩვენ ერთმანეთს გზაში არ შევხვდებით.

სოფელში და საბოქაულოში კი-მეტი სიმტკიცე, ნებისყოფა... შეუბრალებელი და სასტიკი ნებისყოფა... დიახ, სასტიკი და ულმობელი. მაშინ... მაშინ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია. ალმასვლის ხაზი გამართული და გასწორებული. დღეს ნიადაგი ნოყიერია და, მაშასადამე, წინ, წინ, ძიკი ძიგუა. გასწი და გაიმარჯვებ.

სავსე ჭიქა

ბეგლარი მიიყვანეს ხოსიას ოჯახში.

დაფაცურდენ ოჯახის წევრები: ავადმყოფ სტუმარს ფიცხლავ ლოგინი გაუშალეს. თეძოზე, მოხუცი ბებიას რჩევით, მოთუშული ანწლის ფოთოლი შემოაწყვეს, თბილად შეუხვიეს და, ყოველი შემთხვევისათვის, სოფლის ფერშალთანაც კაცი აფრინეს.

პირველად ტკივილებმა უმატა ბეგლარას. თეძოს ძვლებმა ტეხა დაუწყო, მაგრამ ჩქარა მოხუცი ბებიას „მკურნალობამ“ გასჭრა, და ბეგლარს დაქექილი ადგილი თითქმის დაუამდა, სევესთან საგულდაგულო საუბარი გააბა, საეჭვო ამბები და ხოსიას მდგომარეობა თუ ვინაობა მეგრულად გამოიკითხა და როცა დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო ხოსიასა და მისი ოჯახის სრული კეთილსაიმედობის შესახებ, გულახდით უამბო ბეგლარამა გვიჩიას თავისი შორეული თუ უახლოესი თავგადასავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩიას გაკვრით გაგონილი ქონდა ბეგლარისა და ძიკის გაქცევის შესახებ. ისიც იცოდა, რომ მირზახანის მკვლელი ბეგლარი იყო, ამიტომ საპასუხოდ გვიჩიამაც იჩქარა ყოველივე დაწვრილებით ეამბო ბეგლარისთვის, და თავიდან დაიწყო მან თავისი თავგადასავალი.

— გადაგვასახლეს,—თქვა გვიჩიამ, როცა მირზახანის მკვლელობის შემდეგ საბერიოში მომხდარი ამბები მოათავა,—როგორც მახსოვს, ეს იყო აპრილში, თუ მაისის დასაწყისში. ეტაფით ჩამოგვიყვანეს სენაკის სადგურში, ჩაგვსხეს სატუსაღო ვაგონში. თექვსმეტი ვიყავით სამეგრელოდან, ფოთიდან მოყავდათ ხუთი ტერორისტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე იატაკქვეშ მომუშავე წევრი (ყველაფერი ეს გზა და გზა გამოვარკვიეთ). პირველად ჯგუფ-ჯგუფად ვიჯექით ჩვენ-ჩვენთვის. ერთმანეთს არ ვიცნობდით. ვაგონში ცხელოდა, ფანჯრები გამოკეტილი იყო. კარებზე დარაჯები იდგა. საშინელი სუნი ტრიალებდა ხულის ოდენა ვაგონში. სუნთქვა შეუძლებელი შეიქნა. შევწუხდით. ფანჯრის გაღება მოვითხოვეთ. უარი გვითხრეს. მოხუცს ალანიას გულის ფრიალი აუვარდა. წამდაუწუმ გული მისდიოდა, სული ეხუთებოდა. მოვითხოვეთ ექიმი. ყურს არავინ გვათხოვებდა. ფერი წაუვიდა საბრალო მოხუცს. მიტკალივით გახდა. ავტეხეთ განგაში, დავცხეთ კედლებსა და იატაკზე, რითაც კი შეგვეძლო, ვახშამზე გაფიცვა გამოვაცხადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით: ფანჯრებს არავინ აღებდა. ჰაერი ისევ მოშხამული იყო და შეხუთული. ალანია იწვა გულაღმა და სუნთქვა არც კი ეშჩნეოდა. ასე მივაღწიეთ ყავკავამდე. ყავკავში მოხუცმა თვალი გაახილა. მე მიკითხა, ახლო დამისვა და ხრიალით დაიწყო; „სევე... მე ციმბირამდე ვერ მივაღწევ. ზეზეურ არ დამტოვოთ... საფლავი გამითხარეთ და ქვის სასთუმალი გამიკეთეთ... შინ.... შვილიშვილები...“—მოხუცი აფართხალდა... ხელები ააფათურა, თვალები გაუშტერდა და... სული განუტევა.

— მოკვდა?! საცოდავი!..—მოიწყინა უცებ ბეგლარმა.

— მოკვდა. როსტოვში დავასაფლავეთ, ქვის სასთუმალიც გაუკეთეთ—ნაწყვეტებად თქვა გვიჩიამ და თვალის უპეები დაუსველდა.—ახლაც თვალ წინ მიდგას საბრალო მოხუცის თვალები. სიცოცხლეს შეგვთხოვდა ყველას. სიკვდილი უმძიმდა. ეშინოდა, აკანკალებდა. ჰაერი არ ყოფნიდა, პირდაღებული სუნთქავდა. „ოლონდაც ვიცოცხლოთ და გადასახლება რას დაგვაკლებს“—გვაიმედებდა ყველას საბრალო, განსაკუთრებით ახალგაზრდებს:„ მომავალი თქვენია, ციმბირმა როდი უნდა შეგაშინოსთ, იბრძოლეთ და გაიხარებთ“... ეჰ, გული დამთუთქა მოხუცის ასე უმიზეზოდ დაღუპვამ, მაგრამ...

სევე დადუმდა.

ბეგლარი ფიქრებმა გაიტაცა. თვალები გაუშტერდა. ანთებული სახე ჩაეფერფლა, ნაცრისფერი გახდა.

— უმიზეზოდ...—მაშინალურად გაიმეორა ბეგლარმა და, ბალიშიდან წამოიწია,—მიზეზი ხომ მე ვიყავი თქვენი ასე გაწამების...

— რატომ გგონია, ბეგლარ!—გაიღიმა ოდნავ გვიჩია.

— მგონია და ეს ასეც არის. მირზახანი მე მოვკალი.

— მერე?

— მერე, მე ტყეს მივეცი თავი და საბრალო ხალხი კი... ჰოი, საცოდავო ალახია!—ბეგლარს გული აუჩუყდა, ლოგინზე შეწრიალდა. უცებ თეძოს ტკივილებიც გაუახლდა და მოულოდნელად დაიკვნესა. ოთახს თვალი მოავლო და

როცა იქაურობა ეუცხოვა თითქო ახლა გამოერკვაო, სევეს ისევ მოლიმარი სახე უჩვენა და იქვე ტახტზე მხართეძოზე წამოწოლილ ხოსიას ღიმილითვე მიუბრუნდა:

— ხოსია ჩემო! ერთი ცივი წყალი, თუ შეიძლება...

— „ წყალი.—სწრაფად წამოდგა ხოსია ტახტიდან—ღვინო მიირთვი, გეტყვი მე!..

— არა, წყალი მირჩევნია. წყალს ბავშობიდანვე დაჩვეული ვარ,—შენიშნა ბეგლარმა.

ხოსია აივანზე გავიდა.

— ნათელა!—გასძახა მან სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებს.

— რა გინდა?—მოისმა ნათელას წყნარი ხმა.

ბეგლარმა ყურები ცქვიტა: „ჩემი და მოუელის“, მოაგონდა უცებ და ერთი წუთით ტკივილები მიუყუჩდა, თავისუფლად ამოისუნთქა და გამოურკვეველი სიხარული გულში ჩაეწვეთა.

— ცივი წყალი მოგვიტანე, გეტყვი მე!

ხოსია ოთახში შემობრუნდა და ისევ საუბარს დაუგდო ყური.

— შემდეგ.— მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ბეგიმ.

— როსტოვის ციხეში ორი თვე გაგვაჩერეს. აგვისტოში ტუსაღები გაგვანაწილეს: ბექაია როსტოვში დატოვეს.

დაბრუნებისას შევიტყვე: ბექაია ტიფით გარდაცვლილიყო.

— ისიც?! —აპოიოხრა ბეგიმ და, თითქო საბერკელმა დაიქშიტინაო, მძიმე სუნთქვა ამოხდა მწარე ამბებით გულდამძიმებულს.

— ხუბულავა და ჯანაშია თურუხანისკენ გაისტუმრეს, მე და ჟვანია ორენბურგში.

— ორენბურგში?— დაწკურა თვალები ბეგიმ, თითქო რალაცას იგონებსო.

— ჰო! ურალის მხარეშია. ურალის მთების კალთებზე.

ცივი ქვეყანაა. ქალაქი უწესრიგო და ბინძური. ღამის ორ საათზე მიგვიყვანეს ორენბურგში. სამართველოში გაგვაჩერეს. დარაჯები გამოგვიცვალეს. უცებ ატყდა განგაში: საგუბერნიო სასურსათო სწყობს ცეცხლი გაჩენოდა. აირია ყველაფერი. გამოგვრეკეს დერეფანში, კარები ჩაგვიკეტეს.

აგერ: დერეფანი პატარა ვიწრო ფარდულით თავდება.

ფანჯარა მოჩანს. ეტყობა გამოკეტილია. ჟვანიას დაველაპარაკე, ფანჯარაზე მივუთითე. არავინ არაფერი შეგვნიშნა. მივიწიეთ ფანჯრისკენ. ბორკილები ახსნილი გვქონდა, დერეფანში ხმაურობამ იმატა. მოვშინჯეთ ფანჯარა: ადვილი გასაღებია. ბევრი აღარ დავაყოვნეთ, ვისკუპეთ და მოვუსვით კარებისკენ. ალაყაფის კარებში დარაჯი იდგა. სინათლეს მოვერიდეთ. ფეხაკრეფით მივუახლოვდათ დარაჯს და თავს დავესხით, პირზე ქუდი მოვაფარედ. გავგუდეთ. გარეთ გავათრიეთ. იარაღი ავყარეთ, ტანისამოსი... თვითონ კი ცოცხალ-მკვდარი გალავნიდან კარგა მანძილზე დავტოვეთ და ვიკადრეთ გაქცევა.

ბეგლარს თვალები გაუბრწყინდა, ალტყინების არშია გადაეკრა აელვარებულ სახეზე.

— გამოიქეცით, გეტყვი მე!.— იკითხა ხოსიამ.

— გამოვიქეცით. ღამე ვიღაც საეკვო მოხუცი ქალის ბინაზე გავათენეთ (ორენბურგში ბევრია საეკვო ოჯახი). დილით ძველი ტანისამოსი და გახუნებული პალტოები შევიძინეთ. იღბლად ფული მეც მქონდა, ჟვანიასაც. მოხუცი დედაკაცი დიდი გამოქნილი ვინმე აღმოჩნდა. ყველაფერი საჩქაროდ გაგვიჭახრაკა, საგზალი მოგვიმზადა, და ორი დღის შემდეგ დავიძარით ორენბურგიდან. გზაში ხან ეტლით ვიარეთ, ხან მატარებლით, მეტწილად კი ქვეითად. ფული შემოგვაკლდა. გაგვიძნელდა მოგზაურობა. ჟვანიამ ცარიცინში არჩია დარჩენა, მე კი ერთი თვე ვიღაც მემამულისას ვიმუშავე. საგზაო ფული შევაგროვე და შინისკენ მოვუსვი. მოვიჩქაროდი, დედის დარდი მაწუხებდა...

ბეგი უცებ შეიჭმუხნა. დედის ხსენებაზე უგუნებოდ შეიქნა. „საბრალო დედაჩემი.“ — ჩაურთო ბეგიმ და ამოიოხრა. — „რვა თვეა აღარ მინახავს“...

— სიგლახე მოგსვლია. გავძვრებოდი. ვინ გნახავდა. თუ გინდაც ენახე ვისმეს, კრინტის დაძვრას ვინ გაბედავდა.

— შენ მართალი ხარ სევე. სიგლახე ჩავიდინე. — უყოყმანოდ დათანხმდა ბეგი.

— დავბრუნდი სამეგრელოში, — განაგრძობდა გვიჩია, — მალულად ერთი თვე ვიცხოვრე, მაგრამ როცა ჩიჩიას ჯაშუშებმა სუნი აიღეს, შემთხვევით გავიგე სურების ხე-ტყის კონცესიის შესახებ და, როგორც ხედავ, ძის შემდეგ აქ ვაფარებ თავს.

სევე დადუმდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ბეგლარმა ლოგინზე გვერდი მოინაცვლა, ფანჯარაზე ხელით ნაქარგი ფარდა გადასწია და ეზოში გაიხედა.

გაყვითლებული მოჩანდა არემარე, ზაფრანას ფერი, უსიცოცხლოდ უბერავდა სუსხნაკრავი ნელქარი. შემოდგომის, სითბო გამოლეული მზე თაფლის საბოელივით ლაპლაპებდა.

— ბეგლარ! — მიმართა გვიჩიამ ბეგის.

ბეგლარი შეიშმუშნა. გულზე სატინის თხელი საბანი შეისწორა, ხელით ნაქსოვ ბალიშს დააკვირდა, წითელი ძაფით ამოქარგული „ნათელა“ ამოიკითხა.

გაიღიმა. ფერმა გადაჰკრა.

— იცი, ბეგლარ, — გაიმეორა ისევ გვიჩიამ.

— დამაცა, სევე! შენ იცი, რომ მე ბეგლარის ნაცვლად ბეგის მეძახიან, გვარად ლადარია გახლავარ.

სევემ გაიღიმა, — ყველაფერს მიხვდა.

— ბეგი ლადარია! კარგა მონათლულხარ!

— რა გაეწყობა.

— რა გვარი ხარ, გეტყვი მე?! — იკითხა ხოსიამ.

— ლადარია.

— ბეგი ლადარია, აზნაური იქნები. გეტყვი მე!.. — ბეგის ღიმილმა გადაჰკრა, სევეს ეშმაკურად გადახედა.

— რა ფასი აქვს ახლა აზნაურობას...

ოდის აივანზე ნათელა გამოჩნდა.

ნათელა ოთახში შემოვიდა, სევეს მიესალმა, ლოგინად ჩავარდნილს ბეგის მორცხვად გადახედა, და მოულოდნელი სიწითლისაგან ლოყები აეწვა.

— იცნობდე გეტყვი მე... მეგრელი კაცია. ლადარია გვარად. სახელად ბეგი ჰქვია გეტყვი მე! ჩემი დაი არის, ნათელა, — გააცნო ერთმანეთს ხოსიამ ბეგი და ნათელა. — ჩვენი ლაღუმების აფეთქებაზე შემთხვევით დაზიანდა, გეტყვი მე! წყალი დაალევინე.

ნათელა თავჩაქინდრული მიტრიალდა სასტუმრო ოთახისაკენ, განჯინა გამოაღო, ჭიქა და ლამბაქი გამოიტანა, თუნგიდან წყალი დაასხა და ბეგის მიაწოდა. ბეგიმ მორცხვად ჩამოართვა სავსე ჭიქა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალს, მორცხვად, მაგრამ სულით და გულით გადაავლო თვალი ნათელას მოხდენილ თვალტანადობას, სუბუქ ფეხებზე სიარულს... და ისევ ჭიქას გახედა, სადაც ბროლისა და წყლის ფერი ერთმანეთში გადადიოდა და თუ არ მჭრელი თვალები ვერ გაარჩევდენ ცალიერი იყო, თუ სავსე კრიალა წყლით პირამდე ავსებული ჭურჭელი. ბეგიმ ბაგეზე მიიდვა ჭიქა და დინჯად გაჭოცალა. ნათელასთვის თვალი არ მოუცილებია. ტუჩებზე ღიმილი არ გაპარვია.

ნათელა სირცხვილით დაიწვა, როცა ბეგის ანთებული თვალები მის გაბრწყინებულ თვალებს შეეფეთა და მოულოდნელად ერთმანეთს ღიმილი მოპარეს...

ბეგიმ ჭიქა გამოცალა, ლამბაქზე დასდო და ნათელას მიუბრუნდა: „სამაგიეროდ ქორწილში მიმსახურე“, — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ბეგიმ მოხუცებისაგან არა ერთხელ გაგონილი სიტყვები.

— „ქორწილში“. — გაუელვა თავში ნათელას. უკან გაბრუნდა, სევესა და ხოსიას წყალი შეთავაზა და ანთებული სახით სამზარეულოსკენ გაექანა.

თუნგი ხელში შერჩა თავბრუდახვეულ ქალს, ხოლო როცა სამზარეულოში შინაური თუ მეზობლის ქალები ერთხმად აკისკისდენ ნათელას საქციელზე, ნათელა უცებ გამოერკვა და ვარდისფრად შეღებილი ლოყები კიდევ უფრო აუელვარდა.

— მოგეწონა?

— კაი თვალადი უნდა იყოს. შორიდან მოვკარი თვალი, მაგრამ ასე მომეჩვენა.

— მარხვამდე ნუ ჩააყოლებთ.

— მადლია ახლა მაგათი... — აფრუტუნდა მეზობელ ქალებში ყარყუმად მიჩნეული ეგვიტო.

— კარგი, ერთი! — დაიმორცხვა ნათელამ.

— ამოვარდა ქალის სახსენებელი.. რავა მაჭარივით ადუღდა ვიღაცა ყაზახის დანახვაზე, — განაგრძობდა ისევ ეგვიტო, და სამზარეულო აივსო სავახშმო ცეცხლის კვამლითა და ატეხილ სიცილ-ხარხარით.

— ნუ გეშინია, წელი ჩქარა მოურჩება, — არ ისვენებდა ეგვიტო. — დაქეჩილის მორჩენას რა უნდა...

— კარგი მეთქი! — გაწყრა ნათელა და, ხუმრობა-ლაზღანდარობაში, თეძოდაქეჩილი სტუმარი გულში ჩაუარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზამრთდა.

გაძნელდა სუფსის კალაპოტის გაწმენდა. მუშების უბინაობა, ცუდი გზები და ცუდი ამინდები სამუშაოებს დააწვა კისერზე.

წინასწარ ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვა უმნიშვნელო აღმოჩნდა სამუშაოთა დასძლევად, მომჭირნეობის გაწევა კი შეუძლებელი იყო. ან გზა და წყლის კალაპოტის სრული გაწმენდა, ან კიდევ კონცესიაზე ხელის აღება.

„ხელის აღება შეუძლებელია" — ოცნებობს კონცესიონერი.

სამუშაოები კი უზომო ხარჯებს მოითხოვს.

კვლავ მოახდინეს კალაპოტის გამოკვლევა. შეადგინეს დამატებითი ხარჯთაღრიცხვა.

ჯონ ელიოტიმ ახლა უშუალო მონაწილეობა მიიღო ხარჯთაღრიცხვის შედგენაში. ყოველი წვრილმანი თვითონვე გამოიანგარიშა. ყოველმხრივ გაზომა, აწონ-დაწონა. ხე-ტყის საბოლოო თვითღირებულება ივარაუდა და როცა ლეგენდარულ ციფრებს წაადგა თავზე. დაფიქრდა. კონსულტატს გამოუძახა, სპეციალური თათბირი გამართა.

— ვიზარალებთ! — დაასკვნა თათბირმა.

— ვიზარალებთ, მაგრამ...

მიტოვება შეუძლებელია!

შერვაშიძე გაილურსა თათბირის მსვლელობის დროს... განგებ კრიტი არ დაუძრავს. „რა ჩემი საქმეა, — ფიქრობდა ის, — მიტოვებით ჯერ ვერ მიატოვებს, სამუშაოები კი თანდათან გაძნელდება. მუშა ხელს ვერ იშოვის. გაზაფხულზე ეს გლეხები თავიანთ ოჯახს მიაშურებენ, კალაპოტი კი გაუწმენდელი დარჩება, გაზაფხულის ლანქერი ივნისამდე ჩაივლის და როცა ივნისში წყალი დაშრება და ფიჩხის დაძვრასაც ვერ შესძლებს მდინარის საერთო წყალმოცულობა, მაშინ... — შერვაშიძემ ეშმაკურად გაიღიმა. — მაშინ თუ იფიქრებს მიტოვებას და ორასი ათას ხეს, უკვე საექსპორტოთ გამზადებულს, წყლის პირად მიატოვებს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მე ვიცი და გუბერნატორმა. თუ დამჭირდა, მთავარმართებელის მოადგილეს გენ. შირინკინსაც კი დავიხმარებ... მაგრამ... ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი...

რას იტყვით ბატონო ქიშვარდი! — შეეკითხენ თათბირზე შერვაშიძეს. — შევძლებთ თუ არა კალაპოტის გაწმენდას და გაზაფხულზე პირველი ქარავნის დაძვრას შავ ზღვისაკენ..

ქიშვარდი განგებ აიღერღა, პირდაპირ არაფერი უპასუხა. მოკიბული პასუხი არჩია ორაზოვანი.

— თუ რომ სერ ელიოტი ხარჯებს არ დაერიდება და მუშახელი საკმარისი გვეყოლება სამუშაოზე, ცხადია გაზაფხულზე ქარავანს დავძრავთ შავი ზღვისაკენ.

— ხარჯებს?

— ხარჯებს?!. — ერთხმად გაიმეორეს ელიოტიმ და რამდენიმე სპეცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხარჯებზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ... — დაიწყო ელიოტმ.

— მუშების ხელფასი მეტად მცირეა, სერ! — დაასწრო შერვაშიძემ.

— პირიქით, ბატონო ქიშვარდი, პირიქით. თუ ჩვენ ოცი პროცენტით არ შევამცირეთ მუშათა ხელფასის საერთო რაოდენობა, იძულებული გავხდებით ხელი ავიღოთ კონცესიაზე.

„შევამცირეთ“ — გაივლო გულში შერვაშიძემ, „არა, ბიძია, შემცირებას არავინ დაგანებებს. ახლა სხვა დროა...“

— რას იტყვით?

— მე მეკითხებით?! — გაიოცა შერვაშიძემ, — საკვირველია! მე ხელფასის სიმცირეზე ვლაპარაკობ და თქვენ კი შემცირებაზე მეკითხებით. მუშები არ იმუშავებენ.

— მოუჭრა შერვაშიძემ.

— არ იმუშავებენ?!.. — აიტაცა ჯონ ელიოტი, და მაგიდაზე მუშტი ისე დაჰკრა, რომ საწერკალამი შეარყია.

— დიახ, არ იმუშავებენ, სურ!

— გაიფიცებიან?

— მოსალოდნელია.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ასე მგონია?

— მაშინ მე დამაცადეთ. მე დამაცადეთ, თუ როგორ გაიფიცებიან.

შერვაშიძემ იწყინა ელიოტის ასეთი კადნიერება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, პროტესტის ნიშნად თათბირი მიატოვა და კარავიდან ეზოში გამოვიდა. ელიოტი დიდხანს ეთათბირა თავისიანებს.

შეადგინეს ახალი სამუშაო გეგმა. სამუშაოები დაანაწილეს უბნებად. უბნებს ცალკე ხელმძღვანელები დაუნიშნეს. შერვაშიძეს კი, მიუხედავად მთავარმართებლის მოადგილის გენ. შირინკინის და გუბერნატორის საუკეთესო ატესტაციისა, მისი სრული კეთილსაიმედობის შესახებ, — რომ ის, შერვაშიძე, არასდროს შემჩნეული არ ყოფილა „კრამოლა“ს თანაგრძნობა-მფარველობაში და რომ შერვაშიძე მუდამ ერთგული სალდათი იყო მისი უდიდებულესობის ტახტისა და რომ მისმა უდიდებულესობამ ნიკოლოზ მეორემ საკუთარი ხელით უწყალობა შერვაშიძეს პრაპორჩიკის ხარისხი ტფილისში სტუდრად ყოფნის დროს, მაინც მეთვალყურე მიუჩინეს, შერვაშიძის მიერ დანიშნული ზოგიერთი ათისთავი მოხსნეს და სამაგიერო შემცვლელი ხელისუფლებას მოსთხოვეს.

— „გამოგვიგზავნეთ თანამდებობის“ შესაფერი პირნი. ხელფასი შეთანხმებით — აუწყებდა გუბერნატორს კონცესიონერი, და სურების უღელტეხილი ელოდებოდა ახალ ხელმძღვანელებს.

* * *

ბეგი მიიღო შერვაშიძემ სამუშაოზე.

ელიოტთან თათბირის შემდეგ გულმოსულს, ბეგის ვინაობა არც გამოუკითხავს, ისე გასცა განკარგულება მისი შტატში ჩარიცხვის შესახებ.

ბეგიმ დაიწყო მუშაობა.

ირაკლის ჯგუფში მოხვდა ბეგი სამუშაოდ.

ბეგიმ ურიზე მუშაობა არჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ, ლადარია! — მოუწონეს სენთი ლადარიას ეროს ლაზათიან დარტყმაში, და გახურდა ბურღები სიპების ბურღვაში.

ლადარია საუკეთესო ოსტატი აღმოჩნდა ბურღვა-აფეთქების საქმეში. თეორიული ცოდნა და სასკოლო განათლება (ბეგი ოთხკლასიანი იყო) მან უმალ პრაქტიკულად გამოიყენა და თუ აქამდე ბურღზე მომუშავეები ხუთი-ექვსი ხვრელის მეტს ვერ ასწრებდენ დილიდან საღამომდე თავაუღებელი მუშაობით, ლადარიამ საკუთარი სისტემით ეს რიცხვი თორმეტამდე აიყვანა, დენთის ლაღუმებად ხმარების წესი შესცვალა, საკუთარი მეთოდით დატენა შემოიღო და... მუშაობა დაიძრა მკვდარი წერტილიდან.

ლადარიამ ერთი თვის განმავლობაში ისეთი ჩქარი ტემპით წაიყვანა კალაპოტის გაწმენდის სამუშაოები, რომ ყველას ყურადღება მიიქცია.

განცვიფრებული დარჩა თვითონ ელიოტიც.

— დანიშნეთ ასისთავად! — გასცა განკარგულება კონცესიონერმა.

— ჯამაგირზე გადაიყვანეთ.

ბეგი დანიშნეს ასისთავად, მაგრამ პერსონალურ ჯამაგირზე უარი განაცხადა, სანარდო სამუშაო მოითხოვა; ყველა მუშა სანარდოზე გადაიყვანა.

ქიშვარდი გაშტერებული დარჩა ლადარიას მოქმედებით.

— ეგ რა მომივიდა, — გაივლო გულში შერვაშიძემ, — კაცი ასე უთავბოლოდ მივიღე და დახე... ჩემს ფუნქციებსაც ეპოტინება. დღიური ხელფასი გამიუქმა. მუშები სანარდოზე გადაიყვანა. კონცესიონერთან უშუალო კავშირი გაბა. ე. ე. ე.! აქ რალაც სხვა ამბავია, ქიშვარდი. სიფრთხილე გმართებს.

ქიშვარდი დაუფიქრდა შექმნილ მდგომარეობას, ყველაფერი ზუსტათ გაითვალისწინა, მუშების სითამამესა და „თავაშვებულობას“ დააკვირდა ლადარიას აქ მოსვლის შემდეგ და...

— დაგაპატიმრებ. ჩამომეხსენ, თორემ ნამესტნიკს მივწერ, — შეუტია მან ერთ დღეს ლადარიას.

— დამაპატიმრებ?! — ბეგიმ ყურებამდე გაიღიმა, შერვაშიძეს უკმეხად ახედ-დახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ყელზე არ დაგადგეს“.

ბეგიმ გვერდი მიიბრუნა შერვაშიძისაკენ და განშორება მოინდომა.

— ყური მიგდე ბეგი!

ბეგი უცებ შემოტრიალდა, შერვაშიძეს შორიახლო დაუდგა და ალმაცერი თვალიერება დაუწყო.

— შენზე რალაცები გამიგონია, ვაჟკაცი ბიჭი ხარ...

— მერე! — აღარ დააცალა ბეგიმ შერვაშიძეს.

— მოდი, ერთად ვიმოქმედოთ.

— როგორ?

— ვიმუშაოთ და „ჟირი“ თუ „ლხინი“ (ზარალი და სარგებელი) შუაზე გავიყოთ.

— ა. ა. ა.! Вот как?! არ მინდა. მიზეზს კი ნუ მკითხავ. შენ დალალი ხარ, მოიჯარადრე, რწმუნებული და რა ვიცი, მე კი... ამის მეტს ნურაფერს მკითხავ. ნურც რაიმეს შემომთავაზებ, რადგან მე კარგად ვგრძნობ თავს მუშებში...

— გირჩევ, როგორც...

— გმადლობ რჩევისათვის. ასე მირჩევნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ ჩამომეხსენ.

— როგორ?

— გზიდან ჩამომეცალე.

— არაფერი მესმის!

— კონცესიონერის რწმუნებული ხომ მე ვარ.

— მერე? შენთან ვაწარმოოთ მოლაპარაკება?!. შენი მეშვეობით?!

— როგორც საჭიროა.

— ვისთვის რა არის საჭირო, მაგრამ... ჩვენ ინგლისელთან მოლაპარაკებას ვარჩევთ.

— წააგებთ.

— ბევრს არაფერს.

— უმუშევარი დარჩებით.

— არა მგონია.

— შენ რას ჰკარგავ. რაც გინდა მიიღე ოლონდაც...

— აბა, ჩუმად, თორემ... იცი, მე ბევი ლადარიას მეძახიან.

— მე არ გეკითხები რას გეძახიან.

— გამოგადგება, ჩაიწერე!

ქიშვარდიმ ფეხის ფრჩხილებამდე გაზომა ლადარია, რამდენჯერმე ახედ-დახედა, ბრაზით ულვაშები მოიკვნიტა და თავისთვის გაიფიქრა. „ოხერი ვინმეა, არ დათმობს". „არ დათმობს და სიფრთხილეა საჭირო" — დაასკვნა შერვაშიძემ.

ბეგიმ მიიღო ასისთაობა.

სამუშაოები დასძრა მკვდარი წერტილიდან. მუშებს დაუახლოვდა, სათითაოდ ყველასთან მჭიდრო კავშირი გააბა. მუშებში ხუთეული გამოყო, მუშათა კომიტეტი უწოდა ამ ხუთეულს, კონცესიონერს თვითონაც დაუახლოვდა, კომიტეტის წევრებიც გააცნო და მათი უფლება-მოვალეობა აუხსნა.

— რა კაცია? სადაურია? — გამოიკითხა ელიოტიმ, როცა შეხედა, რომ ლადარია მუშებში იშვიათი პაპულიარობით სარგებლობდა და, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მოსული იყო ყველა დიდის ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდა.

შერვაშიძემ დრო იხელოა ლადარიას საწინააღმდეგოდ სიტყვა ჩაეკრა ელიოტისთვის. მაგრამ სწორედ ამ დროს კარავს თავს წაადგა კბილებამდე შეიარაღებული ზორბა ტანის ნაბადწამოსხმული ვაჟკაცი. მოპარსული წვერი, სქელი ულვაშები, განიერი შუბლი და მუშტის ოდენა თვალები.

— სად დაკარგულხარ შე დედა გაღლეტილო! — სიცილით მიმართა მან შერვაშიძეს, აგია შენი ელიოტე?! — დაცინვით ახედა ახლად მოსულმა შერვაშიძის გვერდით მდგომ ქერა ინგლისელს და ბოხი ხმით გადიხარხარა: — ახლად დაბადებული მაიმუნი არ ჰგავს?! ჰე-ჰე!

— რაო? — იკითხა ელიოტიმ— „ელიოტე"-ს გაგონებაზე ქიშვარდი, შეკრთა, ოდნავ გაწითლდა და თარჯიმანს მიუბრუნდა.

— ჩვენებური თავადია, სერ ელიოტის გაცნობა სწადია—მოწიწებით გააცნო შერვაშიძემ ახალ მოსული ინგლისელი კონცესიონერს და ღიმილით ელიოტის გადახედა.

ელიოტი ადუდღუნდა ინგლისურად, ხან გაიღიმა, ხან კიდევ დანაღრულ სახეზე მქირდავი ხაზები აღებეჭდა, მაგრამ ვერც ქიშვარდი და მით უმეტეს ვერც თავადად გაცნობილმა შეიარაღებულმა ვერაფერი გაუგეს უცხო ენაზე მოლაპარაკეს. მუნჯურად ერთმანეთს თვალი-თვალში გაუყარეს და მცირე პაუზის შემდეგ კარავს მოშორდენ.

— კარგი ვაჟკაცი ხარ, დათიკო მაგრამ მქირდავი ხარ. — ნაწყენი კილოთი მიმართა შეიარაღებულს შერვაშიძემ.

— შევარდნაძე მოგიკვდეს, მე თუ მქირდავი ვიყო.

შერვაშიძემ წყენით თავი გაიქნია, შევარდნაძეს არაფერი უპასუხა.

— რას იბუტები შე დედა გაღლეტილო! მაიმუნს ჰგავს და მაიმუნს შევადარე...

როდის იყო, რომ ვირს ბედაურად ასაღებდენ?! მიპასუხე?

— მეტის-მეტია დათიკო, მე ნუ მოვკვდე! მიხვდებოდა კიდეც, შენ რომ ახვიხვინდი...

— აბა, სისულელეს თავი დაანებე... შენ ის მითხარი, ბაჯაღლო ბევრი აქვს?

— ინგლისში ბევრი, — გადაუკრა სიტყვა შერვაშიძემ.

— აქ რამდენი აქვს?!. მართლა... ვიღაც ლადარიაზე ესაუბრებოდი ინგლისელს, ვინ არის? სადაურია? — განგებ იკითხა შევარდნაძემ.

— ასისთავია... მეგრელი უნდა იყოს.

— კაი ბიჭია?

— შენსავით თავზეხელაღებულია... — გაიცინა შერვაშიძემ.

— მაშ კარგი ბიჭი ყოფილა! ხუმრობა იქით იყოს და იცი, ლადარიასთან ცოტა მორიდებულად გეჭიროს თავი შენც და იმ შენ ინგლისელ მაიმუნსაც.

— როგორ?

— ასე რომ... ლადარია თვალისჩინივით უნდა შეინახოთ.

— ქიშვარდი უგუნებოდ შეიქნა. მიხვდა, თუ რას ნიშნავდა შევარდნაძის გაფრთხილება და გაფრთხილების ასეთი ტონი.

— შევინახოთ რა...

— ჰო, უნდა შეინახოთ! — მკვახედ მოუჭრა შევარდნაძემ. — იმას გეკითხებოდი: ბაჯაღლო ბევრი აქვს?

— რას სულელობ, დათიკო...

— სულელიც ხარ და... შე დედა გაღლეტილო! — დააბრიალა თვალები შევარდნაძემ. — ხომ მიცნობ, ვინ ვარ?

— არა, არ გიცნობ, შენმა სიცოცხლემ — სიცილით შეუტია ქიშვარდიმ და ნიშნად ახლო მეგობრობისა, ბეჭებზე ხელი დაჰკრა. ხმა დაიდაბლა და ყურში წასჩურჩულა: თუ ძმა ხარ, თავი გაანებ მაგ ოხერ მამაძაღლს. ისედაც აღრენილია და ახლა მაგას რომ ფულისთვის ვინმე თავს დაესხას, მოუსვამს აქედან და ის იქნება.

— წავიდეს მაგის ოხერი დედაც...

— დათიკო, შენ გენაცვალე!

— არა ბიძია, ჩვენ სახარჯო გვინდა. ათი კაცი უკაპეიკოდ დავდივართ... თუ მაგისთანებს არ წავუთაქეთ ქეჩოში, აბა რით უნდა ვიცხოვროთ.

— დათიკო თუ ძმა ხარ, თავი დაანებე. სხვა დროს როდის დამიშლია, ასეთი საქმის პირველი ორგანიზატორი მე ვიყავი ყოველთვის, მაგრამ ახლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა სხვაგან მიგვითითე.

— იძიეთ და იპოეთ თქვე ოხრვებო!

— ჩვენ უკვე ნაპოვნი გვაქვს. დღესვე წაუთაქებთ და ის იქნება.

— დათიკო შენი ჭირიმე! — დაიღრიჯა შერვაშიძე.

— აბა სახარჯო მოგვეცი.

— ჩემი თავი გენაცვალოს. ბოლოს კი... თუ იქამდე მივა საქმე, მე აქ არა ვარ. ერთი თვალის დახამხამება და მორჩა: ღინღლი არ ჩაყვება ინგლისში...

შევარდნაძემ გადიხარხარა.

— კარგი, კარგი, შე დედა გაღლეტილო! ლადარიას გაუფრთხილდით... არაფერი შეემთხვას თორემ...

— იცნობ?

— გამიგონია. კაი ვაქკაცია. მინახავს კიდეც.

— სადაურია?

— სადაურიც უნდა იყოს, კაი ბიჭია მეთქი, შე დედა გაღლეტილო! — გამოაზოგა ბოლოს შევარდნაძემ და მუშებისაკენ დაიჭირა მიმართულება. მუშებში ლადარიას მოჰკრა თვალი და საჩქაროდ მისკენ გაექანა.

17 წერილი

საახალწლოდ ძიკი დანიშნეს ჩიჩიას მოადგილედ. ახალგაზრდა ურიადნიკი ხალისით შეუდგა „მძიმე“ მოვალების ასრულებას და ბოქაულ ჩიჩიასთან ადრევე საიდუმლოდ დასგხული გეგმის განაღდებას.

— ერთგულება,თევდადება და აქეზებდა ჩიჩია წარმატების ქინით გაბრუებულ ახალგაზრდა მოხელეს და თვითონაც სული მისდიოდა მორიგი წარმატებისა და თანამდებობრივი დაწინაურების მოლოდინში.

საბოქაულოში ხმა გავარდა:

„ჩიჩიჩას მაზრის უფროსად ნიშნავენ“.

„ქუთაისის ციხის უფროსად გადაყავთ“.

— გუბერნატორს პოლიცმეისტრობა უწყალობებია“.

ჩიჩიამ კი მაზრის უფროსობა არჩია ჩამოთვლილ თანამდებობრივ სავარძლებს შორის და ადრიანად შეიფერა ჯერ კიდევ „მისი უდიდებულესობის“ სათანადო ბრძანებით “ბოძებელი“ მაზრის უფროსობა. აჩქარდა ჩიჩია ხმების გავარდნაზე, მოთმინება გამოელია. მეზობელი რაიონების ბოქაულების ბრძანების ტონით დაწერილი საიდუმლო მიმართვა გაუგზავნა გაქცეულ გოჩა ურიდიას დაუყოვნებლივ შეპყრობისა და ხეთაში გადმოგზავნის შესახებ.

მიმართვაზე კი ხელი მოაწერა, როგორც ბოქაულმა.

— „დამცინებენ„ — გაიფიქრა ჩიჩიამ, მაგრამ მიმართვები მაინც დაგზავნა.

ყველა დუმილით შეხვდა ჩიჩიას თავხედობას.

— იქნება მართლა გაუწყრეს ღმერთი, და მაზრის უფროსობა უწყალობონ... მიგვაციმბირებს.

— რომ დააწინაურებენ უდავოა... ამიტომ... — დაფიქრდენ მეზობელი ბოქაულები.

ძიკიც დღითი-დღე ელოდა ჩიჩიას დაწინაურებას, რადგან...

— ჩემს რაიონში სხვას როგორ დანიშნავენ ბოქაულად. — ფიქრობდა ძიკი. უეჭველია გავიმარჯვებ და... წინ. წინ მეთქი, ძიკი ძიგუა! თუ ბოქაულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავინღდე, მაშინ... მიცქირეთ, როგორ მუხასებრ გაეადგა ფეხები და მიფრთხილდით, მიფრთხილდით, წვრილფეხა ჭიაღუებო! ფული, ქონება, სახელი და დიდება, ესაუბრებოდა საკუთარ თავს ახალგაზრდა ურიადნიკი.

კაბინეთის კარი ხშირად იღება.

საბოქაულოს ეზოში ხალხს თავი მოუყრია და მზეზე ეფიცხება ურიადნიკთან შესვლის მოლოდინში.

— ბოქაული აქ არ არის.

— ურიადნიკი ღებულობს, — იძლევა განმარტებას მეკარე ჩაფარი და მთხოვნელებს ათვალიერებს.

— გამიშვებ? — ეკითხება მოხუცი ჩაფარს.

— არ შეიძლება. ქალი ყავს კაბინეთში.

— ქალი?!

— ?!

ჩაფარი სირბილეზე ხელებ დაწყობილი, კარის სიახლოვეს ბოლთას სცემს და მთხოვნელებს საქმიანი მზერით ათვალიერებს, ჩაცმულობის მიხედვით ანაწილებს და მუნჯურათ მათი ურიადნიკთან გატარების რიგს ადგენს.

მოხუცი ჩაფარს უახლოვდება, სირბილეზე დაწყობილი ხელში ვერცხლის მანეთიანს ჩაუდებს შეუმჩნეველად, და ხელიც ავტომატივით იკუმშება.

— ეხლავე ძია კაცო! ქალის შემდეგ... — აიმედებს ჩაფარი მოხუც მთხოვნელს და ახლა სხვებს ეძებს, ასეთ სარფიანს. მთხოვნელებს შორის.

ქალი კი იგვიანებს კაბინეთიდან გამოსვლას.

ხანდახან ისმის ყრუ, მაგრამ ხმამაღალი ცხარე საუბარი.

ძიკი თავაუღებლივ უსმენს გაცხარებულ ელენეს და დროგამოშვებით მაგიდაზე თითებს აკაკუნებს.

— გაიქცა. მერე, ჩვენი რა ბრალია? ჩემი მოხუცი ქმარი რა შუაშია? უჩა ხომ მთავრობის ერთგული მოსამსახურეა. ამას გუბერნატორიც დაადასტურებს.

— მე არ ვიცი, ვინ რას დაადასტურებს, ეს კი უდავოა, რომ გოჩა ურიდია... — ჩამოართვა სიტყვა ძიკიმ და თავი მაღლა ასწია.

— ყაჩაღია, არა? — ცბიერად მიახალა ელენემ ურიადნიკს.

— კიდევ მეტი. ამიტომ...

— გადაასახლებთ, არა? — დაასწრო ისევ ელენემ.

— შეიძლება. უჩას კი...

— ტყვიით გაუსწორდებით?!

— ეგეც შეიძლება. თუ გოჩას ჩაგვაბარებს, მაშინ...

— გოჩამ რა დააშავა. მის კარავზე ხომ შენ და შენი ძმა...

— არც ერთი სიტყვა... არც ერთი სიტყვა მეთქი, თორემ... წამოვარდა ურიადნიკი სავარძელიდან და სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ეს არის ქურდობაზე მოუსწრეს და საჯაროდ შეარცხვინესო.

ძიკი მართლაც გრძნობდა სინიდისის ქეჯნას. ხედავდა, თუ როგორ უდანაშაულოდ ისპობოდა შეძლებული ოჯახი, ხედავდა, მაგრამ... სწორედ აქ იწყებოდა პირადი ანგარიშები, ძიკის პირადული მახინაციები, სადაც ბოქაული

ჩიჩიაც იმ თავიდანვე აქტიური მონაწილე იყო და, მაშასადამე, ურიდიას ოჯახის განადგურების ერთხელოვანი მომხრე, ამიტომ...

გოჩა ურიადა მოვკლათ, მოხუცი ან გადავასახლოთ, ან კიდევ... გოჩას მივაყოლოთ ელენე კი"... — დაასკვნეს ჩიჩიამ და ძიკი ძიგუამ...

— ელენეს მე მოველაპარაკები, — შეეტანა წინადადება ძიკიმ.

— იქნებ დავითანხმო, თუ არა და...

— ისიც ციმბირისაკენ, არა?

— ჰეშმარიტად, ციმბირისაკენ, — მოიწონა ძიკი ძიგუამაც.

აქედან დაიწყო ურიდიების შევიწროება.

გოჩა გაიქცა. ტყეს შეაფარა თავი. ჯოგი განადგურდა, ოჯახი შეირყა ქონებრივად. უჩა ურიდია კი ეს ერთი თვეა ციხეში ზის საქმის გამოურკვევლად.

— მიზეზი მაინც არ უნდა გაგვაგებინო, რად დაატუსაღეთ მოხუცი კაცი?!

— ეკითხება ძიკის ელენე.

— მიზეზი იქნება.

— დაგვისახელეთ.

— ამას საქმე დაგვანახებს.

— თქვენ კი შეგიძლიათ რაიმეს დანახვა!

— ქალბატონო! — დასცინა ძიკიმ ელენეს სარკასტიული ტონით.

— მაშ რისთვის გვლუპავ, რა დაგვიშავებია?

— სად არის გოჩა?

— გაიქცა, ტყეს მისცა თავი.

— რისთვის?

— რისთვის? შენ რისთვისღა გარბოდი, როცა გაიქეცი?

— „შენ" გარბოდიო? — გაუსვა ხაზი ურიადნიკმა სიტყვას „შენ" და აპილპილებულ ელენეს მგლის უჩვენა. — გავიწყდებათ, რომ...

— ურიადნიკს ველაპარაკები, არა? მაპატიეთ, თქვენო...

— დაჩუმდით!

— მაშ რად გარბოდით? — გაიმეორა ისევ ელენემ. — გეშინოდათ, არა. მწარეა სიკვდილი საერთოდ და მით უმეტეს, როცა ასე უდანაშაულოდ...

— დაჩუმდით! დრო არა მაქვს... დამტოვეთ. — აღრიალდა ძიკი და ჩაფარმა ცალი თვალით შეხედა ოდნავ შეღებულ კარის ჭუჭრუტანაში.

— მე საქმეზე მოვსულვარ, — მოუჭრა გაცეცხლებულმა ელენემ და ფეხი ფეხზე გადანასკვა.

კაბინეთში სიჩუმე ჩამოვარდა.

გაბოროტებული მოჩანდა ამ დროს ურიდიას მეუღლე, განერვიულებული. გული საცეცხველივით უცემდა და სავსე მკერდი რიტმიულად იწევდა აღმა თუ დაღმა.

— ელენე! — დაარღვია დიდი ხნის მყუდროება დამშვიდებულმა ძიკიმ და ელენეს ახლა ლმობიერი თვალით მიაშტერდა, კილო გამოიცვალა და სახეზე მოპარულმა ღიმილმა გადაურბინა.

— ?!

— რატომ არაფერს მიპასუხებ?! ელენე!

— მაშინ ხომ სიკვდილს გადაგარჩინათ ორივე ძმა,—მაშინალურად წამოიძახა ფიქრებში გართულმა ელენემ.

— მისმინე, ელენე!

— მე შენთვის ელენე არა ვარ.

— ჯიუტობა რა საჭიროა! მომისმინე!

— მოხუცი კაცი და ციმბირი...

— „მოხუცი კაცი და"...—ძიკი ელენეს შეატყდა თვალებში.—„ასეთი ახალგაზრდა"...

— ეგ „თქვენი" საქმე არ არის.—ისევ დამცინავი ტონით მოუჭრა ელენემ აღერღილ ურიადნიკს და ცბიერი სახე უჩვენა.

ელენე განცვიფრდა ურიადნიკის ასეთი საქციელით, მაგრამ მას მოაგონდა ძიკის უტიფარი თვალები პასპორტის აღების დროს რომ შენიშნა შეშინებულმა ელენემ.

— მისმინე, ელენე!—წამოდგა ძიკი სავარძლიდან, ელენეს მიუახლოვდა, აკანკალებულმა ცალი ხელი ელენეს წელზე შემოხვია, ცალი ხელით მარჯვენა ხელი დაუჭირა და...

— ვიკივლებ, ქვეყანას შევყრი!—დაემუქრა ელენე ურიადნიკს.

— რა საჭიროა. მე საქმეზე მსურს მოგელაპარაკო.

— ხელები იქით წაიღე, მსუნაგო!—ძალით მოიშორა ელენემ ძიკის მორგვივით მძიმე ხელები, რომელიც წელზე სვიასავით შემოხვეოდა...

— ელენე! მე შენი ბედნიერება მწადია. შენთან ერთად მეც მინდა გავიხარო. შენ ხომ წარჩინებული ოჯახის შვილი ხარ. ურიდია კი... მოხუცი, მეჯოგე, სოფლის მწერალი. ახლა აღარც მწერალია და არც მეჯოგე.

— შენი და შენი უფროსის წყალობით...

— მისმინე, ელენე: მე დღეს ურიადნიკი ვარ. მართალია, მცირე თანამდებობაა, მაგრამ...—ძიკიმ ტიტველ სახეზე ხელი ჩამოისვა და აკოკრილი ულვაშები ნიშანდობლივად შეისწორა.—ახალგაზრდა ვარ... ჩქარა ბოქაული ვიქნები...

— მაზრის უფროსიც...—მოუჭრა ელენემ.

— შეიძლება... რატომ გგონია, რომ მაზრის უფროსობა ჩემთვის აკრძალული ხილი იქნება... შენ ახალგაზრდა ქალი ხარ, სიცოცხლით სავსე... ელენე!

ფიქრებმა წაიღო მოხუც ურიდიას ახალგაზრდა ცოლი და ურიადნიკმა დრო იხელთა დიდი ხნის მოფიქრებული გეგმის გასანაღდებლად.

— უჩა ურიდია უნდა მოისპოს, ელენე! ჩვენ უნდა გავიხაროთ ამ ცოდვილ ქვეყანაზე... გესმის უნდა გავიხაროთ.

— ნუ იტყვი, არ მინდა... არ მინდა.—აძიგძიგდა ელენე მთელი სხეულით და გული სიბრალულით აევსო მოხუცი ურიდიას მოგონებაზე.

— ცხოვრება ჩვენია ელენე...

— ნუ იტყვი... ნუ იტყვი...

კაბინეთში სიჩუმე გამეფდა და დროგამოშვებით კი შეგუბებული სუნთქვა და ხვნეშა. კარის ჭუჭრუტანაში ჩაფრის თვალმა შეიჭყიტა.

— ხი, ხი, ხი!—გიჟივით აფრუტუნდა ჩაფარი და თავის ადგილას გაიჭიმა.

— აღარ ათავებს?—იკითხა რომელიღაც მთხოვნელმა.

— დაჩუმდით... ათავებს... ათავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაღამდა... შორიდან ვართ ჩამოსული,—ნერვიულობენ დერეფანში მართლაც შორიდან მოსული გლეხები.

— მერწმუნე, ელენე, ენდვე ჩემს პატიოსან სიტყვას...

— შენ...—ელენე კვლავ ფიქრებს მიეცა... „ბეგლარ“, ჰო! ვაჟკაცია, იმ ღამესაც თვალში ჩამივარდა... თუმცა თვალტანადობით არც ეს ჩამოუარდება, მაგრამ... ის... ის... არა, ეგ ხომ სისულელეა! სისულელეა და წუთიერი გატაცება.

— მომეცი ხელი... ხელი მომეცი, ელენე!—გადაეხვია ძიკი ელენეს და ძალით მარჯვენა ხელი დაუჭირა.

დერეფანში ჩოჩქოლს უმატეს. ელენე და ძიკი ჩქარა გამოერკვენ და თავიანთი ადგილი დაიკავეს.

— გამიშვი მეთქი?—ისმოდა დერეფანში ვიღაცის ხორხოზი ხმა. კარი გაიღო და კაბინეთში იაკინთე გაფორჩხია შევიდა.

ძიკი დაიბნა იაკინთეს დანახვაზე, ფერწასული ელენე კი კარისკენ გაემართა.

— რაზე გარჯილხარ?—უგულოდ იკითხა ურიადნიკმა და მიმავალ ელენეს თვალი გააყოლა.

იაკინთემ თავი დაბლა დახარა და ტანის მოძრაობაში მუნჯური დაცინვა და აღშფოთება გამოამჟღავნა.

— დრო არ მაქვს, ხვალ შემოიარეთ!—იჩქარა ძიკიმ და წასვლა დააპირა.

— ბეგლარი ვნახე, წერილი გამოგიგზავნა.—იაკინთემ მიმავალ ძიკის წერილი გაუწოდა და მიუპატიჟებლად სკამზე ჩამოჯდა.

— ბეგლარი?

— ?!

— სად არის?—ძიკი გაწითლდა. ნაბიჯი შეაყენა.

— მუშაობს.

— მუშაობს?!.—გაიმეორა ძიკიმ და წერილს თავი წაფხრიწა აკანკალებულმა.

— კარგად არის. კომიტეტს ხელმძღვანელობს,—შეუკითხავად განაგრძო იაკინთემ.

— კომიტეტს ხელმძღვანელობს?!.—შეახმა ხელში წერილი ურიადნიკს და წაკითხვა ვერ მოახერხა. ძიკი მაგიდას მიუახლოვდა. ძგიდეზე ჩამოჯდა, წერილს თვალიერება დაუწყო.

— ამ ორ თვეში გესტუმრებიო... დედა მენატრებაო...

— დედა?!.—აბლუკუნდა თავჩაღუნული ძიკი.

— გილოცავ ურიადნიკობასო...

— გაჩუმდი!—დაჰკრა მაგიდაზე ხელი ძიკიმ და სამელნე გადააპირქვავა, უმალ სტაფილოს ფერი დაედო და უნებლიეთ ჩარბები აუკანკალდა.

— დანარჩენს თვითონვე გიამბობს... ბატონო ურიადნიკო!

— იაკინთე!—რისხვით გადახედა ძიკიმ გაფორჩხიას.

— ასე დამავალა და...—იაკინთემ თავი ისევ დაბლა დახარა, რითაც სასტიკი დაცინვა და გულის წყრომა გამოამჟღავნა.

— იაკინთე! მე მოღალატე არ ვარ... მე ქვეყნის საქმეს ვაკეთებ... მე ბეგლარზე ჭკვიანი ვარ და მოძრაობისათვის სასარგებლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიძლება... რაკი შენ ასე გგონია... იქნება ასეც იყოს...

— დიახ მე მგონია და თქვენც დაინახავთ...

— შეიძლება... მე მხოლოდ დავადება შევასრულე... თუმცა მოსალოდნელია ძვირად დამიჯდეს ამ დავალების შევასრულებაც, მაგრამ იცოდე, რომ ბეგლარი ცოცხალია და კომიტეტს ხელმძღვანელობს.—გაბრთხილების ტონით თქვა იაკინთემ.

გაფორჩხია სწრაფად გამობრუნდა კაბინეთიდან და ახლა მოხუცი, რომელმაც მანეთი უფეშქაშა ჩაფირს, შევიდა ურიადნიკის კაბინეთში.

— „კომიტეტს ხელმძღვანელობს“. უუჰ! ძიკი ძიგუა, ან შენ და ან ბეგლარი ამ ცოდვილ დედამიწაზე, ან შენი გეგმის განხორციელება და გამარჯვება, ან კიდევ ბეგლარისა—და სიკვდილი... განადგურება... მაგრამ ბეგლარი ხიმ მარტო არ არის. ბეგლარი ხალხთანაა... ბეგლარი ხალხის გულშია... მე... მე—მარტოდ-მარტო ვარ... მარტოდ-მარტო, თითო-ოროლა თანაგრძნობის ამარა, თუმცა... ძალა-უფლება, იარაღი, ფული და ყოველივარი ბრძოლის საშვალება ჩვენს ხელშია. არა, ძიკი ძიგუა შენ არ დაიღუპები. დაიღუპება ის, ვინც მართალია და ვისაც სიმართლის განაღდება არ შეუძლია. დაიღუპება ის, ვისაც ბრძოლის საშვალებად ხალხის „სიმართლე“ მიაჩნია... რა არის სიმართლე? რა არის სამართალი?! სამართალი მისია, ვინც ძლიერია, მოსამართლე ის არის, ვინც შეძლებულია, შეიარაღებული. არ შედრკე მეთქი, ძიკი, არ შეშინდე, და შენ გაიმარჯვებ! გაიმარჯვებ, როგორც ყოველი ძლევამოსილი“. ძიკიმ წერილი გადაიკითხა და ისევ მწარე ფიქრებს მიეცა გულამღვრეული.

„გილოცავ ურიადნიკობას“... ხელმეორედ ჩაათვალიერა ძიკიმ წერილი და სარკასტულად ახვიხვინდა.—ჩქარა გუბერნატორობასაც მოგილოცავ, გუბერნატორობას... უჰმ! იუდას კერძი! მემუქრება კიდეც“... გერჩია ხალხს არ ჩამოშორებოდი“. ხალხს... იაკინთე გაფორჩხია, ივანე ჯოლორია, და მისთანა გლეხუჭები, ხალხია ჩემი ძმის თვალში, ადამიანებია... მე კი მგონია, რომ ხალხი ცხვრის ფარაა.·. ხალხი ჭიანჭველების გროვაა... ხალხი გაუგებრობაა ცოდვილ დედამიწაზე... ქვეყანა მისია, ვინც ხალხზე მაღლა დგას... ვინც ხალხს ბურთივით ათამაშებს, ვინც ხალხის ბედს განაგებს. ვინც..

— შეიძლება?—იატაკამდე დახარა თავი მოხუცმა უნდა მთხოვნელმა.

— რისთვის გარჯილხართ?

— მოსახსენებელი მაქვს, ბატონო ურიადნიკო. მომისმინოთ!

— გისმენ!—ურიადნიკი სავარძელს დაუბრუნდა.—დაბრძანდი!—მოხუცმა ნაბადი მოიხსნა განიერი ბეჭებიდან და ურიადნიკი განცვიფრდა მოხუცის მკერდზე შვიდი ჯვარმენდლის დანახვაზე.

— მე ელიშულს მეძახიან, რამიშვილი ვარ...

— გამიგონია. ბოქაულმა ჩიჩიამ თქვენზე ბევრი საარაკო რამ მიამბო ერთ-ერთი შინაური საუბარის დროს.

— ჰო და ახლაც საქმეზე მოვსულვარ. მურთაზ ქუთაისში ვნახე. ერთი კვირა დაყოვნდება. დამავალა შენთვეს გადმომეცა ყველაფერი.

ძიკიმ კარები გამოკეტა და მოხუც რამიშვილთან ერთად საქმიანი საუბარი გააბა საბოქაულოში.

თოვს.

ეგვიტოს ფაცხაში მეზობლის ქალები შეგროვილან. ბურდღას წეწენ და ქვეყნის ავკარგზე საუბრით ერთობიან.

— ძალიან კაი კურო უშოვა ხოსიამ მის დას, ნათელას,—დაიწყო ეგვიტომ.

— აყარყუმდა მისებურად,—ჩაიქირქილეს ქალებმა და ღადარი გამოჩხრიკეს.

— ტყუილს ვამბობ თუ?! ლეკურით ვერ წააგდებიებ კისერს, ისეა გაჟინჟღილებული მაგი ცხენიპარიე მეგრელი,—დაუმატა ეგვიტომ და გაწეწილი ბურდღით სავსე ხელი ცაცხვის კანიდან შეკერილ კოთხოში გაიცალა, თითები დაინერწყვა და ისევ ბურდღის წეწას შეუდგა.

— რატომ არ ექნება კისერი გაჟინჟღილებული, ჩემო ეგვიტო, კაი ცხოვრებას ვინ არ შეიფერებს...

— რა კაი ცხოვრება უნახავს, ორი კაპეიკიზა სასწორზე აქვს თავი შეგდებული. რა წუთში გამოირაგვება იმ კარჩხლებში არ იცის.—ჩაერია საუბარში ილიკო ტოროტაძის ცოლი მარინე.

— წინად რა უნახავს მე არ ვიცი და ახლა რომ კეთილ ცხოვრებაში ჩავარდა, აგი ალარ არის სადავო, ჩემო მარინე!

— რა ცხოვრებაში?!

— რა ვიცი, აი ჩვენი ხოსიეს ოჯახი კი გაანადგურა და...

— როგორ?!—გაიკვირვეს ზოგიერთებმა.

— „როგორ“...—დასცინა ეგვიტომ მეზობლის ქალებს და სიცილი აიტეხა.—დაუსუნთქავი ვარიები—ცხენიპარია მეგრელს, დედალი ინდაური—ბეგი ლადარიას, ნასუქი დედლები და წამარილებული ღორის ბეჭი—ბეგი ლადარიას, გადადუღებული ადესა და იზაბელა—ლადარიას. ქინძის ძმარში ჩაწყობილი კალმახი—ლადარიას, კაი მურაბა, ჯანჯუხი, ხილეული, ტკბილეული და კიდევ კაი გაფრიწინებული გოგო.

— ო, გაგიხმეს მაი საშხამავი ენა.—მიაწყევლეს ქალებმა ეგვიტოს და ბეგლარის განაწეწი ცეცხლში დახრუკეს.

— არა, მისმა სულისცხონებამ ამდენი ხანია კუროსავით ვაჟკაცი ოჯახში ყავს და ხელშეუვლებელს დატოვებდა იმისთანა მარწყვივით გოგოს. ნათელას ახლა ბადალი არ ყავს ჩვენს სამამასახლისოში.

— კაი გოგოა, შენ ნუ მომიკვდე!

— კაი გოგოა, მარა კაი ბიჭიც ქე მოიგდო ხელში.

— მოიგდო თუ არა, ეს ჯერ სადაოა... მარა...

— ვითომ დატოვებს?

— რა იცი არ დატოვებს რამდენი გაჭირვებული ყაძახი საცხა ქალებზე გადიჯირგალებს, ყველას ცოლად ხომ არ შეირთავს“?!—დაასკვნა ეგვიტომ.

— არ მგონია, რომ დატოვოს„—გამოედავა ეგვიტოს ტოროტაძის ცოლი მარინე.—ლადარია ახალთაობის კაცია. ილიკო ამბობს; ბეგის დიდი კაცის მომავალი აქვსო.

— ბეჩაა!!—გაიკვირვეს ერთხმად ქალებმა.

— აბა გაკეთებულა ხოსიე ტრაპაიძის საქმე.

— ბედი ნათელას ქონია და ეს არის...

— ახალთაობის კაცი ყოფილა... იმიტომაც იგლეჯდა წვერებს ნიკო ბლალოჩინი: სურებში საეჭვო ხალხი ჩამომითესლესო.

— მართლა... ბლალოჩინზე „რაღაცებს“ ამბობენ,—ხმადაბლა თქვა ერთმა.

— რას ამბობენ,—ქმარშვილს გაფიცებ,—დაინტერესდენ სხვებიც.

— ჯაშუშობას თუ წამებენ,—წამოისროლა ეგვიტომ.

— უი, მაგას დაშუბავს მისი გამჩენი...

— ღვთის მაგიერი კაცი და ჯაშუში?

— თფუ!—ორივე მხარზე გადიფერთხა ეგვიტომ და პირჯვარი გამოისახა.

— წ ინდათა წმინდა მგონია და ჯაშუშობს.

— ისე მისმა ცოლშვილმა იხარა, მაგი კაი კაცი იყოს, ურიეს ცხენსავით აწვალებს მოჯამაგირეს და ჯამაგირს არ აძლევს. ღმერთი სწამს მაგ ურჯულოს?

— ღმერთო შეგცოდე და ილიკომ მითხრა—ღმერთი არ არისო,—შეშინებული ტონით თქვა მარინემ.

— ღმერთი რავა არ არის, დეილოცა მისი სამართალი,—გადაიწერეს პირჯვარი ქალებმა.

— ღმერთი დიდია, იკურთხოს მისი დიდება...

— რა ვიცი, არ არისო და...—გაიმეორა მარინემ.

— ბეჩა, ნუ იტყვი უცნაურს. ღმერთი კი არის, ვენაცვალე მის განგებას ისე, ამ წუწკმა ღვდელ-დიაკვნებმა კი გააბახეს სარწმუნეობა... ღმერთი თუ არ იყოს, აბა რამ გააჩინ ამსისხო ქვეყანა.

— ქვეყანა ბუნებამ გააჩინაო. ადამიანი მაიმუნიდან არის წარმოშობილიო.

— დაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს. სად ღვთისნიერი ადამიანი და სად მაიმუნი... დეილოცოს მისი განგება.

— ღმერთო შეგცოდე, მარა, ადამიანი ქე წააგავს მაიმუნს.

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს... ღმერთო შეგცოდე, შენი მუხლების ჭირიმე!—დაიმუშტეს ბაგე-ტუჩები შეშინებულმა ქალებმა.

— არა, ღმერთი კი არის, მარა აი ღვდელ-დიაკვნები... იცით რას ამბობენ?

— რას?

— ამას წინად რომ იმდენი ხალხი დაწყვიტეს და ზოგი გადაასახლეს, სამღვდელოება დიდ მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. ნიკო ბლალოჩინმა თურმე ხუთი კაცი ჩამოახჩობია თავისი საბლალოჩინოდან.

— დამიდგეს თვალები!

— წმიდაო, შენ დამიცავი...

— ღმერთო შეგცოდე, მარა... ნუთუ ღმერთი არ ხედავს და ამ საზიზღარ საქმეს... რაღა ღვთისმსახური კაცია ისეთი ადამიანი, რომელსაც ხელი სისხლში აქვს გასვრილი.

— ალბათ დასჯის კიდეც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რავა, მაგ'მგლის არჩიეს ამდენი დრამის ფული და საწირავ-სალოცავი არ ყოფნის, რომ ჯაშუშობაში და ხალხის განადგურებაში არ გეისვაროს ხელები.

— ღმერთო შეგცოდე...

— ღმერთო, ნუ გვიწყენ!—ააპყრეს ხელები ქალებმა და ოჯინჯალეს მიაშტერდენ, სადაც კონწლებად ეკიდა დიდი ხნის ჩამოუწმენდავი ჭვარტლი და ცეცხლის კვამლზე გასახმობად დაკიდებული ღორის კვეთები.

— კი, მარა საიდან ტყობილობს მაგ იუდის კერძი საიდუმლო ამბებს. დაეჭვდა ერთი.

— რა ვიცი, ჩემი ქმარი ახალთაობის კაცია, მაგრამ ხმას არ ამოიღებს „საჩუმათო“ საქმეზე,—გააქნია თავი მარინემ.

— იცით რა მითხრეს. ლომისკარელი ეხმარება ხალხის გამოტეხაშიო.

— ლომისკარელი!

— დეილოცა მისი დიდება!

— ლომისკარელზე ტყუილის თქმას ვინ გაბედავს.

— აღსარების დროს თურმე ყველაფერს ამბობენ.

— კი მაგრამ ახალთაობის ხალხი რომ არ დადის ეკლესიაზე.

— ზოგიერთები დადიან... ზოგის ოჯახის წევრები იჩენენ სუსტ ნებისყოფას...

— რავა, რომ გვკითხოს რაიმე აღსარების დროს, ტყუილის თქმას გაბედავ?

— დეილოცა მისი განგება... ჩემი თქმა რად უნდა, თვითონ არ იცის თუ?!.

— ერთი შენც, ადამიანის ხელით გაჭედილმა ხატმა რა უნდა იცოდეს.— თამამად სთქვა ახლა მარინემ.

— ნუ იტყვი მაგას, მარინე! ადამიანის ხელი არის გაჭედილი, მაგრამ...

— აბა, რა... კაცის გაკეთებული ღმერთის რავა შემეშინდება. იმდენს სიცრუეს ვიტყვი, ნახევარი ვერ დაითვალოს...

— გაბედავ ცრუობას?

— რატომაც არა...

— აი გ ული გქონია, ჩემო მარინე! მე შემეშინდება.

— რის?

— როგორ თუ რის?! ლომისკარელმა ცოტა აყვირა და აბღავლა ჩვენში...

— ტყუილია! ხალხია დამფრთხალი, თორემ არც ერთ ხატს არაფერი არ შეუძლია.

— ა, ბეორე ანტიქრისტე!..

— გარწმუნებ, რომ არ შეუძლია.

— სანიკიძე რომ გადასცეს ლომისკარზე და მეორე დღესვე აყვირდა კი ვარ ქურდიო...—წამოისროლა ეგვიტომ.

— ბერიშვილმა რომ დეიფიცა და იქვე გადირია.

— შემოქმედში რომ წაასვენეს... იქ ხალხი დაიფიცეს და ორი კაცი რომ შეიშალა შიშით ჭკუიდან.

— რას ამბობ?—წაუშინეს ერთად მორწმუნე ქალებმა. მარინე დაიბნა. ასეთ შეკითხვებზე პასუხი ვერ გასცა. თუმცა გულში დარწმუნებული იყო, რომ ხალხის გაგიჟებისა და გამოტეხაში ხატი არაფერ შუაში იყო. მაგრამ ნამდვილი

მიზეზის გამოხახვას ვერ ახერხებდა და] ისეთ დროს ყოველთვის დუმილს არჩევდა.

— ლომისკარელიც ხელს უწყობს ბლაღოჩინს—განაგრძობდენ ისევ ქალები,—და ჩაჩუტებიც* ეყოლება.

— უეჭველია ეყოლება.

— ერთი მე ვიცი.—თქვა მარინემ.

— ვინ?

— ელიშულე რომ დაძვრება ალმა-დალმა, ერთი კვირის წინად რომ ქუთაისში იყო, იქედან სამეგრელოში გამოუვლია, ჯუმათში ყოფილა, შემოქმედის მონასტერში და გუშინ რომ ნიკო ბლაღოჩინთან ერთად ოზურგეთში „წაბძანდა“ მაზრის უფროსთან, თუ არაფერი აწუხებს და რაიმე საქმეში არ ურევია, რას დაღოლავს ატეხილ ძაღლივით?

— მართალია მაგი... ბლაღოჩინი და იგი თეძოამოგდებული ელიშულე ასეა ერთმანეთზე გადასკვნილი.—ეგვიტომ საჩვენებელი თითები ერთმანეთს გადასკვნა, ცეცხლს ხმელი ფიჩხი წამოუმატა და ისევ ბურდღის წეწას შეუდგა.

— ეგვიტო!—მოისმა გარედან ყრუ დაძახილი.

ქალებმა ყურები ცქვიტეს.

— ხოსიეს ხმა იყო.

— მობრძანდი!

ფაცხაში ხოსია შემოვიდა.

— გამარჯობათ ქალებო, გეტყვი მე!

— გაგიმარჯოს, „გეტყვი მე“.—უპასუხეს ერთხმად ქალებმა.

— ბურდღლის საწეწელში ხართ. აბა, სირისკუდი გექნებათ საღამოს გეტყვი მე!

— რატომ არა.

— თქვენი სტუმარი ვარ, გეტყვი მე!

— მობრძანდი, ხოსია!

— ეგვიტო! ხუმრობა იქით იყოს და ცხენი უნდა მათხოვო.

— სად გინდა?

— ლადარია სამეგრელოში აპირებს წასვლას... ორ დღეში ქე დაბრუნდება. ქირას კარგს მოგცემს, გეტყვი მე!

— რომ დათოვოს.

— რავა გეკადრება, ეგვიტო! იმხელა თოვლი რავა მოვა, გეტყვი მე, რომ ცხენჩა ვერ იაროს.

— წეიყვანე. შენი მოყვარე კაცია და არ გავაწბილებ,—გადაუკრა სიტყვა ეგვიტომ და ცხენის შესაკაზმად წამოდგა.

— რა მოყვარეა ჯერ, გეტყვი მე!.. ღამეს ათევს ჩემსას და ეს არის...

— იქნება.—წარბის აწევით უპასუხა ეგვიტომ.

— თუ იქნება, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, გეტყვი მე! რა ურიგო ბიჭია, თუ იცი...—მიხვდა სოსია გადაკრული სიტყვის ნამდვილ მისამართს.

— დიდებული ბიჭია!

— კაი ვაჟკაცია!

---

* ჩაჩუტს—ჯაშუშს ეძახდენ გურიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეგრელი კი არის, მარა...

— რა ვუყოთ, ქრისტიანი ხომ არის.

— ქრისტიანობა რა შუაშია?—იკითხა ხოსიამ.

— აბა, თათარი რომ იყოს, გაატან ნათელას.

— თათარი და ქართველი რამ გაარიგა, ორივე ადამიანი არ არის.

— უი, დამიდგეს თვალები!

— აგი წერია იმ თქვენი ახალთაობის პაგრამაში თათარი და ქრისტიანი ერთია, ვინც გინდა ითხოვოს, ვისაც გინდა ცოლად გაყევიო.

— აგიც წერია, გეტყვი მე—დაადასტურა ხოსიამ.

— აბა არც თავადიშვილობა და აზნაურობა ყოფილა რაიმე.

— თავადიშვილი! შევარცხვინე, გეტყვი მე, ლადარიაზე უკეთესი თავადიშვილი. რომელ თავადიშვილს ჩამორჩება, დამისახელე?!

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— შეიძლება თავადის გაკეთებულია.

— ვისი გაკეთებულია, მოწმედ არ დავსწრებივარ, გეტყვი მე, და კაი ვაჟკაცი და ჭკვიანი ბიჭი რომ არის, აგი არაა სადავო.

— ვაი, რა დრო მოდის!—ამოიოხრა ერთმა.

— რას ბოვესწარი!—გამოისახა პირველი მეორემ.

— ასეთიც მინახავს და ისეთიც. ახლა ახალიც ვნახოთ, რა იქნება,—დაუმატა ეგვიტომ და საჯინიბოდან ცხენი გამოიყვანა.

ხოსია გატრიალდა აჯილლა ცხენის დანახვაზე, უნაგირს გადახედა, მოსართავები გასინჯა და ქალებს მიუბრუნდა: „სირისკუდზე" თქვენი სტუმარი ვარ, გეტყვი მე!"

— მობრძანდი, ხოსია, გამიხარდება, შვილებს გეფიცები,—მოიპატიჟა სალამოსთვის ხოსია ეგვიტომ და ფაცხაში შებრუნდა.

19. ვინ უნდა იყოს

— ინახულე მოხუცი რამიშვილი?—დაბრუნებისთანავე იკითხა ბოქაულმა ჩიჩიამ და პასუხის მოლოდინში ძიკის იჭვნეულად დაუწყო ცქერა.

— ვნახე. დიდხანს მესაუბრა.—არ დააყოვნა ძიკიმ.

— ლადარიაზე გეტყოდა რაიმეს...

— ცნობები გადმომცა. ჩაწერილი მაქვს,—გაწითლდა ძიკი.

— ვინ უნდა იყოს?—იკითხა ჩიჩიამ, დარწმუნებულმა რომ ძიკიმ არაფერი იცოდა ბეგი ლადარიას ვინაობის შესახებ.

ძიკიმ თავი, დაბლა დახარა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქო შეკითხვაზე საპასუხოდ ემზადებოდა.

— იქნებ აფხაზი იყოს გამოქცეული...

ძიკიმ უცოდინარობის ნიშნად თავი გააქანა და ფიქრებს მიეცა: „რისთვის გამოვტყდე ასე ტყუილ-უბრალოდ. ბეგი ლადარია რომ ჩემი ძმაა, ბეგლარ ძიგუა, ეს ჯერ მე ვიცი და უჩა ურიდიამ. უჩას ამ დღეებში ბოლოს მოვულებ და... ბეგლარი ხომ... არა, ვნახოთ, ჩიჩიას როგორ დააწინაურებენ. ვნახოთ ვის წამოაყენებენ ჩიჩიას ადგილას... თუ, ვინიცობაა, გვერდს ამივლიან, მაშინ...—ძიკიმ თვალები დაწკურა და ჩიჩიას ირიბად გადახედა.—მაშინ გიფე-

თებ ანგელოზებს, მურთაზ ჩიჩია... თუ არა და ბეგლარი სურების ტყეშიც ადა-
ვილი დასახუნდავია. ჯერ-ჯერობით კი დუმილი მირჩევნია. საცოდავი ბეგლა-
რი,—შეჭყვა ფიქრებს ურიადნიკი.—სურების ტყეში შეცუცქდა. კარგია თავშე-
ნახული ცხოვრება. ჩუმად, ქურდულად. კარგია, სანამ აგითვალთვალებენ... სა-
ნამ მეძებრებით გამოგიდგებიან.

ძიკიმ შეტოპა ფიქრებში და სულ გადაავიწყდა, რომ ის ამ ჟამად ბო-
ქაულს ესაუბრებოდა სამსახურის საკითხზე.

— იქნებ შენი ძმა იყოს, ბეგლარი... გვარ გამოცვლილი!—როყიოდ იკი-
თხა მურთაზმა.

— შეუძლებელია. ის რუსეთში აპირებდა და სურებში საიდან გაჩნდე-
ბოდა. არა, ეგ შეუძლებელია,—მეტი დამაჯერებლობისათვის გაიმეორა ძიკიმ.

— მეც მეეჭვება, მაგრამ ნიშნები როგორღაც დასტურს იძლევა: მაღალი,
თმახუჭუჭა, ზორბა ტანის.

— წვერი?—დაასწრო ძიკიმ.

— წვერი...—გაიმეორა უაზროდ ჩიჩიამ—იქნება მოუშვა წვერი შენთან
გაშორების შემდეგ.

— შეიძლება... მაგრამ... მეეჭვება კია.

— ჯანდაბას! ამ ორ კვირაში ყველაფერს გამოვარკვევ.

— ახალი ცნობებით?—აღელდა ურიადნიკი.

— არა. გურიაში სტუმრად მივდივარ. ქიშვარდი შერვაშიძისგან წერილი
მივიღე, დედაჩემის ბიძაშვილია, ქეიფს ვაპირებ და უთუოდ მეწვიეო. მინდა წა-
ვიდე. „მამიდასაც ვნახავ, კვიცსაც გავხედნი“. შერვაშიძე კონცესიონერის
რწმუნებულია. იქნება პირადად იცნობს ლადარიას... ყველაფერს გამოვარკვევ.

ძიკი მოიღუბლა. „ყველაფერს გამოარკვევს“. თუ გინდ გამოარკვიოს, მერე?

— რაზედ ჩაფიქრდი.—შენიშნა მურთაზმა ფერწასულ ძიკის.

— ოჯახურმა პირობებმა გამწელა, ბატონო მურთაზ!—იცრუა ძიკიმ.—
სახლის გადმოტანას ვაპირებ, ნასესხები ფულით ვიყიდე და სახარჯო გროში
არ გამაჩნია.

— რა დროს სახლია, მეგობარო!

— უბინაოდ ვარ, ბატონო მურთაზ... ფაცხაში ვცხოვრობ.

— არაფერია. ჩქარა ქარვასლას აიშენებ. ოლონდაც...

— რა, ბატონო მურთაზ!—მოუხშირა ძიკიმ „ბატონობით“ მიმართვა,
ნაცვლად სასამსახურო ტიტულის ხსენებისა.

— მე კიდევ არ მჯერა, რომ შენ ძმას გაიმეტებ.

— რატომ იკადრებთ.

— ასე მგონია.

— გარწმუნებთ.

— შეიძლება, მაგრამ.

— არავითარი „მაგრამ“, ბატონო მურთაზ! ფიცი მომიცია!

— მჯერა... მაგრამ ძმა არის, სისხლი და ხორცი,—განგებ დაიდაბლა ხმა
ბოქაულმა და ძიკის სულიერ განწყობილებას დააკვირდა.

— ძმა იყო, სანამ ერთად ვიყავით—ერთი გზა ჩვენ ერთად ყოფნის დრო-
საც არ გვქონია... დღეს კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ შორის ღრმა უფსკრულია. უფსკრული, რომელსაც ვერავითარი ნათესაური გრძნობა ვერ ამოყორავს...

— მომწონს. ელენესთან როგორ ხარ?—მოულოდნელად იკითხა ბოქაულმა.

— მოვტეხე.

— დათანხმდა?

— თითქოს უარზეა, მაგრამ დათანხმდება. გოჩას ადვილად გაიმეტებს.

— მოხუცი? ჯერ ხომ არ უჩივლია გუბერნატორთან?

— მოხუცი ეცოდება, მაგრამ მოვაწყობ რაიმეს. საჩივარი ველარ მოუსწრია, რომ დავაპატიმრე მაშინ ყოფილა მომზადებული.

— როცა მოხუცს მოვრჩებით, გოჩა მაშინვე უნდა განადგურდეს. იქნებ მან მოახერხოს გუბერნატორთან ჩასვლა, ფულიანი კაცია, ქრთამი კი ჯოჯოხეთს გაანათებს... აუხსნის ყველაფერს დაწვრილებით და... მშვიდობით: ჩვენი საქმე დაღუპულია. შენც...

— ზომები მიღებულია.

— აიგულე ვინმე?

— უკვე დავუნიშნე კიდეც. თოფი მივეცი. ცოტა ფულიც.

— აი, ყოჩაღ! ეგ მომწონს!—დაჰკრა ხელი ბეჭებში ბოქაულმა ძიკის.

— მაშ ურიდიებთან ჩქარა გავასწორებთ ანგარიშებს.

— ორიოდ კვირაში.

— სააღდგომოდ ვქორწილობთ კიდეც. ამ ხსნილში არ ივარგებს.

— მეც ასე მგონია. ასე სისხლიანი ქორწილი მექნება ბატონო მურთაზ!

— მოგცლია შენც. სისხლი. სისხლი ზოგჯერ მაჭარზე ტკბილია. შარბათივით საამური. თუ გინდა გაიმარჯვო, ხელი სისხლიანი უნდა გქონდეს.

— ჭეშმარიტებაა!

— ორჭოფობა კი. აშკარა მარცხს უდრის,—წაქეზების კილოთი თქვა მურთაზმა და თავის კაბინეთში გავიდა, კარები გაიხურა და მაგიდაზე დაგებულ ქაღალდებს დაუწყო თვალიერება.

პ. ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ხევში, თერგის პირდაპირ

ქვევით თერგია.
ზევით კიდევ—მთანი მაღალნი.
თერგი ღმუის და ეხეთქება კლდიან ნაპირებს;
მე ვამბობ სიტყვას, ჩემს ხელშია თემა ახალი,
თემა, რომელიც გამართლებას მთებში აპირებს.
მსურდა სიმღერა,
მაგრამ გულმა მითხრა:—დადინჯდი;
აქ უნდა ფიქრი, ისე, როგორც მთები ფიქრობენ.
გაქედე სიტყვა, მთა გაზომე ყოველ ნაბიჯით,
თუ გინდა შემდეგ არწივივით ლექსი მიქროდეს.
გულმა ეს თქვა და,
მეც დავკარგე ბარის სიფიცხე:
არშის გალავანს შევაჩერდი თერგის პირდაპირ:
იქ ლოდებს ტეხდენ,
ირყეოდა მთების სიმტკიცე..
ქუხდა ნალმი და ითხრებოდა კიდევ გვირაბი.
კლდე ფითრდებოდა, მანქანები იდგენ გუგუნით.
სადღაც ხმა იყო:
—ქვა გავაპოთ, ადექ მინდიავ!
მთაში ქუხილი ასე ვიცან ამ საუკუნის,
და მეც შევძახე: ეს ქუხილი ანდეზიტია.
არშის მიწიდან ინდუსტრიის ხევი ვიგრძენი;
მაზუთის ბოლი მთების მხრებზე იწვა ღრუბლებად.
არშა გრგვინავდა, ირყეოდენ თითქოს სივრცენიც,
როგორც კლდეებთან მღვრიე თერგის გასაუბრება.
მთაო, უხვი ხარ!
ძვირფასია შენი მადანი;
ჩვენი ქიმიის აყვავება ხმას აქ იმაღლებს.
გიქებენ დოვლათს; ქვეყანაზე არ გყავს ბადალი,
ხევის თვალი და რესპუბლიკის მკერდის სიმაგრევ.

ქვევით თერგია.
ზევით კიდევ— მთანი მაღალნი.
თერგი ღმუის და ეხეთქება კლდიან ნაპირებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვსინჯავ სივრცეს: ვეძებ რაა მთებში ახალი;
მთებში ცხოვრება განხლებას როგორ აპირებს.
და ისევ ნალმი...
ქვის ყუმბარა არშას დაეცა.
ქვამ შეანგრია არშაველი გლეხის მიწური;
გლეხი წამოხტა, ამოვარდა ბანზე უეცრად,
მთას შეხედა და შეაფურთხა სიტყვით ბინძურით.
—სირცხვილი მთაო!—დაიძახა ბოლოს ჯიუტად,
მიტრიალდა და მიაკეტა კარი ბინისა...
ლოდები სკდება,
ლოდები კვლავ „ზარალს“ მიუტანს
არშაველ კაცებს,—თუ არ ექნათ ფარი რკინისა.
ასე ვიფიქრე, როცა ნალმი კვლავ აგრიალდა
და შრაპნელივით წამოვიდა ისევ ლოდები.—
მაგრამ სადღაა რკინის ფარი, ქვას რომ ნიადაგ
დახვდეს და მარცხი შეაჩეროს მოულოდნელი.
არ არის იგი,—თუნდ რომ იყოს, აქ არ ივარგებს.
კვლავ გავიფიქრე, და შევხედე გლეხს მორიდებით.
მან არ იცოდა ვინ ეგრევდა მთებში სიმაგრეს,
ახლაც ძლიერად რომ ამძიმებს დღე ადრინდელი.
არშაველო ძმავ!
ქვის მადანი შენი ძარღვია;
იქ მტერს ვერ ხედავ, იქ გეგულვის მხოლოდ დიდება.
შენი სიმღერა, შენი გული მთების ნალმია,
ნალმი, რომელიც ხვალ მყინვარსაც დაემკვიდრება.
და მაინც ეძებ მტერს, რომელიც აყრას გპირდება:
შენ მაინც წუხარ, რომ დაგიგეს თერგზე სხვა ხიდე...
არშაა, სადაც გაახილე თვალი პირველად
და გიმძიმს: არშის ბილიკები დათმო—წახვიდე.

კვლავ ღმუის თერგი...
კვლავ ფიქროპენ—მთანი მაღალნი.
მთის ფრიალოზე ცხვრის ჯოგი ჩანს—მწყემსი კი არა.
ამენთო სადღაც გონებაში ფიქრი ახალი,
დამეცა გულს და წუთით ხევი შამოიარა.

არშაველო ძმავ!
ახლა ვიცი მტერი ვინც არის.
ვიცი და ვამბობ: მას არვინ ყავს ქვეყნად მნახველი;
ის შენში ცხოვრობს, როგორც განცდა, როგორც ფირალი,
და ძველთაძველი ადათია მისი სახელი,
ადათს კი ბრძოლა—
ბრძოლა უნდა დაუნდობელი,
რომ ორბებივით ძლიერობდენ დღენი ლხენისა,
რომ იგრძნოთ წიგნი, როგორც ღვიძლი ძმა და მშობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იცნოთ ნათლათ მომავალი თქვენი ხევისა.
ასე მივმართავ მათაც—შენებრ რომელთაც ეთქმის,
რომლებიც უნდა გაიტაცონ ტემპის ბრძოლებმა.
აი, თერგ-გალმა რომ შენდება ბინები თქვენთვის,
თქვ ნ იქ მოაწყობთ კომუნისტურ ყოფა-ცხოვრებას.
იქაც ხევია...
აგშორდებათ ქვების თავდასხმა.
დარჩება არშა წარმოებას ქვების მარაგით.
გაივლის წლები აქ მოხდება მთების გადასმა
და მთების ფესვზე გაირზდება ხევის ქალაქი.
დრო ძლიერია...
ფეხს ვაბიჯებ ქვების ნამტვრევებს,
მიყურებს რისხვით, ლაღუმებით მთა გაპობილი.
თერგი ღმუის და, თერგის გალმა შარას ამტვერებს
დარიალიდან მომავალი ავტომობილი.

გ ი ო რ გ ი კ ა პ ა ხ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გოგმიაშვილი

პოემა შავ-კლდეზე

Не как враг, а как друг и освободитель. Пришла красная армия к восточным народам.

(მინაწერი შავ-კლდეზე)

1. როცა სიმღერა ამეტყველებს მთას-კავკასიონს

მზე დამავალი დაისს ცეცხლად წაეკიდება,
როს უკანასკნელ სხივნი მოსწყდენ მთის კენწეროებს. —
დამფხრთალი ჯიხვი კლდიდან-კლდეზე გადაფრინდება
და ლაქვარდები გაიკრავენ გუნდად წეროებს...
უკვე ბინდდება. მთები სდუმან დარიალისა.
მე კი მინდება: ღამეს ნისლი, ვით გადავსწიო;
რომ ისევ სჭექდენ გვირაბებით კლდენი სალისა —
სიმღერას, რაიც ამეტყველებს მთას-კავკასიონს.
აგერ: შავი-კლდე ხეობებში გადმომტვრეული,
სად ბინადრობდა ღრუბელი და არწივის ბუდე.
ეხლა—იბრძვიან ლაღუმები ერთად რეულნი
და კლდეზე შემხმარ ვაქკაცის სისხლს საზღვარი უდევს!

მხოლოდ, სად ფერდნი მთებისა ნაღმით იშუშვენ იარებს.
ტალღები მბრდღვინავ თერგისა ხევ და ხევ ჩაიხმიანებს.

ჩაიხმიანებს ყაზბეგიანთ საყანე ფერდობს —
(რომ მოუხერგავს ღორღიანით მოვარდნილ მეწყერს...)
— იქ, სადაც იდგა წისქვილი თუ საბზელი-ერდო
ლიბოთურ მოსპო და სამხედრო გზები დალეწეს! —
თითქოს ერთობილ ცის ქუხილში დატყდა მყინვარი,
დაეცა ორბი. და წამოდგა ნიაგარის ფრთა.
ნიაგარს მიაქვს ხარ-ირემი მთასა-მყვირალი,
როგორც არშიდან ნაღმის გრუხუნს ჯურღმიაის მთა!..
შორს მთიელების კოლექტივის ვხედავ იალაღს,

ვხედავ — მიიწევს ფარა, სადაც მწვერვალებია.
— დაე, აღმოხდეს ხევებს ოხვრა ნაღმის ღრიალად. —
მთებში მწყემსები სალამურის ხმაზე მღერიან! —

ეს გერგეტით მოვარდნილი
მეწყერი თუ ლანქერია, —
მზე, რომ კოშკზე მოვა დილით
და ხევს ჩრდილნი დასცქერიან. —
როგორც ნაღმით მთიდან-მთებში
ანდეზიტის კლდეთა ხევა.
გადასძახის ქვათა ოქეშით
მოგრუხუნე ხევას-ხევა! —
ისე მთაო, ისევ ხვნეში,
და ლოდებად მონახერგი
დარიალის კლდეთა ყბებში
აფთარივით ღმუის თერგი.

ეს ყუროა თუ ბეთლემის
ფუძე რკინამ შეარყია.
ზვავია თუ არშის მთების
გამოჭრილი მხრები ჰყრია.
და მყინვარში, რომ შესული—
(ვით დაჭრილი მთებში ვეფხი.)
რომ შელმუის, რომ შეზუის
ანდეზიტის მეხთა-მეხი! —
ისე მთაო, ისევ ხვნეში,
და ლოდებად მონახერგი —
დარიალის კლდეთა ყბებში
აფთარივით ღმუის თერგი:

— მთაო, შეგირცხვეს მთაობა,
ერთად რომ მიეჯარენით, —
როცა ვაჟკაცთა თაობა
მოსულა რკინის ჯარებით.
იტყვიან: მთაში დღეები
უნდა შევწიროთ მიზანსა.
და სჭრიან საჯიხვეებით
„სამშობლოს ხევსურისასა“.
გულში რქვა: ყველას თალხივით
თავისი დარდი აწუხებს:
დღეს, თუ მთას დაჰკრეს მახვილი,
ხვალ მე დამიდგმენ მარწუხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გულჯავრად გახედავს
სადაც მთებია ჭაღარი. —
— აღელდა თერგი, აღელდა
კლდეს გაადინა ჭახანი!

ცას კი ღრუბელი
წვიმამ დალია —
წვიმას მიჰქონდა სახლი ხაისა,
როცა ღრიალათ მაღალ მხარიდან
ტალღები მბრდღვინავ ნიაღვარისა —
მოსქდა ნაპრალებს, გასცდა დარიალს
და თან წაიღო მწუხრი ღამისა...

გადიღო წვიმამ.
ჩადგა მდინარე.
ცას ღრუბლით სახე ვეღარ ებურვის,
როცა მთებიდან თვალს აბრიალებს
მზე კრიალა და მზე დიდებული.

და სადაც ერთხელ
გზა-დაგრეხილი
კლდეებს მისდევდა მთებში მეტ-წილად —
მეწყერს მოვარდნილს ელვა-მეხივით,
ელვა-მეხივით დაულეწია.
ეხლა უგზობას ღმუის მთას იქით
დარიალისა ვიწრო კარები. —
კარს მოსდგომია ანდეზიტის ქვით
მთას დატვირთული ავტოკარები!..

— გზა დაფშვნილია და...
— შავ-კლდეს ლოკავს მეწყერი თერგად.
— ავტო რა არი — ვერ გაჰკიდოს კაცმა წრიაპი.
— მთამ, რო ჩაიცვას ნისლოვანში ყომრალი თექა,
მაინც მოანგრევს კლდის სიბრტყეებს ჩვენი გვირაბი.
— ჰაუ...
— რა მოხდა?
— თერგი ურტყამს, სად სდგას შავი კლდე.
— რა გახდა მისი აფეთქება — ერთი გასროლა!
— ნალმიც მზად არი!
— ცეცხლი იწვევს მთის ნაშალისკენ...
— ჰეი, მენალმევ! არ გეგონოს მთებში მწყემსობა!..
— მართალი არი ამხანაგო მეცხვარე ვიყავ,
მეცხვარე ვიყავ, მაგრამ ეხლა ნალმის მწყემსი ვარ!

— დადეგ გულ მართლად!
— ტემპის მტერი — ტემპმა გარიყოს...
— მხოლოდ ტემპმა სთქვას ჯანი შრომას თუ ვინ შესწირა.
— დასცხე მოხევევ!
— დასცხე გახავ!
— დასცხეთ ბიჭებო!
— დასცხეთ, რომ მთებშიც დიადი მზე მაღლა ავსწიოთ,
რომ მუშის კუნთმა დაიმღეროს ნაღმის ბჭეებთან
„სიმღერა, რაიც ამეტყველებს მთას კავკასიონს“.

ასე გულლაღად
მთებში ერთ-ურთს ესიტყვებოდენ
საყაზბეგოდან ანდეზიტის ბრიგადირები
სადაც: თვრამეტის პარტიხანულ ამბებს ყვებოდენ
როგორც დიადი საბჭოეთის შრომის გმირები.
ფითილი იწვის.
იწვის კლდეზე „ქუჩიც“ საშინლად...
ამფეთქებმლო, ამ ფითილთან სანამ იქნები.
ჰა, მოტრიალდი! მაგრამ კლდიდან, როგორც აფიშა
სდგას წარწერა და აგეშალენ ძველი ფიქრები...

2. საშას რაზმი

მაშინ ლტოლვილი საშას რაზმი საქართველოდან
შევიდა ძაუგს (ეხლანდელ კი: ორჯონიკიძეს.)
ბევრი თუ ქალაქს იმის მოსვლას არ მოელოდა,
ბევრმა თხუნელამ მიაშურა შორი-ყირქიზეთს.
და ცეცხლიანი ოქტომბერის მტერთა ბანდისკენ
ის მიიწევდა — და მრავალი ველად მოსრისა.
შემდეგ: შავი ზღვის ნისლობისას დარიალისკენ
დაეშვა, როგორც „რაზმი საშა გეგეჭკორისა“.
სთქვა: უნდა დროით მივეშველოთ აჯანყებულებს,
სადაც მთიულეთს, ვით ქოფაკი არბევს ჯუღელი.
ღამე იყო და... გზას მისდევდა ოსი მეურმე.
რაზმი მღეროდა, სად არკაში სთვლემენ მუხები:

„ქვეითით მოდის ამბავი —
რაზმელები მოდიან.
წინ გეგეჭკორი მოუძღვის —
კავკასიის ორბია.
ხევში ნისლი შემოსულა —
ნისლი ფარავს დარიალს.
საცისკარო მზიან დღეებს
ღამემ ხელი დაღრია.
გადიყარე შე ოხერო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიალო, ნისლები.
ნისლებს გაჰყვეს ჟორდანიას
„კარის დარბაისელები“.
— ჩვენ მოვსულვართ იარაღით
ჰიათურის მუშები.
— ჩვენ მოვსულვართ ცხინვალიდან.
— ჩვენ მოვსულვართ დუშეთით.
ჩვენ მოვსულვართ და ქოხიდან
მოგვტირიან დედები?
ალბად „ნოეს კიდობანის“
ჰქონდათ სხვა იმედები.
მთაო, ირგვლივ მოიკრიბე
ახალგაზრდა თაობა; —
ცისკარს შხამავს მენშევიზმის
უდღეური მთავრობა.
გადიყარე, შე ოხერო,
დარიალო, ნისლები.
ნისლებს გაჰყვეს ჟორდანიას
„კარის დარბაისლები“.
— ჩვენ მოვსულყართ იარაღით
ჰიათურის მუშები!
— ჩვენ მოვსულვართ ცხინვალიდან!
— ჩვენ მოვსულვართ დუშეთით!“

და ეს სიმღერა
მიჰქოხდა ქარს გორზე ნელიად...
მიჰქროდა ნისლებს, აქაფებულ წყალს და თანდილას, —
რომ კლდეზე გაკრულ მწყემსის ქოხშიც ეპოვა ბინა,
სადაც თერგი და მყინვარების თეთრი მთებია...

მთებში ხევდახევ ჩასაფრებული
მტერს შეეტაკა წითელი რაზმი.
დარიალს ცეცხლით გაშმაგებული.
ხვივის ქვემეხი.
— ზრიალებს ლარსი!
ზრიალებს ლარსი ვით შემაზრზენი,
რომ თერგს გაკრული ცეცხლი ფარავდეს,
რომ მიჰკიოდეს კლდეებს რაზმელი
გუდაურიდან დარიალამდე...
მაგრამ მთებ-შუა დაეშვა ღამე —
როგორც მკერდს მტრისას — მტრისვე ხანჯალი...
დაეშვა ღამე და მთას და ხრამებს
შემოეჯარა დამსჯელი ჯარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის ჯარი და...
შავი კლდის პირას —
თერგთან წითლების მოსჩანს მხედარი.
ბრძანება ისმის:
Эй! залпом пли!!!
იყოს ქუხილის რისხვა მედგარი!
და კლდეზე გაწვდილ მხდარის თვალი
პირქუშმა ტყვიამ ბინდში დაჰხარა...
— „დაეცა... ესეც თვრამეტი არი“...
დემონმა ხევში გადიხარხარა!..

3. მოღელავს ხევი — გზა მიეცით ამხანაგ მთას!

ეხლა წავიდა ის დრო, როგორც ხევში ნისლები,
ხევში ნისლები ადრინდელი — მთის ნაშალისკენ...
წავიდა ის დრო... ეს წარწერაც ჩვენი მიზნებით
სჭექდა და დღეს თუ ყაზბეგლებმა მოსჭრეს შავი კლდე —
ეს მიტომ, რადგან გზები უნდა რკინის ქარავანს —
მას არ შეშვენის ჩვეულებრივ არწივის ფრთები.
და აზარმაცის ჩექმებით და ნალმის ტარავალ
დინჯი ნაბიჯით, ველებისკენ გაივლის მთები.
—გავარდა ნალმი! ზათქით მოდის ქვა-კიდობანი.
კლდეებს შებმიან ანდეზიტის შრომის გმირები.
— „მოსჭერ შავი კლდე — კავკასიის მთების ორგანი“
ენტუზიაზმის მზეს ანთებენ ბრიგადირები! —

რომ ნახოთ მთაო, მთაობა, — ერთად რომ მიეჯარენით, —
კლდეში ვაჟკაცთა თაობა მოსულა რკინის ჯარებით.

— რკინის ჯარებით დაჭრილია მთების ზურგები,
დაჭრილი არი შავი კლდე და პირქუში ღამე.
სად ახალი მთის — განთიადის, ვითარც ბურჯები —
პირველს ნალმები, მეორეს კი მზის სხივნი ხრავენ...
— გზა გაჭრილია! გზას გაღრღნილი შავი კლდე მისდევს,
ვით დარიალის ხეობისა ვიწრო კარები.
და საყაზბეგო სადგურიდან დაიძრა ისევ
ქვით დატვირთული ანდეზიტის ავტოკარები.
მოდის ავტო და... გადმოჭრილი მთებიდან ხევში —
ჩადგა. დადუმდა. მოელვარე ნიაგარის ფრთა.
და საპასუხოდ — ინდუსტრიის ძლიერი ხრეშით
მოღელავს ხევი — გზა მიეცით ამხანაგ მთას!

ალექსანდრე გომიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. პოლუმორდვინოვი

ბიგანტის მშენებლები

ელვა.

(ხარკოვი. 1 ოქტომბერი.

11 ს. 50 წ. მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციების და დიპლომატიური კორპუსის თანადასწრებით, სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. პეტროვსკიმ გახსნა მრავალათასიანი მიტინგი და მიულოცა მშრომელ ხალხს ხატრაქტორო გიგანტის გახსნა.

უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანმა ამხ. კასიორმა იმედი გამოთქვა, რომ გამოცდილ ბოლშევიკის ამხ ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა გაამართლებს თავის დანიშნულებას და მოგვცემს წელიწადში 50 ათასს ტრაქტორს.

12 ს. 50 წ. გაისმა ფუგასის აფეთქება.

ამხ. პეტროვსკი სჭრის ზონარს:

პირველი ტრაქტორი ტრაქტორისტ ქალის ხელმძღვანელობით კონვეიერიდან ჩამოდის და მოჰყავს ამხ. პეტროვსკი.

მატარებლის ფანჯრიდან

კავკასიონის ქედის უკანასკნელი მწვერვალი თვალიდან დავკარგე და თვალუწვდენი ველები გადამეშალა ირგვლივ.

ორთქლმავლის ჩამუქებული კვამლი უზარმაზარ ლურჯი ცის ქვეშ ღრუბელივით იშლება და ნისლივით ქრება.

ველები და მინდვრები.

არც ერთი მთა, არც ერთი გორაკი.

ათასეულმა კილომეტრებმაც ვერ ამოლიეს ეს ხან მწვანედ, ხან ყვითლად და ჭრელად გამომცქირალი ნათესი ველები.

მარჯვნივ—პურის ყანები...

ადამიანის სიმაღლემდე აზიდულა თავთავები, სიმწიფეში ჩაოქვრილა და ჰორიზონტამდე ერთ მხარეზე გადაზნექილა.

მარცხნივ—მზეუმზირას ნათესები...

კისერმოგრეხილი ღეროების ზღვა, დღე მზისაკენ რომ ტრიალებს და განთიადამდე თვალი დასავლეთისაკენ, რომ ურჩება.

ათასეულ კილომეტრებში იცვლება სურათები, და ბარაქით სავსე ველ-მინდვრებზე, რომლებზედაც გაერთიანებულია უთვალავი კოლექტიური მეურნეობა აქა-იქ მოჩანს მომუშავე გლეხთა ჯგუფები და თითო-ოროლა ტრაქტორი,

იწყება პურის მკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლის გუგუნი ტრაქტორის ხმაურს ჰფარავს. ტრაქტორი კი თავის საქმეს დაუღალავად ასრულებს, სწორ, შეუშლელ ზოლს მიჰყვება, ჰკაფავს და დახოცილებივით ძირს აწვენს პურის თავთავებს.

ათასი მარჯვენა წამის განმავლობაში ათას ძნას ჰკრავს, და ეს ათასი კოლექტიური მარჯვენა უზარმაზარ ზვინებად აწყობს პურს.

მიჰქრის მატარებელი...

ირგვლივ, მარჯვნივ და მარცხნივ, როგორც იურტები, ჩამომდგარია ეს ზვინები და მკათათვის სიცხეში იწვის, ხმება.

ათი წუთიც და უკვე ათი კილომეტრის იქით გრძელ, დაუსრულებელ ქარავნად მიიზლაზნება პურით დატვირთული რუსული ურმები.

ღია ფანჯარა ივსება გამხმარი ბალახის და მცენარეულის ხმელი სასიამოვნო სურნელით და ყნოსვას აბრუებს.

ამ ველ—მინდორზე დღისით და ღამით, სადაც საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ მემამულეთათვის იღვრებოდა ოფლი, დღეს წითელ ბელლებისათვის ზრუნავს გლეხობა.

მიჰქრის მატარებელი...

ფანჯრის ჩარჩოებში იცვლება სურათები...

ჩნდება:

ტრაქტორების რაზმეული,

წყლის გუბეებთან წამოწოლილი ხარები.

ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები, მკლავდაკაპიწებულნი, მხნე და მკვეთრი მოძრაობით.

უფრო შორს კი მოჩანს სულ სხვა სურათი:

გლეხები ცელებით ხელში მისდგომიან თვალუწვდენელ ყანას და ამ პრიმიტიული იარაღით მკიან. ჩანს, ამ კოლექტივს ტრაქტორი არ აქვს.

ოკეანესავით ვრცელია საბჭოთა კავშირის ბარაქიანი მიწები; და როგორც ოკეანე ათასეული გემებით ვერ დაიფარება, ისევე სოციალისტური მინდვრები ასე მალე ვერ გაძღება მანქანა—ტრაქტორების იმ რაოდენობით, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს.

კოლექტივებს სჭირდება ტრაქტორები.

მიწები შიმშილობენ უმანქანებოდ.

მატარებელი მიქრის.

გუგუნებს ორთქლმავალი.

ლიანდაგებზე დაგდაგებენ ბორბლები და ელვის სისწრაფით ჰკვეცავენ გზას.

ახალ-ახალი სადგურები მოჰქრიან ჩვენკენ. გვტოვებენ სოფლები და ქალაქები. გვიახლოვდება ხარკოვი,—პროლეტარული უკრაინის გული, სადაც აშენდა სატრაქტორო ქარხანა...

როგორ მუშაობენ ქარხნის ასაგებად

ხარკოვიდან 7 კილომეტრის მანძილზე, საიდანაც ღამით ელნათურებით გაბრწყინებული ქალაქი მოჩანდა, დღისით კი მისი ქარხნების კვამლი და მილები, აშენდა სატრაქტორო ქარხანა.

ამ არემარეში სთესდენ პურს, მკიდენ, თიბავდენ ბალახს და აბრუნებდენ მიწას. გაზაფხულზე, როგორც სოფლის მიდამო შემოსილი იყო ხოლმე მწვანედ, წითელ-ყვითელი მინდვრის გარეული ყვავილებით, ათასობით ფრინავდენ პეპლები. ზამთარში კი თვალგადუწვდენი ველი თეთრად იმოსებოდა, დაქროდა ველური ქარი, იდგა თოვლის კორიანტელი.

მუდამ ჩუმი იყო პატარა სადგური ლოსევო.

დღეში მხოლოდ ერთხელ დაარღვევდა ხოლმე მატარებელი მის სოფლურ მყუდროებას, ისიც რამდენიმე წამით, და ისევ გზას გაუდგებოდა.

პარტკოლექტივის მდივანი პოტაპენკო და მე ერთ-ერთ საამქროსთან ვდგავართ.

ქარხანა გადაჭიმულია რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე, და მთელი ეს ადგილმდებარეობა სავსეა ნათხარი მიწებით, აგურებით, ქვებით, ლითონის ნაჭრებით და ჩამონაჭერი ხეებით.

პოტაპენკო შავგრემანია, სახე მზით აქვს დამწვარი და ზედა ბაგის მარცხენა მხარეზე თითქოს წაუშლელად ჩარჩენია ღიმილი.

ის იცქირება ყოველმხრივ, ათვალიერებს ყველაფერს, თითქოს პირველად ხედავდესო, მერე ბრუნდება ჩემსკენ და მეუბნება:

— როდესაც საამქროებს საძირკველი ჩავუყარეთ, ყინვა 30 გრადუსს აღწევდა. რკინის მთავარ კოჭებს, რომ ვდგამდით, მუშებს ხელები ეყინებოდათ, რკინას ნახევარ მეტრამდე ყინული ერტყა გარს. მშენებლები ცეცხლით ალღვობდენ, ამტვრევდენ და ისე სჭედავდენ კორპუსებს.

ჰაერი მშრალია. მზე საგრძნობლად აცხუნებს. სხვებზე გარკვევით მოჩანს აბრეშუიალებული მტვრის მილიონი ნაწილაკი.

ვხედავთ შორიდან ვიწრო ლიანდაგზე მოგორავს ვაგონეტკა. სპეცტანსაცმლიანი რამდენიმე მუშა ზედ ზის და თითოეული მათგანი მახორკის კუშტი კვამლით ირთობს თავს.

ვაგონეტკას მოაგორებენ. ერთმანეთს ზურგებით მიჰყრდნობიან და ყელმოღერებულნი გასცქერიან სივრცეს.

ჩვენს წინ ჩასრიალდა ვაგონეტკა. ცოტა მოშორებით ერთმანეთს ხელებით ჰიდილი დაუწყეს. მერე ერთი გამოვარდა, მიწის გროვაზე ზურგით დაეცა, შემდეგ გადაბრუნდა ვაგონეტკაც და ცალი კუთხით ჩაესო ლიანდაგსა და მიწის გროვილს შორის.

— როდესაც მტრებზე გვაქვს ლაპარაკი,— ფიქრიანად წარმოსთქვა პოტაპენკომ,— უსათუოდ ბურჟუაზიული ქვეყნებისაკენ ვიხედებით, შიგ კი ჩვენს ქვეყანაშივე, ჩვენს შორის მტრები რომ არიან, ამას შეუმჩნეველსა ვსტოვებთ, ზოგიერთი გუშინ მოსული გლეხი ქარხანას ისე უცქერის, როგორც საწველ ძროხას, ეგენი გლეჯენ წარმოებას საათებს, წუთებს. ოღონდ როგორმე რამდენიმე წუთი უსაქმოთ გაატარონ, არ იმუშაონ, ილაზღანდარონ და მეტს არაფერს არ ინატრებენ,— თვალი გააყოლა მათ და დაჟინებით შესცქეროდა, ვიდრე ვაგონეტკა ლიანდაგზე არ შეაყენეს და არ განაგრძეს გზა.

— მაგათ აღზრდა ესაჭიროებათ, ხომ იცით, სოფელი სულ სხვაა. მაგათ, ალბათ, კოლმეურნეობაში არც კი უმუშავიათ, რომ რამე დისციპლინა გაევლოთ.

— სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენს მშენებლობაზე მოსული გლეხი რამდენიმე თვეში იცვლება, ისეთი გარდატეხა ხდება, რომ ძველი მუშებისაგან ძლივს გაარჩევ. ეს ქარხანაა, ჩემო ძმაო, თავისებური კოლექტივია, სკოლაა, გავლენას ხდენს. ვინც ვერ ეგუება, რამოდენიმე კვირაში გაგვირბის ქარხნიდან.

ქარხნისაკენ მომავალ გზაზე ავტობუსი აგუგუნდა. მისმა ხმაურმა ძალაუნებურად მიიპყრო ჩვენი თვალი. ხალხი გადმოვიდა, ჩვენ ლაპარაკი განვაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძეთ. არ გასულა რამოდენიმე წუთიც კი, და ჩვენს წინ აიმართა ერთი პირხმელი მაგრამ ჯანსაღი გამომეტყველების ახალგაზრდა. ტყავის მაღალყელიან ჩექმებში ჰქონდა შარვალი ჩატანებული.

მომცინარე სახით გაჩერდა ჩვენს წინ.

— ჩელობიტკო!—წამოიძახა პოტაპენკომ და ხელი გაუწოდა. დიდხანს ხელი-ხელ ჩაჭიდებულნი უცინოდენ ერთმანეთს.

— როდის ჩამოდი, ალექსანდრე?

— ამ დილას ჩამოვედი, ჯერ შინაც არ წავსულვარ, პირდაპირ სადგურიდან მოვდივარ. მომენატრა ჩემი ქარხანა, ვერ მოვითმინე... რა კარგია! გაზეთებში ვკითხულობდი, მანქანები თითქმის დაგიდგამთ...

— მაშ, მაშ, ვამთავრებთ. ხვალიდან—უკვე „ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაა. მშენებლობა დამთავრდა. კარგ დროს ჩამოხვედი. 25 ტრაქტორების საცდელი პარტია უნდა გამოვუშვათ. როგორ არიან სტალინგრადელები?

— გამოსწორების გზაზე დგანან. გარღვევას სჯობენ, საერთო საქარხნო ლაშქრობა ჰქონდათ გამოცხადებული. წუნიც მცირდება...

ლაპარაკობდენ სხაპა—სხუპით, ერთმანეთი მოიკითხეს, უხაროდათ ამბების გაგება. პოტაპენკომ მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— დავიკაცებულხარ, ულაშებიც დაგტყობია!

ის კი მცინარი სახით შესცქეროდა.

ჩელობიტკო ახალგაზრდა ხელოსანია, კომკავშირისა და პარტიის წევრი. ის სატრაქტორო ქარხანაში მაშინ მივიდა, როდესაც ჯერ კიდევ საძირკველი არ იყო ჩაყრილი. გაზაფხულზე სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში იყო გაგზავნილი კვალიფიკაციის მისაღებად და საქმის შესასწავლად. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა. როგროც მწყურვალი, ისე უცქერდა ის ყოველ ქვას, ყოველ აგურს, რომელიც კი იქ ეგდო.

— აი, ესეც მწერალია,—მომმართა პოტაპენკომ და ჩელბიტკოზე მიმითითა,—მოთხრობებსა სწერს. დამკვრელ მუშათა მწერლობაში გაწვევის დროს ესეც გაიწვიეს. ჩაჭიდე ხელი და ალარ გაუშვა, ქარხნის აგების ისტორიიდან მაგან ბევრი რამ იცის.

მეც გამოველაპარაკე. მან მითხრა, რომ უბის წიგნაკს გადმომცემს, სადაც უწერია ცოტა რამ მშენებლობის შესახებ და რომ მერე თვითონაც მიამბოს. ჩელობიტკო,—ახალგაზრდა, მოძრავი, მოუსვენარი და სიცოცხლით სავსეა, ის ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. მან უცბად წამოიძახა:

— წავედი!

და შემოტრიალდა, მიწის გროვაზე გადაირბინა. ვუცქეროდით, როგორ შურდულივით მიჰქროდა. საკონვეიერო სააქმროში ისარივით შევარდა.

როგორ ენატრებოდა თავისი საყვარელი საამქროს ნახვა!!

— ასეთი ბიჭები ბევრი რომ გვყავდეს, ხუდწლედს ორ წელიწადში შევასრულებდით, იცით რა არის? ცეცხლია, ცეცხლი!!

— ეტყობა,—ვუპასუხე მოკლედ და ისევ-მასზე განვაგრძე ფიქრი. საღამოთი კომკავშირის უჯრედის მდივნის ოთახში შევედი. უბის წიგნაკი გადმომცა.

— უკრაინული იცით? შემეკითხა იგი.

— გაგების საშვალებას მოვძებნი,—უპასუხე და გამოწვდილი ხელი გაუნთავისუფლე.

მისი უბის წიგნაკიდან რაც დამჭირდა, ის მოვიხმარე. უკრაინულიდან გადმოვაჭართულე ისე, ოომ შემდეგი სტრიქონები უკვე დამკვრელ მუშა მწერალს ეკუთვნის.

ქარხნის ასაგებ ადგილზე გამოვედით.

თოვლია, ქარბუქი.

მუშების პირველი წყება 250 კაცისაგან შესდგება, ჯერჯერობით ამათ გაბედეს 30° ყინვის დროს ტრიალ მინდორში საამშენებლო მუშაობის დაწყება. ინჟინრები გეგმავენ მოედანს...

თოვლი სახეებში გვეყრება. გულში ვფიქრობ: „განა შეიძლება ეხლა მუშაობა?!“

ათი დღე გავიდა.

უკვე წამოიმართა ხის შენობა. მას მოჰყვა მეორე, მესამე. დაგროვდა საშენი მასალა, ხე-ტყე, ქვა, რკინა აგური, ტინობი. ეხლა კი, როდესაც ჩანასახი ჩანს, იმედიანად, და ამაყად ვგრძნობ თავს:

აშენდება, სულ მალე აშენდება.

გავცქერი ქარხნის მოედანს.

მიხარია.

ვხედავ: იზრდება კედლები, იზრდება საამქროები. მოდიან ახალი მუშები, ჩდებიან ახალი ადამიანები. ისინი იყვენ ორას ორმოცდათასი, ახლა ათასნი არიან!

ერთი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს ქარხანა. ასეულ ადგილას დავთხარეთ ჭები, მაგრამ წყალი მაინც არ გვყოფნის. ავტომობილებით ვეზიდებით ქალაქიდან დღითა და ღამით. არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკი მშენებლობას არ სტოვებს. ჩვენი სამუშაო დღე ღამის 2 საათზე თავდება. დროებით ასე ვიშრომებთ, რომ სოციალისტურ მშენებლობას მარქსიმალური ეფექტი მივცეთ.

არ გავიმარჯვოთ არ შეგვიძლია!!

არ გავიმარჯვოთ არ შეიძლება!!

გავიდა თვეები, გადნა თოვლი. დადგა მზიანი დღეები.

გაზაფხულმა გაალურჯა ცა და აანთო მზით.

საამშენებლო მუშაობა გაცხოველდა, გაძლიერდა. ავაგეთ ყველა საამქრო. რკინის გზის ლიანდაგის მეორე მხარეს საძირკველი ჩაეყარა მუშათა ბინებს და უკვე მთელი ეს მოედანი მშენებლობის მტვერში გაეხვია. ამავე დროს კი იქვე გვერდით ქარხნის კედლების ირგვლივ, გლეხები მკიან პურს, ძნებს ძნებზე აწყობენ და ბეღლებისაკენ ეზიდებიან. მომავალ გაზაფხულზე ასეთ სურათს ველარა ვნახავთ...

ბეტონის ამზელი მანქანა, რომელიც ამერიკელების გამოგონებულია, დღემდე მსოფლიო რეკორდად 250 აზელას იძლეოდა, რეკორდი ამერიკელებისაა; ამ მანქანების მოხმარების პირველ დღეებში ჩვენი ხელოსნები 40-ჯერ ძლივს ზელავდენ. ასეთი ნელი ტემპი კუსაც დაეძრახებოდა.

გამოცხადდა სოციალისტური შეჯიბრება. დამკვრელი მუშა კომკავშირელი მარუსინი, თავისი კომკავშირული ბრიგადით, რეკორდის აღების ფიქრმა შეიპყრო. ასეთი ტემპი შეუცვლელი რომ დარჩენილიყო, ქარხანა ხუთწლედის ბოლოსაც ვერ აშენდებოდა. მარუსინის ბრიგადელები უკვირდებოდენ თავიანთ ყოველ მოძრაობას, რომ ერთი წამიც უნაყოფოდ არ დაეკარგათ. მათმა გულმოდგინებამ ახალ რეკორდს მიაღწია: 260 აზელა. მარუსინმა გარდამავალი დროშა მიიღო წარწერით: „260“. მას ამ მანქანის გმირს ეძახდენ. ამერიკული რეკორდის დაფარვამ ჩვენს მუშებში ენტუზიაზმი გამოიწვია. ეს რიცხვი ერთ წერტილზე არ შეჩერებულა, ყოველკვირეულად ემატებოდა. გახდა: 601. შემდეგ—820. იმავე ბრიგადამ კომკავშირელი მარუსინის ხელმძღვანელობით 936 მიაღწია ეს იმ მანქანაზე, რომელზეც თვით გამომგონებლები თავბრუდამხვევ ტემპად სთვლიდენ 250 აზელას.

ქარხნის შენება მთავრდება. გაცხოველებულ მუშაობაში არიან საბინაო მშენებლობის ხელოსნებიც. ქარხანას მუშები ემატება. ისინი ათასობით და ათიათასობით თავს იყრიან ცოლშვილით, ოჯახობით. ბინები კი არ არის. შენდება შვიდსართულიანი შენობები 50000 მცხოვრებისათვის. დროებით ფიცრულ შენობებში ეწყობიან, მაგრამ ზაფხული გადის, დგება შემოდგომა, სადაცაა ზამთარიც ყინვას შემოიტანს და ფიცრულებში ცხოვრება შეუძლებელი გახდება. საჭიროა საცხოვრებელი კორპუსების რაც შეიძლება მალე დამთავრება.

კალატოზები მუშაობენ დაკვრითი წესით. მშენებლობის დასაწყისში აწყობდენ 600 ავურს. ეს იყო კუს ნაბიჯი. დღეში თითო მტკაველით იზრდებოდა სართულები. აქაც დამკვრელობა, სოცშეჯიბრება, ხელოსნების ენტუზიაზმი, შემხვედრი გეგმები,—და აგურის დაწყობის რიცხვიც 1000-დან 4736-მდე ავიდა.

(ჩელობიტკოს სტრიქონები აქ წყდება)

. . . . . .

ხარკოვის სატრაქტორო მშენებლობას უკრაინულადა მოკლედ „Тракторобуд“ ერქვა. გეგმის მიხედვით, ქარხანა 1931 წლის ივლისს უნდა ამუშავდეს.

ზამთარი გასულია.

დადგა მეორე გაზაფხული. სამუშაო კი ბევრია.

მატარებლებს ყოველდღიურად მოაქვს ამერიკიდან გამოწერილი მანქანები. თითოეულ საამქროში ათასზე მეტი მანქანაა დასადგმელი, გასაშინჯი, ასამუშავებელი.

რათაც გინდა დაჯდეს, გეგმა უნდა შესრულდეს.

ქარხანა ნაწილობრივ მაინც უნდა ამუშავდეს.

პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნეს მასების ყურადღების მობილიზაციისაკენ გეგმის შესრულების ირგვლივ.

მშენებლობას დამატებით უნდა მიეცეს 20.000 სამუშაო საათი.

დღე მუშაობა განუწყვეტელი იყო. ამ დროს სამუშაო საათს ვერ მოიპოებდენ. გადაწყვიტეს ღამით იმუშაონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა პარტიული ერთ მებრძოლ ათასეულში მოექცა.

ქარხნის ტერიტორიაზე გამოცხადდა:

„Зводний комуністичний батальон ентузіастів тракторобуду оголошуемо зформированним, ми ідем на штурм ночи“.

მათ ფეხდაფეხ აჰყვა მუშათა მთლიანი კოლექტივი.

ათი ღამე ნაგებობის ტყეებში ვარსკვლავებივით ბრწყინავდა ელნათურები და ამ ბრწყინაში მოჩანდა დაუმთავრებელ სართულებზე წაწვენილი მუშების სილუეტები.

20.000-ის მაგიერ მშენებლობამ 24000 სამუშაო საათი მიიღო.

თითეულ საამქროს დამთავრების წამს მის სახურავზე წითელი ხუთქიმა ენთებოდა ხოლმე.

მ ო ბ ი ბ ი ბ რ ძ ო ლ ე ბ ი

ლითონის ჩამომსხმელ უზარმაზარ საამქროში ორნაირი მუშაობა ერთი მეორის პარალელურად მიდის. პირველი ის, რომ—მთავრდება საამქროს ტექნიკური მოწყობილობის დადგმა-გამართვა, მეორე კი საამქრო ნაწილობრივ ამუშავებულია.

ისმის სხვადასხვა სიძლიერის დარტყმის ხმა.

გუგუნებს განუწყვეტელ წრედ მოძრავი კონვეიერები.

დროდადროით დაგდაგებენ ყალიბის გამკეთებელი მანქანები.

ღუმელებში ზუის 1200 გრადუსიანი ცეცხლი.

ეს არის ტრაქტორის ნაწილების ჩამომსხმელი საამქრო.

ტრაქტორს 628 ნაწილი აქვს.

ყველაზე უფრო პასუხსაგები და ძნელად ჩამოსასხმელი ნაწილია ჩარჩო, მქნევარა, ჭალი და ბორბალი.

ხელოსნები თანდათანობით ითვისებენ და ეუფლებიან ამ მათთვის უცნობ და ახალ სამუშაოებს. პირველ ხანებში მათ უძნელდებოდათ ყოველი წვრილმანის ჩამოსხმა. ის უმეტესად წუნი გამოდიოდა. მერე თანდათან გაარკვიეს წუნის მიზეზი და ახლა კარგს ამზადებენ.

მაგრამ ტრაქტორის ეს მთავარი ნაწილები მაინც ვერ მზადდება ისე, რომ ის ან კაჟიანი არ გამოვიდეს, ან ფუღუროიანი, ან კიდევ ზედ მიწაჩამხმარი.

საამქროს მთავარი ინჟენერი, ხმელი, მაღალი ტანის კაცი, ჩაფიქრებული და გულნაკლული დასცქერის გადაგორებულ მქნევარებს. ის იცქირება და დიდ, სქელშუშებიან სათვალს, ნერვიულობის გამო, წუთში ასჯერ ისწორებს.

მოდის საამქროს უფროსი, უცქერის ინჟინრის მოწყენილ სახეს და შეკითხვასაც ვერ ახერხებს. გრძნობს, რომ საქმე კარგად არ არის.

იქვე უსიტყვოდ და დაღონებული დგანან ჩამოსხმის მონაწილე მუშები.

— საქმე როგორ არის,—ისეთი ჩურჩულით, თითქოს თავისთვის წაილაპარაკაო, შეეკითხა საამქროს უფროსი ინჟინერ ულიანოვს.

მან ოდნავ ასწია თავი, სათვალის ქვეშ გამოიხედა და თავისუფალი ხელი ჩააქნია.

— ასი პროცენტი!—დააყოლა გულნატკენი ხმით.

— წუნი, არა?—ხმამაღლა წარმოსთქვა საამქროს უფროსმა და თვალიერება დაუწყო იქვე გადაგორებულ მქნევარებს მეასოთხმოცდაჩვიდმეტე დე-

ტალს, რომლის სხეულსაც ღრმა ჭრილობებივით ამოღრღნილი ადგილები ეტყობოდა.

ჩვიდმეტი დღე ებრძოდენ მეტალურგები ამ დეტალს, მაგრამ მისი ხელში მოგდება ვერ მოახერხეს. ჩვიდმეტი დღის განმავლობაში თვალყურს ადევნებდენ მისი ჩამოსხმის პროცედურას, ხან მიწას ამაგრებდენ, ხან გოგირდს უკლებდენ. საკითხი რამდენჯერმე ტექნიკურ თათბირზედაც დაისვა, მაგრამ მქნევარა მაინც უსიცოცხლო, ტრაქტორისათვის მკვდარი იბადებოდა.

დღეს კი ინჟინერმა ულიანოვმა, საამქროს მთავარმა ინჟინერმა გადაწყვიტა, რათაც გინდა დაუჯდეს, დაამარცხოს ამ დეტალის ჭირვეულობა.

ის წელში გაიმართა, სწრაფად მიირბინა თუჯის გამდნობ ღუმელთან და ცეცხლფარეშს გადასცა:

— ცეცხლი ლითონს მიუყენეთ. სიმხურვალე 50 გრადუსით მოუმატეთ.

მერე ჩამომსხმელ ხელოსანს გადასცა, რომ ყალიბების ჩასასხმელი ნახვრეტები უნდა გაგანიერდეს, რადგან 50 წამი გრძელდება ყალიბში თუჯის გავრცელება, ამ ხნის განმავლობაში კი ლითონი გაციებას ასწრებს, და მქნევარაც არ გამოდის სრულყოფილი.

ყველაფერი ეს დაუყონებლივ შესრულდა.

მეშვიდე კონვეიერიდან მაღლა კორპუსზე გავლებულ რონზე ჯაჭვით ჩამოკიდული უზარმაზარი რკინის კასრი რამდენიმე მუშამ ღუმელისაკენ გაასრიალა. ღუმელის მილთან ის დაბლა დაუშვეს და გამდნარი თუჯის ჩასასხმელად მოამზადეს.

ცეცხლფარეშმა მილს პირი გაუხსნა.

წამი—და ღუმელის ქვაბიდან გადმოდიოდა ალივით ფერმკრთალი, გავარვარებული ლითონის წყარო. ის იღვრებოდა ელვარებით და თანაც სიმხურვალეს აფრქვევდა ირგვლივ.

გაივსო.

გამოაგორეს ჯაჭვით და მეშვიდე კონვეიერთან მიასრიალეს.

— აამუშავეთ კონვეიერი!—დაიძახა უფროსმა ხელოსანმა, და წამის შემდეგ რკინის დაფებმა კუს ნაბიჯი აიდგა, რომელზედაც მქნევარას ყალიბები ელაგა.

— აბა, მზად ხართ?—დაიძახა ულიანოვმა და ხელით ანიშნა, რომ ჩამოსხმა დაეწყოთ.

მუშებმა კასრიდან ხელის კასრებში ჩამოასხეს გამდნარი თუჯი და მისი ვიწრო ტუჩი მიუყენეს ყალიბებს.

ტრიალებს კონვეიერი.

ყალიბები ივსება თუჯით.

ცეცხლოვანი თუჯი კი, როდესაც ასცდება ხოლმე ყალიბის მილს, ეხეთქება მიწას, რკინას და ვარსკვლავების მაგვარ ნაპერწკლებს ჰფანტავს.

კონვეიერი შეაჩერეს. ცდისათვის რამდენიმე ცალის ჩამოსხმაც საკმარისია.

ყალიბები გადმოიღეს.

გაციებას ელოდებიან.

ყველას ნერვიულად უცემს გული. ფიქრობენ: გავიმარჯვეთ თუ არა?!.

მოლოდინში წუთები მძიმედ და ზლაზნით გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულიანოვი თავზე ადგას მხურვალე ლითონით დატენილ ყალიბებს და მოუთმენლად ელოდება მის გაციებას.

— აბა, გადმოჰყარეთ!—წარმოსთქვა მან, და წამის განმავლობაში მიწის გროვაზე პირქვე დაყარეს ყალიბები. გადმოცვივდა თუჯის შავი რგოლები, მიწაში ამოსვრილი და ჯერ კიდევ სითბო შენარჩუნებული.

საამქროს უფროსი ხან ულიანოვს შესცქერის და ხან მქნევარებს.

მალე სურს გაიგოს პასუხი.

ღიმილით გადახედა ულიანოვმა ყველას, ვინც მის გარშემო იყვნენ.

ყველამ თავისუფლათ ამოისუნთქა.

დეტალები გადაგზავნეს მექანიკურ-საამწყობრო საამქროში, ის იქ დიდის სიამოვნებით მიიღეს. საბოლოოდ დაამუშავეს მათ ეს ნაწილი. ის ვარგისი გამოდგა.

— ცეცხლი 1250°. მიწა მაგარი. ყალიბის მიწის ზედაპირი დასველებული. ლითონის გასავლელი მილები ფართე—უფროს ხელოსნის გონებაში დაკანონდა ეს მათი გამოცდილებით მიგნებული საჭიროებანი, რის შემდეგაც ეს დეტალი მუდამ ვარგისი გამოდიოდა.

ულიანოვმა ერთი ბრძოლისაგან თავი განთავისუფლებულად იგრძნო, მაგრამ საქმე აქ არა თავდებოდა. ის გაემართა მეხუთე კონვეიერისაკენ, სადაც ჭალი მზადდება. ჭალი ტრაქტორის გულია. მასში ეწყობა მოტორი, მთელი მამოძრავებელი ძალა. ჯუშინ დილას შვიდი ჭალი ჩამოასხეს, შვიდივე წუნია. ის მიდის მისკენ, რომ ახალი ბრძოლა დაიწყოს ჭალის წუნთან.

ასე იბრძოდენ ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ლითონის ჩამომსხმელ საამქროში თვითეული ნაწილის კარგად ჩამოსხმისათვის. ეს საამქრო ქარხნის მთავარი მასაზრდოებელია. ამ საამქროს ჩავარდნით ჩავარდნილი იქნებოდა მთელი ქარხანა. ის ვერასოდეს ვერ გამოვიდოდა გარღვევებიდან.

თითოეულ ტრაქტორს 628 ნაწილი აქვს და მხოლოდ ამ საამქროში საჭირო იყო 628 შებრძოლება და გამარჯვება.

მანქანები „ადამიანები" არიან

ხარკოვში რომ ჩავედი, სადგურიდან მოედანზე გამოსვლისთანავე დავინახე სვეტებზე შედგმული დიდი დაფა, რომელზეც ეწერა:

„ამხანაგო მუშებო, ხარკოვის სატრაქტორო მშენებლობაზე მომავალნო, ჩასხედით № 14 ტრამვაიში სახ. ელექტროქარხანასთან უნდა გადახვიდეთ № 18-ში, ის მიგიყვანთ მთავარ კანტორასთან, სადაც შეგეძლებათ სამუშაოს მიღება".

ეს არის ქარხანაში სამუშაოდ გასაწვევი მოწოდება, ეს არის მუშახელის ძებნა. მუშახელის ნაკლოვანების გამო, ხარკოვის სატრაქტორო საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოელის მუშებს, ხელოსნებს, საინჟენერო-ტეხნიკურ პერსონალს. მარტო ამაზე დაყრდნობა თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობა იქნებოდა, მაგრამ პირველ ხანებში ეს ღონისძიებაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგან დრო არ იცდიდა. ქარხანა შენდებოდა დაკვრითი ტემპით.

მიუხედავად იმისა, რომ მას საბჭოთა კავშირის თითოეულმა ქარხანამ წვლილი გამოუღო და რამოდენიმე ათასი მუშა ხელოსანი ორგანიზაციული

წესით გამოუგზავნა, კვალიფიციურ ხელოსანთა სიმცირე, ახლაც მეტის-მეტი საგრძნობია.

საამქროს მოწყობის და მონტაჟის გაცხოველებული მუშაობაა. აქა-იქ დადიან და ხან ერთ მანქანას დააცქერდებიან, ხან მეორეს ამერიკელი ინჟინრები, რომელთაც პირში აუცილებლად ჩიბუხი აქვთ და განუწყვეტლივ კვამლის რგოლებს უშვებენ.

ისინი თითქმის მუდამ მოლუშული არიან. უმთავრესად ხელებით ლაპარაკობენ და ხანდახან აქა-იქ ჩაურთავენ აქ ნასწავლ თითო-ოროლა რუსულ სიტყვას. მაგრამ ხელოსნებს სიტყვა არც კი სჭირდება, ისინი ისედაც ხვდებიან მათ მითითებეს.

დაზგები იდგმება.

დაზგები ისინჯება.

და დაზგები უკვე მუშაობენ

კედლებზე აქა-იქ წარწერებია

„Устійщоти зрабив до дочасного руха завода".

— „Дамо Сталинськи багнети -трактора, на колхозні лани СССР".

და ეს მომწოდებელი სტრიქონები მართლაც შრომის ენტუზიაზმს იწვევს მუშებში. ისინი თავდავიწყებით მუშაობენ, საამქრო კი წააგავს მქუხარე მორევს, სადაც თითოეული ნაწილაკის დანიშნულება—შეუჩერებელი ტრიალი, შეუწყვეტელი ხმიანობაა.

უცხო კაცს საამქრო მართლაც მხოლოდ მორევად ეჩვენება, სადაც არეულია მხოლოდ ტრიალი და ხმიანობა. მაგრამ ის, ვისაც თავბრუ არ დაეხვევა, დაინახავს რომ ერთი დაზგის ტრიალი და ჩხრიალი ჰქმნის აბზვინვარებულ ლითონის დგუშებს.

მეორე დაზგის ცემა და დაგდაგი ნაწრთობი თუჯის ბორბალს, მესამის ზუილი ამზადებს კბილანას, და ასე თითოეული დაზგა თავისებურად გაჰკივის და მისთვის მიჩენილ ნაწილს ამზადებს.

ასე შრომობს 1080 დაზგა, როგორც 1080 ადამიანი.

მათ თავს დასტრიალებენ ხელოსნები.

გახურდა ხრახნები, ხეხვა გაძლიერდა—მიაშველებენ ზეთს, და მანქანა ისევ მწყობრად მუშაობს.

ჭუჭყით აივსო დაზგის გული, სასწრაფო ყურადღებით უვლიან, გულს ამოასუფთავებენ.

მაგრამ, აი, ეს ხელოსანი, დამშტამპველ დაზგასთან რომ დგას, ამხანაგი იაროშჩენკო, დამკვრელი მუშაა, ყველა ამხანაგს ეძახის, არ იქნება 40 წლის. მას მრავალ ქარხანაში უმუშავნია, უნახავს დაზგები, რომელზედაც ყველი და პური უჭამია, სელიოდკაც დაუჭრია ზედ, ჯიბიდან არაყიც ამოუცოცებია და გადაუკრავს, რომ შეხურებულიყო, რომ უფრო მარჯვედ ემუშავნა, მაგრამ ეს წინად, რომელიღაც ყრუ ქალაქში ყრუ სახარატოში.

აქ კი ასეთებს ვერ ჩაიდენ: უკბად, როგორც ხელისგულზე, გამოჩნდება. დაზგა თითონ იტყვის უდიერი მოპყრობის შესახებ.

ამხანაგო იაროშჩენკო. დღეს შენი დეტალი ძალიან გვჭირდება, რამე შეფერხებას ადგილი ხომ არა აქვს?—ეკითხება განყოფილების უფროსი ხელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანი და დასცქერის, როგორი სისწრაფით ამუშავებს მკლავებს, დაზგას, დეტალებს.

— წუნი არც ერთი არ უნდა მქონდეს, ნორმაზე მეტს დავამუშავებ, არც უცქერის, ისე უპასუხებს იაროშჩენკო და განაგრძნობს მუშაობას.

უფროსი ხელოსანი კარგა ხანს უცქერის ხან დაზგას, ხან იაროშჩენკოს, მას რაღაც არ მოსწონს მისი ხელების მოძრაობა. ის სწრაფი, მაგრამ რაღაც დაუდევარია...

შეტრიალდა, მიდის.

— შენ როგორღა გაქვს საქმე? — გადასძახა იაროშჩენკოს გვერდით მომუშავე ახალგაზრდა მუშას და გამზადებულ დეტალების გროვაში ხელი ჩაჰყო, ხელმა ოთხი-ხუთი ცალი მოიქცია მუჭში და სინჯვა დაუწყო.

კარგახანს უცქეროდი.

— ესენი წუნი უნდა იყოს, — აღელვებული ხმით მიაძახა უფროსმა ხელოსანმა.

— არ ვიცი, ალბათ ლითონის ბრალია, მე მთელი გულისყური აქა მაქვს. მე თვითონ მიკვირს, ამდენი წუნი როგორ გამოდის?! — გულნაკლული ხმით უპასუხა ახალგაზრდა ხელოსანმა.

უფროსმა ხელოსანმა პასუხი არ გასცა, დეტალი თან წაიღო.

თვალი გააყოლა იაროშჩენკომ.

უცბად იაროშჩენკოს ხელი შეჩერდა. დამუშავებული ნაწილი, რომელიც დაზგაში უნდა ჩაედო, არ ჩადიოდა, გაიჭედა. მძიმე, ძარღვიანი ხელით რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააწვა, მაგრამ მაინც არ ჩავიდა. დამკვრელი კი არის, მუშაობა ეჩქარება, ეს ნაწილი კი აფერხებს, აღარც ზევით ამოდის, აღარც შიგ ჩადის.

მიიხედ-მოიხედა. ჩაქუჩი რომ ვერ დაინახა, იქვე მდებარე სქელი რკინა აიღო, მოიქნია ერთხელ მცირე ძ ლით და დაარტყა. ის ოდნავ ჩაიწია, დაარტყა მეორედ — კიდევ ჩაიწია. მესამედ რომ დაარტყა, დაზგის მთავარი ნაწილი გასკდა.

დაზგა გატყდა.

თვითონ ჯერ სახტად დარჩა, შემდეგ, ჩვეულების მიხედვით, რკინა გვერდზე მდგომ ახალგაზრდა მუშას მიუგდო.

ოცი წლის წინანდელი ტექნიკის ხელსაწყოებით იხელმძღვანელა დღეს. ის ტექნიკის ბარბაროსივით რკინის კეტს ურტყამდა მანქანის ცოცხალ მექანიზმს და გასტეხა.

იქნებ იაროშჩენკოს ბრაზი იმაზედაც მოსდიოდა, რომ ამ დაზგაზე სელიოდკას და პამიდორს არ სჭრიდა. ზედ პურსა და არაყს არ მიირთმევდა. ბრაზი მოსდიოდა, ალბათ, რომ განსაკუთრებული სასადილო ჰქონდა მიჩენილი.

რამდენიმე წამის შემდეგ უფროსი ხელოსანი მოვიდა. მან პირდაპირ იაროშჩენკოსთან მიირბინა.

— იაროშჩენკო, ეს ნაწილები, მგონი, შენს დაზგაზე უნდა იყოს დამუშავებული, მის ნამუშევარში როგორ ამოჰყო თავი?, მიაძახა ბრაზით.

— მაგას თქვენ ვერ დაამტკიცებთ, — მექანიკურად უპასუხა იაროშჩენკომ.

— აი, თუ ვერ, — და მიიტანა დგუშები დაზგის გირაგთან.

— ეს რაა?! თვალებგამწარებული სახით წარმოსთქვა უფროსმა ხელოსანმა და გადახედა იაროშჩენკოს.

— მაგას თქვენ ვერ დაამტკიცებთ, — ისევე მექანიკურად გაიმეორა იაროშჩენკომ და შუშასავით გაყინული და უნაპერწკლო თვალებით მიაჩერდა სახეში.

ესეც ხომ დამკვრელია. ხარისხს სწირავდა რაოდენობას და დამზადებულ წუნს გვერდზე მომუშავეს უგდებდა.

დაზგაც გასტეხა.

როგორც ელვამ, ისე გადირბინა ამ ამბავმა მთელ საამქროში. იმ დღიდან „ამხანაგ იაროშჩენკოს“ მაგიერ ამ ცრუ დამკვრელს მუშები „მოქალაქე იაროშჩენკოს“ უძახდენ. მის შემდეგ დადიოდა საამქროში იაროშჩენკო თავჩაღუნული, თითქოს დარცხვენილი ამ ათასამხანაგიან ოჯახში.

იმ დღეს საქარხნო. პარტიულ და საწარმოო კომიტეტებში მსჯელობდენ, თუ როგორ ჩნდებიან ქარხანაში ასეთი ხელოსნები. ეს მიზეზი გამოირკვიეს.

პირველი საწინააღმდეგო ზომა შემდეგი იყო:

მესამე დღეს ვზივარ კადრების განყოფილების გამგესთან.

ეს არის ამხანაგი გოლიუსოვი, ის ქარხნის საძირკვლის ჩაყრაშიც მონაწილეა. მან იცის თითოეული აგურის დადგმის ისტორია. მისი ოთახი სავსეა ხალხით. ფანჯრიდან მოსჩანს უზარმაზარი შვიდსართულიანი შენობები, რომელიც მუშათა ქალაქად შენდება.

თვით გოლიუსოვს გარს ახვევია სამუშაოდ მოსული მუშათა ჯგუფი. დღის განმავლობაში ორმოცდაათამდე მუშას იღებს.

— თქვენ რა გინდათ? შეეკითხა გოლიუსოვი მორიგ მთხოვნელს.

— სამუშაო, — უპასუხა მოკლედ.

— ხელობა?

— ხარატი...

— ხარატი? დიახ, გვჭირდება, — ფიქრიანად წაილაპარაკა და თან თვალიერება დაუწყო ხარატს — მაგრამ ეს მითხარით, მოვლინების ქაღალდი გაქვთ, საიდან მოდიხართ, სად მუშაობდით?!

— ვმუშაობდი ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხანაში...

— მერე, რატომ დაანებე თავი?

— აქ მაინტერესებს, ამ ახალ ქარხანაში...

გოლიუსოვი მსხვილ წითელ ფანქარს ნელი ნერვიული მოძრაობით ურტყამდა მაგიდას, მერე დინჯი ხმით უპასუხა:

— თუმცა ძალიან გვჭირდება ხარატები, მაგრამ პირადათ თქვენ ვერ მიგიღებთ.

ის კი პატარა ხანს იდგა. ჩამშრალი და წამხდარი შესცქეროდა, მერე ზღაზვნით შემოტრიალდა და წავიდა.

— რატომ არ მიიღეთ, ამხანაგო გოლიუსოვ — შევეკითხე განცვიფრებული.

— ეგ მფრინავია, უსათუოდ ცრუ დამკვრელი იქნება. თავის ქარხანაში ეგ წუნსაც ბევრს დაამზადებდა. რამე მანქანასაც გასტეხდა, აქ მოდის, აქაც ისევე უნდა წაინავარდოს. კარგი მუშა რომ ყოფილიყო, არ გამოუშვებდენ. თუ ასე არ შეებრძოლეთ, აგეთი მფრინავები კალიებივით გამრავლდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Перемога!..

В чора 3 конвееру зійшла пробна партія тракторів 3 великою частиною деталів Х. Т. З.

სატრაქტორო ქარხნის გაზეთი „ტემპი“.

პირველი ტრაქტორების ამწყობნი

მექანიკურ-საამწყობო საამქროს ხელოსნები გაშმაგებულ მუშაობაში არიან. 25 ივლისს მათ უნდა გამოუშვან საცდელი ტრაქტორების პირველი პარტია.

დღეს ოცდაოთხია, აწყობა უკვე დაწყებულია.

ლითონის ჩამომსხმელი და სამჭედლო საამქროები თავის მხრივ დაუღალავ მუშაობაში არიან. ისინი ზღვის ტალღასავით აყრიან ყოველდღიურად, ყოველ საათობით დამზადებულ დეტალებს, რომ პირველ ტრაქტორებს არცერთი ნაწილი არ შემოაკლდეს.

მათ გაადაბიჯეს სამუშაო საათებს, გადააბიჯეს სამუშაო დღეებს. მუშაობენ დასვენების დღეებშიც, მთელი დღე, ოღონდ მექანიკურ-საამწყობო საამქროს საზრდო-სამუშაო არ შემოაკლდეს. ოღონდ პირველი ტრაქტორები უზრუნველჰყონ.

სამჭედლო საამქროს შრომის გმირებად ამოვიდენ: მარტინოვსკი, პირველ მექანიკურ ურიზე მომუშავე ხელოსანი, რომელსაც ამოცანად ჰქონდა დაემზადებინა ორასოთხმოცდა მერვე დეტალი, 420 ცალი, მაგრამ მან დაამზადა 628, მათ შორის მხოლოდ 2 ცალი წუნი. სამოცდამეხუთე დეტალი უნდა მოეცა 420 ცალი, დაამზადა 828 მათში ერთი წუნი.

მეჩვიდმეტე ურის ხელოსანი ამხ. პსდვირსკი ასევე ორმაგი გადაჭარბებით ამზადებდა დეტალებს.

ასევე მუშაობდა ოცდამეორე ურო ხელოსან ბუდკივის მკლავებ ქვეშ, და ყოველდღიურად ივსებოდა ზღვა ნაწილებით მექანიკურ-საამწყობო საამქრო.

დღეს კი უფრო მეტი გაშმაგებაა. ერთი დღეც—და მთავარ კონვეიერზე გამზადებული უნდა იდგენ და მიგორავდენ ბოლშევიკური რკინის ხარები.

ეს არის გამოცდა. ეს არის პირველი ნაბიჯი.

შეუძლიათ თუ არა ჩვენს მუშა ხელოსნებს ტრაქტორების აწყობა?

დასძლევენ თუ არა იმ ტექნიკას, რომელსაც მხოლოდ ეხლა და მხოლოდ პირველად უნდა დაეუფლონ.

საამქრო გაშმაგებულ ბრუნვაშია.

მთავარი კონვეიერის დასაწყისში შედგმულია ჩარჩოები. თითოეული მათგანი 32 ფუთს იწონის. ის ისე დგას როგორც ახალად ასაგები შენობის საძირკველი.

ამ კონვეიერის მთავარი ხელოსანი, მიხეილ კარაბკოვი, თავს ადგას ჩარჩოებს. თითოეულ ჩარჩოს თავს ევლება ხელოსანთა ბრიგადა. ისინი ასწორებენ კონვეიერზე შემდგარ მთავარ ნაწილს, ამაგრებენ, უჭერენ ქანჩებს, ჭანჭიკებს.

— მზად არის? მკერდგამართულად შეეკითხა კარაბკოვი მუშებს და თვითონვე მიირბინა ელექტრო-დაფასთან, რეოსტატის სახელური გადასწია. კონვეიერი დაიძრა.

შეუმჩნევლად, უხმოდ და აუჩქარებლივ, თითქოს მიიპარებიანო, ამოძრავდენ ჩარჩოები.

— ალექსანდრე,—ეძახის კარაბკოვი ჩელობიტკოს,—პირველი ტრაქტორი შენ გებარება, აიყვა ბრიგადა და შეუდექი...

კონვეიერზე ექვსი ჩარჩო დგას.

დღეს ექვსი ტრაქტორი უნდა დამზადდეს.

და ამ ექვსში პირველი ჩელობიტკომ უნდა ააწყოს.

მის ცოცხალ სახეს მეტი სიცოცხლე დაეტყო.

მის ახალგაზრდულ გატაცებას მეტი ენტუზიაზმი მიეცა.

ტყუილად კი არ გადასცეს ჩელობიტკო კომკავშირის უჯრედიდან პარტიას, ოქტომბრის საზეიმო დღეს, ტაშის კვრით და სიამაყით.

ის სულ 25 წლისაა. სიყმაწვილე ჯერაც არ დაუკარგავს, მაგრამ საქმეში 60 წლის მოხუცს დაემსგავსება სიდინჯით, სერიოზულობით.

მან რამდენიმე წამში სამი კაცი მიიყვანა პირველ ჩარჩოსთან, პირველი განკარგულებები გასცა, აამუშავა ბრიგადა. ტყვილად კი არ გაუტარებია დრო სტალინგრადის ქარხანაში, საამისო გამოცდილება მიიღო, უნარიც აქვს, ცოდნაც და ნებისყოფაც.

დანარჩენ ხუთ ჩარჩოსთან მიუჩინა ხუთი ბრიგადირი და თვითონ მცირე კონვეიერისკენ გაემართა.

კარაბკოვი მიდის და ფიქრობს: თუ ხელი არ შემეშალა, საღამოს 10 საათისათვის ტრაქტორები აწყობილი მექნება. ამაღამ შეღებავენ და განთიადისას გამოვუშვებ.

კარაბკოვს ჩავარდნილი თვალები მუდამ წყლიანი და ნაპერწკლიანი აქვს, თავში ოდნავ თეთრი შერევია. სულ 40 წლისაა, მაგრამ სახე იმდენად ძარღვიანად აქვს დაჭიმული, რომ მეტის გეგონებათ. ბევრი გაჭირვება უნახავს. მაგრამ ენერგია ულეველი აქვს. მუშაობაში თავგამეტება უსაზღვრო.

Ну, как там с моторами?! დაბალი ხმით მიმართა მცირე კონვეიერის მთავარ ხელოსანს ამხ. კალიტაის.

ის კი, 50 წლის ძველი ხელოსანი, ნაადრევად მოხუცებული, რომელმაც ნახევარი სიცოცხლე კერძო ქარხნის პატრონს შესწირა, ძირს დაშვებულ თეთრ აბურძგვნილ ულვაშებს ისწორებს, რატომღაც იწშენდს და ეუბნება:

— ორი მოტორი საცდელ სადგურზე გაეგზავნა, თუ ვარგისია, ნახევარ საათში გადმოგვცემენ, დანარჩენს ვაწყობთ.

მოტრიალდა კარაბკოვი. ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს.—ნუ გეშინიან, მიხეილ, ჩვენგან დაბრკოლება არ იქნება; ზურგში გააყოლა კალიტაიმ მიმავალ კარაბკოვს.

ისიც შეუბრუნდა თავის ბრიგადის ხელოსნებს, რამოდენიმე სიტყვა უთხრა, ააჩქარა, ყველა აამუშავა დაკვრითი წესით.

ლეონტი კალიტაი. ძველი, გამოცდილი ხელოსანია, მას უმუშავია ძველი რუსეთის თითქმის ყველა ქარხანაში.

თორმეტი წლის ბავშვი კერძო ქარხანაში დადგა შეგირდად.

— დღედაღამეში 20 საათს ვმუშაობდი, ხელობაზე მუშაობის გარდა მე მიხდებოდა ბაზარში წასვლაც, წყლის ზიდვაც, „ხაზეინის“ ბავშვების მოვლა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკვანში რწევაც,—ამბობს კალიტაი და თვითონვე ეცინება შეგირდობის ძველად არსებულ სწავლის წესზე.

მცირე კონვეიერზე ხმაურმა იმატა· ისინი მართავდენ დგუშებს. ამაგრებდენ ცილინდრის თავებს.

კარაბკოვი პირველ ჩარჩოსთან რომ მივიდა, ღიმილმა გადაუარა სახეზე. ჩელობიტკოს უკვე ღერძი გაემაგრებინა და სისწრაფეთა კოლოფს მართავდა ზედ.

დანარჩენები ღერძებს უყრიდენ.

თვითმფრინავების გამოხატულობა მიეცა ჩარჩოებს.

წუთები სწრაფათ, შეუმჩნეველად მიდიოდა. საათის ისრები ციფრიდან ციფრზე გადადიოდა, და გადადიოდა შუადღეც. აქამდე სახურავზე დამდგარი მზე ახლა შუშაბანდიან კედლებში შემოვიდა და დაღვარა სითბო და სინათლე.

ჩარჩოები იტვირთება, ივსება, ნაწილი ნაწილს ემატება, უერთდება, და თანდათანობით იწყობა ტრაქტორი.

მაგრამ მუშაობის დროს ირკვევა, რომ საჭირო იყო ბურღი, მჭრელი ფოლადი, ფურცლოვანი რკინა, რომლებსაც ეძებდენ მაშინ, როდესაც ისინი საჭირო ხდებოდენ. აქ იკარგებოდა წუთები, საათები, სამუშაო დრო.

— ხომ ამბობდი ყველაფერი მზად არისო,—წაილაპარაკა ერთ-ერთმა ხელოსანმა,—ხედავთ, რამოდენი რამ თავის ადგილზე არა გვქონია!?

სიტყვები კარაბკოვს ეხებოდა.

ეს წააგავდა რაღაც ამხანაგურ სამდურავს, მაგრამ მას სახეზე წყენა არ დასტყობია

— არაფერია,—უპასუხა მან,—საცდელიც იმიტომ ჰქვია, რომ მომავალი მუშაობისათვის მოსალოდნელი შეცდომები წინდაწინვე ვიცოდეთ.

ელექტროკარამ საცდელი სადგურიდან მოტორები მოაგრიალა. ისინი ისე დასრიალებენ საამქროებში, როგორც პატარ-პატარა ავტომობილები. ეიზდებიან დეტალებს დაზგიდან დაზგამდე, გააქვთ საამქროდან ზედმეტი, უვარგისი ლითონის ნაჭრები, წუნი.

მოტორი ჩაუდგეს ჩარჩოს და თითქოს სიცოცხლე მიანიჭესო.

ჩელობიტკო, გულში სიხარულით სავსე, რასაც სახეზე ოდნავადაც არ გამოხატავს, პირველ ტრაქტორზე მუშაობს, შუბლიდან ოფლის წვეთი უგორავს და ლოყაზე ზოლს ავლებს.

დღე კი იხრება სულ დაბლა, დაბლა.

სამუშაო დღე გათავდა.

საყვირი!

საამქროს მუშების ნაწილი დაზგებს ასუფთავებს, ხელსაწყობს აბინავებს და სტოვებს ქარხანას.

მაგრამ მეექვსე განყოფილება, საკონვეიერო ზოლზე მომუშავე ბრიგადები, ერთი წამითაც არ სტოვებენ საამქროს.

ხვალ 25 ივლისია, ხვალ განთიადისას საცდელი ტრაქტორები მზად უნდა იყოს, თუნდა შუაღამე დადგეს, თუნდა ღამე შემოათეთრდეთ.

ყოველ ნახევარ საათის შემდეგ შემორბის ხოლმე ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ბრუსკინი; ის გადაავლებს თვალს მუშაობის მსვლელობას, გონებაში იკვლევს ტემპს და ეკითხება კარაბკოვს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნება მზად, თუ ბრძანება შევცვალოთ?

— როგორ თუ შევცვალოთ!!

— საეჭვო არაფერია! თითქმის ერთდროულად უპასუხებენ ბრიგადელები და სახეზედაც წყენა ეტყობათ: „ეს რა საკითხავია, რასაკვირველია ამოცანას შევასრულებთ“—თვითეული მათგანი ფიქრობს გულში.

ბრუსკინი მიდის ქარხნის დირექტორთან და ოფიციალურად უცხადებს:

— ბრძანება არ შეიცვლება, ტრაქტორები იქნება.

ამასობაში ჩარჩოებს რადიატორები დაუდგეს.

შეუერთეს ფრთებიც და ტრაქტორებმა თანდათან საჭირო ფორმა და სახე მიიღეს.

ხუთასი წვრილმანი დეტალი ხუთას წამს მაინც მოითხოვდა, და ღამე ქარხნის კედლებთან აიტუზა.

ღამის 12 საათია.

ტრაქტორები მზათ არის.

ოღონდ ერთი უკანასკნელი ტრაქტორი ჭირვეულობს. ჭანჭრაკები ხან დიდი მოსდის, ხან პატარა, როგორღაც ნაწილები ერთმანეთს ვერ შეესაბამება.

ამ სიძნელეს დაძლევა უნდა.

კარაბკოვმა გადაიძრო პინჯაკი, თვითონ მოჰკიდა ხელი და ერთი საათის განმავლობაში საქმე გამოაჭახრაკა.

ღამის ორი საათია.

ექვს გამზადებელს ტრაქტორს მიადგნენ მღებავები და ღებვა დაუწყეს.

ბრიგადელები შინ წავიდენ.

მეორე დღეს რიჟრაჟისას უძილო თვალებით მოვიდენ საამქროში.

„ინტერნაციონალის ტიპის ნაცრისფერი, წითელბორბლება ტრაქტორები გამზადებულნი იდგენ.

ხალხი გროვდება.

ელიან პირველი ტრაქტორების კონვეიერიდან გადმოსვლას.

კარაბკოვი, ჩელობიტკო, კალიტაი, ორლოვი, გალაქტიონოვი,—ხარკოვის ქარხნის პირველი ტრაქტორების პირველი ამწყობნი,—საზეიმო სახით, მაგრამ მღელვარებით ელოდებიან ბრძანებას.

— რაღას აგვიახებენ, გვიბრძანონ, რომ გადმოვუშვათ კონვეიერიდან!—ამბობენ წყენით და შფოთვით.

წუთიც და...

ბრძანებაც მოვიდა.

კონვეიერი ამუშავდა.

ბრიგადელები ტრაქტორისტებად შესხდენ.

გადმოდის ტრაქტორები რკინის ზოლიდან ხის ფენილზე და წინ მოაქვს დიატორზე გაკრული წარწერა:

„Перша партія більшовицьких сталевых коней Х. Т. З.“

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ

გაზეთ „იზვესტიას“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა შემდეგი სტრიქონები:

„Первые тракторы Харьковского тракторного завода передовикам соревнования в качестве премий“.

Отдельные районы и колхозы, вступившие вмежкраевое социалистическое соревнование по хлебозаготовкам, предложили, чтобы колхозы передовики-соревнования—были премированы первыми тракторами Харьковского тракторного завода".

ეს ეხება იმ ტრაქტორებს, რომელიც 25 ივლისს თავგამეტებული შრომით და ენტუზიაზმით ააწყვეს.

სოციალისტურ ველ-მინდვრებზე სოციალისტური შეჯიბრება დაიწყო. პირველი ტრაქტორების საჩუქრად მიღება ეს შრომის გმირების საქმეა.

საბჭოთა კავშირის ოკეანესავით ვრცელი ველები ამოქმედდენ. ამოძრავდენ.

დღითა და ღამით, განთიადისას და ბინდისას გრძელ დაუსრულებელ ზოლებად მიიკლაკნებოდა წითელ ბელლებისაკენ პურით დატვირთული წითელი ქარავნები.

ახალი გიგანტის ძვირფასი საჩუქრები ყველას სურს მიიღოს.

კოლმეურნეები სიტყვას სდებენ, რომ უახლოვეს ხანში დაამთავრებენ პურის დამზადების წლიურ გეგმას. მათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ბუქსირზე აჰყავთ, ეხმარებიან, მოწინავე ნაბიჯებით მიდიან წინ.

ვინ გაიმარჯვებს?

რომელ მწვანე ფაბრიკას შეხვდება პირველი ტრაქტორები?

ეს არის შრომის გმირობის საქმე...

ველ-მინდორზე კი სოფლების დაკლაკნილ შარებზე განუწყვეტლივ ჭრიჭინობენ, პურით დატვირთული წითელი ქარავნების ბორბლები...

საერთო ოჯახი

ორი უბანი არტყია ირგვლივ სატრაქტორო ქარხანას. ორი მუშათა უბანი, როგორც ძარღვში სისხლი, ისე ბრუნავს, ისე ცოცხლობს, ისე სულდგმულობს.

შუაღამის ორ საათზე უკანასკნელი ნაბიჯები მისწყდება ხოლმე შენობებს შორის.

დიდი, უთვალავი ვარსკლავები კიაფობდენ ლურჯად მოწმენდილ ცაზე.

— რატომღაც მაგონდება.

„Тиха украйнская ночь,

Прозрачно небо, звезды блешут".

მაგრამ სწორედ ამ დროს მოისმის მატარებლის ჯერ შორს გუგუნი, მერე ახლოვდება ქშენით და კიდევ ერთი აკივლებით ჩერდება პატარა სადგურ ლოსევოზე.

მოიტანეს ქვა, ცემენტი, ხე-ტყე. მოიტანეს მანქანა-დაზგები, და ასეული მუშა ნიჩბებით ახმაურებს გარემოს, არღვევს ღამის მყუდროებას.

ბრწყინვალე ელნათურები სერავენ ღამეს, აფერმკრთალებენ ვარსკლავებსაც, მთვარესაც.

დღევანდელი სამხრეთი უბანი მომავალ ქალაქად შენდება. ერთი წლის შემდეგ ის იქნება ასიათასმცხოვრებიანი მუშათა ქალაქი—სოციალისტური ქალაქი.

შვიდსართულიანი კორპუსები აზიდულია თეთრად, გოლიათურად და მრავალი განათებული ფანჯრებით იცქირება.

როგორც ხელისგულზე ისე მოჩანს ამ ღამით ეს უბანი.

ამ განათებულ არეს მძიმედ დასწოლია ღამე და ელნათურებს ჩაქრობას უქადის.

ამ უბანს სძინავს.

ბარკებიდან ჩამი-ჩუმიც არ ისმის. ხანდახან ძაღლი თუ აყეფდება, შორი ახლოს შრიალით გაღიზიანებული.

მაგრამ დრო მაინც თავისთავად მიდის.

ღამე ილევა და ნელი ნელ ლურჯად თენდება.

აღმოსავლეთზე ამომავალმა მზემ ცეცხლის ალივით დაანთო განთიადთან ერთად ამოსული ღრუბლები, და ელვარე სინათლე ჟუჟუნა წვიმასავით დაიღვარა ძირს.

დილის ექვსი საათია. გაისმა ქარხნის პირველი საყვირი. მუშათა უბანი ფეხზე წამოდგა.

გაიღო ჯერ ერთი ბარაკის კარი, მერე მეორის, მესამის... რამდენიმე წუთში მხიარული ხმები და ბგერები გავრცელდა მთელ უბანში.

იბანენ პირს, ტანსაცმელს ბერტყავენ, ლოგინებს ალაგებენ. აქა-იქ ხითხითებენ ბავშვები და მწარედ გაჰკივიან ძუძუმწოვრები.

რამოდენიმე წუთის შემდეგ კი ქარხნისაკენ მიემართებიან მუშები. ისინი გამოზომილი და შეჩვეული ტემპით მიდიან. მათ იციან: მეორედ რომ დაჰკრავს ქარხნის საყვირი, ისინი საამქროს ბჭესთან იქნებიან. იციან არ დააგვიანდებათ. დრო და მანძილი გაზომილი აქვთ.

სწორედ ამავე დროს მოგუგუნდა მატარებელი და ქალაქიდან მოჰყავს რამოდენიმე ათასი მუშა.

გამალებული მუშაობს ტრამვაი და ავტომობილები, ნერვიულად წრიალებენ ზარები, მოჰყავთ ხალხი, რამდენიც კი შეუძლიათ, რამდენსაც კი დაიტევენ.

სამქროებში ძარღვები იწყებს ცემას.

საამქროებს მამოძრავებელი ძალა მოსდის, და იწყება ისევ შრომის შემოქმედება.

მუშათა უბანში კი დაიწყო ცხოვრება, დღიური სიხარული, დღიური მზრუნველობა, დღიური მისწრაფება.

გაშენებულია რამოდენიმე დიდი სასადილო. განთიადიდანვე ივსება სასადილოები ხალხით. ისინი შეექცევიან ჩაის, დილის საუზმეს, მათ საყვარელ და იაფ ვინიგრეტს.

კარებში დგანან ქალები, რომელნიც შემვსვლელებს კოვზებსა და დანაჩანგალს აძლევენ.

ერთ-ერთ სასადილოს კარებთან შუახნის ქალი ზის. თმები ლოყებზე ჩამოცვენილი აქვს. წუთში ათჯერ ისწორებს, მაგრამ მაინც დაულაგებელი აქვს. სახე აქვს წითური, თითქოს ცეცხლთან გავარვარებული.

მას ყველა დეიდა მარფას ეძახის. უყვართ მუშებს დეიდა მარფა, უყვართ აგრეთვე მასთან გახუმრებაც.

როდესაც საუზმიდან მიდიან ხოლმე, განგებ კოვზს არ უბრუნებენ, ჯიბეში იწყობენ და ხუმრობით ეუბნებიან:

— დეიდა მარფა, გაგვატანე ეს კოვზები თან.

— შინ მოსარეცი არაფერი გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არავის არ ვეტყვით...

ის უსიტყვოთ ეცემა ხოლმე ხელებში, თვალებით მოსპობს, გაანადგურებს და კოვზს წინ მდებარე ყუთში ჩააგდებს

სიცილით და ხარხარით გადიან მუშები გარეთ.

მუშაობის მხრივ ხომ დეიდა მარფა დაუზარებელია, ის ასრულებდა ამლაგებლის, დამრეცხავის, დამლაგებლის მოვალეობას, კართანაც მორიგეობდა. სადმე საგმირო საქმე თუ იყო,—დეიდა მარფას მოუხმობდენ...

ტყუილად კი არ დაარქვეს ზედმეტ სახელად „ბოი ბაბა“.

თავი დამკვრელად აქვს გამომცხადებული. სასადილოს სისუფთავე, წესრიგი, სადილების გაუმჯობესება ვალად ჰქონდა აღებული. მიზანს კიდევაც აღწევდა.

გუშინ კი საუბნო კრებაზე მარფა, საუკეთესო დამკვრელად გამოაცხადეს და საჩუქრათ ნიკელის სამოვარი მისცეს.

ეხლა, როდესაც დეიდა მარფა კარებთან ზის, ყველა თავის მეგობარ ქალს ეპატიჟება.

— ნასტია, შამოიარე ჩემთან საღამოთი. ახალი სამოვრით ჩაი დავლიოთ.

და ყველანი სიხარულით ეთანხმებოდენ.

დღემ გადაირბინა, რაღაც განსაკუთრებული სიძნელით, როგორც ყოველი მოლოდინის დროს.

და საღამო ხანს, როდესაც ბინდი ჩამოწვა, დეიდა მარფას ოთახში ათამდე ქალ— ვაჟი იყო.

ოთახის შუაში იდგა მაგიდა. ზედ თეთრი, ბრჭყიალა სამოვარი დუღდა ჩუხჩუხებდა; ორთქლი, როგორც ორთქლმავლის დგუშიდან სწრაფად და მრავლად გამოდიოდა.

ბავშები სამოვრის ბრჭყიალა ზედაპირში იცქირებოდენ, ისინი გულიანად ხითხითობდენ, როდესაც იქ თავიანთ სახეებს ბრტყელსა და გაგანიერებულს ხედავდენ.

დიასახლისმა თიხის ფინჯნები ჩამოარიგა, და შეუდგენ ჩაის სმას. ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი ჭიქა დალიეს. ისინი ტკბებოდენ, ისინი თვრებოდენ, იკლავდენ წყურვილს და განუწყვეტლივ სვამდენ და სვამდენ.

ფანჯრებში მუქი ბინდი ჩამოწვა:

სადღაც გარეთ გარმოშკა ახმაურდა.

გაისმა მხიარული სიტყვები:

Ходить брат міи до заводу...
Я вселі живу отут
Побіжу сьогодныі в поле
И венок тому сплету.
Мій миленькай комсомолець
Все про Леніна співа
Я сорочку тому шию,
Вишиваю рукава...

მერე უცბათ მიწყდა, მაგრამ რამოდენიმე წუთში ისევ წამოიწყო ჟღერა, და უკვე განუწყვეტლივ ვრცელდებოდა საღამოს მყუდროებაში გარმოშკის ხმები და სხვადასხვა სიმღერები

Виступае нас не мало
Аж дванадцать косарів
Косим клевер, косим травы
На комунівський зімлі....
Гей... косим клевер, косим трави
На комунівський зімлі!...

მარფას სტუმრებიც წამოიშალენ.

ისინი თეატრისაკენ გაეშურენ, სადაც მოხსენება და წარმოდგენა უნდა ჩატარებულიყო.

წარმოდგენას ხალხი მრავალი დაესწრო. მხოლოდ შუალამისას სიცილ-ხარხარით და ხმაურით გაეშურენ თავიანთი ბინებისაკენ.

მეორე დღეს ყველა ლაპარაკობდა:

— А у. Марфы вчера чай из самовара пили!

— Такой никельчик, такой никельчик, прямо зеркальце!

მაგრამ დეიდა მარფას რაღაც ულრღნიდა გულს.

რამოდენიმე დღე თავჩაღუნული და ფიქრიანი დადიოდა.

ერთ დილას კი სამოვარი საერთო სასადილოში მიიტანა და სამუდამოდ ჩააბარა.

ის ამბობდა:

— მე ოჯახი აქა მაქვს, რისთვის მინდა ცალკე სამოვარი?!

და მართლაც, სამხრეთ უბნის ერთი საზოგადოებრივი ოჯახის ჩანასახი, დასაწყისი ეს სასადილო იყო.

მასეგის ენტუზიაზმი

გიგანტის შენება დამთავრდა.

პირველი ტრაქტორებიც გამოუშვეს.

მანქანა-იარაღების 70% დადგმულია, სადაცაა ამ ხუთწლედის გადამწყვეტ წელს, საბჭოთა კავშირის გიგანტების მწყობრში შევა.

სადაცაა, შეუჩერებლივ იდუდუნებს კონვეიერის რკინის ლენტი და განუწყვეტლად გადმოვა ხოლმე ტრაქტორები.

თითოეული ხუთ წუთ ნახევრის შემდეგ ერთი ტრაქტორი.

შრომის პროცესების მექანიზაცია თუ კი სწორ კალაპოტში მოაქციეს ხუთნახევარი წუთი—და კონვეერიდან გადმოგორდება წითელბორბლება, ნაცრისფერ ფრთებიანი ბოლშევიკური ხარი.

ეს არ არის ოცნება.

ეს არის გამარჯვებებით მოპოებული სინამდვილე.

ათი წლის წინად ლენინინი ამბობდა:

„Если бы могли дать завтра сто тысяч первокласных тракторов, снабдить их бензином, снабдить их машинистами, (вы прекрасно знаете, что пока эта фантазия), то средний крестьянин сказал бы; „я за комунию“, т. е. за коммунизм“.

ამას ამბობდა ათი წლის წინად ლენინი და თვითონვე დასძენდა, რომ ეს მაშინ ოცნება იყო. დღეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებებმა გამარჯვებები შესცვალეს. ბოლშევიკებმა ყველა სიმაგრე აიღეს, აშენებენ ინდუსტრიალურ სიმაგრეებს, ხუთწლედს, ძლევამოსილ გიგანტს.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა წელიწადში იძლევა 50.000 ტრაქტორს, სტალინგრადის ქარხანაც 50.000.

ჩვენს კოლექტივებს ერთი წლის შემდეგ ასიათასი ტრაქტორი ექნება.

დღეს კი გიგანტი ამუშავებას ელის.

ქარხნის ტერიტორიაზე მშენებლობის გამო ჰყრია უთვალავი ქვა, აგური მიწა, ხის ჩამონაპრები, ცემენტის კასრები. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ამ ნარჩენების მთელი გორაკებია ამართული.

ამის მოსუფთავებას ათასობით მუშა-დღე და მუშახელი დასჭირდება.

ეს ნაყარი მიწა, ეს ქვა და აგური ქარხნის შინა ტრანსპორტს მოძრაობას უშლის, გადატან-გადმოტანის საშუალებას უსპობს.

საქარხნო კომიტეტმა დაადგინა:

„ქარხნის ტერიტორია ათ დღეში გასუფთავებულ იქნეს.

გამოცხდდა ტერიტორიის დასუფთავების ათდღიური შტურმი.

ყველა საამქროს მუშები დასვენების დღეებში შტურმში მონაწილეობას იღებენ.

ენტუზიაზმმა ელექტროდენივით დაირბინა მასების გული და გონება. გამოვიდენ სამუშაოზე მუშების ცოლ-შვილი.

ისინი მხიარული ჟივილ-ხივილით მოეფინენ ტერიტორიას და მაზიდებით ეზიდებოდენ მიწას და აგურს.

მოვიდა უცხოელი ინჟენრებისა და მუშა-ხელოსნების ცოლებისაგან დელეგაცია. ისინი თხოულობდენ შტურმში მონაწილეობის მიღების ნება მიეცათ.

მათი თხოვნა დააკმაყოფილეს.

ისინიც ჩაებენ შრომის ფერხულში.

ეს მუშახელი მაინც ცოტა იყო.

შტურმი ათ დღეში ვერ დამთავრდებოდა.

ხარკოვში ხმა მივიდა, რომ ახალ გიგანტს შველა სჭირდება.

და მართლაც, ათი დღის განმავლობაში, ყოველ რიჟრაჟზე ისტუმრებდა ხარკოვი ქარხნისაკენ ათასეულ მუშა-მოსამსახურეს. ყოველი დაწესებულება თავის დასვენების დღეს აქ ატარებდა.

მუშაობდენ ქალები, კაცები, მოხუცები, ბავშები.

ერთი მთლიანი კოლექტივი, ერთი ენტუზიაზმით შეპყრობილი, როგორც ერთი ადამიანი, ისე იყო შრომაში ჩაბმული.

„ქარხანა მთავრდება“—ეს აზრი ყველას სიხარულის ცეცხლს ჰმატებს

ყველგან ფიცხელი მოქმედება, ფიცხელი მუშაობა.

რამდენიმე თვეა ხარკოვიდან ტრამვაის ლიანდაგი გამოჰყავთ ქარხანამდე; რადგან მისი ზოლი სჭრიდა რკინისგზის ლიანდაგს, ამიტომ ის აჰყარეს და სხვა მხარეს გადაიტანეს.

ახლა ორივე მთავრდება.

სულ მალე ორივე ლიანდაგი გაყვანილი იქნება.

რამდენიმე დღეში მოგუგუნდება ტრამვაიც.

ჯერ კი გაცხოველებული მუშაობაა.

შიგ კი საამქროში აღარავის გული არ უთმენს.

ყველა თავგამეტებით იბრძვის იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე ასი პროცენტით მოწესრიგდეს, არ აკლდეს საამქროებს არცერთი ხრახნი, არცერთი დაზგა.

ამერიკელი ინჟინრები ხედავენ ამ ცეცხლს და თავიანთ ოფიციალურ სიმშრალეს ეთხოვებიან, თავს დამკვრელებად აცხადებენ.

მათაც შეიგრძნეს, თუ რა არის შემხვედრი გეგმები.

ისინიც ჩაებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩეხო-სლოვაკელი მაღალი კვალიფიკაციის ხელოსნები, რომელთაგანაც ერთი ნაწილი კომუნისტებია, მუშაობის მაგალითებს იძლევიან.

ისინი თავს დამკვრელებად აცხადებენ. გამოსასვლელი დღეებით არ სარგებლობენ, და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ძალით, ქარხნის მშენებლობის დამთავრების შემდეგ სამშობლოში უნდა დაბრუნდენ, თავს ხუთწლედის დასასრულამდე ქარხანაზე იმაგრებენ.

ისინი გრძნობენ, მათ იციან, რომ ამ კვალიფიციურ მუშახელის ნაკლოვანების დროს ქარხნის მიტოვება სოციალიზმის ღალატი იქნება.

მუშათა კლასის მოღალატეთა სახელი მათ არ უნდათ დაიმსახურონ.

ასე შენდებოდა და ასე მთავრდება გიგანტი ენტუზიასტი მასის უამრავი მარჯვენით, ძლიერი ნებისყოფით.

ე. პ ო ლ უ მ ო რ დ ვ ი ნ ო ვ ი

109
ბ· მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

ენტუზიასტები

ასე მიდიან დღეები ქარხანაში *)

მიდიან დღეები...

ისევ ისე გუგუნებენ საამქროები, კორპუსები და ხრჩოლავენ ქარხნის მილები, შავ სიმაღლეებად რომ ამართულან ამოგუმბათებულ რკინის სახურავებიდან.

ნელქარი სქელ ბოლს ღრუბლების ნაგლეჯებივით მიაქროლებს მთებისაკენ, რომლების ღრმა ხვებში იისფერი სივრცე დგას და თანდათან იშლება მწვანეების ჩუმ შრიალში...

დუღაბის კედლების იქით, ამწევი ონკანის წინ, სადაც აუარებელი რკინის ნაჭრები ყრია, ნელა ხრიალებს მაჯის სისხო ჯაჭვი და ვიწრო ლერსებზე წივილით მისრიალებენ კოლოფებივით მოწყობილი ცარიელი რონდები.

მისრიალებენ ქარხნის მთავარი შენობების გვერდით.

გაივლის წუთი—და ისევ მწყობრად გამოხოხდებიან კორპუსების სიღრმეებიდან.

მოაქვთ როლერები, როლერების ნაწილები, ხრახნები, კონდენსატორები...

ყველაფერი თვალსადახელსშუა ხდება...

მაგრამ აი იქიდან, საიდანაც მოგორავს ეს ძლევამოსილი გუგუნი იქიდან, საიდანაც მოჩანს ენტუზიასტთა ათასები, არ მოისმის გობრონ ხეთაგაურის მხიარული ხმა, არ მოჩანს გობრონ ხეთაგურის ცეცხლივით მგზნებარე თვალები.

— არაფერია, გობრონი მალე დაგვიბრუნდება...

ეუბნებოდა საამქროს მუშებს ამხანაგი ბართლომე ხარაბაძე და გრძნობდა, თვითეული მათგანი მოუთმენლობით მოელოდა გობრონის ნახვას.

დღეები კი ისევ მიდიან...

ალაპარაკდენ გაზეთები პეტრე შჩუკინის საქციელზე, და პროტესტის ხმები ისმოდა ყოველი კუთხიდან.

— მოვითხოვოთ, გობრონზე თავდამსხმელი სასტიკ პასუხისგებაში მიეცეს!

— მოვითხოვოთ...

— მოვითხოვთ!

— მოვითხოვთ!

---

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურ. „პრ. მწერლობა", №№ 4-5, 6-7.

ესმოდა ეს სიტყვები კირიონ ქემოკლიძეს და თავს ისე იჭერდა, თითქოს, და არაფერია...

თუ ვინმე გამოედავებოდა, არ გამოეკამათებოდა.

იყო უტყვი გულჩახრული.

— აქედან ისე არ წავალ, თუ მაგდას სიცოცხლე არ გავუმწარე... მე ვიცი... მე ვიცი, თუ რას ვიზამ...

ბუბუნებდა თავისთვის კირიონი და აწყობდა ბნელ გეგმას.

მთელი დღეები საამქროებიდან წამოსული ძლევამოსილი ხმაური ფარავდა სივრცეს, და ეს ხმაური ქარხნის შენობებ შორის გუგუნივით იდგა.

ნახევრად მიხურულ რკინის კარებს იქით გვარგვალებდა ღუმელი და სილის მტვერში ბრჭყვიალებდა მზის სხივები...

და იქ ზემოთ გორაკზე დატეხილ აგურით რომაა გზა მოფენილი, აგურისფერი მაღალი შენობები ღია ფანჯრებიდან მთების სილურჯეს რომ შესცქერიან,—ჭიანჭველებივით ირევიან მუშები...

ავტოებით, ფურგუნებით მოზიდეს რკინა, თუჯი, ნახშირი...

სცლიან მას.

ქარხანა უკვე უზრუნველყოფილია ნედლი მასალით.

უხარია ეს მაგდას, მიტომ, რომ ქარხანაში დღეიდან ამ მხრივ დაბრკოლებებს ადგილი არ ექნება. უხარია, იმიტომ რომ გეგმას ძლევამოსილად შეასრულებენ...

ქარხნის კულტმუშაკად დაწინაურებული მაგდა მთელი დღეები დარბოდა ქარხნის კომიტეტში, რაიკომში.

იყო ენერგიული, საქმიანი.

ენტუზიასტებთან პირად საუბარში იგებდა, თუ რა აკლდათ, პირველ რიგში რა უნდა მოეწოდებიათ, რომ გეგმა შესრულებულიყო...

იგებდა ყოველივე ამას, ბეჭდავდა გაზეთში და მოურიდებლად ჭიცხავდა ხელმძღვანელობასაც, კი თუ ეს საჭირო იყო.

დადიოდა საამქროებში...

ხედავდა ამხანაგ ბართლომე ხარაბაძეს, რომელიც არაჩვეულებრივ დაკვირებებს ახდენდა...

— გამოგონებას აპირებს! ჯერ თავი დამკვრელად გამოამცხადა, მგონი მალე გამომგონებლობაზედაც ხელს ასწევს!—ჩუმად დასცინოდა კირიონ ქემოკლიძე, მაგრამ ის ყურადღებასაც არ აქცევდა.

ხარაბაძემ განიზრახა ძაფსახვევ დაზგის მექანიკური საკეტი გაემარტივებინა და ეს აზრი კაგამეროვს გააცნო.

— ძალიან კარგია! გაცილებით მარტივი და უკეთესი... ახლავე შეუდექი მის გაკეთებას!—მოუწონა კაგამეროვმა.

კაგამეროვის სიტყვებმა ხარაბაძე კიდევ უფრო დაარწმუნა გამომგონებლობის ღირსებაში და რამდენიმე დღის შემდეგ ინჟინერ ტისოვს დაწვრილებით ნახაზებში გააცნო გამოგონება; მექანიკური საკეტი ორი ნაწილისაგან შედგება და ისინი ძალაზე სადა, უბრალოა ძველ, რთულ მექანიზმით გაკეთებულ საკეტთან შედარებით...,

განიხილეს.

საჭიროდ სცნეს მისი შემოღება და დღეს ძაფსახვევ დაზგას მხოლოდ ამ საკეტს უკეთებენ.

მაგდას უხაროდა ეს.

უხაროდა, მიტომ რომ ხეთაგურის სიტყვები გამართლდა...

— ის ჩვენია... ჩვენთან იქნება! მას ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია!...

და აი, ახლა ამ მანქანებთა ამ დაზგებთან, ამ ზღვა ენტუზიასტებთან გობრონ ხეთაგური რომ არ ჩანს, გულში თითქოს ჭრილობა იხსნება.

ის, გობრონ ხეთაგური, მამაცი მხიარული თვალებით იდგა ამ მანქანებთან და სიყვარულით გულდანთებული ალერსიან სიფრთხილეს იჩენდა.

თვითონ მაგდაც ამჩნევდა, მისი სიახლოვით როგორ ერეოდა გრძნობები და ეგზნებოდა თვალები, მაგრამ მუდამ თავს რომ იკავებდა.

აგონდება პეტრე შჩუკინი, მუშების აღშფოთება, მოთხოვნა...

აგონდება გობრონის სისხლიანი სახე, და ტანთ ჟრუანტელი დაუვლის...

— მაგრამ არა უშავს... პეტრე შჩუკინი ხომ დაიჭირეს... ხომ მიუჩინეს თავისი ადგილი... აწ არაფერია... აწ კი არა უშავს... აწ კი არაფერი გვიჭირს...

ფიქროადა მაგდა, მაგრამ...

მაგრამ შავი ხელი მაინც მოქმედობდა და უფრო შეუმჩნევლად, ვიდრე შჩუკინი....

ფრთხილად გაიარეს ქარხნის შენობები და მარცხნივ აუხვიეს.

გზა დულაბისფერ შენობებს შორის მიიკლაკნება.

გზაზე დროდადრო თუ შეხვდებათ გამვლელი თორემ კაცი არ ჰაჰანებს.

დგას სიწყნარე და ჩამოხუთული სიცხე.

პირდაპირ, მთის დაქანებულ კალთაზე, ახალ შენობათა რიგია.

შენობებს იქით ისევ მთებია.

მთებს ზემოთ კი მოჩანს გაშლილი მწვანეები, უფრო შორს—კავკასიონის ათოვლილი მწვერვალები.

თავჩაქინდრული ნელი ნაბიჯით მიჰყვება გიორგი აბდუშელაშვილი კირიონ ქემოკლიძეს და ყოველივე ეს—კოლოფებივით ჩაწყობილი სახლები, ქუჩა, ხალხი—უცხოა და მის გულთან დაუკავშირებელი.

მიდიან ჩუმად.

უკან კი დარჩა ცისტერნების გარბენილი სილუეტები, ქარხანა, ქალაქი, სარკისფერი სივრცე და სიშორეები...

თითქოს რაღაცა აწუხებს, თითქოს რაღაც აწვალებს გიორგ აბდუშელაშვილს, მაგრამ ყოველივე ამას გულში იკლავს.

თითქოს უნდა რაღაც უთხრას კირონ ქელმოკლიძეს, მაგრამ რაღაც აჩერებს.

სიტყვებს გულშივე ახრჩობს და ისევ ნელი სიარულით. თავჩაქინდრული. უხმო მიჰყვება მას.

— გიორგ, ინჟენერ ტისოვს ხომ იცნობ?!

მკლავებში ხელი ჩაავლო და ისე ჰკითხა კირიონ ქემოკლიძემ.

— როგორ არა!

— მაგდასთან როგორაა განწყობილი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგად!

კირიონი ფიქრებს გაჰყვა.

გაიარეს რამოდენიმე ნაბიჯი და მერე ისევ შეეკითხა:

— მუშებთან?! მუშებთან როგორაა?!

— მუშები პატივსცემენ!

— პარტიული ხალხი?!

— ცუდი არაფერი მსმენია, ყველაფერს ენდობიან!

კირიონი ისევ ჩაფიქრდა.

წუთით გიორგი ისევ შეაჩერა და დაბალი ხმით ჩასჩურჩულა:

— გიორგი! ყველა ეს დამაკავშირებელი ძარღვი დღესვე უნდა გადაიჭრას!

— ვერ გავიგე რას ამბობ.

— ინჟენერი ტისოვი ჩვენთან უნდა იყოს... მას შეუძლია ახალ საამქროს ძირი გამოუთხაროს... მას შეუძლია ახალი საამქრო ერთიანად დალუპოს... გესმის, რას გეუბნები?!

გიორგიმ გაოცებული თვალებით შეხედა კირიონს და ნელა წაიდუდუნა:

— კი, მაგრამ ეს ხომ ძნელია... ამას რომ თავი გავანებოთ, ძალზე სახიფათოა...

— დაგიჩემებია—ძნელია, სახიფათოა, თავი დაანებე ასეთების ლაპარაკს... შიში აქ არაფერ შუაშია... ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, გესმის?!

— კირიონ მიკვირს შენი საქციელი... მე თუმცა ყველაფერში გეთანხმები... თუმცა ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ მეტყვი, მაგრამ... ამით რა გინდა ჰქნა?! საბოლოოდ რა უნდა იყოს!?

— ბრიყვო! შენ რა გგონია?! განა ყველაფერი ისე კეთდება?! არა... შენ სულელი ხარ! აქ ყველაფერი წინასწარ გამოანგარიშებულია... ამას შენ გგონია მე ჩემი სურვილებით ვაკეთებ?! არა... სულ სხვა კაცი ხელმძღვანელობს ამ საქმეს! შენ მაგრად იყავი... რასაც გეტყვით, გააკეთე...

— მე მეშინია... მეშინია, კირიონ!!! აი თუ გინდ მაგდა... ის, რომ შემომხედავს, ასე მგონია მან ყველაფერი იცის... იცის ჩვენი აზრები, ჩვენი, გეგმები და თვალის გასწორების მეშინია...

— შენ ჯერ გამოუცდელი ხარ ბრიყვი ხარ!

— რა ვიცი... იქნებ ესეც მართალი იყოს... მე არაფერი არ მინახავს, გარდა ათოვლილი მთა—ველებისა, არსად მე არ გამივლია, გარდა საკუთარი მარჯვენით გადახნულ ყანისა, სადაც შიშველ ფეხებს გვალვის თვეში ქვასავით მაგარი ბელტები სჭრიდა, და რა გამემტყუნება!

— ჰოდა, რასაც გეტყვიან, ის აკეთე; შენ გგონია მე და შენ მარტონი ვართ? სცდები, სცდები ძალიან თუ ასე ფიქრობ... ჩვენ სხვაგან გვაქვს ფესვები... ჩვენ განსაზღვრულ ხალხზე საკმაო გავლენა გვაქვს... ჰოდა ფიქრები შენი საქმე არ არის... ფიქრები ადამიანს სტანჯავს, გზას ურევს, უხლართავს... იქვეებში ჰხვევს...

— კი, მაგრამ მე მაინც მეშინია... მეშინია, მიტომ რომ ჩვენ მარტო ვერაფერს ვერ გავაკეთებთ!

— კარგი, გეყოფა! რასაც ვერ გავაკეთებთ, იმასაც ნახავ! იარე ჩემთან, მომყე!

გიორგი, ისევ ათასგვარ იქვში, ათასგვარ ფიქრში გახვეული, თავჩაქინდრული მიჰყვება კირიონს და მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელი რჩება კირიონის გეგმები...

გაიარეს მაღალ შენობათა რიგი.

ღია ფანჯრებიდან გადმოკიდულ ყვავილებს ეალერსება მზის სხივები.

სახლების ჩრდილი ქვაფენილებზე წამოწოლილა და ჩრდილში ნელა ირხევიან ხეები.

მაღალი ახლად აგებული დუღაბისფერი სახლების იქით უშენი კაჭარი ძევს და უფრო ზემოთ მორღვეულ გორაკის ძირას ქარქარაკების ხვავთან ნელა მოდის წყაროს წყალი.

წყაროსთან ახალგაზრდა გოგო—ბიჭები მოსულან და წყალს ეზიდებიან...

მთამი დაუცლელი სიხარული, სილაღე და ხალისი ჩანს...

უყურებს გიორგი მათ და გულში სხვადასხვა აზრები უვლის.

აგონდება სოფელი, მწვანეებში ჩაკეცილი ლურჯი საღამოები, როცა ახალგაზრდა გოგო—ბიჭები, გიტარითა და მანდალინით, მორაკრაკე ნაკადულების ნაპირ-ნაპირ კოშკის ნანგრევებზე ადიოდენ და საღამომდე მხიარულობდენ, ოხუნჯობდენ...

აი ის, პატარა, წითელი თავსაფრით თავწაკრული გოგონა, მაგდასავით მხიარულია, მაგდასავით მოცინარი და ხალისიანი (ასე ეჩვენება მას), ეს კი გიორგის გულს რატომღაც ატოკებს.

ატოკებს, იმიტომ რომ მაგდას სახე ღრმად შეიჭრა მის გულში, და როცა ის მხიარულად შეხედავდა მაგდას, საამქროში რომ გაივლიდა ჯანღონით და სიცოცხლით სავსე, მთელი დღე უჩვეულო კმაყოფილებას განიცდიდა.

ეგონა, რომ მაგდასთან მას შეუძლია ძალიან ახლოს იყოს...

აი, თუგინდ ისე, როგორც ის ხეთაგურთანაა.

ეტყვის თავის ფიქრებს, გაუშლის გულის ნადებს, გაუზიარებს ჭირვარამს... მაგრამ ხეთაგური?!

— ხეთაგურის წინააღმდეგ კირიონ ქემოკლიძე ხომ იბრძვის?! — ფიქრობს გიორგი. — მეც... მეც მასთან უნდა ვიყო!

ამბობდა ასე და ეს კ კირიონთან უფრო და უფვო აკავშირებდა მას მაგრამ გიორგს ის აფიქრებდა ვაი, თუ ამ ბრძოლაში სადმე ისე ჩავარდე, რომ თავიც დავიღუპოო და ამიტომ მუდამ შიშობდა. იყო იქვიანი, გაუბედავი...

და აი, ახლაც, კირიონს რომ მიჰყვება თავჩაქინდრული, ახლაც ამ აზრებშია ჩახვეული.

ნელა გაიარეს უშენი კაჭარი და ორსართულიან სახლის ეზოში შევიდა.

— აი აქ!

უთხრა კირიონმა და მეორე სართულზე მიუთითა.

კაცი – რომელიც მზეს არ ენახვება

ოთახი ვიწრო და უსინათლოა.

სარკმელი პირდაპირ გასცქერის ქარხანას, ქარხნის მილებს...

მზე სარკმელს ჩასვლისას ადგება, და მზის მოწითანო სხივები ლილისფრად ანთია კედლის სარკეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხეში არეულად მიყრილია წიგნები.

წიგნების ზვერდით მტვერში, ქაღალდების ნაგლეჯებზე გდია ცოცხი, თითქოს ეს არის პატრონმა ოთახი უნდა დაგავოსო, მაგრამ მიდიოდა დრო, მტვერი ისევ იქ ეყარა და, თუ ღია სარკმლიდან ნიავი შემოუბერავდა, არეული მტვერი მზის სხივებზე ვერცხლისფრად ელავდენ...

ნელი ბაკუნის შემდეგ ფრთხილად გაიღო კარი, და გიორგიმ პირველად ნახა ის კაცი, რომელზედაც კირიონი მას ელაპარაკებოდა, რომლის იმედი კირიონს ჰქონდა.

ის იყო დაბალი, მელოტი თავით.

თვალები თითქოს ღრმა ორმოებივით ჰქონდა შორს ჩავარდნილი.

სახე გამხმარი, უფერო,

— თეძამ ამაშუკელი!

რალაც უჩვეულო ხმით წარმოსთქვა მან ეს და ფრთხილი ნაბიჯებით უკან დაიწია.

— კაცი, რომელიც მზეს არ ენახვება!

გაიფიქრა გიორგიმ და რატომღაც ჯიუტად მიაშტერდა სახეზე.

მერე ნელა მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა.

კირიონი იქვე ჩამოჯდა.

თეძამი მოტრიალდა, კატარა, გამხმარი ხელები კირიონს მხრებზე დაადო და ჰკითხა:

— რა ამპავი მოგაქვს?!

— საიმისო არაფერი!

— როგორ?!

— აქ უნდა გადავწყვიტოთ ყველაფერი!

— ტისოვი?!

— ტისოვის შესახებ არ ვიცი, როგორ მოვიქცე!

— როგორ თუ არ იცი?!

— საჭიროა მასთან მოლაპარაკება მოხერხებულ ადგილას!

— მერე?!

— მერე და სად?! რროგორ?!

— იქვე, მხოლოდ დრო უნდა შეურჩიო... გესმის?! იქვე, სადაც მუშაობს!

— კი, მაგრამ ვინ მოელაპარაკოს?!

— ვინ და, რასაკვირველია, შენ! იქ თუ არ გინდა, სახლში!

— მე არ შემიძლია, თეძამ!

— როგორ თუ არ შეგიძლია?! — გაიოცა თეძამმა და სახეზე მიაჩერდა კირიონ ქემოკლიძეს.

გულში კი გაიფიქრა, ხომ არ მღალატობსო, და მოუთმენლად მოელოდა პასუხს.

— არ ივარგებს, თორემ...

— თორემ რა?! რატომ არ ივარგებს, ვითომ?!

— მიტომ, რომ უარი არ სთქვას, ვერსად ვერ გავექცევი... ქარხანაში რომ, დამინახავს, მიცნობს... დამიჭერენ და... მორჩა და გათავდა!

— ეს მართალია, მაგრამ... ჩაფიქრდა თეძამი. — როგორ მოვიქცეთ?! ასე გაჩერება ხომ არ შეიძლება?!

— ამიტომაც მოვედი შენთან! — უთხრა კირიონმა — როგორმე სხვა გზა უნდა ავირჩიოთ!

გიორგი ძალაუნებურად ბნელი გეგმების მონაწილე ხდება.

ეს მას ძალიან აფიქრებს, მაგრამ კირიონისაგან თავის დახწევა რატომღაც არ შეუძლია...

— ერთი ეს მითხარით, ახალი საამქროს საქმე როგორაა?! — იკითხა თეძამმა.

— ორ სამ დღეში უნდა ამუშავდეს!

ამ სიტყვების გაგონებაზე თეძამი უჩვეულოდ აენთო, წამოხტა სკამიდან და სიბრაზისაგან თვალები გადმოკაკლა.

— სად იყავით აქამდე! განა ასე გულხელდაკრეფილი უნდა დადიოდეთ?! თქვენ არც ერთს არ შეგიძლიათ ბრძოლა!

რატომ აქამდე არ მითხარით, თუ საქმე ასე იყო?!

— მე მუდამ გეუბნებოდით!..

— გეუბნებოდით, გეუბნებოდით! — ბრაზით იმეორებდა თეძამი.

— რას მეუბნებოდით?! რას მეკითხებოდით?! ახლა ხომ ყველაფერი არ გაკეთდება?! ამისი მიზეზი თქვენა ხართ!

— მერე და ახლა როგორ მოვიქცეთ?! — შეეკითხა კირიონი.

თეძამი წუთით გაჩუმდა, გაბრაზებულმა ორჯელ გაიარ-გაიოიარა ოთახში და კირონს უთხრა:

— საჭ როა ამალამ ტისოვთან მოლაპარაკება!

— მერე, ვინ მოელაპარაკება?;

— მე თვითონ. თქვენ გლახაკები ხართ! გესმისთ, გლახაკები! თქვენი იმედით შორს ვერ წავალთ... მე თვითონ მივდივარ ტისოვთან!

სთქვა ეს თეძმმა საჩქაროდ პალტო ჩამოიღო და ჩაიცვა, მერე უჯრიდან ფული გამოიღო და კირიონს უთხრა:

— საჭიროა თვითონ ქარხანაში მოვნახოთ კაცი, რომელიც ახალ საამქროში იმას გააკეთებს, რაც მე მიგითითეი! მიეცით ეს ფული. როცა დავალებას შეასრულებს, მოჰკალით!

კირიონმა უხმოდ გამოართვა ფული.

თეძამმა ქუდი დაიხურა და კიბე სიჩქარით ჩაირბინა.

მწვანე აბაჟურიდან საცოდავად იბეუტება ლამფა.

დერეფნიდან მოისმის მოშვებული ონკანის შიშინი და შემოსასვლელი ნახევრად ღია კარების ქარის ხმაურობაზე ჭრიალი.

სალიტა ზის დაღონებული, თვალებმინაბული, ჩუმი.

რა არ უნახავს, რა არ გამოუცდია!

უზარმაზარი თუჯის ქალაქები ცამდე აყუდებული ნაცრისფერი შენობებით, ქარხნების ახრჩოლვლილი მილებით, ციალა დღეებით და მზის თავბრუდამხვევი ტორტმანით, მტვრით, ბოლით, სისხლიანი ქუჩებით და სხვადასხვა ჯურის ხალხით: მოხეტიალე, მოცეკვავე ბოშა ქალები, გრძელთმიანი ჩინელები მინაბულ თვალებით...

მაგრამ ყოველივე ეს წავიდა სადღაც უკან, ჯანდაბისაკენ. და დარჩა მას ტკბილ მოგონებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცვალა ცხოვრება და დღითი-დღე უფრო და უფრო ვარდებოდა ფიქრებში, აზრებში...

პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებულ ტისოვის სურათს შესცქერის ჯიუტად...

მოელის.

არ ჩანს.

სალიტა ვერ ითმენს მარტო ყოფნას და ფიქრებში მიეძინება.

შეგვიანებით მოვიდა ტისოვიც.

— მადლობა ღმერთს, რომ მოხვედით! — შესძახა სალიტამ, აღტაცებული წამოხტა, კარებთან ბავშვივით ჩამოეკიდა კისერზე და რამდენიმეჯერ აკოცა.

— მოგწყინდა, ჩემო გვრიტუნიავ!

— ძალიან, ძალიან! ათრთოლებულმა მიაყარა სიტყვები და დარცხვენილ ბავშვივით ჩაღუნა თავი.

— მარტოობით?

— არა, აქ საერთოდ მოსაწყენია! მე და შენ ახლა სადმე დიდ ქალაქში უნდა ვცხოვრობდეთ, როგორც ინჟენერი და როგორც ინჟენრის მეუღლე!

უცებ სალიტამ შენიშნა ტალახით, მტვერით დასვრილი ტანისამოსი. ჩექმები და თითქოს შეჰკივლა:

— შეჩერდი! ფეხები ტალახიანია, იქით გაიწმინდე! ღმერთო ჩემო, ინჟენერს კი არა, შავ მუშას გევხარ, პირდაპირ მრცხვენია!

— აბა, რას ამბობ, ჩემო გვრიტუნია, ჩემო ტუკუნია!

ტისოვი ფეხებს იწმენდდა მავიულბადეზე და ეუბნებოდა:

— აბა, ასე მსჯელობა როგორ შეიძლება!

— რატომაც არა! ინჟენერს თავისი ფორმა უნდა ჰქონდეს!

— ფორმა შეიძლება ახლაც იყოს, მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს განსაკუთრებული ნიშნები საჭირო არ არის! არ არის საჭირო კაკარდიანი ქუდი, განსაკუთრებული პალტო და სხვა რამ.

დროა, მოისპოს ყოველივე ეს!

ტისოვი იქვე სავარძელში ჩაჯდა.

სალიტა მუხლებზე ჩამოუჯდა და გრძელი, შიშველი მკლავები ისევ შემოხვია მუშაობისაგან დაღლილ ქმრის სხეულს.

ტისოვმა ნელა მიაფარა თვალებზე ხელი, და კოცნამ გაბზარა ჩუმი სივრცე.

სალიტას ტანი უკრუოდა.

სიხარულისაგან სახე გავსებოდა და სხეულის ყოველ ნაწილში გრძნობდა განუსაზღვრელ საამო ჟრიალს.

ქალს ალერსი წყუროდა.

— მთელი დღე აქ არ ხარ! შევჩერებივარ ამ კედლებს და ცას. მე კი ეს არ მინდა... მე, ჩემო ძვირფასო, სულ სხვა მინდა... აი ეს... აი ეს...

შესძახა სალიტამ ისევ.

შიშველმა მკლავებმა გაიელვა ჰაერში, და ტისოვის გამოშვერილ ხელებში გაეხვია ის.

ტისოვი გრძნობდა, თუ როგორ თრთოდა ქალი, როგორ ფეთქავდა ცხელი გულმკერდი, და ყოველ კოცნაზე როგორ ინთებოდა ნაპერწკლებივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეყოფა, ჩემო გვრიტუნია, გეყოფა! მშია, რამე საჭმელი გექნება!

— აი, მე დროზე მოვაწყვე ყველაფერი! შენ მხოლოდ პირი დააღე! ლუკმას მე ჩაგიდებ... მე ასე მინდა!

ეუბნებოდა სალიტა და თან იცინოდა.

ტისოვი. ლოლოტას ქცევით მოჯადოვებული (ეს ძველი გამოთქმის თანახმად), ბავშვივით იქცეოდა! შოშიასავით დაეღო პირი და სასაცილოდ გამოიყურებოდა.

ილიმებოდა ქალი სახეალეწილი და ეუბნებოდა:

— აი ასე... აი ასე... ჩვენ სულ სხვანაირად უნდა ვცხოვრობდეთ... განსაკუთრებულად...

ნელა შემოაღო კარი მოსამსახურე ხვარამ, მრგვალი მსუქანი პირისახეუწესრიგოდ გადაწეული წაბლისფერი თმა. მსხვილი, ხორც ჩამოთეთქვილი სხეული. მკერდგანიერი ლოყებაწითლებული. მოკლე მსუქან მკლავებზე აჩნდა ლურჯად დაზიდული ძარღვები.

ფარდების იქით სალიტა და ვასილ ვასილიჩ ტისოვი იწვნენ.

ხვარამ თვალი მოარიდა.

კარი მიხურა და რამდენიმე ხნის შემდეგ მორიდებით დააკაკუნა.

ფარდიდან სალიტას სახე გადმოეკიდა,

— ვასილი ვასილიჩთან ბრძანდებიან!—უთხრა ხვარამ.

— ახლავე! დაიცა!

სალიტა საჩქაროდ წამოდგა.

ოთახში ჩქარი ნაბიჯები გაისმა.

იატაკზე რახუნი გაადინა რაღაცამ, იჩხრიალა—ალბათ გატყდა.

ვილაცამ სიჩქარით გაირბინა კუთხის ოთახისკენ და...

— სთხოვეთ!—გაისმა იქიდან.

ხვარამ საჩქაროდ გაირბინა დერეფანი და ფეხის ხმა შორს წავიდა.

ჩაფიქრებული, დაღლილი სახით მიმჯდარა ტისოვი საწერ მაგიდასთან. მის წინ კი ახლად შემოსული თეძამ ამაშუკელია.

თეძამმა წინასწარ ყველაფერი უთხრა.

ტისოვი უხერხულად გრძნობდა თავს.

მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი საუბარი.

— ეხლა ჩვენ გვაინტერესებს თქვენი დამოკიდულება მათთან;—შეეკითხა თეამძი და თვალს ერთი წუთით არ აშორებდა.

— პირადი?!

— დიახ!

ტისოვი ჩაფიქრდა.

— ცუდი არაფერი!—უპასუხა ბოლოს.

— მაინც?!

— კარგ დამოკიდებულებაში ვიმყოფებით!

— სახელდობრ?!

— რასაც მეტყვიან, ვასრულებ! მუშაობისათვის რასაც მოვითხოვ შეძლების დაგვარად ასრულებენ!

— ისე როგორ გეპყრობიან?!

— რაც შეიძლება ნდობით!

— ჯამაგირი?!

— მომიმატეს, ასე რომ სასაყვედრო არაფერია!

— კი, მაგრამ, პატივცემულო ინჟენერო, თქვენი სახელი?! თქვენი დიდება სადლაა?!

— მე მგონია იმ ნდობაში, რომელსაც ჩემდამი იჩენენ!

— და მერე, პატივცემულო ინჟენერო, თქვენ ურიგდებით ამას მაშინ, როცა პარტია და ხელისუფლება...

უნდოდა თეძაძს რაღაცა ეთქვა, მაგრამ ტისოვმა უმალ შეაწყვეტინა:

— უკაცრავად! გთხოვთ შეჩერდეთ! თქვენ პოლიტიკაში იჭრებით, პოლიტიკა კი ჩემი საქმე არ არის!

— პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ საზოგადოებრივი მოღვაწე პოლიტიკის, საზოგადოებრივი საკითხების გარეშე იდგეს!

— არა, გეთაყვა! ჩემი საქმეა მტკიცესაფუძვლიანი ხიდის აშენება. აშენებაში მე ყველას ვეხმარები და ყველა მე მეხმარება. მერე ვინ გაივლის ხიდზე, ჩემი საქმე არ არის!

— თქვენ იბნევით, მაგრამ მაინც გეთანხმებით... და მე სწორედ იმას მოგახსენებთ, რომ ეს ხიდი საფუძვლიანად არ უნდა ავაგოთ მეთქი...

— რას ამბობთ! თქვენ მე ჭკუიდან შემშლით? — გაიოცა ტისოვმა.

— ჩვენ ამას მოვითხოვთ! — დაჟინებით გაიმეორა თეძამმა.

— დიახ, ჩვენ ასე მოვითხოვთ! უნდა გააკეთოთ!

თითქოს სული ეხუთება.

თითქოს ენა ებმება.

აწითლდა.

აილეწა.

თვალებში ნაპერწკლებად აენთო სიბრაზე და ისევ ჩაქრა.

— თქვენ მე უფსკრულისკენ მეზიდებით, მღუპავთ!

წამოვარდა ზეზე ინჟენერ ტისოვი და მაგიდაზე ხელები დაჰკრა.

— ნუ ფიცხობთ, ნუ ღელავთ!

ამშვიდებდა თეძამი.

— თქვენ მე უფრო მაბნევთ... მავნებლობაში გინდათ ჩამაბათ!... მე უარს გეუბნებით! მე შემიძლიან ყველაფერი ეს ახლავე განვაცხადო!

ოთახიდან ნაბიჯები გაისმა.

— ნუ გავიწყდებათ, პატივცემულო ინჟენერო, რომ ჩვენ ტერორსაც მივმართავთ! ცალი წარბის აქნევით წაიჩურჩულა მთლად აკანკალებულმა თეძამმა

ტისოვს ნაცრისფერი დაედო.

უნდოდა თავი შეემაგრებინა, მაგრამ მუხლებში ღონე გამოელია და სკამზე დაეშვა.

— თქვენ პირადად არაფერი საძნელო საქმე არ გექნებათ! — შემპარავი ტონით დაიწყო თეძამმა.

— თავი დამანებეთ!

— ისე-უბრალოდ... რასაც გეტყვიან, არ აასრულებთ... სხვა არაფერი... დანარჩენი ჩვენზე იყოს...

— კმარა ამაზე ლაპარაკი... ხომ გესმით, უარს გეუბნებით! — ხრინწიანი ხმით ამოიხრიალა ტისოვმა.

— პატივცემულო ინჟენერო,—ამოიღო გაზეთი თეძამმა და უთხრა:—ხედავთ, პოლიტიკური მდგომარეობა რთულია, რის იმედი გაქვთ, რომ უარს ამბობთ?!

ტისოვი გაჩუმდა.

— და მე მგონია,—განაგრძნობდა თეძამი,—თქვენ უსათუოდ ჩვენთან იქნებით!

ტისოვი ისევ სდუმდა, უაზროდ ათამაშებდა თითებს მაგიდაზე და იყო ასე თვალებდაშვებული.

— იცით რა გითხრათ, პატივცემულო ინჟენერო! მოისაზრეთ, მოიფიქრეთ! ეხლა მივდივარ და თქვენი იმედი მაქვს! მოველით პასუხს...

თეძამი წამოდგა.

ტისოვი კი ისევ სდუმს თვალებდაშვებული.

თეძამმა ფრთხილად, ჩუმი ნაბიჯებით გაიარა ოთახი, დერეფანი და გაჰქრა.

ტისოვმა თავი მაღლა ასწია.

ამოისუნთქა.

დახედა გაზეთს და კბილების ხრიჭიალით დახია, ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

ისევ იმათთან?! არა, არასგზით!

ოთახში მარტო დარჩა ტისოვი და შიშმა, ფიქრებმა საშინლად აურიეს გონება.

ჩავარდა იქვებში, კოშმარში...

ხან რას არ იფიქრებდა, ხან რას.

გაურკვევლობა ნისლივით დადგა, და ტისოვმა ახლა იგრძნო მთელი სიმწვავე...

წუთით ყველაფერი მოიგონა...

ეს იყო ახლო წარსულში:

მთელი დღე განუწყვეტლივ გრუხუნებდენ ზარბაზნები.

ცა თოვლად ჩამოდიოდა მიწაზე, და იბარდნებოდა მიდამო.

ჟუილით წამოსული ყუმბარა ვარდებოდა ქალაქის განაპირა უბნებში და მცხოვრებლები წივილ-კივილით გამორბოდენ სახლებიდან.

ახლოს, ძალიან ახლოს, დაფერდილი გორაკების ქვემოთ, კაპასობდენ ტყვიამფრქვეველები და შორს მთებში ტყდებოდა ეს ხმები...

თეთრებს იერიში მოჰქონდათ ქალაქზე.

გარბოდენ ქალაქიდან.

ინჟენერი ტისოვი შუაგულ ქალაქში ცხოვრობდა და ხედავდა, თუ როგორ იცლებოდა ქალაქი.

თოვდა.

წანწალებდა ცივი ქარი.

ზარბაზნების ყოველ გასროლაზე ტანაკანკალებული სალიტა ეკროდა მას და მის ხელში იგრიხებოდა.

ტისოვი ელოდა უმცროს ძმას, რომელიც ავტოს მოსაყვანად წასულიყო, მაგრამ ის არ ჩანდა.

შებინდებისას მოვიდა უმცროსი ძმა ჟორჟი და ისინი ავტოში ჩასხდენ. მიდიოდენ, მაგრამ თვითონთაც არ იცოდენ საით, მხოლოდ ქალაქიდან წისულიყვნენ, საშინელებებს გაქცეოდენ და სხვა არა იყო საჭირო.

ბნელოდა.

უკან დასტოვეს ქალაქი, თოვლი და ჩამონგრეული სახლები.

მოშორდენ ქალაქს.

ავტო მიგუგუნებს ველებზე.

ირგვლივ სიბნელეა.

ვერაფერს ვერ გაარჩევ.

უცებ რამდენიმეჯერ გავარდა თოფი და უმალ წინ ხამლშა იელვა.

ავტო გააჩერეს.

ჩამოვიდა ჟორჟი.

— სად გარბიხართ?!—მრისხანე ხმით იკითხა მხედარმა.

— სად უნდა გავრბოდეთ! სოფლად მოვდივართ!

— სცრუობ!

— არაფერიც!

— გეტყობა, ბოლშევიკი ხარ!

— თუგინდათ ასეც იყოს, მერე რა?..

— მერე რა?! აი ეს... მეტ არაფერი...

დაიღრიალა მხედარმა და ისევ წუთში გაისმა ხმლის ჩახანი, ხროტინი.

ინჟენერი ტისოვი და სალიტა უმალ ჩამოვიდენ ავტოდან. ტისოვმა შეამჩნია, რომ მხედარი თეთრებიდან იყო. აფრთქვინებული ცხენის ტორებთან ეგდო თავწაჭრილი ჟორჟი.

ამით დაფეთებულმა შოფერმა ადგილიდან ერთბაშად მოსწყვიტა ავტო.

უნდოდა გაქცევა, მაგრამ ხიდი აფეთქებული აღმოჩნდა და თვითონ ტისოვმა კარგად გაიგონა ხევში გადაჩეხილი ავტოს მტვრევის ხმა.

აგონდება ეს ინჟენერ ტისოვს.

აგონდება საბრალო ჟორჟი და ძალაუნებურად წამოიძახა.

— ისევ მაგათთან?! არა, არასაზიზ!.., ის ვერავითარ პასუხს ვერ მიიღებს ჩემგან... მე ვიცი...

კუთხის ოთახის კარები გაიღო და ტანის რხევით გამოჩნდა სალიტა.

აბრეშუმის კაბის ლბილი შრიალით გამოექანა ის და ტისოვის ჩამოსევდილ სახეს შემოხვია მკლავები.

— ვასილ ვასილიჩ, რათ დაღონებულხართ?!

ტისოვი სდუმს.

სალიტამ ძაგრად მოხვია მკლავები.

სალიტამ ტანი უკან გადაზნიქა და ისე ჩააცქერდა ტისოვს, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია.

— ვასილ ვასილიჩ!—გაიკვირვა სალიტამ.—რა დაგემართა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ისევ უძრავად იდგა.

— ალბათ კოცნას მთხოვ!

სთქვა ეს სალიტამ, და კოცნამ გაბზარა დუმილი.

— ადამიანო, რამ გაგაშეშა?! რამდენადაც შეეძლო, შეანჯღრია...

— ნუთუ იმან, რომ იმათთან უნდა იმუშაო?!

— რაო?! რა სთქვი?!

თითქოს გამოერკვაო, წამოიძახა და მაგრად მოკიდა ხელი მკლავებში.

— შენ გიხარია შავი მუშის ბატონობა?! შავი მუშას უნდა ემორჩილებოდე, ვასილ ვასილიჩ?!

— სსუ!.. არავინ გაიგონოს, რას ამბობ? აბა რას ამბობ?!

— თუმცა ის გარემოება მე სულაც არ მაინტერესებს. აი რა მაინტერესებს,—უთხრა ეს და ტიტველი მკლავები გველებივით შემოახვია ისევ და რამდენიმეჯერ აკოცა.

— მაგრამ მე მაინც გეტყვი,—განაგრძნო სალიტამ,—ახლავე უნდა დათანხმდე...

ტისოვმა სწრაფად მოიშორა სალიტა და უთხრა:

— თავი დამანებე! ამაზე სიტყვა არ მითხრა... კმარა... გვეყოფა...

— კი, მაგრამ...— უნდოდა რაღაც ეთქვა სალიტას, მაგრამ ტისოვმა გააწყვეტინა:

— კმარა! საჭიროა წერილი დაესვას! ღღეიდან ხმა არ გამცე ამის შესახებ!

მერე ღღეს ინჟინერი ტისოვი ადრე წავიდა ქარხანაში.

ის უკვე მტკიცე გადაწყვეტილებით მიდის; უნდა ყველაფერი სთქვას, გაანაცხადოს...

ახალი ნაწვიმარია.

ცაზე ნელა იშლება ღრუბლების ფარა და ჩნდება ლილისფერი სიღრმეები.

გრილა.

ქარხნის შენობების ახლოს დგანან მაზუთით და ნავთით სავსე ცისტერნები, საბარგო რონოდები ზოგი ღია, ზოგი დახურული.

იწყება ქარხნის შენობები და ინჟინერ ტისოვი იქითკენ გაემართა.

არც ერთი წუთით არ მოშორებია მას თეძამის სახე.

ის აშფოთებს, ფიქრებში ჰხვევს და ამ ფიქრებში, ამ შფოთში თეძამის საქმე მაინც შეუცნობელი რჩება.

შეუცნობელი იმიტომ, რომ არ მოელოდა, თუ ვინმე ასე კატეგორიულ წინადადებას მისცემდა..,

მეორე კიდევ იმიტომ, რომ ის არსად არ ენახა და არ იცოდა როგორი კავშირი ჰქონდა ქარხანასთან.

— იქნებ მუშაობისას მანქანები ამიფეთქონ და მეც შიგ მოვყვე!—გაიფიქრებდა ხანდახან ტისოვი.

უნდოდა ვინმე ენახა და წუხანდელი ამბავი ეთქვა.

— საჭიროა იმ კაცის დაპატიმრება! უთუოდ... უთუოდ...

ამბობდა თავისთვის და მიიჩქაროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაში ხვდებოდენ მუშები.

ღიმილით აძლევდენ სალამს და უხაროდა, რომ მუშები მას აფასებდენ, პატივს სცემდენ...

ეს მხიარული სახეები, თბილი სალამი უფრო და უფრო აყვარებდა მას მთელ ქარხანას და ფიქრებში ჯერ თეძამის სახე რომ წარმოუდგებოდა კოშმარში ვარდებოდა.

— ეს რა ჭირი გადამეკიდა!!

ტისოვმა სიჩქარით აირბინა კიბე და პარტკოლექტივის ოთახის კართან შეჩერდა.

მასში უკვე აზრი—აზრს ებრძოდა.

— აი, ახლა მას შეუძლია ყველაფერი განაცხადოს...

საჭიროა ბიჯის გადადგმა, კარის გაღება, რომ პარტკოლექტივის მდივანიც ნახოს, მაგრამ... ის ვერ ბედავს.

ვერ ბედავს, იმიტომ რომ ამ ბოლო ხანებში მას შიში დაეუფლა და ეს შიში, ფიქრები სადღაც უკან ეზიდებოდა.

— თუ განაცხადე, შენც დაიღუპები!

თითქოს ვილაც ჩასძახოდა ამ სიტყვებს, მაგრამ მაშინვე თავის თავს უპასუხებდა:

— სჯობს ყველაფერი ვთქვა! რომ გაიგონ, უარესია და...

უნდა შეაღოს კარი, რომ სწრაფად მოტრიალდა და შეშფოთებული სახით ახალი საამქროსაკენ გაემართა.

გზაში კი ისევ ფიქრობდა:

— ეს რომ გამიგონ, ნდობა დამეკარგება... სხვანაირი თვალით დამიწყებენ ყურებას და სჯობია გავჩუმდე...

ყველაფერი ეს—ქარხანა, გუმბათებიდ ამოწეული კორპუსების რკინის სახურავები და სახურავების ქვეშ მანქანები, დაზგები, ტრანსმისიები—ინჟენერ ტისოვისათვის დიდი ხნის ნაცნობია და მისი ხელიდან გამოსული.

და ახლა ყოველივე ამას რომ შესცქერის, ისევ თეძამის სიტყვები აგონდება.

— ის თხოულობს მთელი ამ წარმოების ჩაგდებას! დიახ!—ფიქრობს ტისოვი.—მაგრამ არა... ეს არ მოხდება... ამას არასგზით არ ვიზამ!..

ახალ საამქროს წინ დადგა ტისოვი და ფიქრებში ისე გართულიყო, რომ ვერც შეამჩნია ტიბორ ბარტალოშის მოახლოვება.

— ძალიან ჩაფიქრებულხართ, ამხანაგო ინჟენერო!—უთხა ტიბორიმ.

ტისოვი შეკრთა, საფეთქლები მოიხსნა და ისე ჩახედა ტიბორ ბარტალოშს.

— როგორ?! მეტყობა რამე?!

რატომღაც მოულოდნელი გულუბრყვილობით შეეკითხა ის ტიბორს.

— ძალიან ჩაფიქრებულხართ! ალბათ რაღაც გაწუხებთ?!

ტისოვი ამ სიტყვებმა შეაეჭვიანა და ძლივძლივობით წარმოსთქვა:

— მე... მე რა უნდა მაწუხებდეს... მე სულაც არ ვარ ჩაფიქრებული და არც რამე დარდი მაწუხებს... გარწმუნებთ, პირიქით... მე მიხარია... მიხარია, რომ ახალი საამქრო ვადაზე ადრე უკვე სრულდება..

ტიბორიმ ისევ შეხედა და მერე უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგო ინჟენერო! თქვენ მაინც რატომღაც გუნებაზე არ ხართ?!

— ჰო... შეიძლება... მაგრამ ეს ოჯახის ამბებია.., თანაც თავს არ ვგრძნობ კარგად...

— გამაგრდით... გამაგრდით, მალე ახალი საამქროს ამუშავებას ვიზეიმებთ და თქვენ, მისი უშუალო ხელმძღვანელი, იქ უნდა იყოთ...

ამ სიტყვებთან ერთად ტიბორი ახალ საამქროში შევიდა და ტისოვმა კი გაიფიქრა:

— ადამიანს ხშირად თავისი თავი გასცემს ხოლმე...

კირიონ ქემოკლიძე იქვე მახლობლად იდგა და ტისოვს უყურებდა.

ის უფრო და უფრო აკვირდებოდა ტისოვს და გრძნობდა, რომ მას შფოთი, შიში დაეუფლა.

შიში, რომელიც მოქმედების უნარს გიკარგავს...

შეუმჩნეველად გართმევს გამბედაობას და ხდები ბეჩავი, საკუთარ გულსაც ღარ ენდობი.

ყოველი სიტყვა ფიქრებში გხვევს.

ყოველი აზრი იქვებში გახრჩობს.

კირიონი თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ ტისოვის მშვიდ ცხოვრებაში მისთვის სრულიად მოულოდნელი რამ შეიჭრა და ააფორიაქა, აწეწა.

ახლა მან არ იცის როგორ მოიქცეს და საბოლოოდ რა გზა ამოირჩიოს.

— რაო, წუხელის რა უთქვამს?! თეძამს დაეთანხმა თუ არა?!

დაბალი ხმით შეეკითხა კირიონს ახლად მოსული გიორგი აბდუშელაშვილი.

— უარით გამოისტუმრა.

— მერე და შენი იმედები ხომ დაიღუპა?!

— ტყუილად ფიქრობ ასე!

— როგორ?!

— ჩვენ ახლა სულ სხვა გეგმა გვაქვს! მხოლოდ საჭიროა ბოლომდე კარგად ჩავატაროთ. გესმის?! ის ამბავი ყველასათვის გაოსაცარი იქნება. გესმის?!

— კირიონ, რა დროს ახალი გეგმაა?! საამქრო ხომ ორ-სამ დღეში უნდა ამუშავდეს და მერე რა შეგიძლია გააკეთო?!

— გარწმუნებ, საამქრო არ ამუშავდება! ამ საქმეში, ამ ბრალდებაში ჩვენ მაგდა უნდა ჩავაგდოთ! აი ჩვენი საბრძოლო გზა! რაც შეეხება ტისოვს, ის ჩვენთან იქნება, ამის პირობას მისი ცოლი გვაძლევს... თეძამს ტისოვის ცოლთან სულ სხვა კავშირი აქვს.

— კი, მაგრამ... მე მაინც იმედი არ მაქვს... ჩვენ დავიღუპებით, კირიონ! მე პირადად არ მინდა ამ საქმეში გავერიო... თავი დამანებე...

ამ სიტყვების გაგონებაზე ქემოკლიძე მობრუნდა და გულმოსულმა უთხრა

— ღმერთი ხომ არ გაგწყრომია! სხვა რამეს არ ფიქრობდე, თორემ ჩემივე ხელით ჩაგაძალლებ! გესმის?! თუ დავიღუპებით, ერთად დავიღუპოთ, თუ არა და ამ უნიფხოებს ვუჩვენებთ სეირს...

გიორგიმ ხმა ვერ ამოიღო.

ის მთლიანად მოექცა კირიონის გავლენის ქვეშ და მისი ყოველი სიტყვის ეშინოდა...

— არ გაბედო ასეთი სისულელეების ლაპარაკი! თავი დაანებე ორჭოფობას, თორემ პირველად შენ ჩავარდები... ახლა კი წადი... ხშირად ერთად არ დაგვინახონ, არ ივარგებს...

გიორგიმ წარბები შეიკრა.

სათქმელი გულში ჩაიხშო და წავიდა.

კირიონი ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ინჟენერ ტისოვს და თავმდაბლობით მისცა სალამი.

— კირიონ, შენა ხარ?

— დიახ, ბატონო!

— რატომ საამქროში არ ხარ?!

— გამოსასვლელი დღე მაქვს, ვისვენებ!

— ოო, ეს სხვაა!..

— მაგრამ გულმა არ მომითმინა და წამოვედი,—განაგრძობდა ქემოკლიძე, ამასთან ერთად გავიგე, მგონი დღეს ახალი საამქრო უნდა ამუშავდესო და უფრო ის მაინტერესებდა,—ცბიერად დაუმატა კირიონმა.

— დღეს არ ამუშავდება, მაგრამ ამ მოკლე დროში კი უსათუოდ!—უთხრა ტისოვმა.—ყველაფერი მზადაა... მალე აგუგუნდება და მაშინ ნახე როგორი ტემპი ავიღოთ...

— ვიცი... როგორ არ ვიცი...—ეშმაკური ღიმილით უმოწმებდა კირიონი. გეგმას უსათუოდ გადააჭარბებენ... ამას ლაპარაკიც არ უნდა, მაგრამ ახალი საამქრო ამ მოკლე ხანში ვითომ ამუშავდება?!

უკანასკნელი სიტყვები ხაზგასმით აღინიშნა კირიონმა და ტისოვს თვალებში მიაშტერდა.

— რაო?! ეს რა სთქვი, კირიონ?!

გაოცებით შეეკითხა კირიონს ტისოვი და თვალწინ წარმოუდგა წუხელ თეძამმა რომ უთხრა:—„ახალი საამქრო არ უნდა ამუშავდეს“.

ტისოვი შეეშვდა.

მის ოცნებაში უკვე გაება კავშირი თეძამსა და კირიონის სიტყვებს, აზრებს შორის, მაგრამ მაინც ვერ გამოერკვია სიმართლე.

— რატომ ვერ ამუშავდება ახალი საამქრო?!—ისევ შეეკითხა კირიონს,—ისეთი რა უნდა მოხდეს?!

— არა, მე ის მინდა ვთქვა, რომ თქვენ პირადად, შეგიძლიათ დიდი ხნით არ აამუშაოთ! თქვენ ხომ ხელმძღვანელობთ მის მშენებლობას!

ამ სიტყვებმა იქვები აუშალა ტისოვს.

ტისოვის გაოცებას ის იწვევდა, თუ რატომ დაიწყო კირიონმა ასე ლაპარაკი.

იქნებ იმიტომ, რომ გაიგო წუხანდელი ამბავი, როცა მას თეძამი ტერორით ემუქრებოდა, რათა ახალი საამქროს სამუშაოები ჩაეშალა.

იქნებ მან ყველაფერი იცის და ფანდს ისვრის.

— თქვენ შეგიძლიათ მართლა არ აამუშაოთ!

ისევ უთხრა კირიონმა და გულის ფანცქალით მოელოდა, თუ რას ეტყოდა.

— მე?! მე ამას არ ვიზამ... არც ერთი წუთითაც არ დავაგვიანებ... პირიქით, უფრო ადრე, უფრო ჩქარა... ამას მოითხოვს ჩვენი დღეები, ამას მოით-

ხოვს ჩვენი სინიდისი... სინიდისი, რომელსაც ვერც ნავთით ამორეცხავ და ვერც ბენზინით დასწვავ! სინიდისი გულთანაა ახლოს, სადაც სიცოცხლეს ძალა ეძლევა.

— მე... მე რა... ისე, სხვათა შორის გითხარით!

ნელა უთხრა კირიონმა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა იმაში, რომ ტისოვი ჯიუტად ადგა თავის აზრს, მაგრამ მაინც დასძინა:

— მწამს, ეს საამქრო თქვენი ხელიდან გამოდის... თქვენ არ იშურებთ ენერგიას, მაგრამ რატომ?! რისთვის?!

— კირიონ, თქვენ რაღაც სულ სხვანაირად ლაპარაკობთ,—გაიოცა ტისოვმა.

— არ გაფასებენ, ამხანაგო ინჟენერო, არ გაფასებენ! კიდევ მეტიც—არ გენდობიან!

— კირიონ! შენს სიტყვებს სულ სხვა სუნი უდის!

— მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეც ასე მექცევიან. გაიგეთ?! მაკრავენ შავ დაფაზე, ისიც საჯაროდ,—და თქვენც, თქვენც ასე გიზამენ... ინჟენერს მავნებლობის გეგმები უწყვია რჩის სათვალეების იქით!—ასე ამბობენ.

ტისოვმა მაგრად ჩაბღუჯა ხელი კირიონს და თავისკენ მოქაჩა.

— კირიონ, ამ სიტყვების გამო მე თქვენს თავს ახლავე დავაჭერინებ.

— სიცოცხლე თუ არ გიყვარსთ, იზამთ კიდეც.

— მე ახლავე დაუძახებ ხალხს!

— დამშვიდდით! სჯობს დამშვიდდეთ, თორემ საფრთხეში თქვენ თვითონ ჩავარდებით! გესმისთ? მე ყველაფერი ვიცი და შემიძლია ახლავე განვაცხადო! მე ყველაფერი მითხრა თქვენმა მეუღლემ და სჯობია გაჩუმდეთ.

ტისოვმა ხელები ჩამოუშვა და უცებ ათასგვარი ფიქრი აეშალა.

მას რატომღაც შეეშინდა,

შეეშინდა იმის, რომ მართლა რაღაც შავი საქმე მზადდება და ისიც იქ არ მოაყოლონ...

მაშინ ხომ ნდობას დაჰკარგავს?

მაშინ ხომ სიძულვილს დაიმსახურებს?!

მაშინ ხომ პირისპირ ვერ დადგება მაგდასთან, გობრონ ხეთაგურთან?!

აი ისინი, დამკვრელი ენტუზიასტები, მასში ხომ ვერ იპოვნიან იმ თანამებრძოლს, რომელსაც დღემდე ხედავდენ?!

მაშინ ხომ მთლად დაიღუპება ნაამაგარი?!

არ იქნება გულწრფელობა, ნდობა და ამხანაგობა!

და მერე განა დასაშვებია კირიონის სიტყვას სიჩუმით უპასუხოს?!

განა ამით თვითონ არ აძლევს უფლებას, რომ დაიბრიყვონ?

განა ძალაუნებურად არ ებმევა იმ ხლართში, რომელსაც ბნელი პირები აბამენ?!

განა ამით თვითონ არ აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო სწრაფად ჩააქანონ უფსკრულისაკენ?

არა ამას ინჟენერი ტისოვი არ იზამს!

ის მუდამ ენტუზიასტებთან იყო, არის და იქნება?

უნდოდა კირიონისათვის რაღაც ეთქვა, მაგრამ, თავი მაღლა რომ ასწია, კირიონი იქ არ იდგა.

ფიქრებში არც კი შეუმჩნევია მისი წასვლა.

გაპარულა.

ახალი საამქრო თითქმის მზად არის

ინჟენერი ტისოვი სიჩქარით შევიდა ახალ საამქროში.

საამქრო ოთხმოც მეტრზეა გაჭიმული.

შენობა მტკიცე და საფუძვლიანია.

ფანჯარები ძალზე განიერი და მაღალი.

მარცხნივ მთლიანად შუშაბანდია.

ზემოთ ამოწეულ სახურავებს ფერდოებში ვიწრო და გრძელი ფანჯრები აქვს ჩადგმული.

ასე—რომ მზე მთელი დღე მინებთან იპრიალებს.

ყოველი კუთხიდან, ყოველი მანქანიდან ენტუზიასტების მხიარული სახეებია და ისინი უკანასკნელ სამუშაოს ასრულებენ.

— ორ დღეში საამქრო უნდა ამუშავდეს! დიახ... ყოველი მიზეზის გარეშე..

ასე ფიქრობს ტისოვი და თავისთავს თითონვე ესაუბრება.

— რამე ხელს ხომ არ შეუშლის?! ვინმე ცუდ რამეს ხომ არ ჩაიდენს?! უნდა გქონდეს ათასი თვალი, რომ არაფერი ჩაიდინოს ვინმემ, უნდა ქონდეს ათასი ყური, რომ არავინ შემოგეპაროს!

— რაო, ამხანაგო ინჟენერო?! ათასი თვალიო, რა სთქვით!

ჰკითხა ტისოვს ხაჩატუროვმა, რომელიც ფიქრებში გართულ ტისოვს არც კი შეუმჩნევია.

და როცა ხაჩატუროვი შეეკითხა, უცებ შეკრთა.

— როგორ?! ათასი თვალიო, როდის ვთქვი?!

წელან ნაუცებედავათ წამოიძახეთ და მიტომაც გკითხეთ!

ტისოვი დაიბნა, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვა...

— ჰო, ეს იმიტომ, რომ არაფერი არ გამოგრჩეთ! ყველაფერი მტკიცედ და საფუძვლიანად უნდა გაკეთდეს!

— თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო ინჟენერო, ჩვენ კიდევაც ასე ვმუშაობთ!

ტისოვმა ნელა გაიარა საამქრო.

შეხვდა ტიბორ ბარტალოშს.

გამოელაპარაკა.

გასინჯა დაზგები—და ბოლოს უთხრა:

— ტიბორ! ღვედები საჩქაროდ გააკეთეთ! ხვალ კი ყოველ მიზეზ გარეშე საამქრო უნდა ამუშავდეს!

— ორ საათში მზად იქნება!—უპასუხა ტიორიმ.

— ძალიან კარგი! ყოჩაღ! აბა თქვენ იცით.

უთხრა საბოლოოდ ტისოვმა და რატომღაც სიჩქარით დასტოვა საამქრო.

ქარხანის ერთ-ერთ ოთახში მაგდას მოუყვანია ქალთა აქტივი და კედლის გაზეთებზე, ლოზუნგებზე მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ მაგდა მხიარულ სახით დგას მათ შორის.

თითეული მათგანში უდიდესი ხალისი და სიცოცხლეა.

ალისფერ თავსაკრავების ქვემოთ ანთია მოციალე თვალები და ლოყები სიწითლით საამოდ ღაჟღაჟებენ.

პლაკატები იატაკზეა გაფენილი.

სისხლისფერ ტილოს თეთრ ზოლებად მიჰყვება ასოები და ღია ფანჯრებიდან დაცემულ მზის სხივებზე თვალისმომჭრელი სითეთრით ქათქათებს.

მაგდა სხვადასხვა ფერ საღებავებს აკეთებს.

საღებავები მოაქვთ პლაკატების და კედლის გაზეთებისათვის.

თეთრ ასოებს წვრილათ მიჰყვება ლურჯი ზოლი და უცებ მუქწითელ ფერში გადადის.

იქვე მუშაობს ახალგაზრდა მუშა ლიდა, რომელმაც კედლის გაზეთისათვის გამზადებული ქაღალდს უკანასკნელი წითელი ხაზი ჩამოავლო.

მას ნელა მიუახლოვდა ქარხკომში რემექტონზე მომუშავე ელენე ბელენსკაია, რომელიც თავის გადაჭარბებული მანჭიობით ყველასაგან გამოირჩეოდა.

მან მიუთითა მაგდაზე და უთხრა:

— შეხედე, უფრო და უფრო მოწყენილი ხდება! მერე და იცით რატომ?! გობარონი არ ჰყავს ახლოს... უ, რა ვაჟკაცია... ხელს რომ მოგკიდებს, ცეცხლს იგრძნობ!

ქერა თმა დაუხუჭუჭებია და კისრამდე წაბლისფერ ტალღებად სცემდა.

მანიკური, პომადა—მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

— გოგოებო, ასე არ ვარგა! თქვენ უნდა ზრუნავდეთ სახის კანზე, ფერზე... თავს უნდა ილამაზებდეთ... აბა ისე რა არის... ხელებს რომ ითითხნით მელანით და საღებავებით, როგორ შეიძლება?...

ეუბნება ის მომუშავე ქალებს და თვითონ დიდი სიფრთხილით ჰკიდებს ხელს დასაწებებლად მიცემულ ქაღალდის ნაჭრებს.

— ელენე!—მიმართა მას ლიდამ—აბა რაებს ამბობ?! ეს ჩამორჩენილობაა, ეს მეშჩინობაა და უსაქმურობის საუკეთესო მაჩვენებელი!..

— ო, ახლა ჩემთან აგიტაციის ნუ ეწევი, თუ და ხარ! პუდრი, პომადა, მანიკური სილამაზეს სიცხოველეს უმატებს!—დაუმატა ელენემ და ჩვეულებრივი სიამაყით მაღლა ასწია თავი.

— სცდები... სცდები...—გააწყვეტინა ლიდამ—თუ ასე არ არის, ვკითხოთ მაგდას...

მაგდამ როცა ეს გაიგონა, ელენეს უთხრა:

— ცდებით, ელენე! სილამაზის სიძლიერე მხოლოდ და მხოლოდ უბრალოებაშია. გაიგე?!

ელენემ თავი ჩაღუნა და გაჩუმდა.

უნდოდა კიდევ ეთქვა ისეთი რამ, რაც კამათს გამოიწვევდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა...

კარს იქით დერეფანში გარბენილი ნაბიჯები, ძახილი, რემექტონის კაკანი და ტელეფონის ზარის წკარუნი ერთმანეთშია არეული.

კიდევ იქით, ქარხნის ეზოში, მიაქვთ მასალები, დაჭრიან ავტოები.

ავტოებს მოაქვთ სურსათ-სანოვაგე ქარხნის სასადილოსთვის.

მოაქვთ ნახშირი ფურგონებით, ჰყრიან იქვე.

მოაქვთ სილა, თიხა, ჩამომსხმელი საამქროსათვის, ჭურიან საამქროს წინ.

ელენემ სხვა სალაპარაკო რომ ვერ იშოვა, სიყვარულზე დაიწყო ლაპარაკი:

— ალბათ თქვენ სიყვარულსაც უარყოფთ?

სხვებს არც უნდოდათ ამაზე ეპასუხნათ,— სად სცალიათ მათ ამ უსაქმო საუბრისათვის, მაგრამ ელენეს გასაჯავრებლათ ერთმა წამოიძახა:

— არავითარი სიყვარული არ არსებობს! არის მხოლოდ სურვილი დაახლოებისა, რომლის მიზეზი სულ სხვაა!

ეს უნდოდა ელენესაც და ამის გაგონებაზე მაღალი ტონით დაიწყო:

— შენ ალბათ არ გამოგიცდია სიყვარული... ეხ, სიყვარული ყველაფერია... ლონესაც გმატებს, ჩონჩხადაც გაქცევს... კიდეც გაგამხიარულებს და კიდეც კოშმარში ჩაგაგდებს... სიყვარული ცეცხლია, რომელიც სულში დაინთება და მთელ სხეულს პრიალით მოედება! გვწვავს, გვაწვალებს...

— თავი დაანებე მაგ მტკიცებას, თუ დახარ!—უთხრა ლიდამ.—სჯობია ამ საქმეს მოვრჩეთ!

ელენემ გულისწყრომით შეხედა ლიდას და ზურგი შეაქცია, თითქოს მასთან ლაპარაკსაც არ კადრულობს.

ლიდამ ოდნავ გაიღიმა და მერე მაგდას მიაძახა:

— მაგდა, ინჟენერ ტისოვის სურათი მომეცი... ყველაფერი მზადაა!

— წერილი?

— დავაწებე, ზემოთ ადგილი დავსტოვე სურათისათვის!

— სხვა მასალები?!

— ყველაფერი მზადაა!

— აბა, აი სურათიც! დააკარი!

ლიდამ საჩქაროდ გამოართვა ინჟენერ ტისოვის სურათი და ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო.

კედლის გაზეთი მზად არის.

ინჟენერი ტისოვი თავის კაბინეტში შესულიყო.

ფიქრებში გართული, ის ხან ფანჯარას მიადგებოდა, სადაც ნახევრად აკეცილი შვინდის ფერი ფარდა ჰკიდია, ხან მაგიდას მიუჯდება და, მოგონებებში გართული, განუწყვეტლივ ეწევა პაპიროსს. პაპიროსის ბოლი ნელა, ნისლისფრად მიიშლება ოთახში.

იცის, რომ ბნელი საქმეები ეწყობა, მაგრამ მისთვის მაინც შეუცნობელი რჩება ბნელ საქმების ბნელი ხვეულები და ეს კი ათასგვარ იქვებში ჰხვევს...

— იქნებ ქემკლიძე მცდიდა! იქნებ განგებ გამომელაპარაკა!

ფიქრობდა ტისოვი და თანაც სურდა ამაზე სულ არ ეფიქრნა, მაგრამ ამაოდ.

გულში ჭრილობები იხსნებოდა და სტკიოდა.

თვალწინ თეძამის გამხმარი სახე ედგა და სიკვდილის ცივი ღიმილით შეჰყურებდა...

ფანჯარასთან პრიალებდა მზე და ხურდა ჰაერი...

აკეცილ შვინდისფერ ფარდებს იქით, აგურისფერი შენობები რომ დგანან განიერ ფანჯრებით,— განუწყვეტლივ მოისმოდა მოტორების გუგუნი, მკვეთარების წივილი და რკინის ნაჭრებით დატვირთული ორთვალების ჯაჯგუნი.

ყოველივე ეს ინჟენერ ტოსოვში განუსაზღვრელ შთაბეჭდილებას ახდენდა და არწმუნებდა იმაში, რომ მათთან მას ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, რადგან მათ იციან შრომა, ბრძოლა' ნდობა, საქმისადმი სიყვარული და ამხანაგობა.

— დიახ იციან, იციან... იციან ყველაფერი... არიან პირდაპირი და საქმიანი!

ფიქრობდა ტისოვი.

ამ დროს ღია კარებში გამოჩნდა მაგდა.

ხელში გაზეთი ეჭირა და მცინარი სახით გაემართა ტისოვისაკენ.

— აი, ჩვენი გაზეთის ახალი ნომერი! წაიკითხეთ!

მაგდამ გაზეთი გადაშალა.

ტისოვს თვალებში ეცა მსხვილი, ლურჯი ასოებით დაწერილი სიტყვები: „დამკვრელი ინჟენერი ამხ. ტისოვი".

მოულოდნელობით გაოცებულმა ტისოვმა ისეთი სახით დაუწყო დათვალიერება, თითქოს არ სჯეროდა, თუ ეს მართლა იყო.

ქვეშ წითელფონზე ნამგალ-ჩაქუჩში ჩასმული იყო მისი სურათი და მარჯვნივ კი მიხატული ჰქონდა ახალა საამქრო.

ამან უსაზღვრო სიყვარული გამოიწვია მასში.

თითქოს ფრთები ეესხა. თითქოს მხოლოდ სიხარული და აღტაცებაა.

— არ გაფასებენო! მაშ ეს რა არის?; მაშ ეს რას ნიშნავს? ამ ყბრალოებაშია მთელი გული, ნდობა, სიყვარული ძლიერი, რადგან აქ მხოლოდ გულწრფელელობაა;

გაიფიქრა ტისოვმა და მის სახეზე აენთო სიხარული, რომელიც ელვის ნაპერწკალებად მოსჩანდა რქის სათვალეს იქით ღრმად ჩამჯდარ თვალებში.

უნდოდა რამე ეთქვა. მაგრამ რატომღაც ვერ მოახერხა.

უნდოდა ისეთი რამ ეთქვა, რაც დაიტევეს იმ სიხარულს, იმ აღტაცებას, რომელსაც ახლა განიცდის, მაგრამ საიმისო სიტყვები ვერ იპოვნა.

მაგდა პირდაპირ თვალებში უყურებდა ტისოვს და ეუბნებოდა:

— თქვენ, ამხ. ინჟენერო, ახალი საამქროს გული, ახალ საამქროს მაჯისცემა ხართ! არ ზ გავთ ენერგიას საამქროს ვადაზე ადრე შესრულებისათვის და მიტომაც უყვარხართ ენტუზიასტებს!

— თუ საამქრო ვადაზე ადრე სრულდება, ეს თვით ენტუზიასტების ენერგიას მიეწერება,—დაიწყო ტისოვმა.— ქარხანა თუ გაიმარჯვებს, ეს კიდევ მათი ბრძოლების შედეგი იქნება! აი, ახლა უფრო ვიდრე ოდესმე, საჭიროა გობრონ ხეთაგური აქ იყოს... ითი უფრო საჭიროა, როს ის უკვე ქარხნის ბიურო-კოლექტივის მდივნად აირჩიეს... გოგბრონი კი ისევ ავადაა... მინდოდა მენახულა, ამგრამ ვერ ვნახე...

— გობრონი უკეთაა! საავათმყოფოდან გამოეწერა... მას ძალაზე უხარია თქვენი მოქმედება. ის ყოველწუთს გიგონებთ!

— უკვე შინ წევს?!—შეეკითხა ტისოვი.

— დიახ! აი ახლა, გაზეთს რომ გავაკრავ, მასთან მივდივარ! დიდი ხანია, რაც არ მ-ნახავს, ვერ მოვიცალე!

— მაშინ გადაეცით—ახალი საამქრო მზად დაგხვდებათ-ქო!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!

მაგდამ ისევ გაიღიმა და ჩქარი ნაბიჯებით გაირბინა დერეფანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა მხოლოდ ინჟენერი ტისოვი და სიხარულისაგან გულანთებულმა არ იცოდა რა ექნა.

თვალწინ წარმოუდგა თეძამის ჩაღრეცილი, ჩაყვითლებული სახე და ბრაზით წამოიძახა:

— თუ კიდევ შემხვდა, მე მას დავიჭერ! დიახ, დავაპატიმრებ!

ქარხკომის წინ მაგდას ბაღთან ქემოკლიძე შეხვდა. კირიონმა ზურგი შეუქცია და რკინის ღობეს მიეყრდნო. მაგდამ სიჩქარით გაიარა კირიონის წინ.

მაშინ ქემოკლიძეს ვერ მოითმინა და ამოანთხია:

— ძროხა... გაფარფაშებ მე შენ, გაფარფაშებ!!

კირიონმა ბრაზით გააყოლა თვალები მაგდას.

ისევ სევდიანი, ისევ ჩაფიქრებული მოაბიჯებდა გიორგი აბდუშელაშვილი სასადილოსკენ, სადაც საამქროებიდან წამოსული მუშები ირეოდენ და იდგენ საჭმლის ნოყიერი სუნი.

თითქოს რაღაც აწვალებს, თითქოს რაღაც აწუხებს, და ეს შეუცნობელი წუხილი უფრო ღრმად, უფრო მწარედ იჭრება.

— გამოადგი ფეხი, რა გემართება?!—მიაძახა გაბრაზებულმა კირიონმა.

სასადილო ქარხკომის გვერდითაა მოთავსებული.

ვიწრო დერეფანი შესასვლელი კარიდან მარჯვნივ უხვევს და უცებ დიდ, სინათლის ოთახში გადის.

აქ ჩამწკრივებულია მაგიდები, სკამები,

კუთხის ოთახიდან მოისმის გასარეცხავად წაღებული საინების ჩხაკუნი.

ტრიალებს საჭმლის სუნი.

მარცხნივ ფანჯარასთან დგას როიალი, და ახალგაზრდა მუშები ხუმრობით უბარტყუნებენ ხელს...

ზოგი ჭამას ათავებს და მიდის.

ზოგი ადგილს ეძებს...

— გზა! გზა მომეცით!

იძახდა ხაჩატუროვი და უჩვეულო კმაყოფილებით იღიმებოდა.

მუშებმა გზა ღაუთმეს და რომ შეამჩნიეს ორი საუზმე ერთად მოჰქონდა, ჰკითხეს:

— დად გინდა, ბიჭო, ამდენი?! ერთი არ გეყოფა?!

ხაჩატუროვმა წარბები მაღლა ასწია და სულსხვაგვარი ტონით უთხრა:

— დამკვრელი ვარ, დამკვრელი! ჭამაშიც გეგმას უნდა გადავაჭარბო!

ამაზე ატყდა ხარხარი და ვილამაც მიაძახა:

— ხაჩატუროკ, შენ მოუკვდი მამაშენს!

ხაჩატუროვი კი ყურადღებას არ აქცევდა მას.

მიიჩქაროდა დაკავებული ადგილისაკენ.

მივიდა.

საინები, კოვზები, დანაჩანგლები ისევ ისე ყრია.

— ოხ, მე მაგისი...

გაიარაზდა ხაჩატუროვი, სუფრა აულაგებელი რომ ნახვდა და წარბები შეიკრა...

— სად წავიდა თამარა?!

თვალებით ეძებდა ამლაგებელ ქალს, მაგრამ ვერ იპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო, რათ ბრაზობ?! შენი ცოლი ხომ არ არის?!

გამოელაპარაკა ერთი ახალგაზრდა.

— ცოლი თუ არა, სიფთაა, აი!

— ხუ ხარ, ბიჭო, ბუზღუნა!

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ! ჭამას ვიწყებ და ხელს ნუ მიშლი!

— ცხვირი რას გიგავს, შე დასალუპავო! რა მოგივიდა!

ხაჩატუროვმა ჯერ ხელით გაშინჯა საკუთარი ცხვირი, მერე ცალი თვალით შეხედა ახალგაზრდას და უთხრა:

— რა მომივიდა, ბიძია, და ეპოქას მივამტვრიე! გაიგე?!

ახალგაზრდა იცინის,

ხაჩატუროვისს წინ ზის შალვა ციხისელი და გემრიელად ილუკმება.

ხაჩატუროვმა გვერდში მჯდომ ამხანაგს თვალები დაუპაჭუნა და ციხისელის გასაგონად ხმამაღლა უთხრა;

— ოპორტუნისტი ყველაფერში ოპორტუნისტიუნდა იყოს! მუშაობის ტემპის შემელებას რომ მოითხოვდა, ჭამის ტემპიც უნდა შეანელოს!

ციხისელმა შუბლი შეიკრა და ისე გადმოხედა ხაჩატუროვს.

— ლათაიებს თავი ანებე, თორემ...

— თორემ ხახვი არ დამაჭრა კისერზე!—შეაწყვეტინა ხაჩატუროვმა.

— შენ რავა ყველას ედავები, ყველას ხელს უფათურებ! რაშია საქმე რამ გაგათამამა ბიძია?!

გამოელაპარაკა ხაჩატუროვს ვაჟია გენძეხაძე, რომელიც ციხისელის პირდაპირ იჯდა და გახსნილ ლურჯ ხალათიდან ძვლის ქამარი მოუჩანდა.

— თუ ეს პატიოსანი კაცი მუშაობის შენელებას ბოითხოვდა, როგორ გგონია, ცუდია?! ცოტ-ცოტა უნდა იმუშაო, თუ გინდა ჯანზე იყო და შემდეგშიც რამე გააკეთო... თორმეტ ქცევა მიწას რომ ვთოხნიდი, თავი არ ამტკივებია და აქ რომ მოვედი, ყოველ წუთს მიბრუის...

რომ გაიგონა ვაჟიასაგან ეს სიტყვები, ციხისელი წელში გაიმართა: მასში თანამგრძნობი იპოვა.

— ბიჭო, ვაჟია, შენ რა უნდა დაგიჯერო! ქარხანაში რამდენი ხანია მუშაობ და ძვლის ქამარი ვერ მოგიშორებია! გლეხი ხარ, ბიჭო, გლეხი!

— გლეხი ვარ, მაშ ბურჟუაზია ხომ არ ვიქნები!

— ჰო და მეც იმას გეუბნები, ჩვენს ქვაბში არა ხარ გადახარშული!

— ამ სიცხეში მაგ მაძაღლები იმდენს მამუშავებენ, რომ ოფლში ვარ ჩახარშული!

— აბა როგორ გინდა, უნდა იმუშაო, თუ გინდა კარგი ცხოვრება!

— ესაა ცხოვრება?! ნახშირია მტვრით თვალის უპეები გაქვს ამსებული, ხალათს მაზუთის, ნავთის და ათასგვარი ჯანდაბის სუნი უდის და უზიხარ მაგიდას, ისე სჭამ საჭმელს. ესაა ცხოვრება!? ცხვირსახოცს ორდერით იძლევიან და ისიც ორდერზე ნაკლებია!

ვაჟიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მის წინ გიორგი აბდუშელაშვილი აიჩხირა და უთხრა:

— წამოდი: რომ დაობ, ვის ედავები?! რა გაქვს გასაყოფი!

ვაჟიას ხმა არ გაუცია, ვინაიდან იცოდა, თუ რა საქმეზე ეძახდა.

ადგა და უხმოდ გაყვა გიორგის.

კირიონი იქვე იდგა და გაფაციცებით იხედებდა აქეთ-იქით — ხომ არავინ გვიყურებსო.

როცა გიორგი და ვაჟია მოვიდენ, ერთხელ კიდევ მიიხედა უკან და მერე ვაჟიას უთხრა:

— რას შობი?! როგორ გინდა მოაწყო ეს საქმე.!

— სრულიად ადვილად... სრულიად აუღელვებლად...

— მაინც?!

— შაბაშის შემდეგ, როცა მუშები წავლენ!

— ხომ იცი, როგორ უნდა ახვიდე?!

— დავათვალიერე!

— მერე?!

— როცა ღვედებს გადავჭრი, როცა ბართლომეს „მეცნიერებას" ნატეხებად ვაქცევ, — რკინის სვეტს ავყვები!

— სახურავი?!

— სახურავის გაკეთებას დღეს ვერ მოასწრებენ... იმდენი მაინც დარჩება, რომ თავისუფლად გავეტიო!

— ძალიან კარგი: მხოლოდ ფრთხილად! ჩვენ იქ დაგიხვდებით... დანარჩენი ჩვენზე იყოს... მერე სულ სხვა საქმეები იქნება გასაკეთებელი!

— თუ ახალი საამქროს დაწვაზე მიდგა საქმე, მითხარით და ერთ წუთში გადავბუგავ. მაგათი დედაც...

— ამაზე სხვა დროს... ახლა კი წადი... შეუდექი საქმეს! არ დაგინახონ, ფრთხილად!..

კირიონმა ციხისელი შეამჩნია, რომელიც თავდაღუნული გამოვიდა სასადილოდან.

თავი უხერხულად იგრძნო.

უმალ მოტრიალდა და ახალი საამქროსაკენ წავიდა.

ახალი საამქროს კართან იდგა მაგდა და მასთან ერთად ბართლომე ხარაბაძე და ტიბორ ბარტალოში.

ისინი მხოლოდ იცინოდნენ და საუბრობდნენ.

— აი, ჩვენი ბართლომე უკვე გამომგონებელია!

ეუბნება ტიბორი მაგდას და თანაც ბართლომეს სახეზე მიაჩერდა.

— ახლა მეორე გამოგონება აქვს. გვასახელა, პირდაპირ გვასახელა!

— გობრონს ძალიან გაუხარდება, — უთხრა მაგდამ, — იმიტომ, რომ გაბრონი იცავდა მას ყოველგან და ამბობდა წარმოებას ბევრ რამეს შეამატებს.

ბართლომემ დაღუნა თავი და ნელა წაილაპარაკა:

— რა ვიცი... იქნება რამე გამოვიდეს!

— რამე რასა ჰქვია?! — უთხრა ტიბორიმ. — ინჟენერი ტისოვი სულ შენს ქებაშია!

— არა უშავს, ბართლომე, არა უშავს — ეუბნება მაგდა. — შეიძლება ბევრი კარგადაც ვერ გააკეთო, მაგრამ არა უშავს... აქ არიან ჩვენი ინჟენრები, გასწავლიან...

— იმითი ცოდნა — რომ მქონდეს, მე ვიცი... მარა..

— ჰო და ის ცოდნა უნდა შეიძინო! აი, ტექნიკის შემსწავლელი წრე რომ დგება, ჩააწერე!

ბართლომემ თავი ისევ ჩაღუნა.

თვალწინ წარმოუდგა მის მიერ გამოგონებელი ახალი დაზგის ნაწილები, რომელსაც თითქოს სინჯავს ინჟენერი, ულიმის და ეუბნება: — ეს არ ვარგა, ამას არა უშავს, ეს ასე უნდა იყოს და სხვა...

ბართლომემ ღრმად ამოისუნთქა და თან დაუმატა:

— ძნელია, ჩემო მაგდა... ძალზე ძნელია... მით უფრო ჩემთვის. მოგეხსენება — ცალშვილი, ოჯახი...

ტიბორს თითქოს რაღაც მოაგონდაო და ბართლომე უცებ შეაჩერა:

— ჰო, მართლა... შენ, ჩემო ბართლომე. ქარხანაში უკვე საუკეთესო მუშა ხარ, მაგრამ პირად ცხოვრებაში კი ძალიან ცუდად იქცევი.

მაგდამ ეს სიტყვები რომ მოისმინა, თავის მხრივ დასძინა:

— ეს მეც უნდა გასაყვედურო... აქ გამოსწორდი, მაგრამ პირად ცხოვრებაში კი ისევ ისეთი ხარ, როგორც ათი წლის უკან... ეს კი არ ვარგა...

— მე თუ ოჯახში ცუდად ვიქცევი, ქარხანას რა ვნებას მოუტანს?! როგორც მინდა მე იქ ისე მოვიქცევი. ის სხვაა და აქ ყოფნაც სულ სხვა...

— სცდები, ბართლომე, სცდები ძალიან... ისეთი სხვადასხვაობა, როგორსაც შენ ამბობ, არ შეიძლება შენში იყოს...

ბართლომემ სიჩუმე ირჩია.

ამასობაში კირიონიც მოვიდა და მაგდას თავაზიანი სალამი მისცა.

— გამოსასვლელი დღე გაქვს?! — ჰკითხა მაგდამ.

— დიახ, ბატონო! ფულის ასაღებად მოვედი!

— სხვა, რას შვები, როდის უნდა ამოიშალო შავი დაფიდან?!

— რა ვიცი, შენი ჭირიმე! ბატონები თქვენ ხართ და თქვენი საქმეა!

— ხომ კარგად მუშაობ?!

— კარგად რომ მუშაობდეს, ამდენ ხანს ამოიშლებოდა შავი დაფიდან, — დასძინა ბართლომემ.

კირიონმა ღვარძლიანი თვალებით შეხედა ბართლომე ხარაბაძეს, ნაძალადევად გაიღიმა და უთხრა:

— მართალია... ესეც მართალია, ბატონო!

კირიონს სულაც არ უნდა მათთან იდგეს და ნელი-ნელ მიაპარებს ნაბიჯს. გზა აქეთ ჰქონდა, თორემ მათ თვალითაც არ ენახვებოდა.

— უნდა იმუშაო და მერე კიდეც დაგაფასებენ, — ეუბნება მაგდა.

— ვეცდები, ბატონო მაგდა, ვეცდები... არ დავზოგავ შრომას... ჩვენ ხომ შრომისთვის ვართ გაჩენილები და რასაც გვიბრძანებთ, ავასრულებთ! ნახვამდის... ბოდიში... ცოტა მეჩქარება, თორემ არ დაგტოვებდით...

უთხრა ასე და ნელი ნელ მოშორდა მათ.

ტიბორიმ ახალ საამქროში შესვლა დააპირა და მაგდას შეეკითხა:

— თქვენ მგონი გობრონთან ზიდიხართ, არა?!

— დიახ.

გადაეცით ჩემი სალამი და უთხარით — ხვალ საამქრო ამუშავდება თქო! ასე ბრძანა ინჟენერ ტისოვმა და მოვიდეს ერთი... გვნახოს მაინც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდამ იგრძნო, თუ — რამდენად ძლიერი იყო გობრონისადმი სიყვარული.

მაგრამ იგრძნო ისიც კი, რომ თუ მუშები როგორ აფასებდენ გობრონ ხეთაგურს გაბედული მოქმედებისათვის...

ამან კი მისი გული უფრო შეათბოლა და, რატომღაც სახე ალისფრად აელანძა.

— კარგი... ყველაფერს ვიტყვი... ყველაფერს... თქვენზე, ქარხანაზე, ქარხნის კომიტეტზე...

ტიბორი და ბართლომე საამქროში შევიდენ და მაგდა კი ალაყაფისკენ დაშვა.

კ ე ნ ტ ა ლ

გზაში ციხისელს მოჰკრა თვალი.

ციხისელმა თავი ჩაღუნა, მხრები აიწურა.

სულაც არ უნდოდა მაგდასთვის თვალები გაესწორებინა.

სულაც არ უნდოდა პირისპირ შეხვედროდა.

ეს ნამდვილად ჩანდა უცნაურად მოღუშულ სახიდან, რომელსაც უფრო და უფრო მალავდა და გზიდან განზე მიიწევდა.

მაგდა კი მტკიცე ნაბიჯებით მიდიოდა და თვალებში ნაპერწკლები ცინცხლებივით ენთო.

ციხისელი საშინელ ტკივილს გრძნობდა.

მას უნდოდა მაგდასთვის ეთქვა რაღაცა.

არა, კი არ ეთქვა, არამედ დამუქრებოდა, დაეშინებია...

ამას გარდა ფიქრობდა ეთქვა სხვა რამე, აი თუ გინდა ისეთი, რომელითაც დაარწმუნებდა ძლიერებაში, უშიშრობაში, მაგრამ არსებითად ვერ მოახერხა, არ იცოდა რით დაეწყო და რით დაებოლოვნებინა.

ისე კი გულში ტკივილი უფრო და უფრო აწუხებს, აშფოთებს, მოსვენებას არ აძლევს...

ვერ ითმენს ყოველივე ამას და როცა მაგდამ თვალწინ გაიარა, ციხისელი გამოერკვა, შეაჩერა და უთხრა:

— მე .. მე რას მერჩოდით! მე ისეთი რა ჩავიდინე, რომ პარტიიდან გამომრიცხეთ!

— ეს ბიუროს საქმეა!

— ბიურო?! მერე და ბიუროში შენც არ შედიხარ?! შენც ხომ აგიწევია ხელი ჩემს გამორიცხვაზე! რატომ?!

ამოახრილა ციხისელმა და სიტყვების დამთავრების შემდეგ ჩვეულერივ ჩაახველა, თითქოს ხველა ლაპარაკში ხელს უშლიდა.

— თქვენ ამბობთ ოპორტუნისტის! თუ კი კაცმა მართალი სთქვა, ის უსათოვოდ ოპორტუნისტად უნდა ჩასთვალოთ?

ხომ შეიძლება მე... მე მართალი ვიყო?!

მაგდამ ჩვეულებრივ თავდაჭერილობით უთხრა:

— თუ ჩვენით ხარ უკმაყოფილო, გაასაჩივრე!

— არაფერიც! მე არაფერი არ მაქვს გასაჩივრებელი. ცხოვრება, სინამდვილე მე გამამართლებს! ნახეთ თუ მე არ გავმართლდე! ვნახოთ, თუ შეასრულოსქარხანა გეგმას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდამ წარბები უცნაურად მოღუშა.

— ციხისელო! ისევ წუწუნებ?! ისევ სისულელეს ამბობ?!

ციხისელი უცებ გაჩუმდა.

უნდა თავისი აზრი ერთხელ და სამუდამოდ მკვეთრად, ჯიუტად გაიმეოროს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— შენ წუწუნებ ,ციხისელო, წუწუნის დრო კი წავიდა. მთავარია საქმის გაკეთება, მონდომება, და თუ ეს არის, წუწუნი უადგილოა! შენ კი ამას ვერ ხედავ, დამფრთხალი ხარ ტემპით და რაღა გასაკვირია ტემპთან შენ არ იყო, ენტუზიასტებში შენ არ ერიო!

დარჩა კენტად ციხისელი.

ჩამოშორდა, გაემიჯნა დამკვრელ ენტუზიასტებს. თუმცა ამან ის ჩააფიქრა, გულში ჭრილობები გაუხსნა, მოუსვენრობა დაეუფლა. — რატომ ჩამოვშორდი, მე ხომ მათთან უნდა ვიყო, — ამბობდა ის, მაგრამ ისევ მტკიცედ ადგა ერთ აზრს და როცა მაგდა წავიდა, ჯიუტად მიაძახა:

— ვნახოთ, თუ არ ჩამორჩება ქარხანა, ვნახოთ!

მხოლოდ სიჩუმე

რა სიჩუმეა!

რა სიმარტოვე!

სიმარტოვეში ხომ ყველაფერი უსიხარულოა.

თითქოს ირგვლივ ყველაფერი ცივი და მიუკარებელია.

ხარ უხალისო...

ფიქრები გხუთავენ და მოსვენებას არ გაძლევენ...

ქარხნის გუგუნს მიჩვეული გობრონი ვერ ითმენდა ამ სიჩუმეს, ამ სიმარტოვეს...

ვერ ითმენდა ვიწრო ოთახში ყოფნას.

ექვსი დღე იწვა საავათმყოფოში.

ექვსი დღე გაათია საავათმყოფოს კედლებში, სადაც თეთრია კედლები, თეთრია საწოლები, თეთრადაა ჩაცმული მიწყალების დები და ფანჯრებიდან შემოწოლილი თეთრ ბინდებში ნელა დასცურავდენ ფერმკრთალი, შეწუხებული სახეები ავაათმყოფების.

იყო ავათმყოფების კვნესა, ფიქრები.

ექვსი დღე გაგრძელდა იქ ყოფნა.

ექვსი დღე გობრონ ხეთაგური სრულიად მოწყვეტილი იყო ქარხანას, ისე რომ მხოლოდ გარიჟრაჟზე როცა განთიადი შეღებავდა ცისკიდურს, მხოლოდ მაშინ გაიგონებდა საყვირის გუგუნს.

მხოლოდ მაშინ ესმოდა მკაფიოდ სივრცეში გადაშლილი საყვირის ხმები და ლამობდა საწოლიდან ადგომას.

ცდილობდა ქალაქის მიყუჩებულ ქუჩებისათვის გადაეხედნა.

დაენახა ალიონზე სამუშაოზე გამოსული ამხანაგები, მაგრამ თვალებს საავადმყოფოს კედლები ეფარებოდა და ზოგჯერ, როგორც კი აწევდა თავს მაღლა, თავი თითქოს ტყდებოდა, თავი თითქოს ძვლებად იხსნებოდა და წვებოდა ისევ.

მხოლოდ შორიდან ესმოდა საყვირის გუგუნი და ფიქრობდა ენტუზიასტებზე, ბართლომეზე და მაგდაზე.

მაგრამ მაგდა რატომღაც არ შემოდიოდა ხშირად.

ეს კი გობრონს მოსვენებას არ აძლევდა.

სწუხდა.

აგროვებდა საყვედურებს, მოვა ვეტყვი ყველაფერსო, მაგრამ როცა მოვიდოდა, როცა მშვენიერი გაღიმებით თეთრად ჩამწკრივებულ კბილებს გააელვებდა, როცა თვალები ისე აენთებოდენ, როგორც ვარსკვლავები — ყველაფერი ის, ბრაზი, საყვედურები, ერთბაშად ქრებოდა და სულ სხვაზე დაიწყებდენ საუბარს...

— თქვენ ძალიან გატაცებით უყვებით ამბავს და ჯერჯერობით ეს ავნებს მას! — გააფრთხილა მაგდა ექიმმა.

მაგდა გაჩუმდა.

გაწითლდა.

შერცხვა.

— ალბათ ისე ვიქცევი, ყველანი რაღაცა განსაკუთრებულს მამჩნევენ...

გაიფიქრა მაგდამ და ექიმს ისე შეხედა, როგორც დამნაშავე დანაშაულის ადგილზე დაჭერილი.

და ასე:

ექვსი დღე იწვა გობრონ ხეთაგური საავათმყოფოში.

ახლა სახლშია, მაგრამ ეს კედლები, ეს პატარა სივრცე გულს სულ შესახუთავად აწვება.

ღია ფანჯრიდან მოსჩანს ცა კრიალა, სახლების სახურავები და სიშორეები.

ჟამჟამად შეირხევიან ფანჯრის ფარდები.

მზის სხივები უხვად იბნევა პატარა სუფთა ოთახში და სარკეში ვერცხლის ფრად ანთია...

მაგრამ მაინც ეს სიჩუმე, ეს სიმარტოვე მოუსვენრობას მატებს ხეთაგურს.

შესძულდა ყოველი ნივთი, რომელსაც კი ხედავდა.

თვალები მხოლოდ მასზე ჩერდებოდა და თვალები თეთრ ქვებივით იყო გადაფერილი, უაზრო, ცივი.

გულში ფიქრები ჩასწოლოდა და მოთმინება არ ყოფნიდა.

ბრაზობდა თავისთავზე.

ბრაზობდა სხვებზე.

სახლში არავინ ყავდა მრმვოელი.

იყო ცივ მთებიდან გადმოხვეწილი ჭაბუკი, მთებივით მკერდუტეხი, უშიშარი...

მაგრამ...

მაგრამ მაინც ძნელია მანქანებთან შეზრდილი ადამიანისათვის მარტო ყოფნა.

ძნელია ათას ენტუზიასტების რიგებში ნამყოფ ხეთაგურისათვის ასე უქმად, ასე ჩუმად ყოფნა.

სულშესახუთია ეს ოთახი, ეს პატარა სივრცე და სიჩუმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვა ყველაფერზე

საღამოს მოვიდა მაგდა.

ის ისევ მხიარული, სიცოცხლით სავსე და ალერსიანია.

მას ლოგინიდან უცქეროდა გობრონის მხიარული ჩამაციებელი, ჯიუტი თვალები და მაგდა გრძნობდა თუ როგორ იწვევდენ ეს თვალები საალერსოდ.

ოთახში საღამოს ბინდები შემოწოლილიყო და ამ ბინდებში ელნათურის ლიცლიცის ქვეშ გობრონის სახე სულსხვანაირად ეჩვენებოდა მაგდას.

აი, თუ გინდ ისე, როცა კაცი შესაბრალისი ხდება.

არა, შესაბრალისი კი არა, უფრო სხვა... უფრო სხვანაირი.

ასე მიმზიდველი მაგდას გობრონი არასოდეს არ მოჩვენებია...

მივიდა ახლოს.

— აქ ჩამოჯექ!

ხელი ხელში მოკიდა გობრონმა და მაგდაც იქვე ჩამოჯდა.

— ასე უნდა განა? მიმატოვეთ არა! — უსაყვედურა გობრონმა — ამას შენგან არ მოველოდი... მართალი გითხრა არ მოველოდი!

— არც კი გრცხვენია გობრონ, რომ ამას მისაყვედურებ! შენ თვითონ სთქვი, მაქვს მოცლა?!

— ყოველ შემთხვევაში დროს მაინც ვიშოვნიდი, მაგრამ გული ალბად სხვანაირად ფიქრობს!

მაგდამ ეს სიტყვები გაიოცა.

— როგორ?! ამას მართლა ამბობ?!

— სწორედ! — ღიმილით უთხრა გობრონმა.

— სერიოზულად?!

გობრონმა, რომ დაინახა მაგდას მოწყენილი სახე გაიცინა, გადიხარხარა

— არა, გეხუმრე. გეხუმრე ჩემო მაგდა! ჩვენ ერთად ვიქნებით... ჩვენ დაზგებიდან გავიზარდენით, ერთმანეთს შევეთვისეთ და ახლა ერთმანეთს რა დაგვაშორებს...

უფრო ხშირად უნდა შემოდიოდე, გესმის?!

— მერე და!..

მაგდას უნდოდა რალაცა ეთქვა, მაგრამ გობრონმა გააწყვეტინა.

— მომიყევი რას აკეთებთ, რა გააკეთეთ! გუშინ კაკამეროვი იყო ჩემთან. შენზე მითხრეს დააწინაურესო და მომიყევი ქარხანაზე, შენზე, ყველაზე და ყველაფერზე!

ხელი ხელში ჩაავლო ისევ, მოუჭირა და გაუცინა.

მაგდამ სპასუხოთ ოდნავ გაიღიმა.

— ყველაფერი რიგზეა! ოლონდ შენ როგორ ხარ!

— მე კარგათ... არამიშავს რა... ქარხანაზე მითხარ!

— პეტრე შჩუკინი პროკურორს გადასცეს... ის მოგვშორდა მაგრამ!

— მაგრამ რა?!

— ის, რომ ზოგიერთს მაინც არაფერი ეშველა!

— ხელს გვიშლიან?! გავრეკოთ ქარხნიდან მამაძაღლები!

გაბრაზებით წამოიძახა გობრონმა და უნებურად მაგრად დაარტყა ხელი სკამს, შემდეგ მაგდას შეხედა. მაგდა ისევ ისე იღიმებოდა და გობრონსაც გაეცინა თავის თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უცებ ვიცი აფეთქება, არა?!

ღიმილით უთხრა მაგდას და ხელები მოუჭირა.

მაგდას ხმა არ ამოუღია.

მხოლოდ ალერსიანად შესცქეროდა გობრონს.

გობრონი ვერ ითმენდა მის დუმილს და ჰკითხა:

— მითხარი რას აკეთებს ბართლომე, ახალი საამქრო როდის ამუშავდება, ინჟენერი ტისოვის აზრი როგორია და სხვა... მითხარი ყველაფერი, დაწვრილებით!

— ბართლომეს საქციელი პირდაპირ საოცარია! ორ დაზგაზე ერთად მუშაობს!

გობრონს ეს ეამა მიტომ, რომ ხარაბაძე მან ამოათრია ჭაობიდან, უმოქმედობიდან... მიტომ, რომ ის უცმტკიებდა უჯრედის მდივანს ამხანაგ ,აბრიაძეს:

— ხარაბაძე კარგი მუშაა... ხარაბაძე სმას მიატოვებს და დამკვრელთა შორის ჩადგებაო.

და უხაროდა გობრონს ეს...

— მაგრამ პირად ცხოვრებაში—განაგრძნობდა მაგდა—ისევ ისეთი დარჩა: ჯერ კიდევ ვერ გარდაიქმნა ისე, როგორც ეს ჩვენ გვინდა...

გობრონს მოაგონდა ინჟენერი ტისოვი, რომელმაც დროზე ასტეხა განგაში ნედლი მასალის შესახებ.

— ლითონტრესტთან როგორ დაბოლოვდა ნედლი მასალის მოწოდების საქმე?!

— ყველაფერი რიგზეა! ქარხანა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით! ამ მხრივ ინჟენერ მესხს და ტისოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის!

გობრონის სახეზე კმაყოფილების ღიმილი გადაიშალა.

— მე ეს დროზე ვსაქვი: ინჟენერი მესხი და ტისოვი ნამდვილი ვაჟკაცებია, მათი ფიქრი ყოველ დაზგაზე ტრიალებს... ჩვენც დაზგებთან ვდგევართ ჩვენი მკლავით, ჩვენი სისხლით, ჩვენი მარჯვენით!

— ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, უსათუოდ დამკვრელად გავალთ და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია სულ სხვა ცხოვრება შევქმნათ!

მაგდას უხაროდა, რომ გობრონი ისევ ისეთი, ისევ მამაცი, ბრძოლის ანთებული და უშიშარი ჩნდა და ავადმყოფობას წარბი ოდნავაც არ შეუხრია.

უხაროდა მიტომ რომ ის ენტუზიასტებთან იყო, როგორც გამარჯვების იმედი...

— მე ის მაჯავრებს ჩემო გობრონ, რომ—დაიწყო მაგდამ:

შენ ხვალ ვერ დაეწრები ახალი საამქროს ამუშავებას?

გობრონი ამ სიტყვებზე სიხარულისგან აენთო და წამოიძახა ხვალ ამუშავდება?!

— მე ყოველ მიზეზგარეშე წამოვალ!

— რომ გაენოს?!

— არაუშავს რა! არაფერია! ეჰ, რომ იცოდე მაგდა როგორ მიხარია ყოველივე ეს... მე ეხლა არაფერი არ მტკივა, ძალიან კარგად ვარ! ტანში იმდენ ძალას ვგრძნობ, რომ მგონია რკინასაც მოვლუნავ; ვიმარჯვებთ მაგდა და გაძარჯვება სიხარულივით ანთია ჩვენში!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრონს სიხარულისგან სახე ცეცხლივით აენთო, ბაგეები აუთრთოლდა და მაგდას ხელები მაგრა შემოხვია...

. . . . . .

უცნაური ხმაური

გვიან დაბრუნდა შინ მაგდა.

გობრონთან გატარებული ტკბილი წუთების მოგონებანი ერუანტელივით უვლიდა ტანში.

იყო ხალისიანი, მოცინარი, მაგრამ წუთშივე რატომღაც შიში დაეუფლებოდა და ერქლოვა აიტახდა.

გვიანაა.

კუპრისფერ ღრუბლებს ცა შეუკრავს და შავ სიღრმეებში დაბუდებული ვარსკვლავები ჩაჰქრენ.

ცა იქინქლება.

გულის დამაღონებელად ზუის ტელეგრაფის მავთულები და ვიწრო ქუჩებზე—მთებიდან, ლოღებიდან და ლოდღვარებიდან ჩამორეცხილი წყალი გუბდება.

ელვამეხი წას ნაპერწკლებად გაჰკრავს.

გრუხუნი წავა შორს ელვასთან და მთებს იქით დაიკარგება სიშორეში...

და ისევ წვიმს გაღაუღებლად.

და ისევ ქრის სველი ქარი.

მოაქვს ღრუბლები, წვიმა, თქეში.

მტკვრის ამღვრეული ტალღები თეთრ ქაფად ასკდება მორღვეულ ნაპირებს, ჯებირებსა და მიქშუის...

შემოსასვლელ კარებთან მაგდას ბართლომე ხარაბაძის შავტრუხა ბიჭი შემოხვდა.

— დეიდა მაგდა, გამარჯობა!

მიმართა მან მაგდას და გახარებულმა მაგრად ჩამოართვა ხელი.

— სად იყავი, შე ეშმაკო, რომ ერთიანად გაწუწულხარ?!

— ამხანაგები ვინახულე, დამაგვიანდა!

ბნელში ჩაკიდული კიბე აჭრუჭუნდა ფეხქვეშ.

— დეიდა მაგდა! ხომ იცი ჩვენთან გერმანელი პიონერები იყვნენ!

— სად?!

— ქვიშხეთში!

— მართლა?!

— [illegible]. მე ყველანი გავიცანი!

— ყოჩაღ! ყოჩაღ!

— ისინი ძალზე მხიარული იყვნენ... ლიზა, ჰაინრიშ, ვალტერ, ოტო... ჰაირიშმა მასწავლა — იმმერ ბერაიტ — მზად ვარ და მეც ამას ყოველთვის ვამბობდი. ისინი იცინოდენ და მეც ვიცინოდი. ჰაინრიში იყო ანგალი... ტყეში ერთად დავდიოდით. მტკვარშიაც ერთად ვბანაობდით. მერე და დეიდა მაგდა, რომ იცოდე რა ცურვა ცოდნიათ, რა კარგათ ცურავდენ ვერ წარმოიდგენ!..

მიდიოდენ ისინი და მისაუბრობდენ, რომ იქვე გვერდით კარებმა რახუნი გაადინა.

თითქოს მინები ჩაილეწენ.

თითქოს თეფშები დაიმსხვრა.

კარები ისევ მაგრად მიარახუნა ვიღამაც და მსხვრევის ხმა ისევ განმეორდა.

ბავში მაგდას მიეკრა. კანკალმა აიტანა.

დერეფნის გატეხილი ფანჯრები ელვით გაივსება და მერე შხაპუნით ესხმება წვიმის წვეთები.

— დეიდა მაგდა.

დაუგდეს ყური.

არეული ხმები ახწევდა ყურამდე.

— დედა მარტო დავსტოვე... იქნებ ქურდი შეიპარა და კლავს... აკანკალებით დაიწყო ბართლომეს ბიჭმა.

— ნუ გეშინია ბიჭიკო! წამოდი ჩემთან!

მაგდამ მოკიდა ხელი ბავშს და წავიდნენ იქითკენ, საიდანაც მტვრევის ხმა მოისმოდა.

ბათლომე ლოგინზეა გაშხლართული.

სახე ალანძული.

თვალებამღვრეული.

ნამთვრალევი.

ოდნავ სუნთქავს.

არა, კი არ სუნთქავს, ხროტინებს.

ჟამჟამად ამოიხვნეშებს და ხელებს ააქნევს.

შემოსვლისას ფანჯრის მინები ჩაელეწა და მარჯვენა ხელის გული გაფხაჭნა, გაეკაწრა.

ხელები ისევ აიქნია და თვალები ოდნავ გაახილა და, როცა მაგდა, კაკო დაინახა — წამოხტა.

— მამი, ეს რა არის?! ლოთობდი?! — მიაძახა ბავშვმა.

— აბა... აბა, რაებს ამბობ... ბიჭუნი...

— არ გრცხვენია მამი, ლოთობას თავი არ დაანებე?!

— ნუ... ნუ ჩემო ბიჭუნია... ნუ ჩემო ბიჭუნი, ჩემო ბიჭიკო...

რამდენიმეჯერ ხელში შეათამაშა ბავში, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და ლოგინზე დეშვა,

მერე სკადა წამოდგომა, მაგრამ მუხლები არ დემორჩილენ...

ბოლოს კაკოს მიუბრუნდა.

მოფერებით ხელები ლოყაზე მიუთათუნა და ჰკითხა.

— სად იყავი შე ეშმაკო... შე მამაძაღლო... რა ნახე... რა გაიგონე?!

— გერმანელები ვნახე მამი, გერმანელები?!!

— გერმანელები?!

— ჰო, ჩვენთან ბანაკში მოვიდნენ... ჰაინრიშ, ოტო, ვალტერ...

— ვიცი... გერმანელები მეომრები არიან... შენ მაშინ დაბადებული არც კი იყავი და მე გერმანელნბის ფრონტზე ვიბრძოდი... მაგ მამაძაღლებმა სამჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამჭრეს... გერმანელებმა დიახ... მაგრაა მაინც კარგი ხალხია... შენისთანა პატარა ბიჭებს მაშინ... მეფის ჯარისკაჯები... ხიშტებზე აგებდენ!..

მაგდა ახლოს მივიდა ბართლომესთან.

— ბართლომე არ გრცხვენია!.. დღეს ფული აიღე და ღვინოში დახარჯე!.. განა ასე უნდა იქცეოდე?!

ბართლომემ ფართოდ გააღო თვალები და მაგდას შეაჩერდა.

— აქაც... თვალწინ, რომ მიდგეხარ რა გინდა... ტახტი დაზგა ხომ არ არის თავი დამკვრელად გამოვაცხადე... ჩემ ნებაზე არ გინდა, ვიცხოვრო!..

— ბართლომე ნუ ჯავრობ! ის ფული ბავშვებისათვის, რომ მოგეტანა კარგს არ იზამდი?! რა ჭამონ ბავშებმა?!

— ბავშები... ბავშები...

ალუღლუღდა ბართლომე.

— თვითონ იშოვონ... ვინც არ შრომობს, იმან არც უნდა ჭამოს.. ასეა ეს... მე ცალი ფეხი სამარეში ჩამიდგია. მაგრამ არ მინდა რომ მოვკვდე... და შენ... გესმის?!.. რას ერევი ბიძია ჩემს საქმეში!..

— მამი, მაგდას ეუბნები ასე?!

— რაო?!.. მაგდას! ბოდიში!.. უვაცრავად... მე ისე... სხვათაშორის დავლიე... ბოდიში... უკაცრავად მაგდა, უკაცრავად... კაკო, დეიდას სკამი მოართვი...

ბართლომეს მეუღლე კაბას ისწორებდა და ისე ეუბნებოდა მაგდას.

— არ იქნა, ვერ მოიშალა...

ბართლომემ თავი მუთაქაზე მიდო და ხვრინვა ამოუშვა.

— თუმცა დიდიხანია არ დამთვრალა, და კი ვიყავი მოსვენებული, მაგრამ განაგრძნობდა ბართლომეს მეუღლე — ახლა მაინც ჩაგვამწარა. აი, ეგერ — ნახაზებზე მიუთითა — წუხელ მთელი საათობით ხაზავდა რალაცას... ბავშვივით უხაროდა, რომ დაამთავრა. მერე საღამოც წავიდა და ახლა მთვრალი დაბრუნდა:

მაგდა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და საჩქაროთ მიიჭრა კუთხის მაგიდასთან.

დააცქერდა ნახაზებს.

ნახაზებში იცნო ის დაზგა, რომელსაც ახლა აკეთებდა ახალი საამქროს გვერდით და სახარატო სამუშაოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ქონდა.

— კარგი.. თქვენ არაფერი არ უთხრათ და ამაზე მე მოველაპარაკები... ეხლა ეძინოს... დაისვენოს... მან ახალი დაზგა გამოიგონა, რომელითაც ის საბოლოოდ გაიმარჯვებს... ხელს ნუ შეუშლით...

მაგდამ წასვლა დააპირა.

კაკომ კარებამდე მიაცილა.

— დეიდა მაგდა, ხშირად შემოიარეთ!

ბ ნ ე ლ ი ხ ვ ე უ ლ ი

მაგდა ზემო სართულზე ცხოვრობდა.

ვიწრო კიბე ადის მიწისფერ კარების იქით და საფეხურები ნელა ჭრაჭუნებენ მაგდას ფეხქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ისევ წვიმს.

სივრცე ერთბაშად აენთება ელვა გავსილი და კედლებთან შრიალებს ქარი.

მაგდას ათასი ფიქრები დაეხვია.

ფიქრები გობრონზე, ბართლომეზე და ვინ იცის კიდევ თუ რაზე...

ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა მაგდა ოთახს, მაგრამ მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კარები ღია დახვდა.

ერთბაშად რაღაცამ გამოურკვეველ შიშივით დაუარა.

ოთახში შესვლა ვერ შებედა.

სინათლე არ იყო და ამ წკვარამ ღამეში, რაღაც განსიკუთრებულად, რომ ბნელა და — უფრო და უფრო აიტანა შიშმა.

უნდა ვინმეს დაუძახოს, მაგრამ იქ, იმ სართულზე მხოლოდ ერთი კაცი ცხოვრობს.

ისიც ახლად გადმოსულია და მუდამ გამოკეტილი აქვს კარები.

თვითონ მაგდას ერთხელ ექნება ნანახი.

ახლა სინათლე არც იმ უცნობ კაცის ოთახშია.

ჩანს თითონაც არ არის.

მაგდამ გაბედვით შეაღო კარები და შევიდა.

ისაა, ლამფა უნდა აანთოს, რომ კუთხიდან გამოექანა ბნელი ფიგურა და სიჩქარით გარეთ გაიჭრა. გაიქცა.

ძახილზე მძიმედ გაიჭრიალა უცნობის ოთახის კარებმა და მაგდას წინაშე იდგა ის პერანგისა ამარა, რომელიც იმის შთაბეჭდილებას იძლეოდა, თითქოს ესაა ლოგინიდან ახლა წამომდგარაო.

მივიდნენ სხვებიც.

მაგდას დაწვრილებით გამოკითხეს ყველაფერი.

როცა დარწმუნდნენ, რომ ქურდს არაფერიაარ წაუღია ერთმა მათგანმა უცნობს მიმართა.

— თეძამ! მაგდა ყოჩაღია, თორემ ქურდს ბევრის წაღება შეეძლო!

— რასაკვირველია! რასაკვირველია!

დაუმატა თეძამიმ და ბოლოს მაგდას მიმართა.

— ქალბატონო ბედი გქონიათ, რომ მოუსწარით...

დააშვიდდით... არაფერია...

(გაგრძელება იქნება)

არჩილ ჩაჩიბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალე გოგიჩიძე

შემოდგომა

დღეს შემოდგომას, შემოდგომის იერი არ აქვს,
უწინ, — ფოთლების გაყვითლება ხალისს აშრობდა;
თითქოს ნაპირი შეუშფოთე მღელვარე არაგვს,
როცა დავსძარი საბანაკოდ ლექსთა ლაშქრობა.
არაგვის წყალი — მუქ მინდვრების დიდი სარკეა,
აქ — ბარათაშვილს აწუხებდა „ჩუმი ნაღველი“.
მოკვდი უდროოდ. — ვერ გავიდა სევდის ნანგრევზე, —
რომ გამხდარიყო სხვა ეპოქის გამომსახველი.
შემოდგომაა. ფიქრთა მწუხრი მაინც არ არის,
სოციალისტურ ველებს აღარ ატყვია სევდა,
ხუთწლიან ჯეგმის მზე შემოდგომის დღეებსაც ძლევს და
სალი კლდესავით დგას საბჭოთა ზღუდე მაგარი.
სახაპიროებს ეხეთქება ზღვათა გრიგალი,
ღელვის მედროშე ეგ საბჭოთა კრეისერია,
ომი არ უნდა კომუნიზმის დამკვრელ ბრიგადირს,
მაგრამ მის მკერდზე გამარჯვება ბრძოლით სწერია.
ასე იწყება ჩვენი ქვეყნის აღორძინება,
შემოდგომის ქარს ფიქრი ვანდო — აღარ ველევი,
იზრდება რიცხვი კოლექტივთა პურის ზვინების
და გასივრცებით ზვიადობენ ჩვენი ველები.
მე სექტემბერმა სიხარულის ქარი მომბერა,
შრომის დუღილში მილიონ გულს ესმის ძგერანი,
დე, გაშლილ ველზე გამარჯვების ჰქუხდეს სიმღერა
და აღტაცება აღიმართოს, როგორც მწვერვალი!
ვავშალოთ გული, გზა მიეცით ავტო-მანქანებს!
ბაშკაშა ცის ქვეშ ზეიმი აქვს ველებს უჩვეი,
გასწი სიცოცხლევ, გამარჯვების გზით გამაქანე!
ჩემო ლექსებო, დროს სიხარულის მიეცი ცეცხლი,
ჩემო განცდებო მტრებს მოედე, როგორც ხანძარი,
ტრაქტორ-სადგურებს ჩვენს მანქანებს სიმხნევე მიეც!
და სტრიქონები რაზმებივით მძიმეთ დასძარით!
მძიმედ დასძარით, ვით კოლექტივის ტრაქტორთ კოლონა,
მძიმედ აძგერე, როგორც გული ურიცხვ ქარხნების;

ჩემო სიცოცხლეც, ამთავითვე უნდა გვეგონოს
დიად ხუთწლედის მოამაგე გმირი გავხდებით!
სოციალისტურ ქალაქებში ყვავის შეჯიბრი,
სოციალისტურ მრეწველობას უნდა დამკვრელი,
კოლმეურნეობაც ტემპში არიან მტკიცედ ხეჭრილნი
რომ მოსავალი მოაზვავონ, როგორც ღანქერი.
მბრძოლელი მასის ენტუზიაზმი ხანძარს აჭარბებს
ენტუზიაზმი გრიგალებზე უფრო მძლე არის,
ისევ სადგური აგუგუნებს ელექტროთ-ჯაბრებს
და შემოდგომით გაზაფხულის ბკვიდრი მზე არის.
მე შემოდგომა თუ ჩამოდგა არ, ,ი მეგონა,
ჩემი გრძნობები საგაზაფხულოთ ყვავის ზეიმით
ახლა წყვდიადი ეელარ მალონებს,
ველარც ტყე-ველი შიშველი და გადაცვეთილი!
ჩემთვის ერთია შემოდგომის ცა, რომ დამხუროთ;
ჩემთვის ერთია — იდგეს ზამთრის ოორმ-ტრიალი,
როცა სტრიქონებს რევოლუციის ცეცხლით ვახურებ,
რალას დამაკლებს შმ-ბ ბუნების „ბედის ტრიალი"?
ხომ სადგურები იზრდებიან, ვაჟკაცდებიან,
ხომ მოტორები გუგუნებენ ქარხნის ხროტინით?!
საბჭოთა მხარეს კვლავ ლხინი აქვს ამაყ მთეპიანს
და საგვირაბო გაუპიათ მძიმე ლოდივით.
იზრდება გზა და ლიანდაგს გააქვს გრიალი,
რონების ქსელზე ცისტერნების ქარავნებია.
შარაგზებია და ველია ვით ზღვა ტრიალი,
საგანთიადო ცხოვრება გაქვთ თანამგზავრი
და გმირულ შრომით შრომის რაზმებს არა ვნებიათ.
შარა ფართოა თვითმავლებმა ხილი მოზიდეს,
გზები დამძიმდა სოციალისტურ პურის მარაგით;
ბრიგადირებო, გეგმაზე მეტი მოგვეცით ნავთი,
ბამბას და კენაფს არტელი გვითმობს,
ხორცს და ბეწვეულს, რძის პროდუქტებს მწყემსების ნადი.
სახელოსნოდან კვლავ გუგუნებს ლოკომოტივი,
ისევ გრიალი ცის სივრცეში გააქვს პროპელერს,
ისევ მანქანებს ბენზინი და ზეთი მოტირის
და გამზირიდან ეჯიბრება სივრცე შოფერებს.
შემოდგომაა, მაგრამ ჩვენი მზე ისევ ანათებს,
რომ არასოდეს არ ყოფილა ასე ცხოველი.
ვიყავ ჩაგრული, გულში ყინვა მქონდა მანამდე,
ძალზე მახარებს წინმსცველობა ახალ ცხოვრების.
ინდუსტრიალურ ქალაქებით მიწას ვაბრუნებთ,
ინდუსტრიალურ გაქანებით ვაყრუებთ ველებს,
ენტუზიასტურ შრომით ოფლსაც, ისე ვაწვიმებთ,

14
ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ინდუსტრიის კალაპოტით შევბორკეთ ღელეც.
გაზაფხულია, შემოდგომას ვინ დაუჯერებს?
საგაზაფხულოდ ყვავის ჩვენი კოოპერაციაც,
ლაშქრული ხშები გვაიმედებს წითელი ჯარის,
შემოდგომის ცამ ნაღვლიანად ველარ გვაქცია.
თითქო დაიწყო გაზაფხული — ყვავის გერანი,
მხოლოდ სიმინდი ყვითლდება და ვატყობ დარდი აქვს,
სიმინდის ყანავ, შემოდგომით ხდები ვერანი,
უკანასკნელად ფერმიხდილი უმზერ განთიდს.
მე შემოდგომამ დარდის ნისლი ველარ დამბურა,
ზენაქარს მოაქეს სორნელება ისევ გერანის,
ჭმუნვა რას მიზამს მიხწევებით ლექსებს ვახურებ
და მკერდში მიდგას მილიონთა გულის ძგერანი.
მათხოჯის მთებ ი და სახალხო დიდო შენობავ,
პლანტაციები ჩაი გიმზერს მაღალ ვაკიდან;
კულტურა რამის და გერანის რადგან მშვენდება,
ალბათ სიმინდმა დღეს სიცოცხლე ბეწვზე დაჰკიდა —
გაზაფხულივით შემოდგომა ჩაის ამწვანებს,
როცა გადამხმარ ჩალის ღეროს ქარი აწვალებს.
ვხედავ საბრძოლო უნარ-გაზრდილ წითელ არმიელთ —
მეც მიხარია, რომ ერთგულად ვდგევარ მათ რიგში,
ჟუანტელივით ბრძოლის ენი ტანში გამიარს,
განთიადივით გამარჯვების ფიქრს, რომ გავიშლი, —

კალე ბობოხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა შაველაშვილი

ინდუსტრიის მტკიცე გულებო!

ახლა გარშემო ვიხედებით, — ხარობს მიდამო...
თავისუფლების ხანძარს ანთებს შრომის გულები, —
ხევში გუგუნებს მოგრიალე რკინის დინამო
და ელექტრობის ჩახჩახებენ ნაკადულები!..
ბრუნავს ბორბალი, ინდუსტრიის მძიმე ბორბალი,
ვინ ჩაიკეტავს საკუთარ თავს მდუმარეთ სახლში,
მოგვაქვს საბჭოთა მინდვრებიდან წმინდა ხორბალი,
მაღაროები ლავასავით ისვრიან ნახშირს!..
მაღაროები დონბასიდან ნახშირს ისვრიან,
ნახშირს ისვრიან ტყიბულიდან — ხელები რკინის, —
შრომის ხმაურში აღტაცების გამოისმის ხმა
და ნეპისყოფა გვირაბებშიც გუგუნებს, — ჰკივის!..
მი ის მადანი ქარხნებისკენ ულევ მარაკათ,
ხურდება ცეცხლის ელვარებით რკინის ღუმელი, —
სივრცე მილიდან ავარდნილმა კვამლმა გალაქა
და თავისუფლათ მოთარეშე ქარებს ღუნავენ!..
მაღაროებშიც ტემპებია ფართოდ გაშლილი,
ყოველი მუშა ხუთწლიანი გეგმის გმირია,
ციფრით ხმაურობს რონოდებზე ხრეში ნახშირის
და საყვირებიც შეტევას და ბრძოლას ჰყვირიან!..
როგორც ნახშირით, ისე რკინით, ისე ფოლადით,
ეპოქის მხრებზე გრიალებენ დიდი ქარხნები, —
უნედლეულოთ მტარვალებს ხომ ვერ ჩავქოლავდით
და ცხოვრებისთვის გარდატეხას ვერ მოვახდენდით!..
ურალის მთებო! გადაგადნობთ ცეცხლის ხანძარით,
ცხელი ლითონი მოგვაწოდეთ, — ვჰედავთ ტრაქტორებს,
მთელი გლობუსი მოვაბრუნეთ — ჩვენსკენ დავსძარით
და სირბილის დროს: გადავქელეთ, ფეხით გავტორეთ!..
ბაქომ აანთო ბოლშევიკურ ტემპის აღება,
მეორე ხუთწლედს განგაშებენ ნავთის მილები, —
მალე შირაქის მწვანე ველიც დაიდაღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაეთს გააჩენს შადრევნებათ ცხვრის ადგილები!..
მყინვარი მოტყდა, — ანდეზიტი ჩამოაქვს ნაღმებს,
კასპი იძლევა: — შვიდას — ოთხმოც — ათას — კასრ — ცემენტს,
ხუთწლედის გეგმას ოთხ წელიწადს ჩვენ გავანაღდებთ
და მებრძოლები ოქტომბრის ხმას — ღიმს გადასცემენ!..
ქალაქებისკენ! ანდეზიტის ქვის აგურებო!
მეთოთხეტე წელს კვლავ ბრუნავდეს ბორბალ-ხრახნები,
ნუ შეჩერდებით ინდუსტრიის მტკიცე გულებო
სოციალიზმის ტემპი მიდის მძლავრ გაქანებით!..

შალვა შაველაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჩიქოვანი

ქსოვილის ამოჭრა

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშების უმრავლესობა ახალგაზრდებია. ახალი კადრები. ახალგაზრდა ფეიქრები. მათ შორის ვაჟები ცოტაა. წითელი თავსაფრებით თავგაკრული ქალიშვილები სწრაფად უვლიან საქსოვ დაზგებს. თვალი ქსელზედ უჭირავთ, რომ აბრეშუმის ძაფი არ გაწყდეს. გაწყვეტილი ქსელი იბურდება. ნაქსოვს აფუჭებს. ძვირფასი ქსოვილი იკრიჭება და წუნი იზრდება. დგიმის ქარქაცა კბილებში იჭერს მქსოველი ძაფის ბოლოს. აბრეშუმის ღერებში მცოცავი თითები ასკვნიან ძაფებს ოდნავ შეგრეხით. მაქოს ცურვაში იზრდება ნაქსოვი და რვა საათის ბოლოს 12 მეტრამდე აღწევს დამკვრელი მუშის დღიური ნაყოფიერება. აბა, რა მხიარულებით დაჩხვლეტავს მაშინ თითეული მათგანი მუყაოს ფირფიტას, დაზგის საკისურზე ჩამოკიდებულს და კმაყოფილებით აღნიშნავს ზედ თავის გამომუშავებას. ასეთი ფირფიტები ყოველ საქსოვზე ჰკიდია. ფირფიტის თავში მქსოველის გვარი, სახელი და ტაბელის ნომერი აწერია. ყველაფერი რიგითაა აქ აღნიშნული.

საქსოვი დაზგის ყოველ შეჩერებაზე მოუთმენლად შეტრიალდება ახალგაზრდა ფეიქარი. მას არ უნდა გაჩერება, დგიმსავარცხლის მოცდენა. მით უმეტეს, ყველაზედ უფრო სწყინს, თუ ქსელი დაეხლართა. ძაფები აირ-დაირიენ და ერთი მეორეზე გადაეხარიხენ. მაშინ მის გასწორებას დიდი დრო სჭირდება. სათითაოდ უნდა გამოსძებნო ღეროები და თავის რიგზე დაალაგო. ბევრჯერ თვალებში ციცისნათელები დაიწყებენ ტრიალს ქსელის გამართვაში, მაგრამ მალე ეს ყოველივე გავიწყდებათ, როცა დაჭიმულ ქსელში ტკაცანით გარბის ლითონით თავბოლო გამახული მაქო და ნაკვალევათ დატოვებული ძაფი სწრაფად ჩაიბეჭება ნაქსოვზე, მექანიკურად მოძრავ ცავარცხელის მიერ. ეს ისე ჩქარა, ნაკლებ შესამჩნევად კეთდება, რომ გაკვირვებული რჩებით, თუ როგორ სწრაფად მატულობს ძვირფასი „ერსე"-ს მატერია და დაზგის სადგამის ზემოთ მურგზე რბილათ ეხვევა.

გიხარია ახალგაზრდა ფეიქრებთან ყოფნა. დღეს თვის უკანასკნელი რიცხვია. მქსოველები მატერიის ამოჭრისათვის ემზადებიან. იჩქარიან ნამუშევრის ჩაბარებას. აბრეშუმის სხვადასხვა ხარისხის ქსოვილები კონა კონა გროვდებიან დაზგების ერთ კუთხეში. ნაქსოვი ხამის ამოჭრის დროს ფაბრიკაში ყველა დროზე მეტი ფაცი-ფუცი და მხიარულებაა. ბრიგადირები თავს დასტრიალებენ დაზგებს და ეხმარებიან ახალგაზრდა ფეიქრებს ხიმის ამოჭრაში.

აბრეშუმის ფაბრიკაში საქსოვი ცეხი ყველაზედ დიდია. ის რვა კომპლექტიანია. ამ ცეხს ვერ შეედრება ვერც სამღებრო-საპრეტურო და ვერც სამექანიკო, მოსაამზადებელი ცეხები. არა თუ სიდიდით, ამრამედ დაზგების მრავალ-

ფეროვნებითაც. აქ ხუმრობით გეტყვიან და გიჩვენებენ დაზგებს, რომლებიც ქსოვენ ძვირფას მატერიას.

— ეს ჟერსე!

— ეს ლიბერგი!

— ეგ კი საკაბე კრეპდეშინია!

— ამით მმვენიერ ბლუზებს იკერავენ!

ის ვინც ამათ გვისახელებს ხანდისხან გაიცინებს და გუნებაში თავისთვის იტყვის: „აი, ჩვენი ფაბრიკა ასეთი ძვირფასია. აბა, რა ფაბრიკაა ვსთქვათ მაუდის ფაბრიკა, მათი ფუთი მატყლი 50 მანეთი თუ ღირს და ჩვენ 50 მანეთად ერთ კილო აბრეშუმის ძაფს ვყიდულობთ. მერე ამ ძაფს ისეთი სათუთი მოვლა და დაქსელვა უნდა, როგორც აბრეშუმის ჭიას ფოთოლის შერჩევა. აი, ჩვენ ასეთი ბიჭები ვართო.“ თუმცა ამისთანა სიტყვებით ზოგიერთების მიერ წარმოების ვიწრო „პატრიოტობაა“, მაგრამ მაინც იმას ამტკიცებს, რომ ფაბრიკა თვითეულ მათგანს ძალზე უყვარს. შეზრდია მას და ძნელად თუ გასცვლის სხვა წარმოებაზე. არ მოშორდება თავის საქსოვ დაზგას თუნდაც მეორე ფაბრიკაში კორპუსსაც შეჰპირდეთ. ახალგაზრდა ფეიქრებს უყვართ თავიანთი წარმოება, სადაც ძანქანებთან ერთად გაიზარდენ. ზოგი მათგანი ამ ფაბრიკასთან ერთად დავაჟკაცდა და მისადმი უდიდესი ეთგულებით არის გამსჭვალულთ. აბა რა გასაკვირია. ფაბრიკა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. რეკონსტრუქციის პირმშო შველი და მის ყრმა მუშებთან ერთად გასწორდა წელში. იზრდება და ხერხემალს იმაგრებს.

ხაჟი ქსოვილის ამოჭრა აბრეშუმის ფაბრიკაში სწორეთ, რომ დიდებული სანახავია. თვის უკანასკნელ დღეს, როდესაც ნახევარი სამუშაო დრო გაივლის, ყველა ემზადება ამოჭრისათვის. ქსოვილს ერთგან მისაქსელავს გამოართმევენ. უმასრო მაქო აღარ მიაქსოვს და რამოდენიმე სანტიმეტრით ქსელის სიგრძის ძაფები გადაულობავი რჩებიან. ამით იდება საზღვარი. ცოტა ხნის შემდეგ გადაჭრიან ხამი აბრეშუმის ქსოვილს.

ფართო ქსელიანი დაზგა გაჩერებულია. აღარ მოძრაობს.

აბრეშუმის ყვითელი ძაფები ოქროსფრად გამოიყურებიან. ელექტრონის სხივები კიდევ უფრო აძლიერებენ მის სილამაზეს.

საქსოვის წინ ახალგაზრდა მუშა ქალი ჩამჯდარა ორ მეტრიანი სიგანის ქსოვილს ეზიდება მორგვიდან. აბრეშუმს არღვევს იმ მორგვიდან, რომელზედაც სამი დეკადის განმავლობაში გახუწყვეტლივ აქსოვდა „ლიბერგო“-ს. განიერი ქსოვილის დაკეცილი კალთები სასახეეროდ ფარავს ფართო პირისახის ქალის ტანს. ირღვევა მორგვი და აბრეშუმის ნაკეც ქსოვილში იფლობა მქსოველი.

ქალი გახარებულია. მომღიმარი თვალები შეჰყურებენ ქსელს. ხელები კი ისევ აღღვევენ მორგვს და ფეიქარ ქალს ირგვლივ ახვევენ ყვითელ აბრეშუმით მოქსოვილ მატერიას. ხამი ქსოვილის ამოჭრაში გართული მუშა ხშირ-ხშირად გადაისვამს თავზე ხელს. კოხტად შეკრეჭილს თმას ისწორებს. თავს გაიქნევს და ფაბლისფერ თმას უკან გადაიყრის.

— მორჩა!

წარმოსთქვა მქსოველმა. მუხლებიდან იღლიამდე მოყრილ ხამ ქსოვილს ხელები შემოხვ ა. კალთები შემოუკვალთა და ცალკე ყურეში მიკეცა. მერე მორგვზე გადაჭრილ ქსელს თავი დაუმაგრა და მანქანა აუშვა.

ფეიქარი სწრაფად აყოლებს თვალს მაქოს მოძრაობას განიერ ქსელზე. ხშირ-ხშირად ხედვას შეავლებს. დაზგაზე ჩამოკიდებულ ფურცელს, რომელზედაც ქიმიური მელნით აღნიშნულია:

„ხარისხი: ლიბერგი, ქსოვილი: 2 მეტრი. მე-2-რე დეკადას შესრულება: 105,6%".

მქსოველი ქალი უტრიალებს მანქანას. ხანდახან ხელს წაავლებს მოქანავე სავარცხელს და თითქოს მისაქსელავის ჩაბეჭვაში მანქანას ეხმარებოდეს, ისდაუ ყებს აქეთ-იქით მოძრაობას. იღებს პატარა თითისტარა მუყაოს მასრას და მაქოში სდებს. მეორე მაქოს ამარაგებს, რადგან ქსელში მყოფი მასრაზე მალე ძაფი გამოილევა და მანქანაც მაშინვე თავისით დადგება, დაზგა, რომ არ მოცდეს, ამისათვის უბრალო ოპერაციას წინასწარ აკეთებს.

დამკვრელი კომკავშირელი ქალი, ბაბო საყვარელიძე ცეხის შესავალში დაგხვდებათ თავისი დაზგით. ის ორ დაზგას ხელმძღვანელობს. მისი ოდნავ ფერმკრთალი სახე მეტის მზრუნველობით შეჰყურებს თითეულ ძაფს და უბრალო ნასკვსაც, რომელსაც შეუძლია ურიგოთ მოჰყვეს ხამ ქსოვილს და ზიანი მიაყენოს, ხარისხი შეუმციროს.

— ამ დეკადაში ჩემი დაზგა არ ჩამორჩება. პირველში ასე ხდება მუდამ.. ქსელის გამართვაში მიდის დრო და ნაქსოვი აღარ სჩანს. მეორე და მესამე დეკადაში კი იზრდება და თვალი ადგება ყველაფერს. ასე სჩვევია ჩვენს სპეციალობას. თვის ბოლოსკენ გამოჩნდა თავში შენამზადები საქმე და სირცხვილი მისი ვინც დავალებს ვერც შეასრულებს. მაშ, რის დამკვრელები ვართ. მე ორი „ბრონი" მყავს მომაგრებული, მაგრამ ეჭვი არ არის გარდამავალი ჯილდო მაინც აქ უნდა იქნეს დაკიდებული!—ფეიქარი მღიმარე სახით თითს გაიშვერს ცეხის იმ ნაწილისაკენ, სადაც კედელზე წითელი და შავი დაფაა დაკიდებული. სადაც ყოველდღიურად იწერება ცნობები დღიური შესრულების. მთელი ცეხის მდგომარეობა საამკარაოზეა გამოტანილი. — აი, იქ უნდა!.. უხარია. მოსწონს და თავის თავის სირცხვილად მიაჩნია, რომ კომკავშირის დამკვრელმა ცეხმა შეჯიბრში სხვას ვერ გააჯროს. ამისათვის არავის არაფერს აპატიებს. გამარჯვებისათვის ბრძოლა სასახელოდ მიაჩნია და საწარმოო ტრიბუნალზედაც არ დაიშურებს გვერდის ამაანაგებს თუ კი ისინი ხელს შეუშლიან შრომის დასციპლინას.

— აჰა, ესეც გათავდა!—სთქვა მან და ხელი წაავლო მისაქსელავს. ჩადო მაქოში. წვერ გამახვილებულ მაკრატლით მოსძებნა უკანასკნელი მინაქსოვი ძაფის ბოლო და იმავე ლარში ჩაუბა ახალი ძაფი. მასრა გამოუცვალა. დგიმის მარჯვნივ, პატარა ბერკეტი გადასწია, აამუშავა დაზგა.

— ჩვენს ცეხში გაუპიროვნება ჯერ კიდევ აფერხებს წარმოებას. ამბობს ბაბო ამხანაგის მიმართ. მე რომ სახლში წაველ, არ ვიცი ვინ მოვა და ვინ დაიწყებს ჩემ ნაქსოვზე მუშაობას. როცა მოვალ ზოგჯერ ქსელი არეული, დაბურდული დამხვდება. მის გასწორებას ვსჭირდები ნახევარ ხანს. მანქანებზე ჯერ კიდევ არ მომხდარა სრული პასუხისმგებლობით მიმაგრება და შრომის ნაყოფიერება კარგად ვერ იზრდება.

გულშემატკივრად უზიარებს თავის აზრს ამხანაგებს საყვარელიძე.

— ეს რაა, აქეთ მოიწი. მე უკეთეს განახვებ—წარმოეშველა მეორე დამკვრელი ქალი თებრო გოგოლაშვილი, რომელიც ერთი კვირაა, წარმოებაში დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა საზღვარგარეთიდან. თებრო აქტიური მებრძოლი ფეიქარი საუკეთესო დამკვრელობისთვის დააჯილდოეს და რესპუბლიკის პროფსაბჭომ ხუთწლედის სხვა გმირებთან ერთად საზღვარგარეთ გაგზავნა, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების მუშების მდგომარეობის გასაცნობათ.

— აი, ეს ქსელი მე, რომ წავედი ევროპაში ამოუჭრელი დავტოვე—უჩვენებს პატარა საქსოვ მანქანაზე, რომელიც ამ დენიხანია სდგას და ახლაც იცოხნის.

— ოო, ძალიან კარგი. ეხლაც იტყვიან ჩვენს ფაბრიკაში გაუპიროვნება აღარ არისო!

— არის, მაშ!

სინამდვილის დასადასტურებლად თებრომ ქსელიდან ერთი მუჭა ლარები უჩვენა ერთმანეთში ისე გადახლართული, რომ ერთი შეხედვით კაცი განცვიფრდებოდა: „ამის ქსელში გასწორება კიდევ შეიძლება?!“, მაგრ ამ რას იზამთ, სინამდვილე ასეთი იყო და დამკვრელი მუშა თავის გულის წუხილს მთელ ცეხს უზიარებდა, რათა მომავალში გააძეონ წარმოებიდან შემოკედლებული გაუპიროვნება.

— დაიწყო სტალინური საწარმოო ლაშქრობა ბელადის მითითებათა განხორციელების შესამოწმებლად და ვნახოთ, თავს რით იმართლებს ჩვენი ადმინისტრაცია!

— მართალია, ვნახოთ!

— კი, კი, ოპორტუნისტებსაც ალმოვაჩენთ, ჩემო თებრო, თუ შენი მსუბუქი კავალერია კარგად დაირაზმება ამ ლაშქრობაში. გაახსენა ბაბომ უჯრედის შტაბის ხელმძღვანელს „მსუბუქ კავალერიის“ ჯგუფის ამოძრავება.

— ჩვენი კავალერია ამ ხაზით მუშაობას შეუდგა! ვალმოხდილივით სთქვა გოგოლაშვილმა და თავის დაბურდულ ქსელის აწყობას მიუბრუნდა.

ბაბო ჩქარა დაუბრუნდა თავის დაზგას. მიეშველა მოწაფეს, რომელსაც ხელი აეშალა, ველარ გაართვა თავის მანქანის შეუჩერებელ მოძრაობას.

საქსოვი მანქანები ცეხის ბოლომდე ორწყებად ჩამწკრივებულან. ბოლო დაზგიდან ახალგაზრდა ვაჟის სახე გამოიყურება. თითქოს გიკვირთ, რომ აქ ცეხში ვაჟი ნახეთ. ქალების უმრავლესობაა და ვაჟი კენტად დგას. ალეკო შეხედავს მეზობელ მქსოველებს. ზოგსაც გაეხმაურება, როცა მასრას გამოცვლის. ხანდახან იცინის, ხალისობს კომკავშირის უჯრედის მდივანი, რადგანაც მისი უჯრედის წევრები სუკეთესოდ მუშაობენ. ალეკო ხანდახან ცეხის გამოსავალისაკენაც ციაპყრობს თვალებს, სადაც მისი ბიუროს წევრი ბაბო ბოლშევიკური ტემპებით ეუშაობს.

— გამარჯვება ჩვენია, ჩვენი!

თავისთვის წაილაპარაკებს ხუთწლედის ახალგაზრდა გმირი და დაზგას მიუბრუნდება.

მიხეილ ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაროტ ბიბინეიშვილი

ლადო კეცხოველი

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ამხ. ლადო კეცხოველი, ეს შეუპოვარი მებრძოლი რევლუციონერი და ზედმიწევნით მიმზიდველი ადამიანი, დარწმუნებული ვარ, არას დროს არ დაავიწყდება ის.

მე მას ხშირად ვხვდებოდი ამხ. სევერიანე ჯუღელისას; ის იმ დროს ერთი კერძო სტამბის მმართველი იყო, ალბათ იმ მიზნით, რომ უკეთ შეესწავლა ბეჭდვის საქმე. მისი საშუალებით ხერხდებოდა არალეგალური ფურცლების და წიგნების ბეჭდვა.

1899 წლის მიწურულში ის ამხ. რაჟდენ კალაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა ტფილისის ცხენის რკ. გზის („კონკა") მუშების გაფიცვას, რომელმაც სწორედ 1900 წლის 1 იანვარს იფეთქა და გამარჯვებით დამთავრდა. გაფიცვის მომწყობნი, მათ შორის კი განსაკუთრებით ლადო, გასცა ერთმა კონდუქტორმა, მაგრამ ლადომ მოასწრო არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლა და მიაშურა ა./კ მუშათა ცენტრს—ბაქოს.

ბაქოში ამხ. ლადო ამხ. აბელ ენუქიძესთან ერთად შეუდგა მუშათა არალეგალური წრეების შექმნას. მას არ ასვენებდა არალეგალური სტამბის მოწყობის ფიქრი, და ეს მან მოკლე დროში შესძლო კიდეც.

„ყველაზე დიდი მუშაკი ამ დარგში, პირველი ორგანიზატორი, არალეგალური ბეჭდვის საქმის შექმნელი და დამაარსებელი კავკასიაში განსვენებული ლადო კეცხოველი იყო. მან არა თუ პირველმა შექმნა და მოაწყო პირველი არალეგალური სტამბა, არამედ მისი არაჩვეულებრივი ენერგიის და უსაზღვრო ორგანიზატორული ნიჭის გავლენით მის გარშემო აღიზარდა ამხანაგთა მთელი თაობა, რომელმაც შემდეგ თავი ისახელა ამ დარგში მუშაობით" — წერს ამხ. აბელ ენუქიძე (იხ. „Наши подпольные типографии на Кавказе", გვ. 4-5.).

ამხ. ლადოს და აბელის ენერგიული ცდით და კრასინის დახმარებით, ბაქოში 1901 წლის დამლევს ეწყობა არალეგალური სტამბა. სტამბა იმდენად კარგად იყო მოწყობილი, რომ იქ ფურცლებსა და ბროშურებს გარდა გაზეთები და ჟურნალებიც იბეჭდებოდა, მაგალითად, იქ დაიბეჭდა რამდენიმე ნომერი ჟურნალი—„Южный рабочий" და „ისკრა", აგრეთვე ლადოს მიერ გადაკეთებული „ოთხი ძმა", რომელიც მეტად გავრცელდა საქართველოში.

ამხ. ლადოს დახასიათების მიზნით უნდა შეეჩერდეთ ერთ მეტად საინტერესო გარემოებაზე, რომელიც ჯერ უცნობია ჩვენი პარტიის ფართო მასებისათვის და რომელსაც ეხება ზემონახსენებ წიგნში ამხ. აბელ ენუქიძე.

„ჩვენ განვიზრახეთ,—ამბობს ამხ. აბელი,—არალეგალური პერიოდული ორგანოს გამოცემა ქართულ ენაზე და გადავწყვიტეთ კიდეც გაზეთ „ისკრა“-სა და მის რწმუნებულ ამხ. გალპერინთან შეთანხმებით გამოგვეცა არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“.

ამის წინააღმდეგ წასულა ტფილისის ორგანიზაცია ნოე ჟორდანიას და სხვების სახით, რომლებიც ამტკიცებდნენ— ლეგალური გაზეთი „კვალი“, საკუთარ ეროვნულ ენაზე, ეროვნული ინტერესებით აკმაყოფილებს ქართველი მასების მოთხოვნილებას. ამხ. ლადო სასტიკი წინააღმდეგი გამხდარა ამ დებულების: ლეგალური მარქსიზმი რუსეთის მასებს და სრულებით ვერ აწრფობს ბრძოლისათვისო. ამიტომ იმ კატეგორიულად მოითხოვდა არალეგალური ორგანოს გამოცემას. ლ. კეცხოველზე გავლენის მოსდენის მიზნით ტფილისიდან ბაქოში გაუგზავნიათ მოწინავე მუშების ერთი ჯგუფი, რომელიც თავგამოდებით უმტკიცებდა ლადოსა და აბელს: „არ გვინდა, გარდა კვალი“-სა, მეტი პოლიტიკური ორგანო; სჯობს მთელი ყურადღება ფურცლებ ს და ბროშურების გამოცემას მივაპყროთო. ამხ. ლადომ შესძლო მათი დაჯერება წინააღმდეგში და მუშებმა აღუთქვეს: ჩავალთ ტფილისში და ყოველმხრივ შევეცდებით ტფილისის ორგანიზაცია დაგეხმაროთ ძალებით და სახსრებითო. და მართლაც, დაბრუნდენ თუ არა ტფილისში, მათ დიდი გავლენა მოახდინეს მაშინდელ პარტიულ კომიტეტზე“— ამბობს ამხ. ა. ენუქიძე (გვ. 24).

ამის შემდეგ ტფილისსა და ბაქოს შუა კიდევ გაჩნდა მეტად სადაო საკითხი. ეს ისაა, რომ ტფილისის ორგანიზაცია მოითხოვდა ორგანოს რედაქცია საკუთარ ტფილისში ყოფილიყო, ბაქოს ჯგუფი კი, იმის ტექნიკური ამსრულებელი, რასაც ტფილისი გადასწყვეტდა,—ამხ. ლ. კეცხოველი და მთელი სარედაქციო ჯგუფი,—სასტიკი წინააღმდეგი გახდა ამ წინადადებისა. რომ დაეთანხმებიათ კეცხოველი, ტფილისელები ბაქოში გზავნიან ლადოს პირად მეგობარს სეევერიანე ჯუღელს, რომელმაც ვერა გააწყო რა და ისე დაბრუნდა. „ბრძოლა“ ბაქოს ჯგუფმა გამოსცა და თუ რა რევოლუციონური როლი ითამაშა აღნიშნულმა ორგანომ საქართველოს მუშების გარევოლუციონერების საქმეში, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

1902 წლის მარტის პირველ ნახევარში ბაქოს კომიტეტის შემადგენლობის უმრავლესობა ჩავარდა. საჭირო გახდა სტამბის ლიკვიდაცია და მისი გადატანა ან შიდა რუსეთის რომელიმე ქალაქში, ან, ყოველ შემთხვევაში, სხვა ბინაზე ისევ ბაქოში. მოხდა სტამბის ლიკვიდაცია. „ლიკვიდაცია იმაში მდგომარეობდა,— ამბობს ამხ. ა. ენუქიძე (იხ. გვ. 31),—რომ მთელი შრიფტი—15 ფუთამდე— ჩავალაგეთ და შევკარით ცალ-ცალკე ამანათებად და გადავიტანეთ რკ. გზ. რაიონში ერთ ამხანაგთან— მემანქანის თანაშემწესთან, რომელსაც ეს შრიფტი აჯიქაბულში უნდა გადაეტანა და იქ შეენახა ერთ სანდო ამხანაგთან“.

ეს მემანქანის თანაშემწე იყო ამხ. ბიქტორ ბაქრაძე, რომელმაც ჩემის თხოვნით აღადგინა მეხსიერებაში იმ დროინდელი ამბები.

ამხ. ბიქტორ ბაქრაძე ასე აგვიწერს ამხ. ლადო კეცხოველის გაცნობის და დატუსაღების საქმეს:

„1901 წელს, დროგამოშვებით, აბელ ენუქიძის და მიტრო ბაქრაძის ბინაზე, ბაქოში, ვხვდებოდი უცხო ყმაწვილ კაცს, რომელიც ისე თავაზიანად მეპყრობოდა და ზოგიერთ შეკითხვაზე ისე მიპასუხებდა, რომ უნებურად მინდოდა ყოველთვის, გამუდებით მესმინა მისთვის, მასთან ვყოფილიყავი. ისე მომხი-

ბლა, რომ მზად ვიყავი სიცოცხლე შემეწირა, მხოლოდ დაევალებინა რამ. სახელს დათიკოს ეძახდენ და მეც ასე ვეძახდი (იმ დროს, კონსპირაციის მიზნით, ამხანაგებს მხოლოდ სახელს ან „კლიჩკა-"ს ვეძახდით, გვარს არ ვკითხულობდით) არც ვყოფილვარ დაინტერესებული დათიკოს გვარი გამეგო. მხოლოდ მიტრო ბაქრაძეს ვკითხე ეროხელ და მან მითხრა—მგონი, მელიქოვი უნდა იყოსო. 1901 წლის ბოლოს აბელ ენუქიძემ, დათიკომ და მიტრო ბაქრაძემ მითხრეს—ოთახი იშოვნე მყუდრო ადგილის და გადადი საცხოვრებლად, ისე, რომ ჩვენ ვისარგებლოთ იმ ბინითო. როგორც კი დავალება შეასრულე, გამატანეს შესანახად ორი ყუთი, არალეგალური წიგნებით და „ისკრა"-ს ნომრებით სავსე. მე იმ დროს ბაქოში (საყუდში) ვმუშაობდი მემანქანის თანაშემწედ. როდესაც მატარებელში მივდიოდი, ოთახის გასაღებს დანიშნულ ადგილას ვტოვებდი, რაც იცოდნენ ენუქიძემ და ბაქრაძემ. როცა შინ არ ვიყავი, თუ საჭიროება მოითხოვდა, შეჰქონდათ და გამოჰქონდათ, რაც საჭირო იყო. ერთხელ, აჯიქაბულიდან რომ დავბრუნდი, ჩემი ოთახი ისე სავსე დამხვდა დაქედილი ყუთებით, რომ ტახტის დასადგმელი ადგილი არ იყო და იძულებული გავხდი ყუთებზე გამეშალა ლოგინი. ეს ყოველივე აბელა ენუქიძესა და მიტროს მოეტანათ. შემდეგ ენუქიძის ბინაზე დათიკო ვნახე და მან მითხრა: ყუთებში შრიფტია, და ნაწილი ამ შრიფტისა, თუ შესძლებ, გადაზიდე სხვა ბინაზე, ჯერ ვერ გამოვიყენებთო. ვინიცობაა, ბინა შეამჩნიონ და რამე მარცხი მოხდეს ნაწილი მაინც გადავარჩინოთო. შრიფტის ნაწილი (სამ ფუთამდე) მაშინვე გადავიტანე აჯიქაბულში მემანქანე ზებედე ქ მუშაძის სარდაფში და ზედ დავაყარეთ ქვანახშირი (ეს შრიფტი იყო აწყობილი და შეკრული „ბრძოლის" პირველი ნომერი, ჟილობში შეხვეული და ხელმეორედ შეკრული). დათიკოს და აბელ ენუქიძეს ჰქონდათ მოწყობილი არალეგარული ლიტერატურის ტრანსპორტი საზღვარგარეთიდან ბათომში; იქედან ჯერ ბაქოში მიდიოდა და ინახავდა ჩემს ბინაზე და შემდეგ ანაწილებდენ და აგზავნიდენ სამხრეთ რუსეთის და ამიერ კავკასიის ქალაქებში.

1902 წლის ზაფხულს ხელმეორედ შეუდგა დათიკო ახალი ბინის შოვნას არალეგალური სტამბის მოსაწყობად. როდესაც იგი გამონახეს, წინადადება მოგვცა მე და მიტრო ბაქრაძეს შრიფტი უკანვე გადმოგვეტანა. მე მაშინ მემანქანის თანაშემწედ მიტრო ბაქრაძესთან დავდიოდი და ყოველ ზომას ვხმარობდი, რომ შეუმჩნეველად გადმოგვეტანა. რამდენიმე გზა გადმოვიტანეთ მე და მიტრომ, მაგრამ მიტრო ბაქრაძის ტფილისში წასვლის გამო მის მაგივრად მისი თხოვნით საყუდის უფროსმა იოსებ წიკლაური დანიშნა. ერთი-ორი გზა იოსებ წიკლაურთანაც გამოვიტანე; მესამედ რომ ჩავედი აჯიქაბულში, ღამე იყო და უნდა დავბრუნებულიყავი I/IX დილის ათ საათზე. დილით ადრე მივედი ბინაზე, სადაც შრიფტი იყო, და რადგან ცოტა იყო დარჩენილი, ვფიქრობდი მალე გადამეტანა და ერთად ავიღე ორი შეკვრა, 5 ფუთამდე იქნებოდა, და მოვიტანე ორთქლმავალზე. ჩავაწყვე საიარაღო ყუთში, დავკეტე და წავედი სამორიგო ოთახში ჩაის დასალევად. წინა ღამით საყუდში დაეშალათ განჯიდან მოსული ორთქლმავალი შესაკეთებლად და ვილაცას ღამე მოეპარა თითბრის საკისურები (подшипники). საყუდის დარჯები და ორთქლმავლის ცეცხლფარეშნი (кочегары) ყველანი ეძებდენ საკისურებს, რომ პასუხისგება თავიდან აეცილებინათ და სწორედ ამის გამო ჩასაფრებულნი ყველას თვალყურს ადევნებდენ. მე რომ შრიფტი მოვიტანე, როგორც ირკვევა, ვილაცას დაუნახავს და გონებია რომ ეს ის მოპარული საკისურებია, რომელიც წინა ღამით დაუკარგავთ. როცა სამორიგო

ოთახში წავედი, მორგებული გასაღებით გაიღოთ ოთახი, გაესინჯათ, ენახათ შეკრული რაღაც, ვერ გაიგოთ, რა იყო შიგ და არც დაინტერესებულან, ვინაიდან რასაც ეძებდენ, ის არ გამოდგა. მაგრამ ერთ მათგანს, ორთქლმავლის ცეცხლფარეშს ონისიმოვს ჭილობიდან ამოელო რამდენიმე ასო და საყუდის უფროსისათვის ეჩვენებინა. უფროსი მიხვდა რაც იყო და მაშინვე აცნობა რკინის გზის ჟანდარმს. ჩაი რომ დავლიე, მოველი საყუდში და გამოვიყვანე ორთქლმავალი. ამ დროს ამოვიდა ორთქლმავალზე ჟანდარმი რევოლვერით ხელში და წინადადება მომცა გამეღო დაკეტილი ყუთი. ყუთების გაღების იანავე დამაპატიმრეს, წამოიღეს შრიფტი და წამიყვანეს სადგურზე. იოსებ წიკლაური გადარჩა, რადგან მან განაცხადა მე არაფერი ვიცი, და მეც დაუდასტურე.

ჩემი დაჭერა აცნობეს ბაქოში ჟანდარმთა სამმართველოს, მაგრამ ვინაიდან ჩემი ოთახის მისამართი არ ვუჩვენე, გასაჩხრეკად მიტრო ბაქრაძის ბინაზე მისულიყვნენ. მხოლოდ სანამ ჟანდარმები მივიდოდენ, იოსებ წიკლაური უკვე ჩასულიყო ბაქოში, სემაფორიდან ეფრინა თანაშემწე მიტროს ბინაზე და ეცნობებინა ჩემი დაჭერა. თანაშემწეს მოესწრო მიტროს ბინაზე მისვლა და ეთქვა დათიკოსა და ვანო ბოლქვაძისათვის: ბიქტორ ბაქრაძე შრიფტებით დააკავეს აჯიქაბულშიო. თანაშემწეს გამოსვლა და ჟანდარმების მოსვლა ერთი იყო, ისე, რომ ვერც დათიკოს, ვერც ვანოს წასვლა ვერ მოესწროთ. დათიკოს უფიქრია— რაც ჩემს ბინაზე იყო, ალბად ყველაფერი ჩავარდაო, და ძალიან შეწუხებულიყო, ხელი ჩაექნია და ეთქვა: ახლა სუყველაფერი დაიღუპაო. ჟანდარმებისათვის გაეცხადებინა: ლადო კეცხოველი ვარ და რაც ბიქტორ ბაქრაძის ბინაზე ნახეს, ყველაფერი ჩემიაო. ამ დროს ბინისკენ მიმავალ მიტრო ბაქრაძეს შემოხვედრია წიკლაურის თანაშემწე და გაუფრთხილებია: შენთან ჟანდარმებია, შიგ კი დათიკო, ბიქტორი დაიჭირესო და სხვა. მიტრო ბაქრაძეს დაუწყია ყარაულობა. გარეთ და მომავალი აბელი გაუფრთხილებია. შემდეგ აბელი და მიტრო შესდგომიან ჩემი ბინის დავლას ამხ. ესაკიას, კნუნიანცის და სხვების დახმარებით. ჩემი ბინის დაცლის შემდეგ, აბელ ენუქიძემ ველარ მოითმინა და შევიდა სახლში. მაგრამ რატომღაც ჟანდარმები დაკმაყოფილდენ ლადო კეცხოველის ხელში ჩაგდებით და არც ვანო ბოლქვაძეს, არც აბელ ენუქიძეს არ მიაქციეს ყურადღება.

ბინის გაჩრხეკის დროს საზღვარგარეთიდან მოსულ დაცლილ სკივრში ალმოაჩინეს ქალალდის პატარა ნაჭერები, რამდენიმე „ისკრა“, და სხვა ლიტერატურა. აგრეთვე ღუმელიდან გამოიღეს ნახევრად დამწვარი „წითელი ჯვრის“ ანგარიში, მიტრო ბაქრაძის ხელთნაწერი, რაც დაკითხვის დროს ბრალდებად წაუყენეს.

2 სექტემბერს დილით ჩამიყვანეს ბაქოში; მიტროს ჩამოიარა და ჩამილაპარაკა — შენი ოთახი უკვე დაცლილიაო. ვანო ბოლქვაძე, რომელიც მიტროს ბინაზე დახვდა ჟანდარმებს, იმ დღეს ჩამოსულიყო ტფილისიდან, თან თურმე მოჰქონდა ჩემმდინი მანქანის ნაწილები და სტამბის საღებავები, მაგრამ ტფილისის სადგურზე ჟანდარმებს დაეკავებინაო, ჩემოდანი ჩამოერთმიათ, „ნასილჩიკისთვის“ მიეცათ წასაღებად და ვანოსთვის ეთქვათ გამოგვყევიო. ვანოს ამით უსარგებლია და თვალსა და ხელს შუა ჟანდარმებს გაპარვია და ვინაიდან ამავე მატარებლის ბილეთი უკვე ხელში ჰქონდა, შევარდნილა მატარებელში და ბაქოში ამოეყო თავი, ჩემოდანი კი თბილისში მიეტოვებია ჟანდარმებისათვის. მეორე დღეს, ე. ი. 2/IX, ვანო ბოლქვაძე და აბელ ენუქიძე შე-

უდგენ მანქანის გამოტანას იმ ბინიდან, სადაც ის დათიკომ მოაწყო. ბინა იყო ჩემბრეკებენტში, ერთი თათრის, უფროსი მეეზოვის სახლში. მანქანა დაშალეს და ყუთში ჩააწყვეს; მაგრამ წამოღება შეუძლებელი გახდა, რადგან სახლის პატრონმა ნება არ დართო, სანამ „კნიაზი"-ს, ე. ი. ლადოს, ნებართვა არ იქნებოდა. მეორე დღეს მიუტანეს მიტრო ბაქრაძის მიერ დეპეშის ბლანკზე დაწერილი ყალბი დეპეშა, ვითომ ლადოსაგან გამოგზავნილი, მაგრამ არც ამან გასჭრა, პირიქით, პოლიციას აცნობა და დაჭერას დაემუქრა. რაკი შეატყვეს აბელმა და ვანომ საქმე ცუდად იყო, გამოუუტყდენ: შენი „კნიაზი" დაჭერილია და ეს რომ აქ ნახონ საქმე ცუდად წავუა და რად ღუპავო. წარმოიდგინეთ, ისე ჰყავდა მოხიბლული ლადოს ეს უფროსი მეეზოვე, რომ ამან გასჭრა და როგორც კი ეს გაიგო, იმ წუთში აბელი და ვანო თავის სახლში ქალების ოთახში დამალა, პოლიციელს კი უთხრა: არაფერია, უკვე წავიდნენ ვილაც ოხრები იყვნენო, და შემდეგ წაღების ნებაც დართო, მხოლოდ 50 მანეთი მისცეს გასამჯელო—„კნიაზმა" გამოგიგზავნაო.

ამის შემდეგ ვანო ბოლოვაძე ტფილისში წავიდა, აბელი და მიტრო კი დაატუსაღეს და ბაილოვის ციხეში მიიყვანეს. მე რომ ბაქოში ჩამომიყვანეს, ჟანდარმთა უფროსს ვთხოვე—ბინაზე მისვლის ნება მოეცათ, რომ ქვეშაგები და ტანისამოსი წამომელო; დაერთეს ნება, და როცა ჩემი ბინა ნახეს, მაშინვე მიხვდენ შეცდომას, მით უფრო, რომ შრიფტი დაბნეული ნახეს იატაკზე; ძალიან შეწუხდენ, რომ თავის დროზე ის არ გაუჩხრეკიათ. სამმართველოში დამწყეს დაკითხვა, თუ ვინ მომცა შრიფტი. ბევრი დაკითხვისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ვ თხარი: აჯიქაბულში მომიტანა შრიფტი ვილაც რუსმა სტუდენტმა ივან პეტროვიჩმა (ასე გამაცნო მეთქი თავი) მომცა მანეთნახევარი—ამით ლუდი დალიე და ბალაჯარაში მომიტანეო, და თქვენ დამატუსაღეთ მეთქი. დამიწყეს დაკითხვა: ვიცნობ თუ არა დემეტრაშვილს, კეცხოველს ან მელიქოვს, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღეს. მელიქოვის გვარის გაგონება კი არ მესიამოვნა. აგრეთვე მკითხეს: აბელ ენუქიძეს თუ იცნობო.—ვიცნობ, ერთად ვმსახურობდით მეთქი. ასეთმა დაკითხვამ რამოდენიმე საათი გასტანა, მერე გამიყვანეს მეორე ოთახში და რას ვხედავ: ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე დათიკო. შეკრთი და გაშტერებული შევცქეროდი; მყუდროება ჟანდარმმა დაარღვია—მკითხა: ხომ იცნობო ვუთხარი: მე მაგას არ ვიცნობ და არც ვიცი ვინ არის მეთქი. ლადომ უთხრა: რაც მაგას დაუჭირეთ, ის ჩემია, ოთახში რაც ჰქონდა ისიც ჩემი მიბარებულიაო. მე გაჯავრებით ვუთხარი ჟანდარმს; ეგ ვილაც გიჟია! თქვენ რა ნახეთ, ჩემს ოთახში რომ იყავით მეთქი. მაშინ მიხვდა დათიკო, რომ რაც ოთახში იყო, ყველაფერი გადარჩენილია. ამით გათავდა დაკითხვა. დაიწყო კვლევა-ძიება. ბაილოვში გავიგე მხოლოდ, რომ ლადო კეცხოველი ყოფილიყო ჩემი საყვარელი დათიკო. იმ დღესვე დაეტუსაღებიათ გრიშა სოლოსაშვილი, რომელმაც თავი მოიგიჟიანა.

რამოდენიმე თვე ბაილოვის ციხეში დაგვტოვეს. მერე მე, აბელ ენუქიძე და მიტრო ბაქრაძე გადაგვიყვანეს ჯერ განჯის საპყრობილეში, შემდეგ მატეხში ლადო კი პირდაპირ ტფილისში გაგზავნეს. 1903 წლის თებერვალში მე და მიტრო ბაქრაძე (ძმებად გვთვლიდენ ჟანდარმები და ერთმანეთს არ გვაშორებდენ) გაგვანთავისუფლეს საქმის საბოლოოდ გამორკვევამდე. აბელ ენუქიძე ორი თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ გაათავისუფლეს და სოფელში გადაგზავნეს. ლადო დასტოვეს მეტეხის ციხეში, სადაც არ ღირსებია გამოსვლა.

მეტეხის ციხეში ლადო კეცხოველი ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ რევოლუციონერს და გმირს შეფერის. თავისი გაიძვერობით ცნობილი ჟანდარმის როტმისტრი ლავროვი რამდენჯერმე მიადგა ლადოს საკანის „ფორტოჩკა-"ს და ყოველთვის ზრდილობიანად ესალმებოდა ხოლმე. მესამე თუ მეოთხეჯერ ლადომ ვერ მოითმინა და ჭიქით ჩაი მიასხა თვალებში.

ამბ. აბელი ასე ასწერს საპყრობილეში ლადოს ყოფნას (გვ. 52—53): „ამბ. კეცხოველი თავისი დაუშრეტელი ენერგიით აცოცხლებდა მთელ საპყრობილეს. ის უდიდეს ნიჭს იჩენდა, რათა გამოეგონებია მრავალნაირი საშვალება ტუსალებისათვის წერილების გადასაცემად, დილეგებში ჩაგდებულთათვისაც კი. საპყრობილეში შემოღებულ სავალდებულო წესებს ის ყოველთვის ანღვევდა ხოლმე. მრავნიერი განწყობილება ჰქონდა მას სისხლის სამართლის დაშნაშავეებთან. დაინახავდ ნ თუ არა ეზოში, მთელი ციხე მას ხმამაღლა ესალმებოდა.

სასამართლო პალატის პროკურორმა, რომელსაც კარგად მოეხსენებოდა ყველაფერი ეს, განიზრახა კეცხოველის ყურადღება სხვა საქმეებზე მიექცია და მოუტანა ფანქრები და დანომრილი რვეულები, სთხოვა დაეწერა წასრული ცხოვრების მოგონებები და თავისი შეხედულება სხვადასხვა თეორიულ საკითხებზე.

ამბ. კეცხოველმა პირველი რვეული მთავრობის წევრების და მათ შორის პროკურორის ბოროტი კარიკატურებით გაავსო, დანარჩენი რვეულები და ფანქრები კი ს

8. ქვეშევრდომობა—რუსეთის ქვეშევრდომი.

9 წოდება—აზნაური.

10. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი—არა აქვს.

11. სადაა მიწერილი—თავი აარიდა სამხედრო ბეგარის მოხდას. მიწერილია ცხინვალზე.

12. პროფესია—გარკვეული პროფესია არა აქვს.

13. ცხოვრების საშუალებანი—სალიტერატურო გასამრჯელო, წერს ადგილობრივ ქართულ და რუსულ გაზეთებში.

14. ოჯახური მდგომარეობა—უკოლო.

15. ნათესაობრივი კავშირი (მშობლების, ძმების, დების სახელი, მამის სახელი, გვარი, მათი საცხოვრებელი ადგილი და ხელობა). მამა—ზაქარია პეტრესძე, გორის მაზრაში მღვდლადაა; ძმები—ნიკოლოზ, გიორგი, ალექსანდრე, ივანე—სად ცხოვრობენ, არ იცის, გარდა ნიკოლოზისა, რომელიც ცხოვრობს ს. ტყიავში, ხელობაც არ იცის. და—ქვრივი ანა, ქვრივი დავითაშვილი, ცხოვრობს სოფ. კარბს, გორის მაზრაში.

16. მშობლების ან მათი მაგივრების (ნათესავების) ზუსტი მისამართი არ იცის.

17. მშობლების ეკონომიური მდგომარეობა—მამა პენსიით ცხოვრობს.

18. აღზრდის ადგილი (აღინიშნოს, რომელ სასწავლებელში და რამდენ ხანს დაჰყო, რატომ მიატოვა თითოეული სასწავლებელი, როდის შევიდა და როდის გამოვიდა. 7 წლამდე მშობლებთან იყო, შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც დაჰყო 1881 წლიდან 1889 წლამდე. საიდანაც გადავიდა ტფილისის სემინარიაში და იქიდან გამოვიდა 1893 წ. გადავიდა რა კიევის სემინარიაში, რომელიც მიატოვა 1895 წ. ტფილისის სემინარიაში ვერ დაამთავრა რადგან არეულობიათვის გამორიცხეს. კიევისა კი ვერ დაამთავრა, რადგან პოლიტიკურ გამოძიებაში ჩაებეს.

19. ვისი ხარჯით სწავლობდა? —საკუთარი ხარჯით.

20. იყო თუ არა საზღვარგარეთ, როდის და რა მიზნით?, იყო შვეიცარიას, საფრანგეთს, ბელგიასა და გერმანიაში, ხოლო როდის, ამის თქმა არა სურს.

21. იყო თუ არა გამოძიებაში წინად?—იყო გამოძიებაში, რომელიც აღძრა კიევის გუბ. ჟანდარმთა სამმართველომ სასჯელთა დებულების 252 მ. ძალით. გაიგზავნა გორის მაზრაში ზედამხედველობის ქვეშ 2 წლის ვადით.

22. წინამდებარე გამოძიებაში ჩამბის საბუთი.—კაპრეკის შედეგები.

23. როდის დაიწყო გამოძიება.—1902 წ 3 სექტემბერს.

24. გამოძიების ადგილი.—ქ. ბაქო.

25. ადგილი და დრო გაჩხრეკისა და დაპატიმრებისა. 1902 წ. 2 სექტ., ბაქო.

26. პირველი დაკითხვის დრო.—1902 წ. 3. სექტემბერს.

27. რა აღმოჩნდა გაჩხრეკით?—მთავრობის საწინააღმდეგო ბროშურა, ორი სხვისი პასპორტი და ერთი სუფთა საპასპორტო ბლანკი, შავად ნა-

წერი პროექტი რკინის გზის მოსამსახურეთა შორის რევოლუციონური იდეების ქადაგების შესახებ, გაზეთ „ისკრა"-ს ნაგლეჯები, დაშიფრული წერილი სააგიტაციო ლიტერატურის გამოგზავნის შესახებ, შიფრები და ქაღალდის ნაგლეჯები, რომლებშიც აღნიშნულია აკრძალული გამოცემების ეგზემპლიარების რაოდენობა. ყველაფერი ეს გამოძიებაში მყოფმა თავისად მიიჩნია.

28. დადებული სასჯელი--ჩასმულია ბაქოს საპატიმროში.

ბაქოს საგუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოროშინი, № 2450, 1902 წ. 12 სექტ.

ამის შემდეგ 22 სექტემბერს ლადო კეცხოველი მოულოდნელად იგზავნება ტფილისში, და საგ. ჟანდმ. სამმართველო ღებულობს ასეთ დეპეშას: „ახლა გამოიგზავნა ტფილისში თქვენს განკარგულებაში კეცხოველი. ვინაიდან, აგენტურის ცნობებით, განზრახულია მისი განთავისუფლება, სადგურზე ყაზახებმა მიაცილეს.

„პოლკოვნიკი პოროშინი".

საპყრობილის რეჟიმმა არა თუ ვერ დაიმორჩილა ლადო კეცხოველი, ის შეეცადა ფეხქვეშ გაეთელა საპყრობილის რეჟიმი და წესები. ის აწარმოებდა მიწერ - მოწერას არა თუ საპყრობილეში— ტუსაღებს შორის, არამედ საპყრობილის გარეთაც—ამხანაგებთან და ახლობლებთან. ჩვენ აუცილებელ საჭიროდ მივიჩნეთ მოგვეყვანა აქ ორი მისი წერილი, რომელიც მოთავსებული იყო 1903 წელს რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირის მიერ გამოძებულ არალეგალურ წიგნაკში („ლადო კეცხოველი"), რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა. ორივე წერილს ლადო თავის ძმას სანდროს წერს. პირველი წერილი დაწერილია ოფიციალური ენით, ვინაიდან ჟანდარმების ხელში გახვლო, მეორე კი გამოგზავნილი იყო ფარულად და, მაშასადამე, უფრო თავისუფლად ნაწერია. ეს მეორე წერილი სავსებით ახასიათებს ამ თავგანწირულ რევოლუციონერს. „მხოლოდ თავის განწირვით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენს პიროებებში ადამიანური დამოკიდებულება იმათგან, ვისაც ხელში ჩაუბღუჯავს ჩვენი ბედის ნასკვი"—წერს ერთ ალაგას ლადო, და ეს იყო სწორედ წინაგრძნობა, რომელიც ისე ტრაგიკულად შესრულდა.

წერილი პირველი

ძმაო სანდრო!

ვიცი, არაფრად გესიამოვნება ჩემი ასეთი მდგომარეობა. კიდევაც! აბა რა სასიამოვნოა ციხეში ჯდომა? მაგრამ კაცმა რომ თქვას, დიდი ბედნიერებაც არ დამიტოვებია გარეთ. დიდი ხანია ჩემი ცხოვრება ყალბ ნიადაგზე შედგა. გასავალი არსაით მქონდა, ორში ერთი უნდა ამერჩია: ან სამუდამოდ მოვშორებოდი შეჩვეულ, შეყვარებულ ცას და მიწას, ან გამეგრძელებინა, სადამდინაც შეიძლებოდა თრევა, მღელვარება, ხშირად შიმშილი და უსახლკარობა, ოღონდ ახლო ვყოფილიყავ მასთან, რაც მიმაჩნდა საქმედ, წმინდად, სიყვარულად. ბედმა თუ შემთხვევამ გამიტანა დღემდე. შემდეგ თავი დამიკრა და ჩამაგდო მათ ხელში, ვისაც გაურბოდი. ნაღველი და დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი მუდამ კაცს თან დასდევს, რა პირობებშიაც უნდა იმყოფებოდეს. აქაც, რასაკვირველია, დანაკლისი არ მექნება არც ერთში და არც მეორეში, მაგრამ, ჭკუას თუ დავუხმობ, დიდი სადარდელი და საწალელელი არაფერია: მოხდა ის, რაც უნდა აუცილებლივ მომხდარიყო. გარედან ყოველთვის გაზვიადებულად გვეჩვენება ხოლმე ახლობელი კაცის მწუხარება თუ გაჭირვება. მერწმუნე, ადამიანი ყველაფერს ურიგდება და იტანს. ასე თუ ი'ე, გთხოვ დარწმუნდე, რომ ცუდად არ ვგრძნობ თავს და რომ ვიცოდე, რომ ჩემი მახლობლებიც იმდენადვე წუხდებიან (და არა მეტად) ჩემზე, ვინმემ თვითონ მე—მაშინ უფრო ჩინებულად ვიქნები ათასწილად. მოკლედ აი ჩემი ამბავი: ორ სექტემბერს დამიჭირეს ბაქოში. ჯერ იქ უნდოდათ საქმის წარმოება და იქაურ ციხეში ვიყავი, შემდეგ ტფილისში ამჯობინეს და აქ გადმომიყვანეს. რა შედეგი ექნება ამ საქმეს ჩემთვის, დანამდვილებით არ შემიძლია წარმოვიდგინო, ბევრად დამოკიდებულია გამოძიებაზე, რომელიც, ვინ იცის, როდის გათავდება! საზოგადოდ კი მგონია კარგა ნომრჯულავენ და დიდხანს მომაშორებენ აქაურობას. მაგრამ „მაინც უვარგისი იყო, ჯანაბას, თუ მომკვდარაო!“.. აქ ვიყავ, არავის რას გარგებდით, შორიდან ხომ მით უფრო.

აქაურ ციხეში, მგონი, კარგახანს ვიქნები და მოუხერხებლად არ მიმაჩნია ჩვენი ნახვა ხოლმე. თუ ხშირად გიხდება გორში ყოფნა და, რასაკვირველია, თავისუფალი დროც ხელს გიწყობს, შეიძლება მოეწყოს ასე: დილით ჩამოხვალ, შუადღის შემდეგ მნახავ და საღამოთი ისევ გორში ახვალ. მხოლოდ ეს კია, რომ პირველად ასე ადვილათ არ შეიძლება, რადგან საჭიროა ჟანდარმებისგან ნება აიღო. ისინი დაგინიშნავენ დროს და რა დღეს შეიძლება ციხეში თუ სხვაგან ჩემი ნახვა. მე ჯერ არა მქონია აქაურ ჟანდარმებთან ლაპარაკი და პირველსავე შემთხვევაზე გავიგებ, როგორ შეიძლება მოეწყოს და მაშინ შეგვატყობინებ. შეიძლება სულაც არ მოგვცენ ნება, ამათი ჭკუისაგან ესეც მოსალოდნელია. ამასწინად ნიკოს მივსწერე წერილი, თუ ნახო თხოვე ორიოდე სიტყვა მოიწეროს; შენც არ იზამ ურიგოს ღია წერილს მაინც გამოგზავნიდე. თუ მუახერხებ ჩამოსვლას, იქ.ებ რამე წიგნებიც მომაწოდო, მაგ. შექსპირი რუსულად, გინდ ქართულად. წიგნებს მიიტან ჟანდარმებთან, მხოლოდ არაფერი იყოს შიგ დაბლაჯნილ-დაწერილები, და ისინი გადმომცემენ. ჟურნალ-გაზეთების გადმოცემა არ შეიძლება, სხვა ყველაფერი. გავალებ კი ყველა ამას და ვინ იცის რა მდგომარეობაში ხარ? იქნებ შემომნატრი კიდეც, რომ ციხეში ვარ მოსვენებული!

სიყვარულით და პატივისცემით მომიკითხავ ძალუა ლიზას და მათიკოს. ხომ არ ავადმყოფობენ, ან ხომ არ ჩხუბობენ? ავადმყოფობისაგან ღმერთმა დაიფაროს ტ ჩხუბი—კაცის მოგონილია—ადვილი ასატანია. დიდ ბოდიშს ვიხდი, თუ ვისმეს მწუხარება ტ უსიამოვნობა მივაყენე ჩემი საქციელით და ვთხოვ, რომ ყურადღებასაც ნუ მიაქცევენ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობას. თუ შენგან მივიღებ სანუგეშო და სამაგიერო წერილს, შემდეგ ვრცლად და ყველასთან (ლიზას და მათიკოსთან) მივიწერები.

შენ ლადო კეცხოველი.

P. S. წიგნები და ფული ჟანდარმებით გადმომეცემა. საცვალი თუ ტანისამოსი ან ხილი შეიძლება პირდაპირ ციხეში მოიტანო, გადმოსცემ მეკარეს და ისინი მე რადგან გზად მიმავალი დამიჭირეს, თან არაფერი გამომყოლია. ცოტაოდენი საცვალი, ბალიში და პალტო ნაცნობისგან ვინათხოვრე. ძალუა ლიზას ვთხოვ, თუ რასაკვირველია თავის დარდს და ვარამს მოანარჩუნა, ჩემთვისაც ყურადღებას—ერთი ან ორი ზეწარი, ლურჯი ხალათი, შალვარი, ჩუსტები და, თუ სამძიმო არ იქნება, მსუმბუქი საბანი მომაწოდოს და რადგან სამაგიეროს გადახდა არ შემეძლება, დავპირდები, რომ გულმხურვალედ ვილოცავ მამა, ძეს და სული წმინდას მის საბედნიერო-საკეთილდღეოდ (მე შენ გითხრა, დრო არა მაქვს სალოცავად, ეგ არის, რომ საყდარში არ მიშვებენ და ხატს არ მაძლევენ, თორემ...). რომ დარწმუნებული ვიყვე აქედან მომიხდებოდეს გამოსვლა, ადრე თუ გვიან, არ შევაწუხებდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ აქედან პირდაპირ ციმბირისკენ მომიხდება წასვლა და ვამბობ აქედანვე შევუდგე თავდარიგს მეთქი. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ჩემი თხოვნა თქვენდამი დაბეჯითებული არ არის; თუ არავის მიაყენებს უსიამოვნებას კარგი, და თუ ჰო; არაფერი წახდება ამითაც. ცხოვრება იქ ცოტად თუ ბევრად რიგიანია, და გაუჭირვებლივ აიტანს კაცი. წიგნებს ძალიან გთხოვ და დაგიმადლებ. აი სია მოკლედ და შეძლებისდაგვარად მომაწოდე ხოლმე: 1) Шекспир (ყველა თხზულ. რუსულად), 2) Гете—Фауст (ტრაგ. იაფფას. გამ.), 3) Гейне (стихотворения, თუ ძვირი არ არის), 4) Самоучитель немец. яз. по методу Тусена (მგონია 3 მან. ღირს) თუ ის არ იყოს, ფრანგული, ან ინგლისური, 5) ნ. ბარათაშვილის ლექსები. ერთი სიტყვით, რაც მოახერხო... იყავ კეთილათა...

ლ. კ.

მეტეხის ციხე
2 ოქტ. 1902

წერილი მეოთხე

საყვარელო ძმაო სანდრო! წინდაწინვე მოვიხდი ბოდიშს, თუ რამე უსიამოვნება მოგადგება ამ წერილის „ამგვარად“ გამოგზავნით, მაგრამ იმისთანა მდგომარეობაში ვარ ეხლა, რომ მაინც ეს გზა ვამჯობინე; თან იმედი მაქვს, რომ კიდევაც რომ ხელში ჩაუვარდეთ ეს ბარათი, მიუხედავად იმათი პირწმინდა „დურაკობისა“, იმდენა მოფიქრება მაინც შერჩენიათ, რომ შინაარსის გაგება შეიძლონ და შინაარსი კი შენ არაფრად შეგეხება და თუ ყბები აჰქავდათ, მოვიდენ და მე „მესპორ.ონ“ წარმოდგენითაც გაგიძღლდება, თუ რამდენად

და რაგვარ მეზიზღებიან ეგ მყრალები. მინდა რამდენად თავიდან ავიცილო ის ვალდებული იშვიათი შეხვედრაც კი, რომელიც „საქმის“ გამო უნდა მომიხდეს ხოლმე მათთან. იმიტომ ავერიდე მათი საშუალებით წერილის გამოგზავნას. წერილის გამოგზავნა კი გადავსწყვიტე ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენი დარდი მაქვს: იმ დღეს ისე გულდაწყვეტილი გამშორდი, რომ მუდამ თვალწინ მიდგას შენი ტანჯვით სავსე სახე. ვინ იცის, შემდეგში რამდენად იტანჯები ჩემზე ფიქრით და შენს მდგომარეობაში რაღა ჩემზე ფიქრი და ტანჯვის მომატება გინდა, შე უბედურო! მეორედ, კალამი იმიტომ ავიღე ხელში, რომ მთლად გაბრუებული, გარეტიანებული ვარ, და წერას მაინც გადავაყოლებ გულს. მაშ დავიწყებ და ჯერ ჩემზე ვილაპარაკებ. მე გავათავე ვადა ამ ჯოჯოხეთური კარცერისა და ახლა ძველ პირობებში ვიმყოფები. ოთახი (საკანი) მშვენიერი მაქვს ციხის პირობებზე, ფანჯრებს ხომ კუბოები მოხსნეს და ისე სატანჯელი აღარ არის აქ ყოფნა, როგორც აქამდე იყო. რა გავლენას იქონიებს ჯანზე, უიმისოდაც გამოფიტულზე, შვიდი დღის იმ საზიზღარ ორმოში ჯდომა და ან იქონიებს თუ არა, ჯერ არ ვიცი. ეს კია მხოლოდ, რომ უკანასკნელი ხნის ამბებმა, ქალაქიდამ რაც მესმოდა, აქაურმა იმ შემთხვევის გამო არეულობამ და მითქმა-მოთქმამ, ზოგიერთი ამხანეგების საქციელმა და ნამეტნავად ციხის ადმინისტრაციის დამოკიდებულებამ მთლად დამიფუშა ნერვებია თუ რაღაც ოხრობა. ვიღარც სიბრაზე მომიხერხებია და დამშვიდება ხომ უფრო საით ეშმაკებიდან მოვა. იმ დღეს მკვახედ მოგახალე: სახარებიდან დამიწყებ ლაპარაკს მეთქი. გეწყინებოდა, რასაკვირველია, მაგრამ რა ვქნა, საყვარელო რომ ჩემს პირობებში ისეა დაყენებული საქმე, რომ ერთადერთი საშუალება გაქვს შენი გრძნობის და აზრის გამოსახატავად—ეს დააყენო „რისკზე“ მთლად შენი სიცოცხლე. მხოლოდ თავის განწირვით შეიძლება მოვიპოვოთ ჩვენს პირობებში ადამიანური დამოკიდებულება იმათგან, ვისაც ხელში ჩაუბლუჯავს ჩვენი ბედის ნასკვი.—მოითმინეო... მოთმინება კარგია, ადამიანის ღირსებაა, მაგრამ იქ, საცა კითხვა შეეხება ადამიანურ ღირსებას, უფლებას და გრძნობას—მოთმენა ან სილაჩრეა, ან შეუგნებლობა, ყოველ შემთხვევაში კი სამარცხვინო და ადამიანის გამათახსირებელი ხასიათია. სული ტკბილია, ყველას უნდა სიცოცხლე, მაგრამ თუ შეგიგინებენ შენს წმინდათა-წმინდას, გაგითელავენ ფეხ ქვეშ სულსაც და ყოველგვარ ადამიანურ ღირსებასაც, რაღათ გინდა ან სული და ან სიცოცხლე!? „ძალა ალმართსა ხნავსო“... არა სულიკო, ძალა არ ხნავს ალმართს; ალმართსაც ხნავს, მთა და ბარსაც ასწორებს მხოლოდ ჭეშმარიტება, და თუ დღეს ჭეშმარიტებას ღორები სჯიჯგნიან, თუ ისინი დღესასწაულობენ და კმაყოფილობით ღრუტუნებენ; თუ დინგები სიმართლის და ჭეშმარიტების სისხლით მოუთხუპნიათ და ღრიალებენ: „ჩვენ გავიმარჯვეთ! აღარ არის ქვეყნად მზე! გაუმარჯოს ბოსელსა და სანარწყალსაო!“, ნუ დაუჯერებთ. გამარჯვება მაგათი არ არის. მათ შეუძლი-

ათ გაიმარჯვონ ლადოზე, პეტრეზე და ივანეზე, მაგრამ ჭეშმარიტებაზე გამარჯვება კი ღორის საქმე არ არის, არც კერძო ადამიანის საქმეა, თუ ის თავდაპირველად ადამიანია. დაუვარდეს და თაყვანი სცეს ღორს, იმიტომ რომ იგი ლადოზე, პეტრეზე და ივანეზე ღონიერია. მსხვერპლი გახდება?... რა ვუყოთ, როცა აუცილებელია, არ უნდა მოერიდოს ადამიანი მსხვერპლს, თუნდაც მომავალი დიდებასაც ეჭადდეს ეჰ! სიტყვა გაგიგრძელე. სათქმელი ისა მქონდა შენთვის, რომ დარდადა და ჭირად ნუ გაიხდი, თუ ვინმე შენი მახლობელი მსხვერპლად შეეწირება ჭეშმარიტებას: სანაღვლელი არა არის რა. მუდამ ისე უყურებდე ცხოვრებას, როგორც მღელვარე ზღვას, კერძო ადამიანი კი ზღვის წვეთია, რომელიც შეიძლება ამართულმა ტალღამ შესთხლიშოს ზღუდეს, წინწკლად აქციოს, მტერს შენარცხშეაჭეჭყოს. ასე, ჩემო საყვარელო. ვინ იქნება ეს წინწკალი,—ლადო, პეტრე თუ ივანე, ჩემი აზრით, ერთი უნდა იყვეს. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ როდესაც ტალღა ეტაკება თავის შემზღუდავ კლდეს, ნაშხეფები უეჭველად იკარგებიან და ეჭიჭყებიან მტერს.

ზემოდ ნათქვამს კიდევ იმას დავუმატებ, რომ თავის გაწირვა, მსხვერპლი ჩვენს დროში და პირობებში საჭირო და აუცილებელია არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც, როგორც იტყვიან— თავს ზევით ძალა აღარ არისო. უბედურობაც ის არის, რომ სულ მცირეოდენი მიზეზია საკმაო, კაცმა თავი შეაკლას იმ უგნურს და არევ-დარეულ პირობებში, დღევანდელ წყობილებას რომ უძახიან.

ერთი სიტყვით, შეურიგდი, საყვარელო, ჩემს მდგომარეობას, თუმცა ვიცი, რომ შენთვის ტანჯვაა და მწარე ტანჯვაც. გადაიწყვიტე ერთხელ და სამუდამოდ ჩემზე აზრი და მეტს სასოწარკვეთილებას ნუღარ მიეცემი. აბა რალა რწმუნია და ფიცი გინდა ჩემი მხრივ, რომ შემეძლოს შენი მცირეოდენი სურვილის ასრულება, მზადა ვარ მთელი ჩემი არსებით შევეჭიდო წინააღმდეგობას; მაგრამ, ასე თუ ისე, იცი ჩემი გარემოება. იცი, რომ აღარა მაქვს უკან გამოსასვლელი გზა და კიდევაც რომ მქონდეს, დარწმუნებული ვარ, ეხლანდელ დროში შენვე პირველი შემაფურთხებ, თუ გაფიქრებითაც კი გავიფიქრე უკან დახევა და ჩემი აქამომდე წმინდათა-წმინდის გადაქცევა. მაშ ბრძოლა! ბრძოლა!... და თუ ამ ბრძოლაში წავიქეცი, ნუ იდარდებ: ყოველი საქმე, და მით უმეტეს თავისუფლება, მსხვერპლსა თხოულობს... но где, скажи когда без жертв искуплена свобода?!...

საქმე, როგორც იცი, არ გათავებულა. ჯერ კიდევ პროკურორი სჯიჯგნის, შემდეგ მთავარმართებელს გადაეცემა და ბოლოს სამინისტროში გადავა. ხანი ბევრი გაივლის, სანამ გადაწყვეტილებაგანაჩენს მივიღებდე. ვერ წარმოიდგენ, რა უგუნურად წაიყვანეს აქაურმა ჟანდარმებმა საქმე. სულ ყოველი მხრიდგან გამორკვეული და გამოაშკარავებული საქმე ისევ აურ-დაურიეს, ისე გააფართოვეს. რომ თვით ეშმაკიც კი მოიტეხს ახლა ფეხს. აუარებელი ხალხის ჩვენებით, ყალბი წერილებით და საბუთებით ისე გაზარდეს, რომ მისი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა ყოველ ინსტანციაში კარგა ბლომა დროს მოითხოვს. მე მაინცა და მაინც არა მაქვს სანაღვლელად ასე გაჭიანურება. თუ ჯანი შემყვა საქმის დათავებამდე, ხომ კარგი, და თუ არა სიკვდილს მაინც დაუსვამ „ოთუზ ბირად".

ქალაქი წყნარდება—ეს შენ უკეთ გეცოდინება—ეხლა დათარეშობს მთავრობა და აქამდე კუდმომწვარი, დამფრთხალი და დაძალული—ჯავრს ყრილობს: ატყვევებს აუარებელს ხალხს. ყაზახებმა ხომ აიკლეს მთელი თბილისი. აქედანაც კი ჩანს მათი ვაჟკაცობა ხოლმე.

აქაურ ცხოვრებაზე რაღა მოგწერო. ერთგვარობა, ერთფერობა... ცოტაოდენი სხვადასხვაობა შემოაქვს ხალხის მოყვანას და გაშვებას, მაგრამ ესეც მოსწყინდება კაცს. ხათაბალა ის არის, რომ აქამდე არავის მიერთებენ კამერაში. ჩვეულებრივ 3—6 თვის შემდეგ აერთებენ ხოლმე რამდენიმე კაცს და ცოტაოდნად უადვილდება ცხოვრება და ყოფა-ცხოვრება ამხანაგობაში. ეჰ! ძამიკო! უნდა შევწყვიტო წერა, ან რა დროს წერაა!... რა უბედურებაა! რა უბედურება მომტაცეს, ბიჭო, ამხანაგები!... მომტაცეს ნამდვილ ქორივით. წუხელ გამოუცხადეს ექვს კაცს გადაწყვეტილება, რომ ოთხ-ოთხი წლით იგზავნებით აღმოსავლეთ ციმბირშიო. დღეს ათ საათზე გაიტაცეს მოუმზადებლები, მშობლებ-ნათესავებისაგან გამოუტირებელნი. ზოგნი უტანისამოსოდ, ისე, პერანგისამარა... ღმერთო! ღმერთო! განა წარმოიდგენს კაცი ამ უბედურებას!?

სულ კი იმიტომ დასჭირდათ ეს ავაზაკობა, რომ არავინ გაიგოს ქალაქში და არ გააცილონო. ოოხ! განა... მაგრამ რაღა „განა" მგლისაგან კრავი ვის უნახავს? მეტს რას მოველოდები მხეცისგან. ვაი ჩემს ყოფას, აღარ მყვანან ჩემი მარგალიტები!...

შენი ლადო

წერა ამ წერილისა დიდი ხანია დავიწყე, შემდეგ გადავიფიქრე გამოგზავნა და ეხლა აი მოვათავე და გიგზავნი. ეხლა მთლად ობლად დავრჩი. ვინც კი სხედან ეხლა, ამათ მალე გამოუშვებენ და კიდეც რო არ გამოუშვან: სულ სხანაირი ყალიბის ხალხნი არიან. ასე რომ ჩემ გულის წვას და ტანჯვას წაგლეჯილ ამხანაგებზე—სამზღვარი არა აქვს. მაგრამ, რომ გამახსენდება ცალკე იმ ბიჭების ტანჯვა ისე ანაზდეულად გატაცებით, ცალკე იმათი მშობლების ვარამი—ჩემი ტანჯვა რაღა სახსენებელია მათთან...

ნუ დამემდურები, თუ ძმა ხარ. მინდოდა ვრცელი წერილი მომეწერა, შენს გარემოებაზე მელაპარაკა, მაგრამ მთლად დაბნეული ვარ გონებითაც და გრძნობითაც. საკვლაოდ დარჩეს,

დიდ ბოდიშს ვიხდი კიდევ ამ წერილის გამოგზავნისთვის, მაგრამ სრული იმედი მაქვს გულგრილად შეხედავ ჩემს ბოდვას და მიანებებ მკვდრების მარხვას მკვდრებსავე. სიყვარულით და პატივისცემით ყველას ჩემი მოკითხვა და ყოველი კეთილის სურვა.

შენი ლადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ უნდა ეჭიროს თავი ტუსაღობის დროს ნამდვილ რევოლუციონერს, თუ რა ენით უნდა ელაპარაკებოდეს ის ჟანდარმერიას, ამისი შეუდარებელ მაგალითს იძლევა ლადო კეცხოველი. აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის სახელზე ლადოს მიერ დაწერილი „თხოვნა," რომელიც მისი დაუმორჩილებლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს: „ვთხოვ ბ-ნ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს მაცნობოს: ვიქნები თუ არა მე დაკითხული, ან როდის? თუ ბ-ნი უფროსი დაინახავს საჭიროდ ჩემს დაკითხვას, შეაძლებელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნ-თ გთხოვთ—დაკითხვის დროს ხელთ იქონიოთ ყველა ის საბუთი, რომლებიც დაკავებული იყო ენუქიძის ბინაზე, როგორც ჩემი დაჭერის დროს, აგრეთვე ბაქრაძისა და ენუქის დაპატიმრების დროს, აგრეთვე ის საბუთებიც, რომლებიც ნახეს ჩემთან, აგრეთვე აჯი-ქაბულში დაჭერილი შრიფტის ნატვიფრი.

ამასთანავე ვითხოვ ბ-ნ ჟანდარმთა სამართველოს უფროსს მაცნობოს აკრძალული მაქვს თუ არა ნათესაეების ნახვა; თუ აკრძალული მაქვს, რით იყო გამოწვეული ამგვარი ეანკარგულება? რათ არ გამოუშვეს, ან რათ არ ჩამაბარეს დღემდე შექსპირის თხზულებები ქართულ ენაზე, რომელიც ჩემმა ძმამ დასტოვა ჩემზე გადმოსაცემად, ნახვის დროს, როტმისტრ რუნიჩის (სიტყვიერი) თანხმობით. ბ-ნ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ხომ არ სცხობს საჭიროდ დააკმაყოფილოს ჩემი თხოვნა: არ უფლებით არ უშვებენ შემდეგ წიგნებს: „კაპიტალს"-კ. მარქსის თხზულებას, „სოციალიზმის პრობლემებს" ე. ბერშტეინის თხზულებას, „საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას", რამბოსი და ლავისის (რუსულ ენაზეა ყველა) და დაინახავს თუ არა ბ-ნი უფროსი შესაძლებლად, რომ მომეცეს ამ წიგნებით სარგებლობის უფლება.

ვ. კეცხოველი".
1903 წლის 2 იანვარი

აღნიშნული წიგნების შესახებ მთელი მიწერ მოწერა იყო გამართული 3-4 თვის წინად, ჟანდარმთა სამმართველოს და სამოსამართლო პალატას შორის. 1902 წელს 27 სექტემბერს, № 1207, ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი უგზავნის აღნიშნულ წიგნებს ტფ. ჟანდ. სამმ. უფროსს და სთხოვს განკაგრულებას წიგნების შესამოწმებლად და შემდეგ პოლიტ. ტუსაღ. ვ. კეცხოველისა თვის გადასაცემად „თუ ამისათვის არავითარი დაბრკოლება არ იქნება", იმავე წლის 7 ოქტომბერს, № 5341, ჟანდ. სამართ. უფროსი გენერალ-მაიორი დებილი, უბრუნებს რა წიგნებს უკან, ატყობინებს, რომ წიგნები არ გადაეცემა, როგორც არჩეული, შინაარსის დაკავშირებით, კეცხოველის პოლიტიკურ მიმართულებასთან, რომელიც გამოარკვია ჩემდამი რწმუნებულმა სამმართველომო. ლადო კეცხოველი დააპატიმრეს, როგორც უმთავრესი ორგანიზატორი რევოლუციონური თანასაზოგადოების და საიდუმლო სტაბის, რომელმაც გამუშავა, როგორც ეს გამორკვეულია ჟანდარმერიის მიერ „50-60 სხვადასხვა გვარი პროკლამაცია და სხვ. რევოლუციონური ნაწარმოები, რომელიც მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის ჩამოგდებისაკენ. კეცხოველის ხელმძღვანელობით გამოვებული იყო რამდენიმე პროკლამაცია ჯარისადმი, ეს პროკლამაციები ჯარში, როგორც გამორკვეული იყო, ფართოდ გავრცელდა და ამის გამო შემდეგ რამდენიმე ცალკეული კვლვა-ძიება მოხდა და მრავალი პირი იყო პასუხისგებაში მიცემული".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის ჟანდარმ. სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი დებილი და როტმისტრი რუნიჩი 1902 წლის 19 დეკემბერს, № 6869, ატყობინებენ პოლიციის დეპარტამენტს, რომ „ჩვენების მიცემის დროს კეცხოველი გამოტყდა იმაში რომ გამოსული პროკლამაციების უმრავლესობა დაბეჭდილია მის მიერ მოწყობილ საიდუმლო სტაბაში, მაგრამ ამ საქმეზე ყოველგვარი სხვა ჩვენების მოცემის შესახებ საკვლევით უარი განაცხადა".

როგორც ტფილ. ჟანდ. სამმართვ. უფროსის სახელზე წარდგენილ მოხსენებიდან ჩანს, პატიმრობის დროს ლადოს საკანის გიჩხერეკისას ნახეს მაგიდაზე მის წიგნებში სხვათა შორის რუსული რევოლუციონური ლექსი „ახალი მარსელიეზა", რომელშიც ყურადღებას იპყრობდა განსაკუთრებით შემდეგი ადგილი:.

„В стране подавленной бесправьем.
Вам слышно-ль, близок ураган.
То в смертный бой с самодержавьем,
Вступает русский великан...

ზემოაღნიშნულის გამო დაკითხულ იქნა კეცხოველი, რომელმაც განაცხადა, რომ ლექსი „მარსელიეზა" დაწერილია მისი მიერ ჯერ კიდევ თავისუფლად ყოფნის დროს და შემთხვევით შემოტანილია საპყრობილეში მის მიერვე".

ამბ. ლადო კეცხოველი ბაქოში ცხოვრობდა დავით იოსებისძე დემეტრაშვილის პარსპორტით. დატუსაღების დროს, გარდა დემეტრაშვილის პასპორტისა, მას აღმოაჩნდა, როგორც ჟანდარმთა მასალებიდან ჩანს, ლადო პასპორტის წიგნაკი № 13 ელისავეტპოლის ქალაქის პოლიციიდან გაცემული 897 წლის 12 მარტს აზნაურ ნიკოლოზ აბრამისძე მელიქოვის სახელზე და იმავე მელიქოვის სახელზე ელისავეტპოლის გუბერნიის გათავების მოწმობა, № 726, 1892 წლის 7 ივნისიდან და ერთიც საზღვარგარეთის პასპორტი ბელგიელის ალფრედ ტეოდორე იოსების სახელზე, ერთიც პასპორტის დაწერილი ბლანკი, წყლის ნიშნებით, რუსეთის სახელმწიფო ღერბით, 1899 წელს.

1903 წლის 5 ივლისს შეტეხის ციხეში პოლიტიკურმა პატიმრებმა „არეულობა" მოახდინეს, რასაც ხელმძღვანელობდენ ლადო კეცხოველი და ზაქარია ჩოდრიშვილი. კეცხოველი თავისი საკანიდან ყვირილით მოითხოვდა ციხის ზედამხედველის მიერ ერთ-ერთ ტუსაღზე დადებული სასჯელის მოხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა არეულობის მოხდენას. 15 ივლისის ნაშუადღევის 2 საათზე კი კეცხოველი ცდილობდა თავისი საკანის კარების ჩამტვრევას, პირველად ჩამოღებული ფანჯრის ნახევარი ჩარჩოს საშვალებით (ფანჯარა გუშაგისაკენ გადიოდა), შემდეგ ეს ჩარჩო კარს მიალეწა ხის ტაბურეტით, რომელიც აგრეთვე ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ფანჯრის ჩარჩოს მეორე ნახევარში, რომელიც ანჯამაზე ეკიდა, ყველა მინა იყო ჩამტვრეული.

არეულობის მონაწილენი შემდეგნაირად დასაჯეს: ზაქარია ჩოდრიშვილი და ვლადიმერ კეცხოველი ბნელ დილეგში ჩააგდეს შვიდ-შვიდი დღით, საჭმლის შემცირებით. არჩილ დოლიძეს და ვიტალი ბლოკს ქვეშაგები არ მისცეს, მოუსპეს ცხელი საჭმელი, სეირნობა და წიგნების კითხვა, სამ-სამი დღით თითეულს; კლავდია ფრანჩესკის წაართვეს მიწერ-მოწერის, ნახვის, სეირნობის და წიგნების კითხვის უფლება ერთი კვირის ვადით. ამასთანავე საერთო საკანიდან № 13 ცალკე საკნებში გადაიყვანეს: ფრანჩესკი, კალისტრატე გოგუა და კურნეტოვსკი, როგორც ცუდად მოქმედნი დანარჩენ პატიმრებაზე. როდესაც ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებულ განკარგულებას ასრულებდენ, ჩოდრიშვილი პირველულობდა და ყვირო-
და, რომ არავის არა აქვს უფლება ის ასე დასაჯოს; ბლოკმა, როდესაც მას
წაართვეს ქვეშაგები და წიგნები, ითხოვა, რომ მის საკანში ჩამოეხსნათ
ფანჯრის ჩარჩოებიც, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევში იგი მას ჩაამტვრევს; დო-
ლიძეს არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა ქვეშაგების დანებება. როდესაც დო-
ლიძემ ხელი გაუშვა ქვეშაგებს, დაიწყო ყვირილი: ეს ხელისუფლება კი არაა,
ბარბაროსები, ავაზაკები გათახსირებულები არიანო და სხვა. კლავდია ფრანჩე-
სკიმ, რომელსაც გამოუცხადეს, თუ როგორი დისციპლინარული სასჯელი დაე-
დო მას და საერთო კორპუსიდან გადაიყვანეს საავადმყოფოს ცალკე საკანში, განა-
ცხადა, რომ ამიერიდან იგი სავსებით ყველაფერში თანაუგრძნობს თავის მოძმეებს.

ამის შემდეგ გადის ერთი თვე, და სწორედ 1903 წლის 17 აგვისტოს ლადო
კეცხოველი, ეს უბადლო რევოლუციონერი, უსაზიზღრესი მთავრობის საზი-
ზღარი მონის — ციხის გუშაგის — ტყვიით განგმირული ვარდება თავის საკანში.

მოკვდა ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი მუშათა კლასის განთავისუფლე-
ბისათვის. რევოლუციონურ ცეცხლში ნაწრთობმა, გმირული ნებისყოფით და საუ-
კეთესო იდეალებით აღვსილმა ლადოს მოუსვენარმა გულმა შესწყვიტა ფეთქა.
მოისვენა თბილისის ჟანდარმერიამ და მეტეხის ადმინისტრაციამ.

სამაგიეროდ ამ საშინელმა ფაქტმა აღაშფოთა საქართველოს და მთელი
ამიერკავკასიის მუშათა კლასი და ჩვენი პარტიული ორგანიზაციები.

ლადოს სიკვდილის გამო თითქმის ყველა ორგანიზაციამ გამოსცა პროკ-
ლამაციები, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ მოვიყვანოთ აქ ტფილისის და ბაქოს კომიტეტე-
ბის და რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაციები,
რათა ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს შეძლება მიეცეს სავსებით გაიცნონ ის
შთაბეჭდილება, რომელიც ლადო კეცხოველის დაღუპვამ მოახდინა ყველაზე და
ის დიდი დანაკლისი, რომელიც ლადოს დაკარგვით ჩვენმა პარტიამ იგემა.

ტფილისის კომიტეტის პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„ამხანაგებო!

კვირას, დილის $10^1/_2$ საათზე მეტეხის ციხის დახურულ საკანში ტყვიით
მოჰკლეს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის დაუღალავი მებრ-
ძოლი ლადო კეცხოველი. ახალგაზრდობიდან უკანასკნელ ამოსუნთ-
ქვამდე იგი იბრძოდა ადამიანის უწმინდესი უფლებისათვის და პრო-
ტესტს უცხადებდა ყოველგვარ თვინებობას და ძალადობას. ვერც
საპყრობილის კედლებმა და ვერც დილეგმა ვერ დაასუსტა მისი ენ-
ერგია. ყოველდღე გაისმოდა მისი ხმა: „ძირს თვითპყრობელობა, გა-
უმარჯოს რესპუბლიკას და სოციალიზმს“.

პონსპირატიულ მოსაზრებათა გამო, ჩვენ იძულებული ვართ
გავჩუმდეთ უდიდესი რევოლუციონური საქმეების შესახებ, რომელთა
სული და გული ის იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას მიიღო მან
მონაწილეობა სემენარიის აჯანყებაში, 1893 წელს, რისთვისაც იგი
გამორიცხეს. შემდეგ ის მიდის კიევის სემინარიაში, მაგრამ მალე იჭ-
ერენ. 1897 წელს მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო კავკასიის მუ-
შათა მოძრაობაში, ტფილისში მოაწყო ტრამვაის მუშათა პირველი
გაფიცვა, მაგრამ იგი გასცა ერთმა კონდუქტორმა და მას შემდეგ არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგალურ მუშაობაზე გადავიდა. ის მიდის ბაქოში და სხვებთან ერთად აარსებს ბაქოს ორგანიზაციას. იგი შემთხვევით დაიჭირეს ბაქოში წარსული წლის შემოდგომაზე.

მარადიული იყოს შენი ხსოვნა, ხალხის თავისუფლებისათვის სახელოვანო მებრძოლო.

ამხანაგებო, ნუ დავტოვებთ ამ ალმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას უპროტესტოდ.

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ძირს კაპიტალისტები!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ტფილისის კომიტეტი"

ამხ. კეცხოველის კიდევ უფრო დაწვრილებითი დახასიათება ეკუთვნის ბაქოს კომიტეტს, რომელმაც ეპიგრაფად აიღო:

„О, смелый сокол, в борьбе
С врагом истек ты кровью";

შემდეგ პროკლამაციაში ნათქვამია:

„ტფილისის საპყრობილეში ტყვეით მოჰკლეს ვლადიმერ კეცხოველი (ლადო). დაწვრილებითი ცნობები ამ საზიზღარი მკვლელობის შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს. მოკლულის სახით ჩვენმა პარტიამ დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი და მხურვალე მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის.

„ვლადიმერი მებრძოლთა რიგებში მეტად მძიმე დროს შევიდა, როდესაც მთელ მუშათა კლასს ისე ეძინა, თითქმის არ გაიღვიძებსო, და მთავრობასთან ბრძოლას აწარმოებდენ თითო-ოროლა მუშები და ინტელიგენტები. ეს იყო ათი წლის წინად, ვლადიმერი გამორიცხეს ტფილისის სემინარიიდან არეულობაში მონაწილეობის მიღების გამო. ის წავიდა რუსეთში, სადაც დაჰყო ორ წლამდე. ამ ხანებში მტკიცედ ჩამოყალიბდა ვლადიმერის გონებრივი მიმართულება: ბრძოლა, დაუზოგავი ბრძოლა საზიზღარი თვითმპყრობელობის თვითნებობის წინააღმდეგ. მუშათაპირველმა შეტაკებებმა მთავრობასა და კაპიტალისტებთან სიხარულით ააძგერა იმის გული. მასში მას ესმოდა გრგვინვა მოახლოებული ქარიშხლისა, რომელიც წალეკავს ადამიანთა უუფლებობას და ძალადობას

„და ის მიისწრაფოდა სამშობლოში, სადაც ესოდენ საჭირო იყვნენ მებრძოლნი, სადაც საჭირო იყო რწმენის გაღვიძება, რომ მალე დაიმსხვრევა ჩაგვრა და მონობის ბორკილები.

„ტფილისმა იგი გაახარა, ერთი მუჭა მომუშავე ინტელიგენტების მაგიერ, რომელიც მან დასტოვა, გაჩენილიყო ასი და ათასი შეუდრეკელი მებრძოლი მუშათა კლასიდან. მცირერიცხოვანი მშიშარა ჯგუფების მაგიერ, რომელნიც იკრიბებოდენ შუაღამისას ტფილისის ბნელ ქუჩებში, მან დაინახა მუშათა დიდი რაზმები, რომლებიც თამამად და დროშებით ხელში ფართო ქუჩებსა და მოედნებზე მოით-

ხოვდენ ადამიანურ ცხოვრებას. თავისი კეთილშობილური და მებრძოლი ბუნების მთელი აღგზნებით შეუდგა ვლადიმერი წმინდა და დიდი ბრძოლის საქმეს, მაგრამ იგი მალე შეამჩნიეს და იძულებული გახდა არალეგალურად, სხვის გვარზე, ეცხოვრა. ხუთი წელი გაატარა მან ამგვარად კავკასიაში, სხვადასხვა გვარით ცხოვრობდა ხან ტფილისში, ხან ბათომში და ხან რომელიმე მივარდნილ სოფელში. ამ ხნის განმავლობაში მან არ იცოდა რა იყო პირადი ცხოვრება, არ იცოდა დაღლა და დასვენება. ეს დრო ვლადიმერმა (ანუ ლადომ, როგორც ეძახდენ) საშინელ შრომაში და მუშათა ინტერესებისათვის დაუღალავ ბრძოლაში გაატარა. ის ხან მუშათა წრეში მუშაობს, ხან აწყობს ტფილისში მუშათა დიდ გაფიცვას, ხან სადმე ოზურგეთის მაზრის სოფლებში მოუწოდებს გლეხებს მოიცილონ ბატონების დესპოტიზმის უღელი და შეუერთდენ მებრძოლ პროლეტარიატს, ხან დღედაღამე განუწყვეტლივ მუშაობს, აუტანელ პირობებში, სტამბის დაზგაზე, და ბეჭდავს წიგნებს მუშებისა და გლეხებისათვის.

„ამხანაგებო, ჩვენ შეგვეძლო ბევრი რამ გვეთქვა ამ კეთილშობილი მებრძოლის გასაოცარი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ უკეთეს პირობებამდე უნდა გადავდოთ ეს, ძალიან ბევრი პირი და ინტერესია გადახლართული მის პიროვნებასთან და დაწვრილებითი ამბავი მისი ცხოვრების შესახებ ხელს შეუშლიდა იმ საქმეს, რომელსაც შესწირა ლადომ თავისი სიცოცხლე.

„მაგრამ ერთი მაინც უნდა გითხრათ: ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი გამბედავი და ძლიერი მუშაკი, ადამიანი, რომელმაც ძვირფას საქმეს შესწირა ყველაფერი, რის შეწირვაც კი შეუძლია ადამიანს — თავისი ბედნიერება, თავისი ძალ-ღონე, თავისი სიცოცხლე.

„და საუკეთესო ჯილდო და ძეგლი ასეთ მებრძოლთათვის იქნება სასტიკი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან, რომელმაც ისინი მოჰკლა, იმ ველურ ძალადობასთან, რომელიც საუკეთესო მეგობრებს გვართმევს.

„ჩვენ იმედი გვაქვს, ამხანაგებო, რომ მოკლული მეგობრის ხსოვნა მტკიცე და ხანგრძლივი იქნება ჩვენს მეხსიერებაში, და ეს უფრო გააძლიერებს ჩვენს რწმენას, რომ მოახლოებულია ჩვენი საქმის გამარჯვება, ჩვენს რწმენას, რომ ყოველი დიდი მებრძოლის სიკვდილით ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით სასურველ მიზანს.

ძირს ჯალათები და ინკვიზიტორები!

ძირს თვითმპყრობელობა!

კავკასიის სოც-დემ. მუშათა კავშირის ბაქოს კომიტეტი".

26/8-03 წ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდხანს ვერ გამოარკვიეს ამხ. კეცხოველის მოკვლის ნამდვილი სურათი. პირველ ხანებში ეს მკვლელობა უბედურ შემთხვევად მიაჩნდათ. ამ მკვლელობის ცალკეული მომენტების თანმიმდევრობა, როგორც ჩანს, ასეთია: კეცხოველი მივიდა საკანის ფანჯარასთან და არ მოშორდა მას, მიუხედავად გუშაგის გაფრთხილებისა; გუშაგმა თოფი ესროლა, და კეცხოველი წაიქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს საქმე მკვლელობის ხანებში. მაგრამ, როგორც ეს ქვემომოყვანილი საბუთებიდან ჩანს, სულ სხვაგვარად ყოფილა ამ ბოროტმოქმედების საქმე; ეს საბუთი მთლად ერთიან არღვევს წინანდელ მარტივ შეხედულებას ამ საქმეზე. ამ საბუთს ხელს აწერს ბევრისათვის კარგად ცნობილი ჟანდარმის როტმისტრი რუნიჩი (შემდგომ მოჰკლეს იგი) და ამხ. კეცხოველს ახასიათებს, როგორც, ჟანდარმერიის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საშიშ რეოლუციონერს. რუნიჩს ეშინია: „თუ კეცხოველის წინააღმდეგ არ იქნება მიღებული განსაკუთრებული გამაფრთხილებელი ზომები, შესაძლებელია მისი გადასახლება ვერ მოვახერხოთ: ის გაიქცევა საზღვარგარეთ და მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებით ბევრ ზიანს მოგვიტანსო“. ჟანდარმების აზრით, კეცხოველმა სწორედ ამ მიზნით აღძრა შუამდგომლობა განთავისუფლების და იმ ადგილზე წინასწარი გადაგზავნის შესახებ, რომელიც განაჩენით იყო დანიშნული.

ამ საბუთების შედგენიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ მოკლეს ამხ. კეცხოველი. საზიზღარი მკვლელობა, ცხადია, წინასწარ იყო მოფიქრებული და ხელოვნურად მოწყობილი ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ.

ამ ამ საბუთის შინაარსი:

„საიდუმლოდ“.

ს. თ. 510

„ამ მიმოწერის წარდგენასთან ერთად ვაცნობებ მის მაღალკეთილშობილებას ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ბ. ნ უფროსს, რომ ბრალდებული ვლადიმერ კეცხოველის შესახებ, გარდა პოლიციის დეპარტამენტისათვის 1903 წლის 31 მაისს № 6105 წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულ ქმედობის ჩადენისა, ჩვენ მიერ მოხდენილი კვლევა-ძიებით გამოაშკარავებულია აგრეთვე, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი საიდუმლო სტამბისა, სადაც იბეჭდება თითქმის ყველა პროკლამაცია და სხვა რევოლუციონური გამოცემები, რომელიც ვრცელდებოდა კეცხოველის დაპატიმრებამდე, ე. ი. 1902 წლის სექტემბრამდე, სხვადასხვა დროს ტფილისის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიის რაიონებში. იმავე კვლევა-ძიებით გამოაშკარავებულია, რომ კეცხოველი სხვა ბრალდებულებთან ერთად თავის საიდუმლო სტამბაში ბეჭდავდა ჯარებისადმი პროკლამაციებს, რომელთაც მიზნად ჰქონდათ ჯარები მოეწოდებიათ დაუმორჩილებლობისა და აშკარა აჯანყებისაკენ. ეს პროკლამაციები, როგორც გამორკვეულია, ფართოდ ვრცელდებოდა ტფილისთან მდგომ ჯარში, რომელიც თითქმის ასიათას კაცს უდრიდა და რომელიც მეფის ოჯახის წევრებს უნდა დაეთვალიერებიათ 1901 წლის სექტემბრის დამლევს საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეს გამო. ჯარში პროკლამაციების გავრცელებამ გამოიწვია რამდენიმე კვლევაძიება ამ საქმის შესახებ.

ამას გარდა, ამავე კვლევა-ძიებიდან ჩანს, რომ ვლადიმერ კეცხოველს ორ წელზე მეტ ხანს ეძებდენ, როგორც სამხედრო ბეგარისაგან დამალულს და აგრეთვე ეძებდა პოლიციის დეპარტამენტი, როგორც სხვა პოლიტიკურ საქმეზე დასაპატიმრებელს; მაგრამ კეცხოველმა ისარგებლა თავისი ფართო რევოლუციონური კავშირით და ნაცნობობით და შესძლო სხვისი გვარებით და ყალბი პასპორტებით მისი ძებნის დროს რამდენჯერმე გადასულიყო სრულიად დაუსჯელად რუსეთის საზღვარზე და აღნიშნული დროის განმავლობაში ფარულად ეც-

ხოვრა ისეთ შედარებით დიდ ცენტრებში, როგორიცაა ტფილისი და ბაქო. აქ მან მოაწყო ისეთი რთული და სახიფათო საქმე, როგორიც არის საიდუმელო სტამბა, რომელიც თითქმის ორ წელიწადს არსებობდა და, როგორც გამორკვეულია, დიდი თანხა დაჯდა, რომელიც სხვადასხვა პარისაგან შეკრიბეს.

გაცნობებთ რა ყველაფერ ამას, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ, თუმცა კეცხოველის წინასწარი გადასახლება ერთ-ერთ შორეულ ადგილას კვლევა-ძიების საბოლოდ გამორკვევამდე სასურველია, სასარგებლო იქნებოდა, კეცხოველის პიროვნების უზრუნველსაყოფად, რადგან კვლევა-ძიებით გამორკვეულია კეცხოველის მნიშვნელობა რევოლუციონური მოძრაობისათვის, რომ გადასახლების დროს კეცხოველის წინააღმდეგ მიღებული ყოფილიყო რაიმე განსაკუთრებული ზომები, რადგან კეცხოველი, როგორც კი განთავისუფლდება, პირველ შესაძლებლობისთანავე გაიქცევა საზღვარგარეთ და მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებებით ბევრ ზიანს მოიტანს, რა მიზნითაც, როგორც ჩანს კეცხოველმა აღძრა შუამდგომლობა პატიმრობისაგან განთავისუფლებისა და იმ ადგილზე წინასწარ გიდასახლების შესახებ, რომელიც დანიშნულია განაჩენით".

რუნიჩი

1903 წ. 10 აგვისტო. ტფილისი.

ამხ. ლადო კეცხოველის სიკვდილით ბოლშევიკთა რიგებს ჩამოშორდა არაჩვეულებრივი რევოლუციონერი—პრაქტიკოსი. როტმისტრი რუნიჩის თქმით, ის „მომავალში თავისი უკიდურესი შეხედულებებით ბევრ ზიანს მოუტანდა თვითმპყრობელობას" და, მაშასადამე, უდიდეს სარგებლობას რევოლუციის და სოციალიზმის საქმეს.

მას არ დასცალდა მოსწრებოდა 1905 წლის რევოლუციონური ქარიშხლის ამოვარდნას. ის ვერ მოესწრო თავისი თვალით ენახა, ოქტომბრის რევოლუციის დროს, თუ როგორ „ჩაჰკრეს მტერს ხანჯალი და გადაუტრიალეს გულლვიძლში". ლადო რომ ჩვენს დროს მოსწრებოდა, ეჭვი არ არის, ის იქნებოდა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთი ბელადთაგანი.

ბ. ბიბინეიშვილი

მხატვრული მწერლობის განვითარებას გეგმიანი ხელმძღვანელობა სჭირდება

ჩვენი პლენუმი*) ახალი ლიტერატურული წლის დასაწყისში იხსნება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს მან მხოლოდ გასული წლის მუშაობა უნდა შეაჯამოს და დასახოს მომავალი წლის პერსპექტივები. დღეს ლიტერატურის ფრონტზე განსაკუთრებული მდგომარეობაა. პროლეტარული მწერლობის წინაშე გაზრდილი, ახალი, რთული ამოცანები დგას. ფრიად საპასუხისმგებლო გარდატეხის პერიოდია, და ეს გარემოება უკარნახებს მიმდინარე პლენუმს, რომ ის გადაიქცეს მთელი ჩვენი წარსული მუშაობის შემჯამებელ პლენუმად, რაც უნდა დაედვას საფუძვლად მომავალ წლების პერსპექტივების დამუშავებას. შევეცადოთ პლენუმის მიშაობის ამ ხაზით წამართვას.

უპირველეს ყოვლისა, დავსვათ და გავაშუქოთ ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები.

რას ნიშნავს ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები? ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები შეიცავენ ჩვენს ლონისძიებებს, მუშაობის მეთოდებს, მთელს ჩვენს საქმიანობას, მწერლობის რევოლუციონურად განვითარებისაკენ მიმართულს. ამ საკითხებს ჯამია ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ვატარებთ რევოლუციის პირველი წლებიდანვე ქართული მწერლობის მიმართ. ლიტერატურული პოლიტიკა არის ხელმძღვანელობა, მეთაურობა და რეგულაცია მწერლობაში მიმდინარე პროცესებისა.

ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის ძირითადი საფუძველი ის არის, რაც საერთოდ ახასიათებს ბოლშევიზმს. ბოლშევიკური პარტია არც ერთ სფეროს არ სტოვებს თავისი გეგმიანი ხელმძღვანელობის და ზემოქმედების გარეშე. რა თქმა უნდა, მწერლობაც ორგანიულად შედის ბოლშევიკური ზემოქმედების ფარგლებში. გავიხსენოთ ის, რასაც ლაპარაკობდა ლენინი ამ საკითხზე: ლენინის სიტყვები მოყვანილია კლარა ცეტკინას მოგონებებში. ლენინი ამბობდა:

„იმ საზოგადოებაში, რომელიც ეყრდნობა კერძო საკუთრებას, ხელოვანი ჰქმნის საქონელს ბაზრისათვის. მას სჭირდება მყიდველები: ჩვენმა რევოლუციამ

*) საქარ. პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობის მე-VI პლენუმზე გაკეთებული მოხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაათავისუფლა ხელოვანი ამ ფრიად პროზაული პირობების ჩაგვრისაგან. მან გადააქცია საბჭოთა სახელმწიფო მათ დამცველად და დამკვეთად. თითოეულ ხელოვანს, ყოველ მათგანს, ვისაც თავი ასეთად მიაჩია, უფლება აქვს თავისუფალი შემოქმედებისა, თავის იდეალის მიხედვით, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად.

მაგრამ, ცხადია, ჩვენ კომუნისტები ვართ. ჩვენ არ შეგვიძლია გულხელდაკრეფილი ვიდგეთ და ქაოსს მივსცეთ საშუალება განვითარდეს იქეთკენ, საითკენაც უნდა. ჩვენ საკუთარი გეგმიანად უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამ პროცესებს და ვაყალიბებდეთ მის შედეგებს".

მაშასადამე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კომუნისტები გულხელდაკრეფილნი უყურებდენ ხელოვანთა მუშაობას. ქაოტიური განვითარების მინდობა ბოლშევიკური ბუნების საწინააღმდეგოა. ამით აიხსნება, რომ პარტიას ჰქონდა და აქვს გარკვეული, მკაფიო და ზუსტი სამხატვრო პოლიტიკა. ლენინის აზრი საკუთარი გეგმიანი ხელმძღვანელობის შესახებ ტარდებოდა და ტარდება ლიტერატურის ფრონტზე: კომუნისტურ პარტიას სამხატვრო პოლიტიკა ჰქონდა არალეგალური პირობების უმძიმეს პერიოდებშიაც კი. სწორედ ამ პირობებში ჩაეყარა საფუძველი — პროლეტარული მწერლობის იმ პირველ ჯგუფებს, რომელნიც კომუნისტური პრესის ფურცლებზე გამოდიოდენ. ჩვენ ვიცით, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა ლენინი დემიან ბედნის მუშაობას. ამ დროსვე პარტია სათანადო მუშაობას აწარმოებდა თანამგზავრების შესაქმნელად და შემოსაკრებად. რევოლუციის პირველ წლებში კი მთელი რიგი ღონისძიებები იქნა მიღებული მწერლობის რევოლუციონური ნაწილის განმტკიცების, პროლეტარული მწერლობის განვითარების და რეაქციონური მწერლობის შეზღუდვის მიზნით. 1925 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა სპეციალური რეზოლუცია სამხატვრო პოლიტიკის შესახებ. დღეს პლენუმზე უნდა შევამოწმოთ მთელი ჩვენი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობდა ამ რეზოლუციის ხელმძღვანელობით; უნდა გამოვარკვიოთ, რამდენად კარგად თუ ცუდად ვასრულებდით მოცემულ დირექტივებს.

ქართული ლიტერატურის სინამდვილეში ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები რევოლუციის პირველი წლებიდანვე მწვავედ იდგა. ჩვენში მწერლობის საკითხები ორგანიულად არის გადახლართული ინტელიგენციის საკითხთან. რევოლუციის პირველ წლებშივე ლიტერატურის საკითხები პარტიის დიდ ყურადღებას იპყრობდა. მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოწმობს მას, თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევდა პარტია იმ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობდენ ქართული ინტელიგენციის სხვადასხვა ფენაში. თქვენ ძალიან კარგად იცით ქართველი ინტელიგენციის სხვადასხვა ფენაში მუშაობის დამატებითი სიძნელეები: აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ რთული და მოქნილი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო ინტელიგენციის მიმართ.

ჩვენ ვიცით, რევოლუციის პირველ წლებში თუ როგორი დიდი გარანტიები და ნდობა ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის დიდ ნაწილს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მინიჭებული, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ლიტერატურული ქართველი ინტელიგენციის საგრძნობმა ნაწილმა ეს ნდობა ბოროტად გამოიყენა.

ოდნავ გავიხსენოთ რევოლუციის პირველი წლების ლიტერატურული სინამდვილე.

ვირთაგვის სიყვარული და მემარჯვენე ინტელიგენციის პატრიოტული გრძნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკური საქართველოს ინტელიგენციის უბადრუკი „საქმიანობა“ ჩვენ კარგათ ვიცით.

ნაციონალ-დემოკრატიული და მენშევიკური ინტელიგენციის „მოღვაწეობა“ ხასიათდება მეავე პატრიოტული გრძნობების გამალიზიანებელი ლაყბობით, პრიმიტიული შემოფარგლულობით, ანტიკულტურულობით. ეს იყო დაუსრულებელი სადღეგრძელო „სამშობლო საქართველოს“ მისამართით. ცხადია, ამ სადღეგრძელომ მენშევიკური საქართველოს კულტურა ვერ შექმნა. ამჟამად ჩვენ ლაპარაკი არა გვაქვს მენშევიკური „სამოთხის“ კულტურის რაობაზე. საინტერესოა შემდეგი რამ: მენშევიკური, ნაციონალ-დემოკრატიული ინტელიგენციის ლიტერატიული წარმომადგენლების დიდი ნაწილი ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში ~~ორ~~ განიულად აგრძელებდა თავის ნაციონალისტურ მოღვაწეობას, ე. ი. იმ მოღვაწეობას, რომელსაც ის აწარმოებდა მენშევიკური „სამოთხის“ დროს: განსხვავება მხოლოდ მასში იყო, რომ ახლა მათ უკვე ახასიათებდათ მეტი გაანჩხლება, გაწიწმატება, წყევლა-კრულვა, შოვინისტური შხამის ნთხევა და თავაგდებული პროვოკაციები.

გამჭვირვალე მხატვრულ ალეგორიებთან ერთად, ისინი არ ერიდებოდენ არც აშკარა პუბლიცისტურ გამოსვლებს.

ამ დროს რეაქციონური ინტელიგენციის მტკიცე კონსოლიდაცია ფაქტი იყო.

მათ მიიეიწყეს ჯგუფური ბრძოლები, ოჯახური დავა და გაერთიანებული ძალებით ილაშქრებდენ რევოლუციის წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა აშკარა კონტრრევოლუციონურ გამოსვლებსაც. სულ უბრალოდ რომ წარმოვიდგინოთ მაშინდელი ლიტერატურული პრესა, თქვენთვის აშკარა გახდება ის იდეოლოგია, რომელიც მაშინ მათ მიერ ტარდებოდა. ავიღოთ იმ დროის ჟურნალ-გაზეთები, „ლომისი“, „ბარიკადა“, „ილიონი“, „ბახტრიონი“, „საქართველოს სამრეკლო“ „კავკასიონი“. ეს ფარშავანგის კუდივით აჭრელებული „ციხე-სიმაგრეები“ ერთსა და იმავე მიმართულებასა და მიზანს ემსახურებოდენ, ერთსა და იმავე კონტრრევოლუციონურ განწყობილებას გამოხატავდენ. წარსულის კონტრრევოლიუციონური იდეალიზაცია და მუზეუმების დემოხსტრაცია მაშინდელ ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილის დამახასიათებელი იყო. საიდან აღსდგენ ეს წმინდანები, ეს ციხე-სიმაგრეები? რაში იყო საქმე? აქ ჩვენ გვაქვს საქმე კლასიური ბრძოლის უბრალო, ბუნებრივ ლოლიკასთან. წვრილბურჟუაზიული, ნაციონალისტური დემოკრატია და მთლიანად კი მენშევიკური საქართველო პოლიტიკურად დამარცხდა. პროლეტარიატის დიქტატურამ ბოლო მოუღო ბურჟუაზიული საქართველოს შექმნის იდეალებს. საზოგადოებრივ პოლიტიკურ ფრონტზე დამარცხებული კლასიური მტრები შეეცადენ ახალ პოზიციებზე გამაგრებას. მათი არჩევანი ბუნებრივად ხვდა იდეოლოგიის ფრონტს. დამარცხებულ კლასიურ მტრებს იდეოლოგიურ-კულტურულ ტყვეობაში უნდოდათ ჩაეგდოთ გამარჯვებული პროლეტარიატი და ამ მიზნით გააძლიერეს იდეოლოგიის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული მწერლობის ფრონტზე მუშაობა: მიეაქციოთ ყურადღება მათ შინდელ სახელმძღვანელო დებულებას. აი რას სწერდენ ისინი:

„ჩვენ ვიცით მაგალითებიდან, რომ, როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალას. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს. საქართველოში კულტურული „საალყო წესები“ უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა.“ (ხაზი ჩვენია. ბ. ბ.) (1923 წ. ჟურნალი „ილიონი“, № 3, გვ. 86).

ეს იწერება საქართველომი, რევოლუციის პირველ წლებში. ამას წერს, ცხადია, გამსახურდია, რომელსაც სჩვევია წინასწარ და სხვაზე ადრე „წამოსცდეს“ ის დაფარული აზრები, რომლებსაც სხვები შეიძლება არ გამოამჟღავნებდენ. აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფორმულა, რომელიც შეიცავს კლასიური მტრის მანევრს ტაქტიკას და საბრძოლო იარაღის შეცვლის აუცილებლობას. კულტურული ფრონტი პროლეტარიატის მიერ არ იყო ჯერ კიდევ ყოველმხრივ დაფლობილი. მტერი ცდილობდა გაუმაგრებელი ციხე-სიმაგრეების გამოყენებას კლასიური ბრძოლისათვის. ის ცდილობდა კულტურული დიქტატურის დამყარებას. ცხადია, რომ ეს დიქტატურა არ მოხერხდა და არც შეიძლება მოხერხებულიყო. ეს საინტერესოა მხოლოდ როგორც ცდა, რის განსახორციელებლადაც სხვადასხვა ნაბიჯი იყო გადადგმული. ამ მიზნით გადადგმულ ნაბიჯად უნდა ავხსნათ ის გარემოებაც, რომ დამარცხებული კონტრრევოლუციონური პარტიების მთელი რიგი თვალსაჩინო წარმომადგენლები მუშაობას იწყებენ მხატვრული მწერლობის დარგში. საქართველოში ჩარჩენილი პარლამენტის მოღვაწეები მწერალთა ორგანიზაციებში გადმობარგდენ და დაიწყეს „აკადემიური“ ლიტერატურული საქმიანობა. ამრიგად ჩაეყარა „საფუძველი“ ქართული მწერლობის შინაემინგრატულ ფრთას, რომელიც დღევანდლამდე შესამჩნევია.

პოეზია კანში ძვრებოდა და ცდილობდა გადაეჭარბებია ლოთური ცრემლებით დამბალ სადღეგრძელოებისთვის. პოეტების პატრიოტულ ალმაფრენას კვებავდა დაჩრჩილული ხატები და საერთოდ, თავადების ისტორია. კოშკები და კრწანისის ველი. ტრაპეზუნდი და მთვარე. სიონი, არშინ-მალანან, ქონდრის კაცები და სხვა მრავალი ამგვარი მარგალიტი.

ასეთ კალმოსანთა ჭრელი ლაშქარი, წელებზე ფეხს იდგამდა, ცხადია, „საქართველოს“ გულისათვის; წამდაუწუმ ისმოდა გრძელი მონოლოგები სამშობლოზე, ერთეულების ფიცი და სხვ. ეს ხალხი ქართველი ერის სახელით გამოდიოდა და ებრძოდა ახალ წყობილებას, პროლეტარულ კულტურას, რომელიც ბაშინ მტკიცდებოდა და იზრდებოდა. ცხადია, ნათელია ამ ხალხის ქართველი ერისადმი თვალფმაქცური სიყვარულის ფასი და აზრი. ეს იყო და არის საკუთარი კლასიური ინტერესებისათვის ბრძოლა. მათი სიყვარული ჰგავდა ვირთაგვის სიყვარულს, რომელზედაც სულ სხვა გარემოების დროს ლაპარაკობდა რუსი პროლეტარული მწერალი ამხ. პანფეროვი. ვირთაგვას ი?დენად და იმნაირად უყვარს თავისი შვილი, რომ დაუსრულებლად ლოკავს მას. ლოკავს ძვლებამდე. ვირთაგვის ასეთი სიყვარული ჰქონდათ იმ ქართველ მწერლებს, რომელნიც ძვლებამდე ლოკავდენ საქართველოს თავისი ნაციონალისტური, შოვინისტური გამოსვლებით.

ეს კუდაბზიკა მამულიშვილები ლოკავდენ, შხამავდენ, გესლავდენ, ღრღნიდენ ყველაფერ მას, რაც საქართველოში დადებითია, პროგრესიულია, რევოლუციონურია, ინტერნაციონალურია; ადიდებდენ და აქებდენ, რაც ძველია, დახავსებულია, კოშმარულია, თავადურია. მათი დასაყრდენი — მონასტრები და მღვიმეები იყო, თაშარის „ღვთიურობის“ მტკიცება — გამოსავალი წერტილი. ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ, თავისი პოზიციების დასაცავად და შეტევაზე გადასასვლელად, მობილიზაცია გაუკეთა ყველა „ვარგის მეომარს“, დაწყებული თამარ მეფიდან და შოთა რუსთაველიდან, გათავებული იმ კათალიკოსებით და მონასტრის ბერებით, რომელნიც რევოლუციის პირველ წლებში კიდევ საქმიანობდენ. ამ წარსულის ნამსხვრევთა უნიათო „ლაშქრობაში“ ბელადობას აკისრებდენ მთაწმინდას. კათალიკოსი ამბროსი „ქართველ ხალხს“ მოუწოდებდა: მოუარონ მთაწმინდას, რადგან იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დავით გარეჯელი. ქათალიკოსი აბა რას იტყოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა კავშირის ორგანოში „ლომის“-ში. 1922 წელს, 17 სექტემბერს „ლომისი“ „ხატვრულად“ აგვიწერს, რომ მთაწმინდაზე „მოიყარეს თავი ერისა და ქართული კულტურის თაყვანისმცემლებმა“, „მთაწმინდის ტაძრიდან გამოდის შემოსილი კათალიკოსი თვისი კრებულით“ და ა. შ.

ესევე გაზეთი ამავე დროს ილია ჭავჭავაძეს აცხადებდა წარსული და აწმყო საქართველოს ბელადად და ადარებდა მას მოსე წინასწარმეტყველს, რომელმაც, „ლომისის“ სიტყვებით, „ერი ისრაელისა მიიყვანა ცეცხლოვან მთის ძირად, მთაში ღვთაებრივი ცეცხლის ასაგიზგიზებლად“. შემდეგ „ლომისი“ ილიაზე დაყრდნობით აყალიბებს თავის პოლიტიკურ პროგრამას: „ქართული დეფენსიური ნაციონალიზმი ილია ჭავჭავაძისაგან იღებს სათავეს. მისი დამარცხებით ოცი წელი დამარცხებული იყო ეს მოგერიებითი ნაციონალიზმი ჩვენში.

ეს ოცი წელი იყო გზადაბნეული ერის უაზრო ხეტიალი მშრალ დოქტრინერების უდაბნოში. დღეს ქართველი ერი ხელახლა იკრეფს ახალ ენერგიას, ახალ ტანჯვასა და უბედობაში. მიტომაც დღეს განსაკუთრებით გვენატრება ძლიერი სიტყვა და ძლიერი საქმე, მიტომაც უნებურათ ვიხედებით უკან (ხაზი ჩვენია ბ. ბ.). ჩვენ ისევ გვინდა მრისხანე შემოხედვა ერის ბელადისა, ჩვენ კიდევ გვინდა ვულკანურ მთასთან მიყვანა“.

აი სიპროგრამო აზრები. საქმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ლაყბობით კი ბევრს ლაყბობდენ ეს ბალდახინის გამყოლი, მტვრიანი, ტიკინა „გმირები“. მათი „უნებური უკან მოხედვა“ ასეთი მოკლე მანძილით (ილია ჭავჭავაძემდე) არ განისაზღვრებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის წინააღმდეგ მთლიანი მობილიზაცია იყო გამოცხადებული ყველა წმინდანის, ხატების, მონასტრების, ბერების, კათალიკოსების, მეფეების. მედროშე — თამარ მეფე იყო. ამ მობილიზაციაში მოჰყვა შოთა რუსთაველიც. მას არ უშველა არც დიდმა მწერლობამ, არც თავის დროისათვის მოწინავეობამ. პავლე ინგოროყვამ მაშინ დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხვისტყაოსნის“ ექსპლოატაცია. როგორც გვაუწყებს გაზეთი „ლომისი“ — 1922 წლის დეკემბრის 24, პ. ინგოროყვა თავის უამრავ მოხსენებაში შოთა რუსთაველზე შემდეგ აზრებს ატარებდა: „ყოველი მოაზროვნე ქართველი გრძნობდა და გრძნობს, გონებით სჭვრეტდა და სჭვრეტს, რომ „ვეფხისტყაოსანი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურის ცენტრალი ფოკუსია, რომ მასშია გადატეხილი არა თუ ოდენ საქართველოს კულტურული შესაძლებლობა, არამედ მასშია მოცემული ქართული სულის შესაძლებლობა, მომავალში". ასე სურს გაზეთ „ლომისს" და მასთან პავლე ინგოროყვასაც. რატომ დასჭირდათ „ლომისელებს" და ინგოროყვას საქართველოს რევოლუციონურ აწმყოს და მომავალის „ვეფხისტყაოსნით" შეზღუდვა? რათ დაუწყეს შოთა რუსთაველის გენიალურ ნაწარმოებს, მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ უძვირფასეს განძს „ვეფხისტყაოსანს" ასეთი ერთის შეხედვით უადგილო და უზომო ექსპლოატაცია?

ცხადია, რატომ.

რით ასაბუთებენ ამას?

უაზრობაა მათთვის საბუთების ნოთხოვნა.

დამახასიათებელია ის, რომ რევოლუციის დროს პატრიოტობა გამოამჟღავნეს ისეთმა ჯგუფებმაც კი, რომელნიც ადრე მაინცდამაინც თავს არ იწუხებდენ საქართველოს „ბედ-ილბალზე" ფიქრით. სანიმუშოდ ავიღოთ „ცისფერი ყანწელები". აპოლიტიკურობის და მისტიციზმის მოციქულები, რევოლუციის შემდეგ გარდაიქმნენ აქტიურ ნაციონალისტებად, ქართული მესიანიზმის მეთაურებად. მათი ამ როლის გახსენების დროს შეიძლება შევჩერდეთ ბევრ სასაცილო და პირდაპირ დაუჯერებელ მომენტზე. გაზეთ „ბახტრიონ"-ში დაიბეჭდა კურიოზული მეთაური, რომელიც ცდილობდა „ქართული მესიანიზმის" ისტორიულ დასაბუთებას. ეს წერილი მესიანიზმს ასაბუთებდა შემდეგი „ხელით-ხელ საგოგმანებელი" დებულებებით:

„წმინდა ბასილი ვერსარიელი ამბობს:

— ერიდნას საშო არა აქვს.

შემდეგ „ბახტრიონი" დასძენს: ჩვენ საშო არ გვახსოვს და ამიტომ მესია ვართო.

„ჩვენი პირველი დამტკიცებაა, რომ ჩვენ ვართ უძველესი ღმერთზე, რომ საშოც არ გვახსოვს, აქედან იწყება მესიანიზმი მოსხლეტილ ბუდის".

„თამარში კვლავ ილვიძებს ბებერი თესლი..."

„თამარში საქართველო ცხადდება, როგორც გაწმენდილი ტიტანი, რომელშიაც ღმერთი ამჟღავნებს თავის სახეს.

გიორგი ლაშას დაბადებაზე მატიანე სწერს:

„ტაბახმელისა, ბეთლემ მყოფელმან, მუნ შვა ძე სწორი ღვთისა". ეს უმაღლესი დამტკიცებაა ქართული მესიანიზმის... (ხაზი ჩვენია ბ. ბ.)

„თამარის მეორე სახეა ის ზორტებდაჭიმული „გორგასლან-დავითიანი" დროშა, რომელიც ატარებდა საქართველოს გარუჯულ სახეს. სარაცინებისა და სელჩუკთა ატეხილ ურდოებში".

აი რაებს ჩმახავდა ქართველი ერის „სიამაყე", „ქვეყნის მარილი" — ინტელიგენციის ე. წ. მოწინავე წარმომადგენლები. კლასიური ზიზღით ჭკუადამთხვეული, ბნედიანი გაანჩხლებით ეს ხალხი თამარის ზორტებით ამტკიცებდა ქართულ მესიანიზმს.

მაგრამ დღეს რით არის საყურადღებო ასეთი სულელური ბოდვა? რა საინტერესოა დღეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მეექვსე პლენუმზე თავადურ ყანწოსანის აზრები თამარ მეფეზე? რა ვუყოთ მერე, 1923 წელს რომ დაწერეს რაღაც თამარ მეფეზე და „დაამტკიცეს" ქართული მესიანიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ძალიან შევცდებით, თუ დღესაც გვერდს აუვლით ასეთი ხალხის უაზრო ლაპარაკს ღმერთზე, საშოშე, თამარ მეფეზე, თუ ამ აზრების უბადრუკობის გამო მივიჩნეთ მას სავსებით უვნებლად. ეს იქნება დაუფასებლობა ინტელიგენციის ერთი ნაწილის იდეოლოგიური ბრძოლისა, რომელსაც ჯერ კიდევ ჰყავს ამა თუ იმ რაოდენობის მიმდევრები და ამა თუ იმ ზომის რეზონანსი. ზემოთ მოყვანილი „ბრძნული“ აზრები 1923 წელს იწერებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ დღეს, 1931 წელს, ამასვე იმეორებს ქართული სოციალ-ფაშიზმის მცხოვანი ბელადი ნოე ჟორდანია. მიხვეულ-მოხვეული გზებით ისიც ქართული მესიანიზმის კარიბჭეებზე დგება და ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქართველ ერს. იდეალად და ბრძოლის დროშად ისიც თამარ მეფეს აცხადებს.

თავის უკანასკნელ „შრომაში“: „ვეფხისტყაოსნის საკითხები“—ჟორდანია სწერს:

„თამარი, უეჭველია, ჩვენი ისტორიის გმირია, უმაღლესი მორალური პიროვნებაა“.

შემდეგ, აიგივებს რა თამარ მეფეს ნესტან-დარეჯანთან, დასძენს:

„პოეტმა მოგვცა წარმტაცი იდეალი ქალის სახით; ის საქართველოს ტანჯვა-წვალების, მისი მუდმივი საშიშროების გამომხატველი ლამპარია. პოეტი ამ სურათით გვეუბნება—ნუ დაეცემით, იბრძოლეთ და გაიმარჯვებთო!“

თუ 1923 წელს ნაციონალისტური ინტელიგენცია ლოცულობდა თამარ მეფის ქოშებზე, აცხადებდა მას დროშად, დღეს მენშევიზმის ბელადი ჟორდანია ამდაგვარადვე აცხადებს თამარ მეფეს,—უყურეთ თამარ მეფეს, ის გაგამხნევებსთ, შეგმატებსთ ძალას და ბოლშევიკებს დაგამარცხებინებსთო.

„ბახტრიონის“ მესიანური აზრები ჟორდანიამ ცოტა დაგვიანებით, მაგრამ პოლიტიკურად გაამახვილა.

ასეთი კონტრრევოლუციონური გამოსვლები ისტორიის საფარით, დამახასიათებელია იმ რეაქციონური ინტელიგენციისა, რომლის ნაშთებიც ჯერ კიდევ არსებობს და რომლის წინააღმდეგაც ჯერ კიდევ გარკვეული და აშკარა ბრძოლაა საჭირო.

როდესაც ვიხსენებთ ასეთ აშკარა რეაქციონურ გამოსვლებს, ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორი იყო ამ დროს ლიტერატურული პოლიტიკა, რას უყურებდა მთავლიტი, რა პასუხს ლებულობდენ სიბნელის თავაშვებული მოციქულები? პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა გარკვეული პოლიტიკა საერთოდ ინტელიგენციის მიმართ. კერძოდ მხატვრული მწერლობისადმი არ იყო სათანადო ყურადღება მიქცეული; მხოლოდ უკიდურესი რეაქციონური უმსგავსოების დროს ექცეოდა მას ყურადღება. პარტიას ამ დროს, მიუხედავად გარკვეული ლიტერატურული პოლიტიკის არსებობისა, არ ეცალა იმისათვის, რომ სათანადო ძალები ლიტერატურის ფრონტზე გადაესროლა. პროლეტარული მწერლობის დღევანდელი აქტივის დიდი ნაწილი ჯერ მაგიდას ბევრით არ იყო აცილებული; პროლეტარული მწერლობის მაშინდელი აქტივი ვერ იბრძოდა ისე, როგორც მაშინ საჭირო იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. ბ უ ა ჩ ი ძ ე სპ. პრილ. მწერ. ასოც. გამგ. მე-6 პლენ გაეთებული მ.ხსენებ.

მწერალთა დიფერენციაციის გაღრმავება, კლასიური ბრძოლის გამწვავება ლიტერატურის ფრონტზე

1924-25 წლები მემარჯვენე მწერლობის უაღრესი კონსოლიდაციის, მთლიანი და შეთანხმებული გამოსვლის წლები იყო. ეს კონსოლიდაცია უპირველეს ყოვლისა გამოიხატებოდა ჟურნალ „კავკასიონის“ გამოსვლით. „კავკასიონს“ და, მაშასადამე, მემარჯვენე მწერლობის კონსოლიდაციასაც ინგოროყვა მეთაურობდა. დღეს უკვე პირადად მას არ სურს ამ როლის მიკუთნება და პასუხისმგებლობას ვითომცდა იხსნის, მაგრამ ეს მდგომარეობას არ სცვლის. რეაქციონური მწერლობის მოქმედების პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ და მხოლოდ ინგოროყვასათვის, ცხადია, სამართლიანი არ იქნებოდა, თუნდაც იმიტომაც, რომ „კავკასიონის“ ხელმძღვანელ აქტივში იყვნენ ისეთი მწერლები, როგორიც არიან: აბაშელი, განსვენებული მაყაშვილი, გრიშაშვილი, დადიანი, შანშიაშვილი და სხ. მაგრამ როგორც ერთ-ერთი, და ისიც მთავარი ხელმძღვანელი ინგოროყვა ვერ გაექცევა მემარჯვენე მწერლობის ისტორიულ „დამსახურებებს“.

რევოლუციის პირველ წლებში, ძირითადი მოვლენა ლიტერატურის ფრონტზე იყო პროლეტარული მწერლობის, როგორც გარკვეული კლასიური სახის მქონე მოძრაობის,—გამოხვლა. პროლეტარული მწერლობა აღვივებს შემოქმედებით მუშაობას და იწყებს გაშლილ ბრძოლას რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ. ჩამოყალიბდა პროლეტარულ მწერალთა პირველი ჯგუფი. არსდება ასოციაცია. კომკავშირული ლიტერატურული ახალგაზრდობა თავს იყრის ჟურნალ „მომავალში“ (ახკომკავშირის ცეკას ორგანო). ქუთაისში იქმნება პროლეტარულ მწერალთა უჯრედი, გამოდის ჟურნალი „დინამიტი“. მალე „მომავალის“ ლიტერატურული ძალები და „დინამიტელები“ ერთიანდებიან და აარსებენ „პროლემაფს“. პროლეტარული მწერლობის ახალგაზრდა კადრები შლიან მწვავე ბრძოლას მემარჯვენე მწერლობის და კერძოდ „კავკასიონის“ წინააღმდეგ. ამ პერიოდში ეწყობა ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც ვითომცდა ახდენს გარდატეხას მწერალთა დიდ ფენაში. ყველა არსებული მასალის მიხედვით, ამ გარდატეხის სიღრმეს დღეს შეგვიძლია ეჭვის თვალით შევხედოთ. ამ ყრილობაზე სწარმოებდა ზოგადი ლაპარაკი, რევოლუციის მიღება-არ მიღების შესახებ. ყველა აცხადებდა,—ოქტომბრის რევოლუციას ვღებულობთო, ზოგიერთი მათგანი დამადლებით და ფშუტე ყოყოჩობით, ამყლავნებდენ რევოლუციის მიღების სურვილს. ამ ყრილობას არ აკლდა არც აშკარა კონტრრევოლუციონური გამოსვლები.

ზოგი ითხოვდა რუსული წიგნის აღკვეთას, ზოგი იბრძოდა მწერლობის დანაწილების წინააღმდეგ, რეაქციონური მთლიანობის დასაცავად და ა. შ. ყრილობის ბევრი მონაწილე ამტკიცებდა თავის და ქართული მწერლობის იმ თავითვე რევოლუციონერობას, რომ ამით გვერდი შეეევლოთ ოქტომბრის რევოლიუციასთან ურთიერთობის საკითხებისათვის. მაგალითად, კოტეტიშვილი შემდეგს აცხადებდა: „ჩვენ თავიდან ბოლომდე ვიყავით, ვართ და ვიქნებით რევოლუციონერები,“ ბევრი ილაპარაკა და ბოლოს მოითხოვა—ქართული სიტყვის აკადემია დავაარსოთო, ინგოროყვა, არც მეტი, არც ნაკლები,—ებრძოდა „უკლონებს“.

„ეველ მწერალთა კავშირში მასიურად წარმორგენილია უპარტიო შემოქმედი ინტელიგენცია, მაგრამ არ დავფარავთ, რომ აქ არის ერთგვარი ნაციონალისტური „უკლონი“. ამ მწერლობას ახასიათებს ნაციონალისტური აზრთა განწყობილება“. წარმოიდგინეთ, რომ ინგოროყვამაც აღმოაჩინა ნაციონალისტური გადახრები, მაგრამ ინგოროყვა მემარჯვენე მწერლობის რა ხელმძღვანელი იქნებოდა, თუ იქვე არ დასწერდა: „მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყრილობას არ მოუხდენია ძირითადი გარდატეხა ქართულ მწერლობაში, მაგრამ ყრილობამ დააჩქარა თვითგამორკვევის პროცესები, გააღრმავა ზღვარი მწერლობის სხვადასხვა ფენას შორის. დიფერენციაცია, ჩქარის ტემპით წავიდა, ეს კი ფრიად საჭირო იყო. ამ დადებითი დიფერენციაციის ხელის შემწყობი პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია იყო. ასოციაცია მწერალთა პირველი ყრილობის შემდეგ, 1926-27 წლიდან, მძლავრი ორგანიზაცია ხდება. ის ხელმძღვანელობს და აწარმოებს დაუნდობელ ბრძოლას ბურჟუაზიულ კულაკური მწერლობას წინააღმდეგ, ხელს უწყობს თანამგზავრულ მწერლობის ზრდას და სრულ პირობებს უქმნის თვით პროლეტარული მწერლობის ზრდასა და გავნითარებას. ასეთი მუშაობა მთელ რიგი წლების განმავლობაში ახალ-ახალი მომენტების შემცველი იყო. მემარჯვენე მწერლობაში ხდებოდა სხვადასხვა გადაჯგუფება. 1928 წელს გ. ქიქოძისა და მ. ჯავახიშვილის მეთაურობით ჩამოყალიბდა მემარჯვენე ჯგუფი — „არიფიონი“. ამავე დროს „ცისფერი ყანწები“ ცდილობდენ თავისი შერყეული პოზიციების გამაგრებას. პროლეტარულმა მწერლობამ გამოამჟღავნა „არიფიონის“ რეაქციონური ბუნება, შეავიწროვა და დაათმობინა „ყანწელებს“ მნიშვნელოვანი პოზიციები, ამ წლების განმავლობაში დიდი და ნაყოფიერი იდეური ბრძოლები გადაიხადა, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ რეაქციონური მწერლობა დღეს იდეურად სავსებით განადგურებულია. ცხადია, რომ ამ ფრონტს, მიუხედავად შესუსტებისა, სისტემატიური მარცხებისა, ძალთა დაქსაქსვისა,—სრული იდეური განიარაღება არ მოუხდენია. შევცდებით, თუ წინაღმდეგს ვიფიქრებთ. ბრძოლის გაგრძელება კიდევ საჭიროა და ჯერ კიდევ წინაა მრავალი დაპრკოლება, ამის მოწმეა თუნდაც უკანასკნელი წლის ბრძოლა საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის რეორგანიზაციისათვის, მისი არსებითად გასაბჭოებისათვის.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენ ვამზადებდით ნიადაგს ფედერაციიდან ამკარა რეაქციონური შინა-ემიგრანტული მწერლების გამოსარიცხავად.

ამისათვის სათანადოდ მომზადებულ იქნა თანამგზავრულ და პროლეტარული მწერლობის აზრი, ფართედ გაშუქდა ეს აზრი საბჭოთა საზოგადოებრივობის წინაშე. იყო ერთი ჯგუფი მწერლობისა, განსაკუთრებით „ცისფერ ყანწელთა“ ხელმძღვანელი აქტივი, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა ფედერაციის წმენდას. რამდენი მითქმა-მოთქმა, რამდენი ცრემლთა ღვრა და პროვოკაცია იყო ჩვენს ღონისძიებათა გატარების პერიოდში. პ. იაშვილი დიდის რიხით გამოდიოდა და ლაპარაკობდა: აბა მიჩვენეთ, რუსეთში და უკრაინაში თუ იყო ოდესმე ასეთი წმენდაო. დღეს იაშვილს უკვე შეუძლია გაიგოს, რომ რუსეთის მწერალთა კავშირში მიმდინარეობს წმენდა და იქ უკვე გამორიცხეს კავშირის წევრთა 30%. რატომ არ შეგვეძლო ჩვენ ეს საქმე უფრო ადრე გავეკეთებია, თუ ჩვენი პირობები ამას მოითხოვდა, თუ ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვყავდა საბჭოთა მწერლების ორგანიზაციაში ისეთი მწერლები, რომელნიც მთელი თავისი საქმიანობით და დანიშნულებით ეწინააღმდეგებოდენ საბჭოთა მწერლობის დანიშნულებას. შეგვეძლო და კიდევაც გავაკეთეთ, მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერ ყანწელები“ ამ საქმეში ხელს გვიშლიდენ. „ყანწელთა“ როლი ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში არ იყო სასახელო. ამ მოვლენიდან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რო ჯერ კიდევ მწერალთა ფართო ფენები საფუძვლიანად გადახალისებული არ არიან, რომ სხვადასხვა ჯგუფი საჭიროების დროს სცდილობს აიღოს ინიციატივა და მეთაურობა გასწიოს რეაქციონური კონსოლიდაციის შესანარჩუნებლად, საბჭოთა მწერლობის გასაყალიბებლად. დღეს, როდესაც ჩვენ უკიდურეს მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგ შეტევა გამარჯვებით დავასრულეთ, საჭიროა დავსვათ საკითხი შუამავლების შესახებ, — ეს კი უპირველეს ყოვლისა „ცისფერ ყანწელებს“ ეხება, — დავსვათ საკითხი უფრო ფართოდ, უფრო ღრმად. რას წარმოადგენს დღეს „ცისფერი ყანწები“ და რამდენად საჭიროა დღეს ამ ჯგუფის, როგორც ორგანიზაციული ერთეულის, არსებობა? ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელ ხანებში ლიტერატურის ფრონტზე ძალთა გადაჯგუფება მიმდინარეობს. მემარჯვენე მწერლობის უმთავრესი ორგანიზაციული ციხე-სიმაგრე დაიშალა. „აკადემიურ მწერალთა ასოციაცია“, ეს ანნაქვრონული, რეაქციონური ორგანიზაცია, აღარ არსებობს. ეს ბუნებრივია და დადებითი. მოკავშირე მწერლები ყალიბდებიან და უახლოვდებიან პროლეტარულ მწერლობას. მაგრამ არის ერთი ფრთა მწერლებისა, რომელიც მთელი თავის არსებით ეწინააღმდეგება ძალთა გადაჯგუფებას. ამ ფრთას უკანასკნელ ხანებში ფაქტიურად „ცისფერი ყანწები“ მეთაურობს. ამ ხაზს ატარებდენ ისინი ფედერაციის წმენდის დროსაც.

საჭიროა, რომ მათ მკაფიოდ შევაგნებინოთ და ვუთხრათ: „თქვენი როლი რეაქციონურია, არ მოგცემთ ცდის უფლებასაც კი, რომ ხიდი გასდვათ რეაქციონურ მწერლობასა და პროლეტარულ მწერლობას შორის (იმიტომ რომ ორივენი „ქართველი მწერლები არიან“), შუამავლები დღეს საჭირონი არ არიან. ის მოღვაწეობა, რომელსაც აწარმოებდა ფედერაციის წმენდის დროს პაოლო იაშვილი და შემდეგ ტიციან ტაბიძე, იყო მავნე მოღვაწეობა, ისე როგორც მავნე იყო ნ. მიწიშვილის ცნობილი მოხსენება გასულ წლის მწერალთა სხდომაზე.

„ცისფერი ყანწელების“ ჯანსაღმა თანამგზავრულმა ნაწილმა უნდა დასვას საკითხი, თუ რამდენად შეიძლება არსებობდეს რევოლუციის მე-14 წლის თავზე ისეთი ჯგუფი, რომლის სიმბოლო თავად-აზნაურული დარდიმანდობის დროშა „ყანწებია“? რამდენად სასიქადულოა რეაქციონური მწერლობის შუამავლობა?

საჭიროა რადიკალური ზომების მიღება „ყანწელთა“ მემარცხენე ნაწილის გამორკვევისათვის. აქ ჩვენ საქმეს ვერ ვუშველით პოეტური დეკლარაციებით და ზოგადი ლაპარაკით. საქმე არ გაკეთდება სახელის გამოცვლითაც. წარსული „გმირობის“ ზერელე და ზოგადი უარყოფა ბევრს არაფერს იტყვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამგზავრობისა და მოკავშირეობის საკითხები

რას წარმოადგენს დღეს თანამგზავრობა? რა ამოცანები სდგას ქართული თანამგზავრული მწერლობის წინაშე? ე. წ. თანამგზავრ მწერლებს შორის ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში რთული პროცესები მიმდინარეობდა. თანამგზავრობის ნაწილი მარჯვნივ წავიდა; ნაწილი განმტკიცდა, გაძლიერდა. ასეთი უბრალო განსაზღვრა და შეფარდება თანამგზავრობაში მიმდინარე პროცესებისა საკმარისი არ არის.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოვარკვიოთ თანამგზავრობის გაყალბების სხვადასხვა სახე. ერთ-ერთ მთავარ საშიშროებას წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ზერელეობა, მყვირალა დეკლარატიულობა, უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით სვლა, სინამდვილის თვალთმაქცური შელამაზება, მავნე შეგუების და მიტმასნების ცდები. არ არის დიდი დამსახურება, რომ ჩვენი სინამდვილე მთლიან ბაღნარად და სოციალიზმის თაიგულად წარმოიდგინოს ამა თუ იმ „თანამგზავრმა“ მწერალმა. ვიცით, რომ ჯერ სოციალიზმი აშენებული არ არის, დაბრკოლებათა გადალახვა გვჭირდება. თანამგზავრი მწერალისაგან გვინდა არა „გაუმარჯოს“ ძახილი და მრავალჟამიერის სიმღერა, არამედ ღრმად დანახვა და ჩვენება იმ მიღწევებისა, რომელიც ჩვენ გვაქვს, ღრმად შეგნება და გაგება იმ სიძნელეებისა, რომელნიც ჩვენს წინსვლას ელობებიან. ზოგს ჰგონია, რომ მან თუ სოციალისტური მშენებლობის მტკივნეული, და ძნელი მხარეები გვიჩვენა, ამით ის რაიმეს შესცოდავს საბჭოთა მწერლობის წინაშე. ეს შემცდარი აზრია. მაგრამ აქ არსებობს ძირითადი განსხვავებანი. საბჭოთა სინამდვილის ყოველმხრივი ათვისების მოთხოვნა შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული. კლასიური მტერიც თავის კრიტიკას „სინამდვილის ყოველმხრივ ათვისებად“ გამოაცხადებს. მაგრამ ჩვენ მკაფიოდ და უბრალოდ გავარჩევთ, სად იქნება კლასიური მტრის კრიტიკა და სად იქნება თანამგზავრ მოკავშირე მწერლის მიერ სოციალისტური მწერლობის სიძნელეების ასახვა. აიღეთ მარიეტა შაგინიანის „ჰიდრო-ცენტრალი“. თქვენ იქ ეცნობით და გრძნობთ, თუ როგორი სიძნელეები ელობება ჩვენს მუშაობას, თუ ხშირად როგორ უმსგავსოთ ვმუშაობთ მთელ რიგ ახალშენებებზე და სხვა, მაგრამ იმდენად ორგანიულად, ღრმად, მოკავშირულად წერს ამას შაგინიანი, რომ ჩვენ ვლებულობთ მოკავშირული მწერლობის სანიმუშო ნაწარმოებს. სულ სხვაა, როდესაც მიხ. ჯავახიშვილი თანამგზავრობის დროშით ცდილობს ცილი დასწამოს ჩვენს სინამდვილეს, როდესაც ის ცნობილ „დამპატიჟე“-ში სცდილობს სოციალისტური სოფლის მშენებელნი წარმოგვიდგინოს ზარმაცებად, კულაკები კი დაჩაგრულ მშრომელებად. ეს უკვე კლასიური მტრის კრიტიკაა. ცხადია, რომ თანამგზავრობას არ ეკუთვნის არც თვალთმაქცური ორმაგობა. ზოგიერთი აშკარა თავადურ-ბურჟუაზიული მწერალი ცდილობს ერთგვარი ხარკი მისცეს თანამედროვეობას.

მაგალითისათვის ავიღოთ შალვა დადიანის შემოქმედებითი მუშაობა.

რამდენიმე წლის წინად მან დასწერა დიდი რომანი—„უბედური რუსი“. აქ არის თამარ მეფის ეპოქის იდეალიზაცია. ფეოდალური იდეოლოგიის მთავარი ძარღვები ამ რომანში აშკარად ჩანს. შემდეგ დადიანი სწერს პიესას „კაკალ გულში“, სადაც ვითომცდა იბრძვის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბჭოთა

183

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპარატში, ფაქტიურად კი პიესაში „კაკალ გულში“ თავადური სარკაზმით არის გამოაშკარავებული მთელი საბჭოთა აპარატი. უკანასკნელ ხანებში დადიანმა დასწერა პიესა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. ეს პიესა ყოველ მხრივ საინტერესოა. ის დაწერილია, თავად-აზნაურობისადმი დიდი სიყვარულის გრძნობით, რომელნიც მოცემული არიან ბრწყინვალე, სავსებით მიმზიდველი ფერებით. პარალელურად დადიანმა დაწერა პიესა ჭიათურის მუშების სოც-შეჯიბრის შესახებ. ორივე პიესა წარუდგინა სარეპერტუარო კომიტეტს. ალბათ ერთს უნდა ეშველა მეორესთვის. ალბათ მწერალი ფიქრობს, რომ ამგვარი მანევრით, ამგვარი გზებით ჩვენთვისაც სასარგებლო საქმეს აკეთებს და თავისთვისაც. მაგრამ მანევრი მანევრად რჩება, და მისი ფეოდალური იდეოლოგიის მთლიანობა სრულებითაც არ ირღვევა, ჭიათურის მუშებზე დაწერილ პიესაში ის ისეთივე რჩება, როგორც მაშინ, როდესაც წერს პიესას ბარათაშვილზე. თავად-აზნაურული იდეოლოგიის მწერალს, შეიძლება უნებურადაც, თავის პიესაში გამასხარავებული ჰყავს ჭიათურის მუშების სოც-შეჯიბრება. ჭიათურის მუშები ტიკინებივით არიან მოცემული. ეს დადიანისთვის ბუნებრივი თანმიმდევრობაა, რომელსაც ვერ სცვლის გარეგნული ფორმები. ამდაგვარივე - სხვადასხვა ფორმა და თემა, მაგრამ ერთი და იგივე შემოქმედებით - იდეოლოგიური გზებია გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“-სა და მის პიესა „უდეგა“-ს შორის.

ამ მაგალითების მოყვანა საჭიროა იმისათვის, რომ თანამგზავრმა მწერლებმა გაიგონ, რომ ორი გზა არ არსებობს. არაფრად არ ვარგა, თვალთმაქცობაა, როდესაც მწერალი ერთ ნაწარმოებს წერს თავისთვის, (ნამდვილს, ორგანიულს) და მერეს კი საბჭოთა საზოგადოებრივობისათვის (ყალბს, ზერელეს). თანამგზავრობის საკითხი დღეს ახალ ხასიათს ღებულობს.

აღდგენითი პერიოდის თანაგზავრი თუ არ ვითარდება, რეკონსტრუქციის პერიოდში თანამგზავრობას ვერ შესძლებს. უკვე მოხსნილია კითხვა: „რომელ სადგურამდე ინებებთ თანამგზავრობას?“ ან საბოლოო მიზნამდე, ან არაფერი თანამგზავრი არა ხართ, ფაქტიურად ბარიკადის მეორე მხარეზე იმყოფებით.

ნეიტრალობა დღეს მტრებთან ყოფას ნიშნავს. თანამგზავრობა მაღალ საფეხურზე უნდა გადავიდეს. თანამგზავრი მუდამ თანამგზავრად ვერ დარჩება. რეკონსტრუქციის პერიოდში მან უნდა გაიზიაროს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიება და მონაწილეობა მიიღოს მათ განხორციელებაში. თუ ეს ასე იქნება, მაშინ თანამგზავრი მოკავშირე გახდება. მოკავშირე თავისი შემოქმედებითი მუშაობით ორგანიულად უნდა მონაწილეობდეს სოციალისტურ მშენებლობაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მარტო წარსულის მასალის დამუშავებით თანამგზავრად და მით უმეტესად მოკავშირედ, გახდომა ძნელი არის. თუ ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ის „არსენა მარაბდელით“ ასწორებს თავის შემოქმედების მრუდე გზებს და ხდება თანამგზავრი, ის ძალიან ცდება. შეიძლება ჯავაიშვილისათვის „მარაბდელი“ დიდი ნაბიჯი იყოს წინ, მაგრამ დღეს ბატონყმობის გაკიცხვა თავისთავად არაფერი დიდი რევოლუციონერობაა. თანამგზავრობის დასამკვიდრებლად, ცხადია, არ კმარა 1905 წლის მასალის მხატვრული დამუშავება, როგორც ამას ლ. ქიაჩელი და სულიაშვილი შვებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, რომ საბჭოთა მწერლობის გამყალბებელი სხვადასხვა სახე არ განსაზღვრას თანამგზავრობას. ამ წლების განმავლობაში ნამდვილი თანამგზავრობა განმტკიცდა, გაფართოვდა და ბევრ ავადმყოფურ მხარეს დაახწია თავი. მწერალთა ფრიად მნიშვნელოვანი მასა, საბჭოთა მწერლობის პოზიციებზე მტკიცედ დგას. სხვადასხვა ჯგუფი და ცალკეული მწერლები თანმიმდევრობით მიჰყვებიან თანამგზავრულ გზას და თანდათანობით მოკავშირეები ხდებიან. დღეს უკვე თანამგზავრი მწერლების საგრძნობმა ნაწილმა შესძლო მოკავშირედ გახდომა.

გალაქტიონ ტაბიძეს დღეს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მოკავშირე მწერალი. მისი იდეოლოგიური განვითარება, ახალ ამოცანების შეგნების სიღრმე იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ ის დაუახლოვდა და დაუკავშირდა პროლეტარულ მწერლობას, ჩამოყალიბდა, როგორც საუკეთესო მოკავშირე მწერალი. მე არ ვლაპარაკობ, რომ მან ყოველმხრივ, ყველა სიძნელეს დასძლია, გახდა იდეალური მწერალი და აღარავითარი დაბრკოლება აღარ შეხვდება შემოქმედებითი მუშაობის გზაზე. გალ. ტარიძეს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება, რომ უფრო ღრმად აითვისოს ჩვენი სინამდვილე, რომ საფუძვლიანად მოიცილოს ზოგადობა, მას ამის სრული შესაძლებლობა აქვს. მისი უკანასკნელი ნაწარმოებნი ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

„მემარცხენეთა" ჯგუფში დიფერენციაცია ჩქარის ტემპით წავიდა. ეს ჯგუფი დღეს აღარ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციულ ერთეულად. ამ ჯგუფის ის ნაწილი, რომელიც მიდიოდა რეაქციონური მწერლობის გზით, თავისთავად ამოიწურა, გაირიყა და გაქრა, თანამგზავრული ნაწილი კი მოკავშირეობამდე განვითარდა. მათ შორის შეიძლება მაგალითისათვის აღვნიშნოთ სიმონ ჩიქოვანი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს, სწორი გზით მიდის. ცხადია, მას სჭირდება მეტი დაახლოება წარმოებებთან, კოლმეურნეობებთან. „მემარცხენეთა" ჯგუფის მეორე წარმომადგენელი დემნა შენგელია ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა სიმბოლიზმის ტყვეობისაგან. ეს გარემოება სასტიკად აფერხებს მისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობებს.

დიფერენციაცია იჭრება მემარჯვენე ჯგუფებშიაც.

ისეთი მემარჯვენე პოზიციების მქონე ჯგუფი, როგორიც „ცისფერი ყანწები" არის, დიფერენციაციას განიცდის. ამ ჯგუფში უკვე კარგახანია დაიწყო ჩამოყალიბება თანამგზავრულმა ფრთამ, უპირველეს ყოვლისა ჯგუფის ახალგაზრდული ნაწილს ხარჯზე, როგორიცაა რაჟდენ გვეტაძე, ს. კლდიაშვილი და სხვა.

რ. გვეტაძემ შესძლო „ცისფერყანწელების" ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა და ისეთი შემოქმედებითი მუშაობის გაშლა, რომელიც საშუალებას აძლევს მას ჩადგეს მოკავშირე მწერალთა რიგებში.

როდესაც აღვნიშნავთ, რომ ესა თუ ის მწერალი მოკავშირეა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მწერალი თავისუფალია ყოველგვარი შეცდომისაგან და არც მომავალში დაუშვებს შეცდომებს. მე აღვნიშნე, რომ რ. გვეტაძე მოკავშირეა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ასეთი მოკავშირე მწერალიც კი უშვებს ისეთ უხეშ იდეოლოგიურ შეცდომებს, რომელნიც თვალსაჩინონი ხდებიან.

ავიღოთ რ. გვეტაძის უკანასკნელი წიგნი „მარუსა". მე ვალდებულად ვთვლი თავს შევჩერდე ამ წიგნზე, იმიტომ რომ მოკავშირე მწერლის შემოქმედებითი მუშაობის იდეოლოგიურ გამობრძმედილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა

აქვს. ახალი მკითხველების მასა, მუშურ-გლეხური კომკავშირული ახალგაზრდობა ჩვენთან ახლო მყოფ თანამგზავრ და მოკავშირე მწერალთა ნაწარმოებს დიდის ნდობით ეპყრობა. ეს მკითხველები დიდ სიფხიზლეს იჩენენ და მტრული იდეოლოგიის ხმას მოკავშირე მწერალთა ნაწარმოებში მკაფიოდ არჩევენ. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში მკითხველები ითხოვენ წინააღმდეგობის ახსნას და მოსპობას. ჩვენ მწერალს მოკავშირეს ვუწოდებთ და ის კი უეცრიდ ალაპარაკდება მტრული იდეოლოგიის ენით. ამასწინად კომკავშირელთა ერთი ჯგუფი მიგზავნის წერილს და მეკითხება თუ რას ნიშნავს, რომ რაჟდენ გვეტაძე, რომელსაც ჩვენ მოკავშირეს და პროლეტარულ მწერლობასთან ახლო მდგომ მწერალს ვუწოდებთ, ბეჭდავს ისეთ ლექსებს, როგორც არის „მდაბიო“ (იხ. მისი ლექსების უკანასკნელი წიგნი). დაუშვათ, რომ ეს ლექსი დაწერილია 1924 წელს, მაგრამ როდესაც ის ავტორს შეაქვს თავის წიგნში და ხელმეორედ ბეჭდავს 1931 წელს, ეს ნიშნავს, რომ მას ახლაც აწერს ხელს, ეს ლექსი კი დეკლარაციაა პასივობისა, პოლიტიკურობის, უნებობის, ობივატელობის, ე. ი. იმ განწყობილებების, რაც ხაზიზლარი სენია ქართული მწერლობის საგრძნობი ნაწილისა, და რასაც ჩვენ სასტიკად ვებრძვით.

რ. გვეტაძე ამბობს:

„... ლექსების მაგიერ ვწერ ახალ ამბებს (ყველაზე უფრო იოლია ეს ხელობა) და მიხარია:

როცა ავტრმობილი ვინმეს გასრისავს,

ან რომანიულ ნიადაგზე თუ მოხდა მკვლელობა...

მინდა ვიყო ერთი აზრის:

არ ავყვე ცხოვრებას ქარიანს და მოვესწრო შესულ ხანში.

წვერულვაშიან ვაჟებს“.

ასეთია პოეტის ოცნება. მე იმისთვის კი არ ვჩერდები გვეტაძის ამ მდაბიურ ოცნებაზე, რომ მინდა ჩამოვართვა მას მოკავშირე მწერლის სახელი, არც იმიტომ, რომ უკან წავიღო ის, რაც დადებითი ვსთქვი მასზე, არამედ იმიტომ, რომ საჭიროა თანამგზარი მწერლების პასუხისმგებლობის ზრდა. ისინი უნდა მიეჩვიონ ახალ მკითხველის მოთხოვნილებათა გაგებას. პატარა ლექსით რ. გვეტაძე იძლევა იმის ნიმუშს, თუ როგორი არ უნდა იყოს მოკავშირის განწყობილება, იდეოლოგია. ცხადია, რომ მტრული და უცხო შეხედულებაა მოცეული ამ ბწკარებში:

„...რადგან არაფერი მესმის მსოფლიო პოლიტიკის.

რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი,

გადავწყვიტე ვიცხოვრო ასე:

ვირივით წყნარად და შრომით“.

ეს არის აპოლიტიკურობის, მართლაც და ჭეშმარიტი ობივატელობის ფილოსოფია. პოლიტიკაში გაურკვევლობა და „ვირული სიწყნარე“ მოკავშირულ მწერლობას ვერ შეუთავსდება. მათ შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ შეურიგებელი მტრები.

როგორი უნდა იქნას ჩვენი მომავალი პოლიტიკა ლიტერატურის ფრონტზე?

დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლა რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ. ხელისშეწყობა თანამგზავრული მწერლობის განვითარებისათვის, მის მაღალ მოკავშირულ ეტაპზე გადასასვლელად. დიდი შეცდომა იქნება, რომ მიმდინარე პერიოდში თანამგზავრობის საკითხი მოხსნილად ჩავთვალოთ. არასოდეს არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავივიწყოთ, რომ თანამგზავრობაში რთული დიფერენციაცია მიმდინარეობს. პრ. მწ. ასოციაციების საკავშირო გაერთიანების საბჭოს უკანასკნელ პლენუმზე ხაზგასმეთ იყო აღნიშნული, რომ ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მთელი საბჭოთა ლიტერატურის ფრონტის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვალდებული ვართ აღმოვფხვრათ ყველა შეცდომა თანამგზავრული მწერლობის მიმართ და ვაწარმოოთ ფრთხილი პოლიტიკა იმ მწერლების მიმართ, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ მომავალში დაადგენ მოკავშირეობის გზას. ცხადია, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კრიტიკაზე ხელის აღებას, პირიქით — თანამგზავრული მწერლობის დახმარების მთავარი საშუალებაა მათი შეცდომების შეურიგებელი კრიტიკა.

რაც შეეხება ფედერაციიდან გარიცხულ მწერლებს, მათზე მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: თუ კი მათში დავინახავთ არსებით გარდატეხას, ძველი პოზიციების შეცვლას, არა თვალთმაქცურ, არამედ გულწრფელ და სრულ განიარაღებას, ჩვენ მათ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს. ზოგ მათგანს ფედერაციის სამდივნოში შეაქვს განცხადებები. პ. ინგოროყვა გარკვეულად აცხადებს: სამუდამოდ ვიხსნი ნაციონალისტურ სათვალეებსო:

„მე გაბედულად, ერთხელ და საბოლოოდ ვიხსნი ჩემს ნაციონალისტურ სათვალეებს და სინამდვილეს პირდაპირ ვუსწორებ თვალს“.

მაგრამ ამასთან ერთად ინგოროყვა ცდილობს დაამციროს თავისი როლი ქართულ მწერლობაში. ეს ცდა ამაოა. მოწინააღმდეგის ძალას, ჭკუას და ტაქტიკას, ჩვენ ხაზს ვუსვამთ. ეს ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის ძალას და შესაძლებლობას ჩვენ არ ვამცირებთ. ინგოროყვას ჰქონდა არა შეცდომები, არამედ მავნებელი ხაზი. ახლა თუ ის მოიხსნის და დაამსხვრევს ნაციონალისტურ სათვალეებს და საქმით ვვიჩვენებს განიარაღებას, რაზედაც წერს თავის განცხადებაში, მე მგონია, რომ ინგოროყვსაც დავეხმარებით და ხელს შეუწყობთ.

(დასასრული მორიგ ნომერში)

ბ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობა ახალ ეტაპზე

კულტურული * რევოლიუციის ახალი ფაზა და გაშლილი სოციალისტური შეტევა იდეოლოგიის ყველა ფრონტზე — პროლეტარული მწერლობისაგან მოითხოვს მთელი ძალღონის დარაზმვას იმ საბრძოლო ამოცანებისაკენ, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ატარებს. პროლეტარული მწერლობა კი ამ ამოცანების შესრულებას შესძლებს პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარებით ლიტერატურაში, ორ ფრონტზე გამძაფრებული ბრძოლით ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ მთელი საკავშირო მასშტაბით, პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციები გადაიქცა პარტიისათვის დასაყრდენ, მასიურ ლიტერატურულ ორგანიზაციად, რომელიც გამტარებელია პარტიის პოლიტიკისა ლიტერატურის სფეროში — და ის ფაქტი, რომ პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციების ნაპოსტოველური ხელმძღვანელობა იბრძოდა პარტიის ხაზისათვის ლიტერატურაში ავალებს მთელს პროლეტარულ მწერლობას, რომ მან უფრო მეტი სიმტკიცით და უფრო მეტი პოლიტიკური სიმახვილით სისტემატიურად აწარმოოს ბრძოლა პარტიის ხაზის სიწმინდისათვის ხელოვნების სფეროში და დარაზმოს პროლეტარული მწერლობა რეკონსტრუქტიული პერიოდის მიერ წამოყენებულ ახალ ამოცანების შესასრულებლად.

ყველასათვის ცნობილია, რომ პროლეტარული ლიტერატურა ჩამორჩა და ვერ აკმაყოფილებს რეკონსტრუქტიულ პერიოდის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს. ის ვე უსწორდება სოციალისტურ მშენებლობას ისე, როგორც ეს არის საჭირო. არ სწარმოებს სათანადო სიმაღლეზე შემოქმედებითი საკითხებზე დისკუსია. არ არის შემოქმედებითი ხასიათის ჯგუფები, რომელნიც უნდა იბრძოდენ მხატვრული ლიტერატურის დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდის საფუძველზე განსავითარებლად. ჯერ კიდევ მეტად საგრძნობია მთელი რიგი სუსტი მხარეები. სრულიად ხელმოუკიდებელია ისეთი თემები, რომელიც მოითხოვს მხატვრულად დამუშავებას. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა წვრილბურჟუაზიულ ობივატელური, მეშჩანურ მწერლობის გავლენა პროლეტ მწერალთა ზოგიერთ ფენაზე. ვერ მოხდა რადიკალური მობრუნება მწერლობისა რეკონ-

* ეს წერილი უნდა დაბეჭდილიყო № 6-7-ში, მაგრამ ტეხნიკური მიზეზების გამო გადაიდო, ამიტომ ახლა ვბეჭდავთ დაგვიანებით.

ნსტრუქტიული პერიოდისაკენ. არ არის მჭიდრო კავშირი ფაბრიკა ქარხნებთან, კოლექტივებთან, მუშათა მასებთან. თვითკრიტიკას გაურბიან მთელი რიგი მწერლები, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ვერ გაშალა სათანადოთ თვითკრიტიკა ყველა ამ სუსტი მხარეებისა და შეცდომების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ბოლშევიკური თვითკრიტიკით.

ისტორიული მნიშვნელობის პროცესი, დამკვრელ მუშათა პროლეტმწერლობაში გაწვევა მთელს პროლეტ-ლიტერატურულ მოძრაობაში წარმოადგენს იმ გარდატეხის დაწყებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და დააჩქაროს ჩვენი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

დამკვრელ მუშათა მწერლობაში გაწვევით პროლეტარული ლიტერატურა იმყოფება ახალ ეტაპზე.

ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს მასშტაბით კარგა ხანია მიმდინარეობს დამკვრელი მუშების გაწვევა მწერლობაში. პირველი პერიოდი გაწვევის, რომელსაც შეიძლება ჩვენ ვუწოდოთ ორგანიზაციული — აგიატაციური პერიოდი—ხასიათდებოდა უდიდესი ენტუზიაზმით თვით მწერალთა მასებში.

ამ დროს ტარდებოდა ტფილისში და სამრეწველო რაიონების ფაბრიკა-ქარხნებში პროლეტარულ მწერალთა ბრიგადების მუშაობა დამკვრელ მუშების ლიტერატურაში გაწვევის საააგიტაციოთ, რომ ამათი ნიადაგი მოემზადებიათ სალიტერატურო წრეების ჩამოსაყალიბებლად.

ეს ასეც მოხდა. ჩამოყალიბდა წრეები, რომელშიაც მეტად დიდი რაოდენობით გაერთიანდენ ის დამკვრელი მუშები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მხატვრული ლიტერატურით და ქონდათ სათანადო უნარი-მისწრაფება და შემოქმედებითი ენერგია მწერლობაში მუშაობის, მაგრამ ხელს უშლიდა ის, რომ არავინ იყო მათი დამხმარე.

გაწვევის მეორე პერიოდათ ჩაითვლება ორგანიზაციული პროცესების გავლა და სალიტერატურო წრეებში შემოქმედებითი ხასიათის მუშაობის დაწყება, აქ უკვე ჩვენ საქმე გვაქვს უფრო მეტ სიძნელესთან, როდესაც კონკრეტულად, პირისპირ ხვდებით თვითეულ დამკვრელ მუშას თავისი ლიტერატურული შემოქმედებით, ის მაშინ მოითხოვს დახმარებას და სწავლებას, აქ ახლა არ გამოდგება ზოგადი ფრაზები და ზოგადი სიტყვები ლიტერატურის საერთო მნიშვნელობაზე — არამედ საჭიროა მათთან სისტემატიური მუშაობა, კონკრეტული საკითხების დამუშავება, სწავლება იმის, თუ რა ხერხებით და რა საშუალებით დამმუშაონ დაკვრელ მუშებმა ესა თუ ის მასალა მხატვრულად. ვინ უნდა ასწავლოს? რასაკვირველია იმ პროლეტარულმა მწერალმა, რომელიც გამოყოფილია წრის ხელმძღვანელად. და სწორად აქედან იწყება სისუსტე ჩვენი მუშაობისა. ყველამ ვერ შესძლო ამგვარი მუშაობის სისტემატიურად წარმოება, რის შედეგად ზოგიერთ წარმოებაში ჩაიშალა გაწვევა (ტრამვაი, აბრეშუმის ქარხანა და ტყავტრესტის კლუბთან არსებული წრე).

ეს გარემოება რასაკვირველია, უნდა მიეწეროს ჩვენი ხელმძღვანელობის სისუსტეს და ზოგიერთი პროლეტარული მწერლების უდისციპლინობას და უპასუხისმგებლობას ამ მუშაობაში.

ამ შემთხვევაში მეტად საგრძნობია წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლების ანტი-პროლეტარული გავლენა ზოგიერთ პროლეტარულ მწერალზე. ეს იმაში მდგომარეობს, რომ არ სჯერათ დამკვრელი მუშის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ენერგია და უნარი, რაც არსებითად წარმოადგენს პროლეტარულ მწერლობაში მუშური ბირთვის ვაზრდის წინააღმდეგ ბრძოლას.

დამკვრელ მუშათა მწერლობაში გაწვევის შეუფასებლობა მემარჯვენე ოპორტუნიზმია. ასეთ განწყობილებებს მწვავედ უნდა დავარტყათ, რადგან ის ხელს გვიშლის და აბრკოლებს დამკვრელ მუშათა გაწვევის კარგად ჩატარებას.

მიუხედავათ ამგვარი დაბრკოლებებისა და განწყობილებებისა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ დამკვრელ მუშათა მწერლობაში გაწვევის ჩატარება შედარებით დამაკმაყოფილებლად შესძლო. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება გაწვევის შედეგების და მისი ამოცანების შესახებ, პრაქტიკული წინადადებებისა და რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოხდა ასი დამკვრელი მუშის, სალიტერატურო წრეების აქტიური წევრების ასოციაციაში მიღება. (ამაში არ შედის ხაშური, ბათომი, სოხუმი, ტყიბული და ცხინვალი).

ეს მოვლენა საქართველოს პროლეტარულ მწერლობის ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტად უნდა აღინიშნოს. თუ კი ასოციაციის სოციალური შემადგენლობა ამდენ ხანს არ იყო სავსებით მუშური, ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამკვრელი მუშების ასოციაციაში მიღებით ორგანიზაციის გამუშურების საქმეში მოხდა დიდი გარდატეხა, რაც მომავალში უფრო უნდა გაძლიერდეს. მაგრამ საქმე ამით არ თავდება, ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ რადგან ასოციაციაში მიღებულ იქნა დამკვრელი მუშები, უკვე თითქოს არაფერი გვქონდეს გასაკეთებელი. ეს ზედმეტი „კაზიონური“ თვითკმაყოფილება იქნებოდა, ჯერ ერთი, რომ დამკვრელი მუშების ლიტერატურაში გაწვევა არ თავდება. ის გრძელდება, მთავარი მუშაობა ჩასატარებელია. მთავარი არის გაწვეულ მუშებთან კონკრეტული მუშაობის წარმოება. მთავარი არის ის, რომ თვითეულმა პროლეტარულმა მწერალმა შეფად აიყვანოს გაწვეული მუშა და მას სისტემატიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს. დამკვრელი მუშების მწერლობაში გაწვევა მარტო პროლეტარული მწერლების საქმე არ არის, ამაში მოკავშირე მწერლებიც უნდა ჩაებან. დღევანდლამდე კი მწერლობის ეს ნაწილი სუსტ მონაწილეობას ღებულობს გაწვევის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდ ლიტერატურულ-პოლიტიკურ მნიშვნელობის მოძრაობაში პროფკავშირების მონაწილეობა ძალიან სუსტია. ფაქტიურად კი პროფკავშირები გაწვევის ჩატარების მთავარი მონაწილე უნდა იყოს, კომკავშირისა და სახელგამის მონაწილეობა ამ საქმეში სრულებითაც არ სჩანს. უნდა მოხდეს ძირითადი გარდატეხა დამკვრელ მუშების გაწვევის საქმეში. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმ მიღწევებით, რომელიც ასოციაციას აქვს. ამ შემთხვევაში კი პრესას და გამომცემლობას დიდი დახმარება შეუძლია. საჭიროა დაკვრითი წესით გამოიცეს პატარა წიგნაკებათ დამკვრელების მხატვრული ნაწერები, რომლებიც იძლევიან ქარხნებისა და ფაბრიკების საწარმოო ცხოვრებას და მათ ბრძოლას ხუთ წლედის ოთხ წელში შესასრულებლად. ასეთი ნაწარმოებები კი საკმაოდ არის.

ისეთი გაწვეული დამკვრელი მუშები, როგორიც არიან: ივანე ნაზარ-ბეკოვი, ვლ. კობიაშვილი, დ. ჯღარკავა, ივ. შადური, გ. ტაბატაძე, ასათაშვილი, ქარცივაძე ივანე, კაჭახიძე კონსტ. აბო ჭუმბურიძე, მაისურაძე გიორგი, გუგული ნასარიძე, ესებუა შალვა და სხვ. ღირსნი არიან, რომ მათი მეტად საინტერესო ხასიათის ნაწერები დროულად იქნეს გამოცემული. რასაკვირველია ამით იმის თქმა არ შეიძლება, რომ დამკვრელი მუშების ნაწარმოებები მხატვრული თვალსაზრისით დიდი ხარისხის მქონე იყოს, პირიქით, მათი შემოქმედება ჯერ-ჯერობით სუსტია და დაბალ დონეზე იმყოფება; საქმეც იმაშია, რომ მათ უნდა დავეხმაროთ, ვასწავლოთ და ხელი შევუწყოთ.

პროლეტარული მწერლობა დღეს იმყოფება განვითარების ახალ ეტაპზე, ის იბრძვის სიძნელეების გადასალახავათ, რომელიც მის წინ არის, იბრძვის პროლეტ. ლიტერატურის ჰეგემონიისათვის, დღითი დღე ჩნდება პროლეტარულ ლიტერატურაში მოწინავე ღირებულების მქონე რომანები, მოთხრობები, ნარკვევები, პოემები და სხვა. ამ უკანასკნელად არაჩვეულებრივად გაიზარდა პროლეტარული პროზა და დრამატურგია. პროლეტარულ მწერლების პიესები შეიჭრა აკადემიურ თეატრებში და ისინი იმარჯვებენ პროლეტარულ მაყურებელთა შორის. დღითი დღე ემატება მკითხველები, პროლეტარულ ლიტერატურას მუშათა და საბჭოთა საზოგადოებრივობიდან. გაიზარდა ავტორიტეტი, პროლეტარული მწერლობა პოპულიარული გახდა მასებში. ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში, როდესაც, პროლეტარული მწერლობა ყოველდღიურ ზრდაში არის, ის უნდა შეიჭრას ხელოვნების ყველა სფეროებში, მან უნდა დასვას და გაარკვიოს ყველა ის სადაო საკითხები, რომელიც ხელოვნებას სხვა და სხვა სფეროებში არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიადი ეპოქის დიადი იდეები პროლეტარული მწერლობის მიერ დამუშავებული და ასახული უნდა იქნეს მახვილად, სრული მხატვრული ოსტატობით და სრული მხატვრული სისავსით. ეს იმას ნიშნავს, რომ ლენინის დებულება პარტიული ლიტერატურისა და პარტიული ფილოსოფიის შესახებ უნდა გადაიქცეს პროლეტარული ლიტერატურის ალფად და ომეგად,—რომ შევქმნათ ბოლშევიზმის დიადი ხელოვნება.

ამისათვის კი საჭიროა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია პასუხისმგებელია თვითეულ პროლეტარულ მწერლის მუშაობაზე, ეს ფაქტი კი თვითეულ პროლეტარულ და საბჭოთა მწერალს ავალებს იყოს პასუხისმგებელი მთელი პროლეტარული და საბჭოთა მწერლობის წინაშე.

ამ ფაქტის შეუგნებლობამ და პროლეტარულ მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლამ ზოგიერთი თანამგზავრული ტენდენციების მქონე მწერალი მიიყვანა აშკარა რეაქციონურ მწერლობის დაცვამდე—მათი საბჭოთა მწერლობის ფედერაციაში შესანარჩუნებლად. ასეთი „ვექილობა“ უდიდესი უპასუხისმგებლობაა, და დათვური სამსახურის გაწევა იმ მწერლების მიმართ, რომელნიც მწერალთა ორგანიზაციიდან გარიცხვის ღირსნი იყვნენ და კიდეც სამართლიად გაირიცხენ.

ამ საკითხში მთელი პროლეტარული, თანამგზავრი და მოკავშირე მწერლები იმთავითვე მართალი იყვნენ, რაც ახლა დადასტურებულია თვით იმ მწერლების სიტყვებით, რომლებიც გაირიცხენ საბჭოთა მწერლობის ფედერაციის რიგებიდან. ეს მოვლენა ბევრს მოთანამგზავრო მწერალს ძალიან ბევრს რამეს ავალებს. პირველ რიგში კი სიფრთხილეს უპასუხისმგებლობიდან თავის დასახწევად.

პროლეტარული და საბჭოთა მწერალი უბრალო პასიური მჰვრეტელი კი არ არის დღევანდელობისა, არამედ ის არის დიადი გარდატეხის დღეების, სოციალისტური მშენებლობის და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ხუთწლედის დიადი. მესიტყვეა. ის არის სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლ მასების ფსიხიკის ბოლშევიკური ორგანიზატორი და მისი აქტიური მონაწილე. ეს მდგომარეობა მთელს მწერლობას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

პროლეტარული მწერლობა თავიდანვე წარმატებით იბრძოდა ქართული რეაქციონური თავადაზნაურული, ბურჟუაზიული და წვრილი ბურჟუაზიული მწერლობის წინააღმდეგ. ამ სფეროში პროლეტარულ მწერლობას სათანადო იხწევებიც აქვს, რაც ფართე მკითხველ მასებისათვის ცნობილია. მომავალში ეს ბრძოლა უფრო მახვილად უნდა გაგრძელდეს; რაც იმავე დროს ნიშნავს მწერალთა ფენებში დიფერენციაციის პროცესების დაჩქარებას, ჯერ კიდევ „გამოურკვეველ“ მწერლების გამოფხიზლებას და რაც მთავარია თანამგზავრული მწერლობის გაძლიერებას მოკავშირეობისაკენ, რომ ამით ისინი დაუახლოვდენ პროლეტარულ მწერლობას და მის მუშაობას. ეს კი შესაძლებელია, მაშინ, თუ კი გაგებული იქნება ახალი ეტაპის თავისებურება ლიტერატურაში, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამგზავრობის პრობლემა გაშლილი სოციალისტური შეტევის დროს სულ სხვა სახით გვევლინება.

რეკონსტრუქტიული პერიოდის თანამგზავრი არის ისეთი მწერალი, რომელიც სწორად და აუცილებლად სცნობს ბოლშევიკური პარტიის იმ ლონისძიებებს, რომელნიც დაკავშირებულია გაშლილ სოციალისტურ შეტევასთან. კაპიტალიზმის ნარჩენების აღმოფხვრა ჩვენს ქვეყანაში, ეს არის კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძვლებზე და სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპების გაშლა.

ესე იგი, ის, ვინც იზიარებს მუშათა კლასის ძირითად ამოცანებს ახლანდელ ეტაპზე. ასეთი თანამგზავრები ჩვენ გვყავს.

ზემოდ აღნიშნული ამოცანები პროლეტარულ მწერლობიდან მოითხოვს ძირითად გარდატეხას მუშაობაში. მთელი ჩვენი მუშაობა იმნაირად უნდა გარდავქმნათ, იმნაირად უნდა შევსცვალოდ, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციების მუშაობაში და რაც მთავარია ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ახალი მუშათა კადრების წამოწევას და მათი შემოქმედების ზრდას. აღნიშნული ამოცანების შესრულებაში და მის სწორად გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა აქვს დამკვიდრებულ მუშათა ლიტერატურაში გაწვევას, რომელიც საქართველოს მასშტაბით ასოციაციაში ასი დამკრელი მუშის მიღებით, გამოიხატება,

მთავარია მათთან მუშაობის გაშლა, რომ დამკვრელ მუშების ლიტერატურაში გაწვევა გარდაიქცეს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციების მამოძრავებელ ძალად, ასოციაციის გამუშურებისა და ბოლშევიზაციის იარაღად. პროლეტარული ლიტერატურის მუშაობის გარდაქმნა და რეკონსტრუქტიულ პერიოდის მოთხოვნილებებიდან ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და ახალ ეტაპზე გაშლილი ბრძოლა შეიძლება წარმატებით ჩატარდეს მემარჯვენე გადახრასთან შეურიგებელ ბრძოლით, რომელიც დღეს წარმოადგენს მთავარ საშიშროებას პროლეტლიტერატურულ მოძრაობაში (ვორონშჩინა, პერევერზევშჩინა, მომენშევიკო იდეალიზმი და სხვა). ამავე დროს არ უნდა იქნეს დავიწყებული „მემარცხენე" გადახრები და ამ გადახრებთან შემარიგებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში მეტად საგრძნობია ლიტფრონტოვშჩინის ნაშთების არსებობა რომლებიც ცდილობენ გამოცოცხლებას. მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას მათი მავნე მუშაობა პროლეტარული მწერლობის წინააღმდეგ.

პარტიის ხელმძღვანელობით, პროლეტარული მასების და დამკვრელი მუშების აქტიური დახმარებით, პროლეტარული ლიტერატურა გარდაიქცევა მუშათა კლასის დამკვრელ რაზმად,—ბოლშევიზმის დიად მწერლობად.

ს ი მ ო ნ ფ ვ ე რ ა ვ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის კულტურის დეკადა

დეკადის საშუალებით გავიგეთ, თუ რა მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ჩვენ მოძმე უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკას სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლის ფრონტზე, თუ რა გამძაფრებით სწარმოებს უკრაინის მუშების და კოლმეურნეების მიერ სოციალისტური კულტურის მწვერვალების დაპყრობა, ჩვენი პარტიის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით.

ჩვენ ვიცოდით, თუ რა გმირულ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს საბჭოთა უკრაინა ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლის ფრონტზე. უკრაინის მუშათა კლასი, ისე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, კომპარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებს გაშლილ შეტევას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე -- კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაციის მიზნით. მაგრამ ჩვენთვის ერთგვარ მოულოდნელობას წარმოადგენდა ის სურათი, რომელიც გადაგვეშალა დელეგაციის ჩამოსვლით. დელეგაციამ სიტყვით, მიღწევათა ჩვენებით, დოკუმენტალურად დაანახვა საქართველოს პროლეტარიატს, რომ უკრაინის მუშა, კოლმეურნე, მშრომელი ინტელიგენცია ჩაბმულია დიდ შემოქმედებით მუშაობაში და ჰქმნის ახალ სოციალისტურ კულტურას.

ხორციელდება ლენინის სწორი, ბოლშევიკური პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში.

უკრაინის კულტურის დეკადა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს მიმდინარე მუშაობაში. დეკადის საშუალებით ჩვენ კულტურულად უფრო მტკიცედ ვუკავშირდებით უკრაინის ს საერთოდ მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს.

დეკადა მხოლოდ დასაწყისია იმ მჟიდრო საქმიანი კავშირის, რომელიც უნდა გაღრმავდეს და განმტკიცდეს ჩვენსა და უკრაინის მშრომელთ შორის, და შემდეგ კი ეს პრაქტიკა აუცილებლად უნდა გადავიდეს საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებზე.

დეკადის ჩატარების საამზადისი. დეკადის ჩატარების ინიციატივა უკრაინის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს ეკუთვნის უკრაინის კულტურის დეკადა პირველ ხანებში არ იყო ისეთი ფართო მასშტაბით მოფიქრებული. უკრაინის ხელმძღვანელი ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ბერეზილი"-ს თეატრის მოვლინებას აპირებდენ, შემდეგ კი გეგმა თანდათანობით გაფართოვდა. თეატრს მიემატა გამოფენა, მწერალთა, კინო-მუშაკთა და სხ. წარმომადგენელები. მაშტაბის ფართოდ გაშლა მოითხოვეს საქართველოს ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა, ვინაიდან საპირო იყო ამომწურავად გავცნობოდით უკრაინის კულტურას მთლიანად.

საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა უკრაინის კულტურის დეკადის ჩამტარებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ.ა. კვირიკაძე (თავმჯდომარე), ბ. ლიბშიცი, ე. ბედია, ს. კაიტანჯიანი, შ. დუდუჩავა, დიასამიძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ.რადიანი, ბ.ბუაჩიძე, ს. ჩიქოვანი, პ. იაშვილი, ა. ახმეტელი, ტ. ტაბიძე, კ.ჩხარტიშვილი, ნ. კიკნაძე, დ.შევარდნაძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მარჯანიშვილი და ვ. ჯანუაშვილი.

დელეგაციის ჩამოსვლა. 19 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა დელეგაციის ნაწილი: პროფ. კრიჩევსკი, პრფ. ერნსტი, მელერი, რუდიაკოვი და სხ. სტუმრებს სადგურზე შეხვდენ სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების. წარმომადგენლები. ეს იყო ჯგუფი მომუშავეების რომელთაც წინასწარი მუშაობა უნდა ჩაეტარებიათ დეკადის მოსაწყ[illegible] ფნის საკითხში.

1 ივლისს დღის 3 საათზე ტფილისში ჩამოვიდა ძირითადი დელეგაცია ამხ. პოლოცკის (დელეგაციის თავმჯდომარე), მახურენკოს, კრხის, მიკიტენკოს ს ბენცოვიჩის და სხ. შემადგენლობით.

ტფილისის საბჭოთა საზოგადოებრივობამ დელეგაციას საზეიმო შეხვედრა მოუწყო. სადგურზე დელეგაციას დახვდენ მრავალი ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიტინგზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ—ამხ. ა. კვირიკაძე, ბ.ბუაჩიძე, ს. ჩიქოვანი, დრობინსკი („ბერეზილი"-ს წარმომადგენელი) და სხ. საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ ამხ. პოლ'ცკი და მიკიტენკო.

უკრაინის დელეგაციის შესახვედრად და დეკადაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა სომხეთიდან ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ალაზანი (დელეგაციის ხელმძღვანელი სომხეთის პლოლეტ. მწერალთა ასოციაციის მდივანი), მ. არუტჩიანი (მხატვარი), ა. გულაკიანი (სომხეთის პირველი სახ. თეატრის მთავარი რეჟისორი), კ. ოვანესიანი (სომ. მოზ. მაყ. თეატრის დირექტორი), კ. ზაქარიანი (კომპოზიტორი) და ს. ლისიციანი.

უკრაინის დელეგაცია სულ („ბერეზილი" თეატრთან ერთად) 156 პირისაგან შესდგებოდა.

ტფილისისაბჭოსაზეიმოსხდომა ტფილისის, საბჭოს საზეიმო სხდომით ამხ. ორჯონიკიძის კლუბში, 1 ივლისს, ოფიციალურად დაიწყო უკრაინის კულტურის დეკადა საბ. საქართველოში. საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მელაძემ, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა დეკადის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სხვადასხვ. ორგანიზაციის სახელით: ს. ს. ს. რ. საბკომსაბჭოს და განსახკომის ამხ. კვირიკაძე, საქ. პროფკავშირთა საბჭოს—ამხ. ანთიძე, საქ. პროლეტ-მწერალთა ასოციაციის—ამხ. ბუაჩიძე, საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის ამხ.—ტაბიძე, სომ. ხეთის კულტდელეგაციის ამხ. ალაზანი, რკინისგზის სარემონტო ქარხნის მუშების—ამხ. ლორთქიფანიძე, 26 კომუნარის ქარხნის—ამხ. კონი, განათლების მუშაკთა პროფკავშირის- ამხ. მახათაძე, მბეჭდ. მშების-ამხ. მარქაროვი დამკვრელი მუშების და შრომის გმირთა—ამხ. დოლიძე, საზღვარეთ. კულტ-კავშირის საზოგადოების—ამხ. ნუტუბიძე, სამეცნიერო მუშაკების—ამხ. ვაშაყმაძე, სახ. „სარმა „ს — მირზოევი. ორატორები გამოსქვამდენ კმაყოფილებას რომ საბჭოთა საქართველოს ეწვია მოძმე რესპუბლიკის დელეგაცია თავისი კულტურული მიღწევების სადემონსტრაციოდ.

საპასუხო სიტყვით და უკრაინის მიღწევათა შესახებ მოკლე ინფორმაციით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. პოლოცკი.

ამხ. პოლოცკიმ აღნიშნა, რომ საქართველოს ტ უკრაინის მშრომელთა წარსულ ცხოვრებაში ბევრია საერთო. რეოლუციამდე ორივე რესპუბლიკა კოლონიებად იყო ქცეული, ორივე მწვავედ განიცდიდა მონარქიზმის და ბურჟუაზიის მძიმე რეჟიმს, რაც ძირს უთხრიდა ნაციონალური კულტურის განვითარებას.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მისცა საშვალება საქართველოს და უკრაინის მშრომელთ ნევითარებიათ ნაციონალური კულტურა.

საბჭოთა უკრაინას დიდი მიღწევები აქვს ეკონომიურ ფრონტზე: დნეპროსტროი, ტრაქტორისტროი, ახალი ქარხანა კრივოი როგში, სოფლის მეურნეობის 70% კოლექტივიზაცია და მრავალი სხვა მიღწევა ეკონომიურ ფრონტზე ცხადყოფს კულტურულ განვითარებასაც.

ამხ. პოლოცკი დაწვრილებით აღნიშნავს დღევანდელ მდგომარეობას კულტურულ ფრონტზე და ადარებს მას წარსულს. ძველად უკრაინის მშრომელთ არ ჰქონდათ არც ერთი საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი უკრაინულ ენაზე. უკრაინის ტერიტორიაზე იყო მხოლოდ 29 რუსული საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი. დღეს უკრაინაში არის 100-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და 250-ზე მეტი საშუალო. უმაღლეს სასწავლებელში 200.000 პროლეტარული სტუდენტია. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების 80% მუშებია ან მუშის შვილები. სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში 60%, კოლმეურნენი ან კოლმეურნეთა შვილები არიან.

უკრაინაში ასამდე სამეცნიერო-საგამოკვლეო დაწესებულებაა ტ მათში მუშაობს 3000 სამეცნიერო მუშაკი.

კულტურული ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების ტირაჟის ზრდა. ძველად უკრაინული გაზეთი არ გამოდიოდა ლეგალურად. 1926 წელს უკრაინაში გამოდიოდა 70-მდე გაზეთი 600000 ტირაჟით. 1931 წელს ჩვენ უკვე გვაქვს 219 გაზეთი 5 მილიონი ტირაჟით და, გარდა ამისა, 304 მრავალიტირაჟიანი გაზეთი წარმოებებში, 830000 ტირაჟით. ამ გამოცემებში 94% უკრაინულ ენაზეა.

დიდი მიღწევებია ხელოვნების დარგში (თეატრი, სახვითი ხელოვნება, მუსიკა). უკრაინაში ამჟამად 100 სახელმწიფო თეატრია.

მომხსენებელმა ცხადყო, რომ უკრაინაში შენდება ფორმით ნაციონალური, და შინაარსით პროლეტარული კულტურა. დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის, და მიღწევებიც დიდია. ეროვნებებს, რომელთაც უწინ დაწყებითი სკოლაც არ ჰქონდათ საკუთარ ენაზე, დღეს უმაღლესი სასწავლებლებიც-კი აქვთ. პოლონურ, გერმანულ და ებრაულ სახელმწიფო თეატრებს დიდი მიღწევები აქვს.

კულტურულ მშენებლობაში ნაკლიც ბევრია. ნაკლის ერთ-ერთი მიზეზი გამოცდილების უქონლობაა. ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკები მოვალე არიან გადასცენ ერთმანეთს თავიანთი მუშაობის გამოცდილება კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ—ვაშენებთ სოციალიზმს,—ამბობს მომხსენებელი. ისტორიამ ჩვენ დიდი ამოცანები დაგვაკისა. საქართველო არის პროლეტარული რევოლუციის ავანსპოსტზე აღმოსავლეთით, უკრაინა—დასავლეთით. ჩვენი მიღწევები ეს მიღწევებია ჩვენ საზღვარს იქით ბურჟუაზიის კლანჯებში მყოფ მშრომელთა, დაჩქარებაა იქ პროლეტარული რევოლუციის. ეს მდგომარეობა ჩვენი დიდი ამოცანებს გვაკისრებს. ჩვენ შევასრულებთ ბოლშევიკურად ამ ამოცანებს, რისთვისაც საჭიროა მჭიდრო კავშირი ძმურ რესპუბლიკებს შორის.

უკრაინის კულტურის მუშაკთა დელეგაციას 3 ივლისს ეწვია საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს და ცაკის მდივანს ამხ. ს. თოდრიას.

ამხ. ფ. მახარაძე დელეგაციის სახით მიესალმა უკრაინის პროლეტარიატს, და მშრომელ ინტელიგენციას. დელეგაციის წარმომადგენელებთან ხანგრძლივ საუბარში ამხ. ფ. მახარაძემ ხაზი გაუსვა უკრაინის კულტურის დეკადის დიდ პოლიტიკურ-კულტურულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მჭიდრო დაახლოების ასეთი გზა წარმოადგენს ერთ მთავარ საშუალებას ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის.

დელეგაციის სახელით ილაპარაკეს ამხ. პოლოცკიმ და მიკიტენკომ, რომელნიც დაწვრილებით შეეხენ უკრაინის კულტურის დეკადის და მასთან დაკავშირებით, დელეგაციის ამოცანებს. ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ეს დეკადა არის ურთიერთშორის საქმიანი კულტურული კავშირის მხოლოდ დასაწყისი. უკრაინის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით ამხანაგებმა სთხოვეს ამხ. ფ. მახარაძეს საქართველოდან ასეთივე დელეგაციის უკრაინაში გაგზავნა.

ამხ. მიკიტენკომ განაცხადა, რომ საბჭოთა საქართველოს და უკრაინას შორის კულტურული კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, უკრაინაში მომავალ სეზონში მოწვეული იქნება ერთ ერთი ქართველი რეჟისორი, აგრეთვე უკრაინის თეატრების რეპერტუარში შეტანილი იქნება ქართული ორიგინალური პიესები, კერძოთ უკრაინის ოპერის თეატრებში დაიდგმები ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ უკრაინულ ენაზე.

შემდეგ დელეგაცია ეწვევა ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მამია ორეხელაშვილს.

უკრაინს დელეგაციის წევრების საუბარი ამხ. მამია ორახელაშვილთან მოთავსებულია ჟურნალის ამ ნომერში.

თეატრი „ბერეზილი“. უკრაინის კულტურის ერთ-ერთი დიდი მიღწევათაგანია თეატრი „ბერეზილი“. თეატრმა მონაწილეობა მიიღო უკრაინის კულტურის დეკადაში.

„ბერეზილის“ თეატრს აქვს თავისი მოკლე მაგრამ მდიდარი ისტორია. 1916 წელს უკრაინის თეატრის ენტუზიასტთა ჯგუფმა ლ ე ს კ ურ ბ ა ს ი ს ხელმძღვანელობით დაარსა ახალი თეატრის სტუდია. სტუდია ოქტომბრის რევოლუციის დღებში უკვე თეატრად გადაიქცა. თეატრი უშუალო მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ომში. წითელი არმიის № დივიზიასთან ერთად იგი მუდმივად სამოლაქო ომის ფრონტზეა. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლეს კურბასის ჯგუფი 1922 წელს (მარტში) კიევში აარსებს მუდმივ თეატრს. მას ეწოდა „ბერეზილი“ (უკრაინულად ბერეზენი – მარტი).

თეატრის პირველივე წარმოდგენებმა გვიჩვენა, რომ იგი ახალ თეატრალურ გზაზე იდგა. თეატრის შემოქმედებითი ხაზი სძლევდა ძველ თეატრალურ ტრადიციებს. მას აღარ სწამს ძველი სცენის ფორმა. თეატრი ჰქმნის ახალ სცენიურ ტეხნიკას, სინთეტიურად აშენებს წარმოდგენას, იგი ემყარება მსახიობის თამაშის ახალ სისტემას, უარყოფილია „პრემიერობა“ და მტკიცედაა დაცული კოლექტიური პრინციპი. თეატრის ლოზუნგია: „თეატრი-სოციალისტური ფაქტორი. თეატრს მაყურებლის ფსიხიკა მიჰყავს რევოლუციონური ეპოქის გზაზე“, თეატრმა ამ გზით მიაღწია მხატვრულ სისრულეს. მისი ცხრა წლის მუშაობამი, ცხადია იყო შეცდომებიც, მაგრამ არსებითად იგი საუკეთესო მოწინავე რევოლუციონურ თეატრია უკრაინაში. თეატრი იბრძვის იმისათვის, რომ გაამართლოს ერთად-ერთი სწორი ლოზუნგი ჩვენ კულტურული წინსვლის: „ნაციონალური ფორმა პროლეტარული შინარსი“. თეატრმა გაბარდა საუკეთესო აქტიორული და რეჟისორული ძალები (ბუჩმა, კრუშელნიცკი, გინნიაკ და სხ). თეატრში მუშაობენ საუკეთესო მხატვრები (პეტორაცკის, მელერი). თეატრის ირგვლივ შემოკრებილია უკრაინის ავტორთა საუკეთესო პროლეტარული ნაწილი (მიკიტენკო, კულიშ ტ სხ). თეატრი მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა და წითელარმიელთა მასებთან.

„ბერეზელის“ წარმოდგენების საზეიმო გახსნა შესდგა 2 ივლისს რუსთაველის თეატრში, პირველ წარმოდგენას, ისე როგორც, შემდგომ, დიდძალი მაყურებელი დაესწრო. წარმოდგენის დაწყებამდე შესდგა უკრაინის დეკადის ჩამტარებელი კომიტეტის საზეიმო სხდომა. კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბ ე ნ. ბ უ ა ჩ ა ი ძ ე მ. მან აღნიშნა უკრაინის კულტურის დეკადის პოლიტიკურ კულტურული მნიშვნელო-

ბა ტ კვრძოდ „ბერეზილის“ ღირსშესანიშნავი ადგილი დეკადის ჩატარების დროს. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა „ბერეზილის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ლ ე ს კ ურ ბ ა ს მ ა. მან გააშუქა „ბერეზილის“ მხატვრულ-იდეოლოგიური პოზიციები და თეატრის პერსპექტივები

გასტროლები გაიხსნა უკრაინის საუკეთესო პროლეტარული მწერლის ა მ ხ. ი. მ ი კ ი ტ ე ნ კ ო ს პიესით—„დიქტატურა“ (დადგმა კურბასის, მხატვარი მელერი, მუსიკა მეიტუსის).

„მინა მაზაილო“—ესაა პიესა, რომელიც ნათლად ასურათებს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი ეტაპის აქტიურ საკითხს—ნაციონალური საკითხის სისწორით გადაჭრას.

პიესაში ნაჩვენებია ტიპები, ერთი მხრივ—„ველიკოდერჟავნიკული“, მეორე მხრივ — უკრაინის შოვინისტური. პიესა იძლევა დასკვნას, რომ ორივე მათგანი შავნეა ტ მიუღებელი. პიესის დეფექტი: ეროვნული საკითხი აღებულია ეკონომიურ-პოლიტიკური მომენტის გარეშე, მოცემულია გადაბრის ტენდენციები ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, რითაც ცხადია, იგი ჰკარგავს ღირსებას და დღევანდელი მაყურებლებისათვის მიზანი არ არის

„კადრები“ ღირსშესანიშნავი ფაქტია საბჭოთა დრამატურგიაში. ავტორი მიკიტენკო აქ გვაჩვენება უკვე როგორც მაღალი კვალიფიკაციის დრამატურგი. პიესა მკაფიოდ სვამს დღევანდელ მეტად აქტუალურ საკითხს—ბრძოლა კადრებისათვის. მოქმედება გაშლილია დღევანდელ სამეურნეო-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით და ამით, ცხადია, მისი ღირსება უფრო იზრდება.

„გაიდამაკები“—პიესა აშენებულია უკრაინის უდიდესი პოეტის ტარას შევჩენკოს პოემის მიხედვით და ასურათებს უკრაინის მშრომელი გლეხობის ბრძოლას პოლონეთის ფეოდალების წინააღმდეგ მე-17 საუკუნეში. პიესა შესრულებულია ლეგენდარული გეროიკის ხაზებით.

უკანასკნელი დადგმა „პროლოგი“ შეიცავს 1905 წლის ისტორიულ ფაქტებს. ნაჩვენებია მუშათა კლასის გმირული ბრძოლა მონარქიზმის წინააღმდეგ, თვით მონარქიზმის შინაგანი სიცალიერე და დაშლის პროცესი.

ნაჩვენები ხუთი პიესით განისაზღვრა „ბერეზილის“ გასტროლები. ეს საკმარისია, რომ მთლიანი აზრი გამოვიტანოთ თეატრზე.

„ბერეზილი“ ეს საბჭოთა კავშირის თეატრალური კულტურის ერთ-ერთი დიღი მოვლენაა, როგორც შედეგი ჩვენი სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის.

მ ო ხ ს ე ნ ებ ებ ი. მთელი რიგი მოხსენებებით უკრაინის დელეგაციამ გააცნო საქართველოს მშრომელთა მასებს ის მიღწევები, რომელიც ამჟამად აქვს საბჭოთა უკრაინას კულტურულ ფრონტზე. მიღწევები დიდია, თუ მხედველობაში მივიღებთ მდგომარეობას, რომ უკრაინა მშვიდობიან მშენებლობას მხოლოდ 1920 წლის დამლევს დაადგა.

პირველი მოხსენებები მოსმენილ იქნა ხელოვნების სასახლეში პროლეტარული მწერლების, საბჭოთა მწერლების, ლიტწრეების წევრების, მუშაკორების, ჟურნალისტების და ხელოვნების და ლიტერატურის სხვა მუშაკთა კრებაზე.

ა მ ხ. კ რ ი ხ ი (უკრაინის სახელგამი) მოხსენებას აკეთებს გამომცემლობის შესახებ უკრაინაში. მომხსენებელმა თქვა, რომ ოქტომბრის რევოლიუციამდე უკრაინის კულტურა თითქმის არაფერს არ წარმოადგენდა. მონარქიზმი სპობდა უკრაინის მშრომელთა შორის ეროვნული კულტურის გა ვითარების სურვილს. ამ საქმეში წილი ედოთ უკრაინელ კაპიტალისტებსაც.

ამ მდგომარეობას—ამბობს კრიხი, ბოლო მოეღო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. უკრაინის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ კარგად შეითვისა, თუ რას მოასწავებდა მათთვის და, საერთოდ, ყოფილი ძველი რუსეთის ყველა მშრომელისათვის, საბჭოთა ხელისუფლება და ამიტომ სამოქალაქო ომში გაუგონარი თავდადებით იბრძოდა თეთრგვარდიელთა და ბურჟუაზიულ რესავრატორთა წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად, ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ უკრაინის მუშები და მშრომელი გლეხკაცობა შეუდგენ სოციალისტური უკრაინის შენებას.

წიგნი და გაზეთი კულტურის ზრდის მნ შვნელოვანი მაჩვენებელია. ამ საქმეში უკრაინის განსაკუთრებული მიღწევები აქვს. გასულ წელს გამოიცა 128 მილიონი წიგნი. მიმდინარე წელს გამოდის 180 მილიონი, ე. ი. თითო მცხოვრებზე ექვსი წიგნი. მიმდინარე წელს გამოდის ლენინის თხზულებათა აკადემიური გამოცემა უკრაინულ ენაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკურ ლიტერატურას, რომელსაც დიდი გასავალი აქვს. ხშირია შემთხვევა, რომ ტექნიკური წიგნის 15-ათასიანი ტირაჟი რამოდენიმე დღეში საღდება. ჩვენ ვთარგმნით მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურასაც. მაგალითად, ქართული ენიდან მიმდინარე წელს ითარგმნება 172 ნაბეჭდი ფურცელი.

უკრაინაში მკითხველთა რიცხვი დიდია. თუ უწინ მამაკაცების 74% და ქალების 90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო, დღეს 30 წლის ასაკამდე წ. კ. უცოდინარნი აღარ არიან.

არსებობს სპეციალური გამომცემლობა ეროვნულ უმცირესობათათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. მიკიტენკომ (უკრაინის პროლეტმწერალთა ასოციაციის გენერალური მდივანი) ლიტერატურული უკრაინის შესახებ. მომხსენებელი შეეხო უკრაინის ლიტერატურის წარსულს. უკრაინის მწერლობის ისტორია მე-18 საუკუნიდან იწყება. ამ ხნიდან მოკიდებული, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამდე, უკრაინის ლიტერატურას და, საერთოდ, უკრაინის კულტურას არ ჰქონია თავისუფალად განვითარებისა გაშლის საშუალება.

ერთ-ერთი მწერალი, რომელიც ძველად იბრძოდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ტარას შევჩენკო იყო. ამ ბრძოლის გამო მეფის ჯალათებმა იგი 10 წლით ჩაკეტეს ლისელბურგის ციხეში. შევჩენკო ეკუთვნოდა უფლებააყრილ ფენას — ის იყო ყმა-გლეხის შვილი.

„უკრაინას ჰყავდა თავისი ნინოშვილი და ევდოშილიც, — ივანე ფრანკო და კოციუბინსკი. უკრაინას ჰყავდა ბურჟუაზიული მწერლებიც. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ძველ რეაქციონურ-ბურჟუაზიულ მწერლობას დაუპირისპირდა სამოქალაქო ომებში გამობრძმედილ მებრძოლთა რიგებიდან გამოსული პროლეტარული მწერლები. უკანასკნელთა რიგები დღითი-დღე ძლიერდება და ისინი თანდათან აცლიან ნიადაგს რეაქციონურ და ბურჟუაზიულ-შოვინისტურ მწერლობას.

პროლეტარულ მწერალთა რიგებს შეემატენ სამოქალაქო ომებში გამოწრთობილი პოეტი ვლ. სოსიურა, მიკოლა ხვილევოი, ივანე კულიკი, ტიჩინა, მიკოლა კულიმ და სხ.

პროლეტარული მწვრლებრის გაძლიერებასთან ერთად, გაჩნდენ „ფუტურისტები" სემენკოს მეთაურობით, მაგრამ ცხოვრებამ მათ მალე დაანახვა თავიანთი ეზის ზედმეტობა და ისინი გაითქვიფენ ლიტერატურის სხვადასხვა მიმდინარეობაში.

უკარაინაში იყო სიმბოლისტების ჯგუფიც. მაგრამ ამ ჯგუფმაც დასთმო თავისი პოზიციები.

პროლეტარულ მწერალთა რიგებში ზოგიერთ ამხანაგს ჰქონდა უხეში შეცდომები (მაგალითად, ხვილევოი), რაც სასტიკად იქნა გამომჟღავნებული

უკრაინაში არსებობდა ქართველ მწერალთა ჯგუფის „აკადემიის" მაგვარი ორგანიზაციაც, მაგრამ ისიც არქივს ჩაბარდა.

დაიშალა „პროლიტფრონტიც". მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვ. პოლიშჩუკი უკვე ჰგმობს თავის ძველ გზას და ცდილობს ჩვენთან დაახლოვებას.

პროლეტარული მწერლობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა კლასიურად უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში და შეუჩერებლივ მიიწევს წინ სრული ჰეგემონიისაკენ. პროლეტარული მწერლები მტკიცედ იბრძვიან ახალი თეატრალურ კულტურისათვის.

უკრაინის პრროლეტარული მწერლობა ამჟამად გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს რეაქციონური, ბურჟუაზიულ-შოვინისტური და ფაშისტური (ივჩენკო) მწერლობის ნაშთების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩვენთან არიან საუკეთესო თანამგზავრი მწერლები. ჩვენ განსაკუთრებით ვცდილობთ პროლეტარულ მწერალთა რიგების გაძლიერებას დამკვრელი მუშებით. დღემდე მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშათა რიცხვი 3000 აღემატება.

ამხ. **გრუდინამ** მოხსენება გააკეთა უკრაინის თეატრის შესახებ. მომხს ნებელი ეხება უკრაინის თეატრის ისტორიას. პირველი თეატრი სამასი წლის წინად დაარსდა. რუსეთის მონარქიზმი სასტიკად სდევნიდა თეატრის განვითარებას, ისე, როგორც, საერთოდ, მთელ უკრაინის კულტურას. მონარქიზმის უკანასკნელ პერიოდში არსებობდა უკრაინის თეატრი, მაგრამ იგი წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების იყო.

1916 წელს უკრაინაში გალიციიდან ჩამოდის ლეს კურბასი. იგი აარსებს სტუდიას, და აქედან იწყება ბრძოლა უკრაინის ეროვნული თეატრის შესაქმნელად. 1919 წელს სტუდია იძულებულია შესწყვიტოს თავისი მუშაობა, რადგან კონტრრევოლუციონური გეტმანშჩინა მას დახმარებას არ უწევს. კურბასი მსახიობებთან ერთად ერთდება წითელი არმიის მე-45 დივიზიას და მასთან ერთად არის ფრონტზე თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. შემდეგ კურბასი ბრუნდება ხარკოვში ტ აარსებს თეატრს „ბერეზილ". ეს თეატრი არის პირველი თეატრი საბჭოთა უკრაინაში. „ბერეზილს" გარდა არის მეორე თეატრი, ფრანკოს სახელობის, აგრეთვე უკრაინის რევოლუციონური თეატრი, დრამატიული თეატრები ოდესაში, დნეპროპეტროვსკში და სხ., ხარკოვში არის მუსიკალური კომედიის თეატრი.

უკრაინაში მუშაობს აგრეთვე მრავალი რუსული თეატრი. არის თეატრები ეროვნულ უმცირესობათათვის (ებრაული, თათრული, მოლდავური, პოლონური და სხ.).

არსებობს მუშა-ახალგაზრდობის ხუთი თეატრი და 30 მოძრავი თეატრი კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათათვის.

მთლიანად უკრაინაში 100 სახელმწიფო თეატრია.

დიდი მუშაობაა თვითმოქმედ ხელოვნების დარგში. არის 10.000 მეტი თვითმოქმედი წრე.

თეატრების რეპერტუარი უმთავრესად პროლეტარულ დრამატურგების ნაწარმოებთაგან შესდგება. აღსანიშნავია ამხ. მიკიტენკო, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგვცა მთელი რიგი ლირსშესანიშნავი ნაწარმოებნი („დიქტატურა", „კადრები", „ნახშირი").

უკრაინის თეატრები ჯერ კიდევ არ არიან პროლეტარული თეატრები. ისინი თანამგზავრული თეატრებია. ვიბრძვით იმისათვის, რომ ეს თანამგზავრული თეატრები მოკავშირე თეატრებად გადაკეთდეს.

საქართველოს მეცნიერების და სამეცნიერო ტექნიკის მუშაკთა კრებაზე მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტში პროფ. მ ა ზ ურ ე ნ კ ო მ და ზ ა ბ ე ლ ს კ ი მ თავიანთ მოხსენებებში ფართოდ დაგვისურათეს მეცნიერული აზრის განვითარების და საგამოკვლევო დაწესებულებათა მუშაობის გზები საბჭოთა უკრაინაში.

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ ერთი სამეცნიერო-ლიტერატურული დაწესებულება არსებობდა. ამჟამად კი 100 სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულება მუშაობს სათანადო განყოფილებებით, რომელთა რიცხვი 180 აღემატება.

არსებობს აგრეთვე მრავალი სამეცნიერო საზოგადოება. სამეცნიერო მუშაობაში უშუალოდ ჩაბმულია 3000 მდე მუშაკი. ასეთია ძველ წესწყობილებასთან შედარება. ეს გასაოცარი წინსვლა, ცხადია, ჩვენი პარტიის და ხელისუფლების სწორი ეროვნული პოლიტიკის შედეგია. თუ შევადარებთ საბჭოთა უკრაინას დასავლეთ უკრაინას, რომელიც პოლონეთის ბურჟუაზიის ბრჭყალებშია, დავინახავთ, რომ იქ უკრაინული ეროვნული კულტურა განადგურების გზაზეა დამდგარი. იქ დასავლეთ უკრაინას „მცირე პოლონეთი" ეწოდება, ისე, როგორც მონარქისტულ რუსეთში უკრაინას „მცირე რუსეთი" (მალოროსია) ეწოდებოდა.

ავსტრიის მთავრობის დროს დასავლეთ უკრაინაში 700 სკოლა იყო, ამჟამად კი მათი რიცხვი 300 აღწევს. ასეთია ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ეროვნული პოლიტიკა.

სამეცნიერო მუშაობაში უკრაინაში ადგილი აქვს შოვინისტურ-ბურჟუაზიულ თეორიებს, გადახრებს ეკონომიურ მეცნიერებაში. ყველას ახსოვს უკრაინის სამეცნიერო აკადემიის ზოგიერთი ულირსი წევრის გასამართლება, როგორც კონტრრევოლუციონური ორგანიზაციის წევრების. ასეთი „თეორიებისა" და პრაქტიკის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მარქსისტულ-მეცნიერული ძალების მიერ, და ეს ბრძოლა ნაყოფიერია ჩვენს სასარგებლოდ.

აღსანიშნავია სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა იმ გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობაში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს უკრაინაში.

ა მ ხ. ჰ ა ნ დ ე ლ მ ა ნ მ ა (უკრაინის პროფკავშირთა წარმომადგენელი) თავის მოხსენებით: „პროფკავშირების მონაწილეობა ეროვნულ-კულტურულ მშენებლობაში" გააცნო ტფილისის პროფაქტივს უკრაინის პროფკავშირთა აქტიური მუშაობა კულტურის ფრონტზე, ამავე სხდომაზე ცალკე მოხსენებით გამოვიდა ა მ ხ. ვ ა ს ი უ ტ ი ნ ს კ ი—„მასიური თვითმოქმედი ხელოვნება უკრაინაში". მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თვითმოქმედი ხელოვნების ყველა დარგის მუშაობას (დრამატიული, მუსიკალური, სახვითი ხელოვნების და ლიტერატურული წრეები) საგრძნობი მიღწევები აქვს. ამ მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული უკრაინის მუშები და კოლმეურნენი, რიცხვით ხუთასი ათასამდე. არსებობს 10.000-მდე თვითმოქმედი ხელოვნების წრე. ლიტ-წრეებიდან დიდი ლტოლვაა დამკვრელების ლიტერატურაში. თვითმოქმედ ხელოვნებაზე მიმდინარე წელს $2^1/_2$ მილიონ მანეთამდე იხარჯება. თვითმოქმედი ხელოვნების უფრო განვითარებული საფეხური მუშათა ახალგაზრდობის თეატრებია. ასეთი თეატრები უკრაინაში შვიდია. მთელი ეს მხატვრული თვითმოქმედი არმია დარაზმულია ჩვენი მასიური ამოცანების გადაჭრის საკითხების ირგვლივ. აქ იზრდება და იწვრთნება ხელოვნების მუშაკთა ახალი პროლეტარული კადრები.

ა მ ხ. კ ა ს ი ა ჩ ნ ი ს (უკრფილმის გამგეობის თავჯდომარის მოადგილე) და ბ ა ჟ ა ნ ი ს (პოეტი, კინომუშაკი) მოხსენებებით საქართველოს კინო მუშაკნი და კინოსაზოგადოებრივობა გაეცნენ უკრაინის კინოს წარსულს და მიმდინარე მუშაობას და შემოქმედებით გზებს. ორი საზეიმო სხდომა კინო „სპარტაკში" მოაწყო სახკინმრეწვმა და საქ. რევ. კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაციამ. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ კინო უკრაინაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვითარდა. პირველ ხანებში იგი ძველი გზებით მიდიოდა. ზოგიერთი პირი მაშინ ამახინჯებდა პროლეტარიატის იდეოლოგიურ ხაზს. ძლიერი იყო ზოგიერთ მუშაკში ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული ტენდენციები. მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა, და ამჟამად უკრაინის კინემატოგრაფიას მთელი რიგი მიღწევები აქვს. აღსანიშნავია რეჟის. დოვჟენკოს სურათები, რომელიც პირველად შეებრძოლა კლასობრივი ხაზის დამახინჯებას და ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ ტენდენციებს უკრაინის კინემატოგრაფიაში. უკრაინის კინემატოგრაფია ზრდის ახალ კადრებს, რომლებიც მომავალში უდავოდ მოგვცემენ დიდ მხატვრულ-იდეოლოგიურ მიღწევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევის სამხატვრო ინსტიტუტის პროფესორ ერნსტის მოხსენება „სარმა"-ს კრებაზე არკვევს უკრაინის სახვითი ხელოვნების განვითარების გზებს. მომხსენებელი ფართოდ შეეხო სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიულ გზას უკრაინაში. განსაკუთრებით შეჩერდა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდზე. პიოველი შემოქმედებითი გაქანება 1919 წელს იწყება, როდესაც უკრაინაში ხელმეორედ მყარდება საბჭოთა ხელისუფლება. ლოზუნგი იყო: „ხელოვნება ძალებს". გაჩნდა ახალი აგიტნახატები მატარებლებზე, გემებზე, ყახარმებზე, დაიდგა ახალი ძეგლები. მოხდა რევოლუციონური დღესასწაულების მხატვრული გაფორმება. დენიკინის, მახნოს და პოლონელ თეთრგვარდიელთა მოსვლა, ცხადია, აჩერებს რევოლუციონური სახვითი ხელოვნების განვითარებას და მხოლოდ 1920 წლიდ შემდეგ კვლავ ეტყობა ამ საქმეს გამოცოცხლება. ამ წლიდან იწყება საერთოდ საბჭოთა უკრაინის პირველი აღდგენითი პერიოდი.

სახვით ხელოვნებას დიდი გასაქანი აქვს დღეს რეკონსტუქციის პერიოდში. საბჭოთა უკრაინას ამჟამად დიდი მიღწევები აქვს სამეურნეო ფრონტზე. უკრაინა იქმნება ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყანად. ჩქარი ტემპებით მიდის წინ დნეპროსტროის, ტრაქტოროსტროის, ახალი სოციალისტური ცენტრების მშენებლობა. ახალი სტილი კოსტრუქტიული და ფუნქციონალური — ჰქმნის ახალი სოციალისტური ქალაქის ტიპს.

მხატვრობაში მრავალი მიმდინარეობაა. დაწყებული რეაქციონურ-ნატურალისტურ და სიმბოლისტურით და რევოლუციონურით გათავებული, საჭიროა აღინიშნოს მონუმენტალიზმის მიმართულება, რომელიც აფორმებს დიდ საზოგადოებრივ შენობებს. დიდი მიღწევები აქვს გრაფიკას და გრავიურას, რაც რევოლუციამდე დაბალ საფეხურზე იდგა. ამჟამად უკრაინის გრაფიკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში და მთელი მსოფლიოს მხატვრული კრიტიკის ყურადღებას იპყრობს.

მხატვრულ მრეწველობაში ყურადღებას იპყრობს მეიგორის ძხატვრულ-კერამიკული ინსტიტუტი. ინსტიტუტმა მოგვცა ბევრი შესანიშნავი მხატვრული ძალა, რომელნიც ამჟამად ქარხნებში მუშაობენ. თეატრალურ-დეკორატიულ დარგში განსაკუთრებულ მიღწევებს აქვს ადგილი. „ბვრეზილის" თეატრმა, ხარკოვის და კიევის ოპერამ, ფრანკოს სახელობის თეატრმა, რევოლუციის და სხვ. თეატრებმა მოგვცეს დადგმების ბევრი. მეტად საინტერესო გაფორმება, განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვარ მელერის და პეტრიცკის მუშაობა.

უკრაინაში მუშაობს სახვითი ხელოვნების ათასზე მეტი თვითმოქმედი წრე. ეს წრეები იძლევიან საუკეთესო მოწაფეებს (მუშებს და კოლმეურნეებს) სამხატვრო სკოლებისათვის. თვით წრეების პრაქტიკული მუშაობა მეტად ნაყოფიერია.

უკრაინის კულტურის გამოფენა. უკრაინის კულტურულ მიღწევათა ზედმიწევნით გასაცნობად ტფილისში, ეროვნულ გალერეიაში, უკრაინის დელეგაციის მიერ მოწყობილ იქნა უკრაინის კულტურის გამოფენა.

გამოფენა 9 ივლისს გაიხსნა. გახსნაზე მრავალმა დამსწრემ მოიყარა თავი. გამოფენის გახსნას დაესწრენ ამხ. ფ. მახარაძე, კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები და უკრაინის დელეგაცია უკრაინის ჟანსახკომის ამხ. პოლოცკის მეთაურობით.

სახეიმო სხდომა გაიხსნა ამხ. ფილ. მახარაძის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით. მომხსენებელმა ფართოდ განმარტა დეკადის — როგორც ერთმანეთის მიღწევათა გაცნობის პრაქტიკული საშუალების — მნიშვნელობა.

შემდეგ ამხ. ფილიპე მახარაძემ განმარტა, გამოფენასთან დაკავშირებით, უკრაინის ისტორიის ეტაპები, მოიყვანა გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ წარსულში უკრაინის მშრომელთა ბრძოლის კონკრეტი მაგალითები და გ ნსაკუთრებით შეჩერდა ძველი მებრძოლის პოეტ ტარას შევჩენკოს ისტორიაზე, რომელიც შეურიგებლად ებრძოდა მონარქისტულ რეჟიმს, შემდეგ ვრცლად შეეხო საბჭოთა უკრაინის დღევანდელ უდიდეს მიღწევებს ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ ფრონტზე.

კრების სახელით გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა უკრაინის ცაკის თავჯდომარეს **ამხ. პეტროვსკის**, ს. ხკომსაბჭოს თავმჯდომარეს **ამხ. ჩუბარს**, უკრაინის, კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას გენ. მდივანს **ამხ. კოსიორს** და უკრაინის განსახკომს **ამხ. სკრიპნიკს**.

დელეგაციალენინური კომკავშირის ტფილისის აქტივთან. 7 ივლისს კულტურის და დასვენების ბაღში შესდგა კომკავშირის ტფილისის აქტივის კრება უკრაინის დელეგაციასთან ერთად.

უკრაინის დელეგაციის მხრივ სიტყვებით. გამოვიდენ: **ამხ. გრუდინა, განდელმანი, ანიკანოვი, ვასიუტინსკი** (უკრ. ა. ლ. კ. კ. ცეკა). ამხანაგებმა დაწვრილებით გადასცეს აქტივს უკრაინის კომკავშირის მოღვაწეობა კულტურულ ფრონტზე და მთლიანად სოცმშენებლობაში.

დელეგაციაწითელ ჯარში. დელეგაციის ნაწილი (მიკიტენკო, ზაბელსკი ბენკოვიჩი, მაზურენკო, პოლოცკი

პანივ, გრუდინადა ხუბრავსკი) ა. კვირიკაძის და სხვ. თანხლებით ესტუმრა ავჭალის ბანაკს. საღამოს 7 საათზე გაიხსნა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ: N-დივიზიის უფროსი ამხ. ბუაჩიძე, დელეგაციის სახელი—ამხ. პოლოცკი. შემდეგ გამოვიდენ სიტყვებით წითელარმიელები: ქართულად—გოძიაშვილი, თურქულად—ორბელიანი, ოსურად—გაგლოევი, სომხურად—დავიდოვი, გერმანულად—ჰეგელი, აფხაზურად—ბენია, რუსულად—კლოჩკოვი და უკრაინულად—ბეკი. სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. კვირიკაძემ და უკრაინელმა პროლეტმწერალმა ამხ. მიკიტენკომ. წითელარმიელთა მასა დიდის აღტაცებით მიეგება დელეგაციას. დასასრულს გაიმართა კონცერტი უკრაინული ძალების მონაწილეობით.

დელეგაციის სხვადასხვა მიმდინარე მუშაობა. დელეგაციის მიმდინარე პრაქტიკულ მუშაობაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკრაინის მხატვრული ძალების დემონსტრაცია ტფილისის მუშათა კლუბებში და წარმოებებში უკრაინის მუშაკთა მოხსენებების დროს. მხატვრული ბრიგადები, შემდგარი პროლეტმწერლებისგან და მსახიობებისგან, გამოვიდენ ხელოვნების სასახლეში, 26 კომუნარის ქარხანაში, N 1 ტყავის ქარხანაში, რკინის გზის სარემონტო ქარხანაში, ტრამვაის მუშათა კლუბში, ამხ. ვოროშილოვის, ძერჟინსკის, მაჩაიძის და პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბებში.

დელეგაციამ სადემონსტრაციოდ ჩამოიტანა უკრაინის ფილმები. „ცხოვრება გვეძახის“ (რეჟ. მარიონ), „ადამიანი და მაიმუნი“ (რეჟ. ვინიცკი) „არსენალი“—(რეჟ. დოვჟენკო), „მიწა“—(რეჟ. დოვჟენკო), „უჩვეულო გადასვლა“—(რეჟ. კაუფმანი), „პერეკოპი“—(რეჟ. კავალერიძე), „ფატა-მორგანა“—(რეჟ. ტიაგაი). „ჰეგემონი“—(რეჟ. შპიკოვსკი), „დნეპროსტრი“ და „მარგალიტი ველზე“. აღნიშნული სურათები ნაჩვენები იქნა სახკინმრეწვის კინოებსა და მუშათა კლუბებში.

დელეგაციის კინომუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დასდეს საქართველოს კინომუშაკებთან.

ასეთივე ხელშეკრულება დასდო საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკამ უკრაინის ა. ლ. კ. კ ცეკასთან კომკავშირის კულტმუშაობის პრაქტიკულ ამოცანებზე.

დელეგაციამ დაათვალიერა ტფილისის მნიშვნელოვანი წარმოებები, სამეცნიერო, სასწავლო დაწესებულებანი და ისტორიული ნაშთები.

დელეგაციის ნაწილი სომხეთში გაემგზავრა და იქ რამდენიმე დღე დაჰყო. ლენინაკანსა და ერევანში მათ სახეიმო შეხვედრა მოუწყვეს. იქაც ჩატარდა მოხსენებები უკრაინის კულტურულ მიღწევებზე. დელეგაცია გაეცნო საბჭოთა სომხეთის მთელ რიგი მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. დასასრულს დელეგაციის ნაწილი გურიასა და აჭარისტანში გაეცნო ჩვენი საბჭოთა მეურნეობების და კოლექტივების მუშაობას.

დელეგაციამ მუდმივი საქმიანი კავშირი დაიჭირა მთელი რიგი სამეცნიერო, ლიტერატურულ და თეატრის მუშაკებთან. ნაწარმოებთა თარგმნისა და მუშაკთა ურთიერთ გაგზავნის მიზნით, მოგვარდა აგრეთვე უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიისათვის საქართველოს შესახებ მასალების მიწოდების საკითხი.

დელეგაციას საშუალება მიეცა უფრო დაწვრილებით გასცნობოდა საბჭოთა საქართველოს კულტურულ მიღწევებს მოხსენებების საბით. ვრცელი მოხსენებები გააკეთეს გაერთიანებულ კრებებზე ამხ. ამხ. ბ. **ბუაჩიძემ** (ლიტერატურა), **მარიამ** (მეცნიერება), **რონდელმა** (კინო), **კაკაბაძემ** (მხატვრობა), **ჩუბინიძემ** (ა. ლ. კ. კ. ცეკა).

პროლეტმწერალთა ასოციაციის საქმიან სხდომაზე დაწვრილებით დამუშავდა მთელი რიგი საკითხები—მწერლების ურთიერთკავშირის განმტკიცების, ნაწარმოებთა თარგმნის და სხ.

ჩვენი პრესა სათანადოდ გამოეხმაურა დეკადას. დაწვრილებით აღინიშნა გაზეთის ფურცლებზე დელეგაციის მიმდინარე მუშაობა. მთელ რიგ საზოგადო მოღვაწეების მიერ მოთავსებულ იქნა წერილები: ამხ. ამხ. **ფ. მახარაძე, ა. კვირიკაძე, ვ. ლუარსამიძე, ნ. მიწიშვილი, ტოკარ** და სხვა.

დეკადის შედეგები. ზედმეტია მტკიცება რომ უკრაინის კულტურის დეკადას დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. დეკადა ჩატარებული იყო სრული საქმიანი თვალსაზრისით და, ცხადია, არ წაგავდა ჩვეულებრივ უბრალო სტუმრობას.

დეკადის შედეგების შესაჯამებლად 10 ივლისს საქ. განსახკომის და დეკადის ჩამტარებელი კომიტეტის თავჯდომარის ამხ. კვირიკაძის თაოსნობით შესდგა საქ. განსახკომის კოლეგიის, დეკადის ჩამტარებელი კომიტეტის და უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელთა გაერთიანებული სხდომა. სხდომამ შეაჯამა მთლიანად დელეგაციის მუშაობა და მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ის ამოცანები რომელიც დასახული იყო დეკადის ჩატარებით, ძირითადში დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული.

საბჭოთა უკრაინის და საქართველოს მიღწევათა გამოცდილების ურთიერთ შორის გაცნობა

ხელს უწყობს ორივე რესპუბლიკის უფრო მტკიცე დაკავშირებას.

აღინიშნა დეკადის ჩატარების მასიური ხასიათი, რომელიც გამომხატა მთელი რიგი მოხსენებებით მშრომელთა ფართო მასების კრებებზე.

მუშა – მაყურებელს საშუალება მიეცა ახლო გასცნობოდა „ბერეზრლის“ თეატრის მიღწევებს.

ასეთივე მასიურობით ხასიათდება უკრაინის კულტურისგამოფენის მოწყობა, რომელიც იძლევა უკრაინის კულტურის განვითარების სურათს.

დეკადამ საძირკველი ჩაუყარა ორი მოძმე რესპუბლიკის მუშაკთა დაკავშირებას საბჭოთა კულტურის – ფორმით ნაციონალურის და შინაარსით პროლეტარულის – განსავითარებლად.

დეკადა ჩატარდა მასების ინტერნაციონალური აღზრდის ნიშნით. და ამიერკავკასიის მაშტაბის, ფაქტად გადაიქცა.

სხდომამ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

დადგენილ იქნა ჩატარდეს საქართველოს კულტურის დეკადა უკრაინში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. აგრეთვე საჭიროდ იქნა ცნობილი ა./კ. რესპუბლიკების კულტურის დეკადის ჩატარება, როგორც საბჭოთა კავშირში ისე საზღვარგარეთ.

საჭიროთ იქნა ცნობილი—მომავალი გამოფენა, რომელიც მოწყობილ იქნება ა./კ. ფედერაციის ათი წლის თავზე, ნაჩვენები იყოს უკრაინაში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

დამტკიცდა საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმის, მწერალთა ფედერაციის სამდივნოს და უკრაინის მწერალთა გაერთიანებული სხდომის ოქმი, რომელშიაც მოყვანილია მწერლების ურთიერთდაკავშირების და ერთმანეთის ნაწარმოებთა თარგმნისათვის მუდმივი კომისიის შექმნის პრაქტიკული ღონისძიებანი.

საჭიროდ იქნა ცნობილი მომავალ თეატრალურ სეზონში ორ-ორი საუკეთესო დრამატიული ნაწარმოების და თითო ოპერის გადათარმნა და დადგმა უკრაინის და საქართველოს სცენაზე, თვითმოქმედი თეატრების გაგზავნა, მხატვრული კადრების აღზრდის გ მოცდილების ერთმანეთისათვის გაცნობა და სხ.

დამტკიცდა საქართველოს უკრაინის კინომუშაკთა მიერ დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულება და სამუშაო გეგმა.

სახკით ხელოვნებაში სასურველად იქნა ცნობილი მხატვრული მიღწევების გაცნობა, თეატრალური დეკორატორების ურთიერთთან მივლინება. მხატვართა ორგანიზაციას დაევალა შეიმუშაოს ურთიერთკავშირის დეტალური გეგმა.

მიღებულ იქნა ცნობად საქ. ა. ლ. კ. კ. და უკრაინის ა. ლ. კ. კ. მიერ დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულება.

დაადგინეს: დამუშავდეს მუსიკალური გამომცემლობის გეგმა და მოეწყოს ერთმანეთის საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემა.

მოეწყოს რადიოკონცერტების გადაცემა უკრაინასა და საქართველოს შორის და გამტკიცდეს კავშირი რადიომუშაობაში.

მოეწყოს მეცნიერების მუშაკთა ერთმანეთთან გეგმიანი და სისტემატიური მივლინება.

დაარსდეს კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის საკითხების მოგვარებას საქართველოში.

მიხანშეწონილად იქნას ცნობილ ქართულ-უკრაინული სიტყვარის გამოცემა და საკითხის მოსაგვარებლად გამოიყო კომისია.

მივლინებულ იქნან ურთიერთთან ასპირანტები უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებში სამუშაოდ.

განსახკომებში გამოყოფილ იქნას კოლეგიის წევრები მუდმივი კავშირისათვის და დადგენილებათა შესრულების შესამოწმებლად,

უზრუნველყოფილი იქნას სამეცნიერო ყრილობებზე ურთიერთმივლინება, სამეცნიერო შრომების და მასალების გაგზავნა და აგრეთვე პედაგოგიური დოკუმენტების, მეთოდური პროგრამების და საგამომცემლო გეგმების გაგზავნა.

ჩატარდეს მთელი რიგი სასკოლო ექსკურსიები.

დაევალოს საქ. განსახკომის ხელოვნების სექტორს შეისწავლოს საქართველოში მცხოვრები უკრაინის მოსახლეობის კულტ.-პოლიტიკური მომსახურების საქმე და წარმოადგინოს ღონისძიებათა პროექტი.

საჭიროდ იქნას ცნობილი გამოიცეს წიგნი უკრაინის დეკადის ჩატარების შესახებ საქართველოში ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენაზე.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყველა ეს ღონისძიება ზედმიწევნით იქნება შესრულებული და მით განმტკიცდება დეკადის დროს დაწყებული საქმე.

გ. გუხნიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ეული

განვლილი გზები[1]

საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის დაარსებით პროლეტარულ მწერლობის პასუხისმგებლობა პარტიის და პროლეტარული საზოგადოებრივობის წინაშე ერთი-ორად გაიზარდა. ცხადია, მუშათა კლასი და მისი პარტია პროლეტარულ მწერლებს უფრო მეტს მოსთხოვდა ვიდრე არაპროლეტარულ მწერლებს. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, უკან არ დაგვიხევია და გაბედული ნაბიჯი გადავდგით როცა ასოციაცია დავაარსეთ.

—ნუ აჩქარდებით,— გვეუბნებოდენ ჩვენ,—ჯერ ისწავლეთ, დაგვანახეთ თქვენი შემოქმედება და შემდეგ გამოდით მწერლობის ასაპრეზზეო. ასეთ „რჩევა-დარიგებას“ გვაძლევდნენ მტრები და „მოყვრებიც“.

ჩვენ არ დავუჯერეთ „ჭკუის მასწავლებლებს“ და ვერც დავუჯერებდით.

თვითისთავად საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის დაარსებამ "მეხის გავარდნა“ იყო ქართულ მწერლობაში, რამაც გამოიწვია ანტიპროლეტარულ ლიტერატურის ბანაკში მყუდროების დარღვევა.

ჩვენი „ცნობილი“ მწერლები ამას არ იმჩნევდნენ, თითქოს ქართული მწერლობის სფეროში არაფერი მომხდარიყოს, რაც მათ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში ახალ ამბადაც არ აღუნიშნავთ.

— ნეტავ ვინ არიან, საიდან მოსულან?—დაცინვით ეკითხებოდენ ერთმანეთს ჩვენზე.

— ცოტა მოითმინეთ, ნუ აჩქარდებით, მალე გაიგებთ ვინცა ვართ. ორი მთავარი ამოცანა იდგა ასოციაციის დაარსების პირველ დღეებში ჩვენს წინაშე. პირველი-საკუთარი ბეჭდითი ორგანოს დაარსება, მეორე—მასიური მუშაობის გაშლა, რაც უმთავრესად გულისხმობდა პროლეტარული მწერლობის პოპულარიზაციას მასებში.

ჩვენ იმ დროს ვიბეჭდებოდით მხოლოდ პარტიის ცენტრალურ ორგანოში („კომუნისტი“) აგრეთვე ჩვენს ხელში იყოს პოლიტგანის მიერ გამოცემული გაზეთ „წითელარმიელი“ და ე. „ყუმბარა“ (რომელთა რედაქტორი მე ვიყავი), მაგრამ ეს გამოცემები არ გვაკმაყოფილებდა, ჩვენ საკუთარი ორგანო გვინდოდა-

მასიური მუშაობის გაშლას გვიკარნახებდა, ერთის მხრივ პროლეტმწერლობის პოპულარიზაციის აუცილებლობა.

ამ ორივე ამოცანის ცხოვრებაში გატარება მოითხოვდა ჩვენი მცირე ძალების გაერთიანებას და გაათკეცებულ მუშაობას.

[1]) გაგრძელება იხ. ჟ. მ. № 4-5.

ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის პირველ სხდომაზე დაისვა ორ ივე ს კითხი—ჟურნალის გამოცემისა და მასიური მუშაობის გაშლის შესახებ.

ჟურნალის გამოცემის საკითხს ყველა აღტაცებით შეხვდა.

— აბა ვნახოთ, ჩვენი ჟურნალი თუ მათიო,—ცხვირის მაღლა აწევით გაიძახოდა ზოგიერთი ჩვენებიდან. მწვავე „შეხლა-შემოხლა“ გამოიწვია ჩვენ შორის ჟურნალისათვის მესაფერისი სახელწოდების გამონახვამ.

იყო წინადადება (მგონი ჩემი). ჟურნალს „ქურა“ დავარქვათ. იყო სხვა წინადადებებიც: „ქარხანა“, „მჭედელი“, „ცეცხლი“ და სხვა, უმრავლესობით ჟურნალს დავარქვით „ქურა“ (რუსეთის ასოციაციის ჟურნალიც ამ სახელწოდებით გამოდიოდა).

მეორე საკითხის შესახ ებ პრეზიდიუმმა დაადგინა პროლეტმწერალთა ჯგუფის შედგენა, რომელიც ზაფხულის თვეებში შემოივლიდა საქართველოს სოფლებს და ქალაქებს და პროლეტმწერლების შემოქმედებას გააცნობდა მშრომელ მასებს.

ასოციაციის პრეზიდიუმის პირველი სხდომა თვალწინ მიდგას.

ასოციაცია ხელოვნების სასახლეში იყო მოთავსებული (ქვედა სართულის ერთ ოთახში).

ზედა სართულში „ყანწელები“ და სხვა ჯგუფები იყვნენ მოკალათებულნი.

ასოციაციის ოთახი: ერთი უბრალო მაგიდა, წიგნის უბრალო კარადა და ერთი საწიგნე რომლებიც გვათხოვა ამხ. ს. თოდრიამ სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატიდან (მაშინ ამხ. სილია ზემოხსენებული კომისარიატის სახალხო კომისარი იყო).

ჩვენ, პროლეტ. მწერლები, იმდენად განკერძოებული ვიყავით დანარჩენი მწერლებისაგან, იმდენად „ვმორცხობდით“ და ვერიდებოდით მათ, რო ფიქრადაც არ მოგვსილია გვესარგებლა ხელოვნების სასახლის მდიდარი ავეჯეულობით რომლითაც მოწყობილი ჰქონდათ ოთახები ზედა სართულში „მოკალათებულ“ მწერლებს.

ასოციაციის პრეზიდიუმის პირველ სხდომას თითქმის ყველა დაესწრო.

კიდევ ორიოდე სიტყვა ჟურნალის შესახებ.

ჩვენი ჟურნალი „ქურა“ მოხლოდ ორი ნომერი გამოვიდა.

თავისთავად ისმის საკითხი:

— რა იყო მიზეზი ჟურნალის გამოცემის შეფერხებისა?

მთავარი მიზეზი იყო პროლეტმწერალთა სიმცირე. იყო სხვა მიზეზებიც.

ჟურნალის გამოცემა დროებითი შეეაჩერეთ. გადავწყვიტეთ ჩვენ ნაწარმოებების წიგნებად გამოცემა. პროლეტმწერლის პირველი წიგნი ჩვენში—ეს იყო ჩემი პატარა წიგნი „რევოლიუციის საყვირი“, რომელიც 1921წ. გამოვიდა

ჩემს შემდეგ გამოიცა ამხ. სილია თოდრიას პატარა წიგნი. 1923 წელს გამოვიდა ჩემი სამი წიგნი: „Чатах“ „ორი პიესა“ და ჩემ მიერ ნათარგმნი ენგელსის პოემა „სალამო“. ამავე წელს გამოვიდა ი. ვაკელის და პ. სამსონიძის წიგნები.

პროლეტარული საზოგადოებრივობა თანდათანობით ეცნობოდა ჩვენს ნაწარმოებებს.

ასოციაციის საკუთარი ბეჭდითი ორგანოს არსებობის საჭიროებას თვითეული ჩვენგანი გრძნობდა.

იყო აზრი ეურ. „ქურა“-ს განახლების შესახებ, მაგრამ უმრავლესობით გაზეთის გაუოცემა გადაწყდა.

პირველად გამოვეცით გაზეთი „ქარხნის ჰანგები“, შემდეგ—„ორიონი“.

საჭირო იყო მასიური მუშაობის გაშლა:

პრეზიდიუმის დადგენილების თანახმათ, ჩვენ უნდა შემოგვეევლო საქართველოს რაიონები, რითაც უნდა გავცნობოდით „ცხოვრებას“ და პროლეტარული მწერლებიც გაგვეცნო მასისათვის.

ჩვენ ეს მუშაობა სათანადოდ ჩავატარეთ.

1922 წლის ზაფხულში (12 ავგვისტოს), პროლეტმწერალთა ერთა ჯგუფი გაემგზავრა პროვინციაში, რომლის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა.

ჩვენ ვმართავდით ლიტერატურულ საღამოებს შემდეგი პროგრამით:

1. დეკლამაცია (რევოლუციონურ და პროლეტარულ მწერალთა ლექსები).
2. სიმღერა
3. პიესა „აღთქმული ქვეყნისაკენ“, რომელსაც ჩვენ თითონ ვასრულებდით
4 საკუთარი ლექსების წაკითხვა.

შემოვიარეთ შემდეგი რაიონები: ბორჯომი, წაღვერი, ბაკურიანი, ბათომი, სუფსა, სურამი, ჭიათურა.

ბათომსა და ჭიათურაში ჩვენმა საღამოებმა გრანდიოზული ხასიათი მიიღო

ზღვის ნაპირას მუშებმა ჩვენთვის სპეციალურ სცენა ააგეს გაშლილ მოედანზე (ზღვის პირად); დაახლოვებით ხუთი ათასი კაცი დაესწრო ჩვენს საღამოს. (მუშები და მათი ოჯახის წევრები). ბათომის მუშებს არ ჩამორჩნენ ჭიათურის მუშებიც.

ჩვენ ვისარგებლეთ ჭიათურაში ყოფნით და დავათვარიელეთ მაღაროები. ჩვენმა მოგზაურობამ 24 დღე ვასტანა და დიდი ნაყოფი მოგვცა.

ტფილიში ჩვენ საღამოებს სხვა ხასიათი მივეცით, ვიდრე პროვინციაში. პირველი საღამო გავმართეთ 1922 წლის იანვარში რუსთველის თეატრში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებებზე (საღამოს დაესწრნენ ამხ. ამხ. ს ორჯონიკიძე და მამია ორახელაშვილი, რომლებიც აღტაცებული იყვნენ საღამოს ინტერნაციონალური შინაარსით).

1924 წლის დასაწყისიდან ასოციაციის ხელმძღვანელობას დროებით ჩამოვშორდი, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ იმ ხანებში დატვირთული ვიყავი სხვადასხვა ხასიათის მუშაობით.

გარდა ამისა, იმ მცირე თავისუფალ დროს, რომელიც მრჩებოდა, ვანდომებდი ჩემს თავზე მუშაობას.

ჩემს შემდეგ ასოციაციას ნოე ზომლეთელი ჩაუდგა სათავეში, რომელიც მგონია, ერთს წელიწადს ხელმძღვანელობდა მას.

ნ. ზომლეთელს შემდეგ ასოციაცია ახალგაზრდებმა აიღეს ხელში. მე ისევ დავუბრუნდი ასოციაციის მუშაობას, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1925 წლიდან საქართველოს პროლეტარულ მწერლობაში ახალი ტალღა შეიჭრა ახალგაზრდობის სახით. ამ წლიდან იწყება ახალი პერიოდი. 1925 წელს ახალგაზრდა პროლეტმწერალთა ერთმა ჯგუფმა, „პროლემაფი“-ს სახელწოდებით, გა-

ზეთ „კომუნისტ"-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ხსენებული ჯგუფი ასოციაციის წარსულ მუშაობას ნაწილობრივად იწუნებდა და საჭიროდ სახავდა მის გადახალისებას.

ხსენებულ ჯგუფის ახალგაზრდა მწერლებიდან, რომლებიც იბეჭდებოდენ ქურ. „მომავალ"-ში და „საზღვარ"-ში—ვიცნობდი ამხ. ვალიკო ლუარსამიძეს ა. მაშაშვილს, პ. ქიქოძეს და კ. კალაძეს.

„პროლემაფი"-ს წერილმა გამოხმაურება ჰპოვა ძველი თაობის პროლეტმწერალთა შორის. იყო წერილები: ჩემი, რ. კალაძის, ნ. ზომლეთელი ს. თოდრიასი და პროლეტკულტის სტუდიელების.

ამ ხნიდან საქართველოს პროლეტმწერლობის ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობა ახალი გზებით წარიმართა, რასაც ჩემი მოგონება ამჟამად არ ეხება.

ს ა ნ დ რ ო ე უ ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ნიკო ნიკოლაძე: „რჩეული ნაწერები". ტომი I. მოგონებანი. პუბლიცისტური წერილები. სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. „ქართული წიგნი". 1931 წელი.

ამ აკადემიურ გამოცემას წამძღვარებული აქვს ამხ. სიმონ ხუნდაძის საკმაოდ მოზრდილი მონოგრაფია ნიკო ნიკოლაძის შესახებ. სამწუხაროდ ამხ. ს. ხუნდაძე აქაც იმეორებს თავის ძველ შეცდომებს და განაგრძობს ლიბერალ მკვლევართა და კრიტიკოსთა ტყვეობაში ყოფნას. ხუნდაძეს, რატომდაც თავიდანვე ამოუჩემებია დაარღვიოს და რევიზია უყოს იმას, რასაც მარქსისტულმა კრიტიკამ იმ თავითვე მიახწია და არა განამტკიცოს და წინ წასწიოს ასეთი კრიტიკის საქმე. ის ხან სოციალიზმის წარმოშობის თარიღებს უცვლის და ზოგჯერ მის საწყის იქედან იღებს, საიდანაც თავის დროზე სიბნელე და რეაქცია გამოდიოდა და უკეთეს შემთხვევაში კი ლიბერალური ლაყბობა.

პირველი და უმთავრესი შეცდომა სიმონ ხუნდაძის, ეს მესამოცე წლების მოღვაწეთა სათანადოდ ვერ შეფასებაა. ვინ იყო და რა საქმეს ემსახურებოდენ მესამოცე წლების მოღვაწენი? ეს იყო თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ხალხი, რომლის უკეთესი ნაწილი იჩენდა ტენდენციას ბურჟუაზიულ ურთიერთობასთან ნაწილობრივად შეზდისა. ეს ტენდენცია თავის დროზედაც არ იყო დიდი რევოლუციონერობა, ვინაიდან ეს იყო მაშინდელ გაბატონებულ კლასების დროშა. ასეთი თანდათან ობით შეზრდის ტენდენცია ახასიათებდა მე 60 წლების გაბატონებულ ფენებს და ამაში იყო მთელი „რეფორმის" შინაარსი და დანიშნულება. ამხ. სიმონ ხუნდაძის ეკლექტიურობა და ნაწილობრივ იდეალისტობაც იმაშია, რომ ის ამ მდგომარეობას ისე კი არ გვიხატავს, როგორც ის ნამდვილად ცხოვრებაში იყო; რომ ის მესამოცელებს თავისი კლასის ინტერესების გამომხატველად კი არ ხდის, არამედ ასკუპებს თავის კლასის მაღლა და მსჯელობს იმის შესახებ, რომ „კრიტიკულად მოაზროვანე ახალი თაობა იყო ის სოციალური წრე, რომლის საშუალებითაც ცდილობდა მოწინავე ინტელიგენცია თავის პროგრამის ცხოვრებაში გატარებას".

ამ ყოვლად შემცდარ აზრს კიდევ უფრო რელიეფურად და ხელშესახებად ანვითარებს ის თავის შრომის 87 გვერდზე, როდესაც სწერს: „აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის პროგრამას და აზროვნებას 60—70 წლებში არ ყავდა ჩვენში მტკიცე დასაყრდენი სოციალური ძალა. გლეხობა ჩვენში განუვითარებული იყო. არც ცდილობდა ნიკოლაძე ამ სოციალურ წრეზე დაყრდნობას, ბურჟუაზია იმ ხანად უმნიშვნელო და მაშასადამე უაქტივოც, ერთად ერთ აქტიურ ძალას თავადაზნაურობა წარმოადგენდა, მაგრამ იგი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მის სამოღვაწეო ასპარეზედ".

აქ ხუნდაძეს ძალიან ბევრი აქვს ნათესაობა ჯორჯაძე—კოტეტიშვილის ტიპის მკლევარ—ისტორიკოსებთან. აქ ამეტ-

ყველებულია არა მარტო ჯარჯაძის აზრები, არამედ მისი სტილიც. ინტელიგენცია წარმოდგენილია ზეკლასიურ კატეგორიად. შემდეგ ასევე ზეკლასიურობის მაღალ იალბუზზეა შესკუპებული კრიტიკულად მოაზროვნე ახალი თაობა. ეს ახალი თაობა გამოცხადებულია ერთ-ერთ სოციალურ წრედ, სოციალურ ძალად, რომელსაც ემყარებოდა თურმე მე 60 წლების მოღვაწენი.

ეს პირწავარდნილი ლიბერალური მიდგომაა საგნისადმი და არა მარქსისტული. აქ ეკლეკტიზმის და იდეალიზმის საკმაო დოზაა—ასეთი ისტორიები დღეს არავის არაფერში გამოადგება. ის სრულებითაც არ ემსახურება ჩვენს წარსულში საღად და კრიტიკულად გარკვევას.

რატომ ავიწყდება ავტორს, რომ პიროვნებანი კლასის ზევით არ სდგანან, რომ პიროვნებანი ამა თუ იმ კლასის წევრები არიან. ვის უთქვამს, ვის დაუწერია კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენციის დამოუკიდებელი როლი. სად გაიგონა, ან სად მოკრა ყური ასეთს ავტორმა.

ხომ გადაჭრით გვითხრა ავტორმა ნიკოლაძე გლეხობას არ ემყარებოდაო, მასვე მოუსმინეთ აი რას სწერს იმავე შრომაში: „ვფიქრობთ ამ პროგრამით ნ. ნიკოლაძემ ნათლად და სისწორით გამოხატა მაშინდელი გლეხობის მისწრაფებანი;“ არც ბურჟუაზიისათვის გაიმეტა მან ნიკოლაძე, მაგრამ სადღაც მის იდეოლოგათ გამოყავს, ბურჟუაზიულ აზროვნების პიონერობას მიაწერს, თუმცა ბურჟუაზიულ კლასის რიგებში მაინც არ აყენებს.

მე-60 წლების მოღვაწენი და მათ შორის ნ. ნიკოლაძე ბურჟუაზიული კლასის ბანაკში რომ ჩააყენოს, ავტორი ამით სავსებით მართალი მაინც არ იქნება, ვინაიდან ისინი მართალია იჩენდენ ნაწილობრივ ტენდენციას ახალ ურთიერთობასთან შეზრდისას, მაგრამ არა თავისი წარმომშობ კლასის უარყოფითა, არა თავის წარმომშობ კლასზე ზურგის შებრუნებით, არამედ ამ კლასის მცირედი „რემონტით“, ამ კლასის ურთიერთობაში გამშვნიერებულად შემოყვანით.

ილია ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანს“ ტყვილად არ წაუმძღვარა ეპიტეტათ მოყვარეს პირში უძრახეო. ის ხალხი რომელსაც ილია და სხვა მესამოცე წლების მოღვაწეები ებრძოდენ მოყვარენი იყვნენ მათი. მათ ამ ხალხის „გაწმენდა—გასუფთავება“ უნდოდათ და არა დედამიწის პირიდან აღგვა. მართალია მამაშვილები ერთმანეთში ვერ თანხმდებოდენ და შინაური უთანხმობა ქონდათ, მაგრამ რა უნდა აქ კლასობრივ ბრძოლას, კლასისა და კლასის დაპირდაპირებას. შვილების ჟურნალში ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ მამებიც თანამშრომლობდენ (გრიგ. ორბელიანი) და ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. სამაგიეროთ მამების ჟურნალ „ცისკარში“ შვილებიც მრავლად ათავსებდენ წერილებს (ანტ. ფურცელაძე).

ესეც არ იყვეს რისთვის ვერ ხედავს ავტორი იმ გარემოებას, რომ მესამოცე წლების დიდი უმეტესობა სამარეში ისე ჩავიდა, როგორც თავისი წარმომშობ კლასის შვილი, ნამდვილი და ღვიძლი შვილი. ილიას ბოლომდი სწამდა თავადაზნაურობა და იბრძოდა მის ინტერესებისათვის. ნიკო ნიკოლაძე 90-იან წლებში პროექტებს სწერდა თავადაზნაურობის გადასარჩენად. ამ წერილებმა თავის დროზე დიდი ხმაურება და კამათი გამოიწვია. ავტორს რატომღაც ეს დატა სავსებით გამოპარვია მხედველობიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არც მთლად შემთხვევითი არის. ავტორმა განგებ დაიფარა ხელი ამ გარემოებას.

საერთოდ უნდა ითქვას ხუნდაძის შრომა ტენდენციურია, რასაც ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, მაგრამ ტენდენციური არა იმ კლასის თვალსაზრისით, რომლის

რიგებშიაც ხუნდაძე სდგას, არამედ ტენდენციური ნიკოლაძისა და ნიკოლაძის კლასის სასარგებლოდ. თუ არა ნიკოლაძის შინა მზარეული სხვა ვერავინ გამოაცხობ ,ა ასეთ ძვირფასს მარგალიტებს მის შესახებ. ის ეხება იმას, თუ რა პოზიცია ეკავა ნიკოლიძეს აგრარულ საკითხებში და ნიკოლაძის ლიბერალობის გასაწბილებლად და რადიკალობის დასამტკიცებლად სწერს: „მაგრამ აქ ცენზურის სასტიკ პირობებში იგი ვერ ახერხებდა მთავრობის პოლიტიკის კრიტიკასა და გმობას აგრარულ საკითხში და ამიტომ დადებით პროექტებს აყენებდა მიწის საკითხის მოსაწესრიგებლად“. როგორ შეიძლება საკითხის ასე ახსნა-განმარტება. როგორ შეიძლება ასეთი მიდგომით მოვლენის დაფასება. ასეთ საზომს თუ ხელში მოიმარჯვებთ რმის დამტკიცებაც შეგვიძლია, რომ „მამაოჩვენოს“ და ან სხვა ლოცვების ავტორი კომუნისტად გამოვიყვანოთ და დავამტკიცოთ, რომ „მამაოჩვენო“ და ან სხვა ლოცვები იმიტომ დაუწერია მას რომ მაშინ სხვანაირ ნაწარმოების დაწერას უკრძალავდენ: ნუთუ ვერ გრძნობს. ავტორი თავისი აზრის უსუსურობას.

ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი ნიკოლაძის მოღვაწეობას ავტორი ორ პერიოდათ ყოფს. ორივე პერიოდში ნიკოლაძეს არ აკლია ავტორის პროტექციონიზმი. არც ერთ 'პერიოდში ის თავის კლასის რიგებში არა დგას. სიმონ ხუნდაძის ნაწერებით ნიკოლაძის აზროვნებას ასეთ თუ ისეთ გასაქანს თავისი წარმომშობი კლასი კი არ აძლევს, არამედ თვით ნიკოლაძე ქმნის კლასსაც და მის აზროვნებასაც, ყოველ შემთხვევაში კლასი და მისი ინტერესები დაჩრდილულია, კლასი სადღაც უკანა სდგას, კლას ბევრ ადგილას ფარდა აქვს მიფარებული და მისი ნაწარმოების მთავარი ფიგურებია ესა თუ ის პიროვნება.

მართალია პიროვნებანი აქტიურ როლს თამაშობენ კლასის ცხოვრების განვითარებაში, მართალია პიროვნებანი აჩქარებენ თუხდაც ისტორიას, მაგრამ თვით პიროვნებანი არ არიან თავისუფალნი ამ ისტორიის არჩევანში, მათ მოქმედებას განსაზღვრავს არსებული საწარმოო ურთიერთობის დონე.

ავტორი ამას არ დაგიდევს და ნიკოლაძეს ხან სად დააფრენს და ხან სად. ნიკოლაძე სოციალისტია, მაგრამ სოციალისტი უკლასო. ნიკოლაძე ბურჟუაზიულ კლასის იდეოლოგია, მაგრამ ბურჟუაზიის კლასის რიგებში არ სდგას და არც ასეთი კლასი არსებობს ამ ქვეყნად.

ავტორის იდეალისტობა ამ საკითხში იქამდე მიდის, რომ ის მე-60 წლებში გარდა კრიტიკულად მოაზროვნე ახალთაობისა (ინტელიგენცია) სხვა სოციალურ ძალას ვერ ხედავს და თუ მას დაუჯერებთ „მხოლოდ ეს სოციალური ფენა სჩანდა ცხოვრების ფონზე, მხოლოდ ის აზროვნებდა კრიტიკულად და მოქმედებდა აქტიურად“.

აქ განსხვავდება ხუნდაძესა და ჯორჯაძე კატეტიშვილებს შორის მხოლოდ ის არის, რომ ჯორჯაძე —კატეტიშვილები ასეთებს არ ამტკიცებდენ, მათ ეს აქსიომით მიაჩნდათ, ხუნდაძე კი ვიღაცას უმტკიცებს (ალბად მარქსისტებს, სხვებს დაუმტკიცებლადაც სწამს) რომ - მაშინ კლასი არ იყო, რომ კლასებს თავისი ინტერესები არ ქონდა, რომ კლასები არ იბრძოდა, კრიტიკულად არ აზროვნებდა და მხოლოდ და მხოლოდ ბურთი და მოედანი ახალთაობას ეკავა, ინტელიგენტების ამ მცირე ჯგუფს.

ხუნდაძემ თავიდანვე აიღო ტენდენცია და ბოლომდინაც განაგრძობს, რომ ნიკოლაძე გაამშვენიეროს, გაალამაზოს და არა ისე მოგვცეს, როგორც ის ნამდვილად იყო ცხოვრებაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხუნდაძე ხელს

ქართველი ბიბლიოთეკა

აფარებს ნიკო ნიკოლაძის წმინდა წყლის რეაქციონერობას და შავრაზმელობას, მაშინ როდესაც პროლეტარიატი სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა და როგორც კლასმა თავისი მოთხოვნა განაცხადა. ხუნდაძე ისე სწერს ისტორიას, თითქოს ის „გზა და პროგრამა, რომელიც იმ ხანებში დაუსახა განსახორციელებლად საქართველოს მოწინავე წრეებს ნიკოლაძემ (აქაც ნიკოლაძის ზეკლასიურობა) თანამედროვე საქართველოსათვის უკვე განვლილი და ისტორიის არქივშია ჩაბარებული. ერთ დრო პროგრესიული და ცხოვრების წინ წამომწევი ნიკოლაძის ეკონომიური პროგრამას თანამედროვე საზოგადოებრივ ისტორიულ პერიოდში რეაქციისა და ცხოვრების უკან დამწევ ფაქტორად გადაიქცა.“

გამოდის რომ ნიკოლაძის ეკონომიური პროგრამა ასეთად გახდა მხოლოდ დღეს და არ იყო ასეთად ის გუშინ, როდესაც პროლეტარიატი ხელისუფლების დაპყრობისათვის იბრძოდა. ხუნდაძე ნიკოლაძეს რეაქციონერობის სტაჟს ერთობ უმოკლებს, ასეთ სტაჟს თითქმის სრულებითაც ართმევს.

მაგრამ ეს ასე როდია. ნიკოლაძეს თავისი რეაქციონური ეკონომიური პროგრამა ქონდა მთელი 30 წლის მანძილზე, ის პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას უპირდასპირეშდა თავის რეაქციონურ პროგრამას, ის თავადაზნაურობის შველის რეცეპტებს სწერდა მაშინ, როდესაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში პროლეტარიატი ისახებოდა (90-იანი წლები) ის თვითმპყრობელობას საიმედო ბიჯგათ უდგა მთელი 30 წლის განმავლობაში და მთელი ამ პერიოდის რეაქციონერობა ხელდაფარებულია ხუნდაძის მიერ.

მაგრამ ხუნდაძის ისტორიებს და ნარკვევებს მარტო ეს ნაკლი არ ახასიათებს. ხუნდაძე ისე სწერს ისტორიას, რომ სცენაზე არ ჩანს გაბატონებული კლასები, მათი გზა, პოზიცია, სოციალური პროგრამა, ვის ეგუებოდა, რა სოციალურ ფენებს, ვის იცავდა, ვის ებრძოდა. სადღაც ყურმოკრულად აქვს ნათქვამი, ხელისუფლება იყო პოლიციურ თავად აზნაურული და გახდა ბურჟუაზიულ პოლიციურიო. ეს არ არის საკმაო, ეს არ არის საკმარისი მარცხალი. ავტორს გაბატონებული კლასების სოციალური ბუნება, რომ გამოერკვია ნიკოლაძის ზოგიერთ და ძალიან მრავალ მოქმედებაში დაინახავდა ამ გაბატონებულ კლასების პოზიციაზე დგომას და მაშინ საჭირო არ იქნებოდა ზღაპრები მისი უაღრესი რადიკალიზმის შესახებ. ავიღოთ თუნდაც ბანკის საკითხი, გლეხობის საკითხი და სხვა. განა ამ საკითხებში ნიკოლაძე გაბატონებულ კლასების აზრებს არ გამოხატავდა. გაბატონებული კლასების სიმაღლეზე დგომა სრულებითაც არ არის უაღრესი რადიკალიზმი. თემს ბიუროკრატია იწყნარებდა და მარქსიზმი ებრძოდა. თემი აჩერებდა გლეხთა მოძრაობის განვითარებას.

ხუნდაძის საუცენზიო ნარკვევის ერთი დიდი ნაკლი იმაშიც არის, რომ ის მრავლად მიმართავს ციტატებს. ციტატებისა და საბუთების მოყვანა კარგი საქმეა, მაგრამ საჭიროა მისი კრიტიკის ქარცეცხლში გატარება და მკითხველი საზოგადოებისთვის ისე მიწოდება. ხუნდაძის მიერ მოყვანილი ციტატები კი ასეთ კრიტიკულ ელემენტს მოკლებულია.

ავიღოთ მაგალითად ციტატა ლიბერალიზმსა და ლიბერალურ საქმიანობის შესახებ დაწერილი 1878 წლის თარიღით. ნიკოლაძეს არ მოსწონს ლიბერალიზმი, აღნიშნავს რომ ლიბერალურ ფრაზებს არავითარი ღირებულება არ აქვს, თუ ის საქმითაც არ აუმჯობესებს მასების მდგომარეობასო. ნიკოლაძე კი ასეთის მომხრე ყოფილა. აქ ნიკოლაძეს უნდა დაამტკიცოს, რომ ის ლიბერალია არა მარტო ცარიელ სიტყვებით, არამედ

საქმითაც. ხუნდაძე კი ამაში ხედავს „ორი დიდი ბუმბერაზის ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დაბროლიუბოვის სოციალისტურ აზროვნების და დასავლეთ ევროპის საუკეთესო სოციალისტების ნაწერებზე აღზრდის შედეგს.“ ეს სხვა არაფერია, თუ არა ბუზის ადგილზე ლომის დანახვა, რაც დამახასიათებელი იყო და არის ურა იდეალისტ-კრიტიკოსებისა.

ხუნდაძეს ზოგიერთ ადგილას ავიწყდება, რომ ის მკვლევარია და არა პოლემისტი. ამიტომ ის ხშირად კამათობს იქ, სადაც საჭიროა კატეგორიული ფორმებით დამტკიცება. ერთ ადგილას ხუნდაძე სწერს: ამრიგად ნიკოლაძის გაგებით ბანკმა და კრედიტმა ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ვაჭრობის, ჩვენი მრეწველობის, ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების განვითარებას, უკეთ რომ ვსთქვათ ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას უნდა ემსახუროს.

ეს არის მწერლობის პოლემისტური ხერხი. ნარკვევის მკითხველს კი დამტკიცება ესაჭიროება და არა ასეთი პოლემისტური ხერხები. როგორ გაიგოს მკითხველმა თუ მართლა რას ემსახურებოდა ბანკები და რა უნდოდა ნიკოლაძეს ამით ეთქვა.

დასასრულ ხაზი უნდა გაუსვათ საერთოდ ხუნდაძის ყველა შრომების და კერძოდ ამ შრომის ერთ დიდ ნაკლს. ეს არის დასკვნის ნაწილში „უტკები“. პირდაპირ გაკვირვებს მისი დასკვნა, შეფასების საბოლოო შეჯამება. ეს ავტორს იმიტომ ემართება, რომ ის ჯერ მთავარს კი არ შემოხაზავს, არამედ დაუსრულებლად იძირება უმნიშვნელო „შტრიხების“ მორევში. იმ დროს როდესაც მთავარი მსოფლმხედველობა დაჩრდილულია, მთავარ მსოფლმხედველობას ფარდა აქვს მიფარებული, წუთიერი ლიტერატურული განწყობილებები, შემთხვევითი გასტროლები, ახალგაზრდული მაჭრული დუღილი გადამეტებით და მეტისმეტად გადაჭარბებით არის შეფასებული. მაგალითად ავილოთ მისი სოციალისტობა მე 60 წლებში, რასაც სხვათა შორის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობითაც ამტკიცებს.

ახლა ვკითხოთ თვით ნიკოლაძეს, სამოციან წლებზე მოგონების ავტორს და ის გვეტყვის რომ ეს მონაწილეობა შემთხვევით მოხდა, რომ ის და კირილე ლორთქიფანიძე ცნობისმოყვარეობამ დასძლია და მხოლოდ ამიტომ გაემართნენ უნივერსიტეტისაკენ, რომ ის დემონსტრაციას თვლიდა განუხორციელებელ ოცნებათ, რომ მას ვერ წარმოედგინა რომ მთავრობა რომელიც კავკასიური გაგებით სიბრძნის წყაროდ ეჩვენებოდა დაუშვებდა დემონსტრაციის მოხდენას ქუჩებში. ეს კიდევ ცოტაა. ნიკოლაძე გზაში ხვდებოდა გლეხებისა და დედაკაცების ზეიმს და ამას ხსნიდა დიდი ხნის სანატრელი თავისუფლების მიღებით და აქედან მიღებილ აღტაცებით. ესაა მთავარი მის ნაწერებში, ესაა ნიკოლაძის მსოფლმხედველობის მთავარი დამახასიათებელი, მაგრამ ავტორი ამ მთავარ აზრებს სავსებით გვერდს უვლის და მაჭრის ზოგიერთ უმნიშვნელო დუღილიდან სოციალიზმის ლოცვებს თხზავს. ამით ცხადია ნარკვევი ბევრს აგებს და ნიკო ნიკოლაძის გაგება-შეფასებაც ამ მიზეზით მის შრომაში ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ რომ ხუნდაძეს ბევრი უმუშავნია მასალების შეგროვება-დალაგებზე. წიგნის ბოლოს დართული აქვს რედაქციის 100 გვერდიანი შენიშვნები. ამ შენიშვნებში მოცემულია თვითეულ ნაწარმოების ბიბლიოგრაფია. ამ ბიბლიოგრაფიებსაც ახასიათებს ის ნაკლი, რაც ავტორის ნარკვევებს აქვთ. ავტორს თავისი შრომის ამ ნაწილშიაც არა აქვს კლასობრივი მიდგომა გამახვილებული. ვინაიდან ავტორი თავის შეფასებაში ნიკოლაძის ყველა წერილებით არ სარგებლობს ამისათვის საჭირო და სასარგებლო იქნებოდა

მოეცა სხარტად, გაკვრით, მოკლედ რამდენიმე სტრიქონში ყოველ ცალკე ნაწარმოების შეფასება.

ავტორი გუმანიზმის მორევში კიდევ უფრო ღრმად ეფლობა. წიგნში დასახელებულ ავტორების ბიოგრაფიულ ცნობების დართვის დროს. ზდანევიჩი და მთელი რიგი სხვა მოღვაწეები შეფასებულია ეკლექტიურად. შეიძლებოდა უფრო ცოტა სტრიქონებში მათი უფრო უკეთ შეფასება. ამისათვის საჭირო იყო მათ მიმართ მთავარი დიაგნოზის დასმა, ბოლშევიკურ-პარტიული მიდგომა და ბურჟუაზიული ობიექტივიზმის უარყოფა. მაშინ ბიოგრაფიებში ყველანი თავისი ნამდვილი სახით გამოჩნდებოდა და არა ზოგიერთ ზიზილპიპილებით შელამაზებული.

სარეცენზიო წიგნის გამოცემას ჩვენი მახლობელი წარსულის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ხშირად ნიკოლაძის ნაწერები უფრო მეტს და მართალსაც გვეუბნება, ვიდრე მისი რედაქტორის შენიშვნები. მაგალითად მე-60 წლები. ნიკოლაძე მე-60 წლების მოღვაწეებს გაცილებით საღად უყურებს ვიდრე ხუნდაძე. ნიკოლაძე მათში ხედავს მხოლოდ კეთილ სურვილს და კეთილ გულს, მაგრამ ეს მიაჩნია მას მცირედ იარაღად და ბარგად, მასში ხედავს გამოუკვლეველ ნისლიან აზრებს, მას მიაწერს მხოლოდ ორიოდე მეტ ნაკლებათ ნათელ აზრს. აბრალებს მოუმზადებელად საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას, სახელდობრ იმათ არ ესმოდათ ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი, არც თეორიითა და არც პრაქტიკითა, მაგრამ ამ წიგნს ერთი სამად მეტი მნიშვნელობა ექნებოდა რომ სათანადო შეფასებაც წამძღვარებოდა.

ლიტერატორი

პ. ჩხიკვაძე: „ამხანაგი ბუთხუზი“ „მინდვრის კვირეული“.

პროლეტარულ პროზის ფრონტზე პან. ჩხიკვაძემ სამართლიანად მიიქცია საყოველთაო ყურადღება. მწერლის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „სართულები“ გახდა ამისი მიზეზი, მაგრამ მწერალი „სართულებზე“ არ გაყინულა და უფრო ძლიერი ნაწარმოებები მოგვცა.

მწერლის დიდ ღირებას, უპირველეს ყოვლისა ის შეადგენს, რომ ის უმთავრესად დღეინდლობის აქტუალურ საკითხებს ‌ᲓᲐ მასალებს ამუშავებს. ეს მოწმობს მის პოლიტიკურ სითხიზლეს და შექმნილ მდგომარეობის წვრილმანებში კარგად გარკვევას, რაც მრავალ პროლეტარ მწერალს აკლია.

ქართულ ლიტერატურაში ის პირველი მწერალია რომელმაც შეაღო ქარხნის კარები და რომელმაც რეკონსტრუქციის ხანის ამოცანებს შედარებით უფრო სისრულით და ამომწურავად გამოეხმაურა.

მკითხველი გრძნობს, როდესაც კითხულობს მის ნაწარმოებს, რომ ავტორი შემოქმედებით პროცესში არ წვაღლობს როგორც ბევრი,

სარეცენზიო ნაწარმოები „ამხანაგი ბუთხუზი“ მწერლის მორიგი გამარჯვებაა. აქ დაძლეულია სართულების ზოგიერთი ნაკლოვანება. მოთხრობის შინაარსი იშლება საწარმოო ფონზე. აღებულია დღევანდლობის უაღრესად აქტუალური მომენტი, ბრძოლა საწარმოო გეგმისათვის შრომის ენტუზიაზმი სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობაში რომ გამოიხატება.

აღებული თემა, ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ დაძლეული ‌ᲓᲐ ამოწურულია. საწარმოო ფენი დმაკმაყოფილებელ ფერებით არის მოცემული: მანქანები აშვებულია, ქურაში ცეცხლი გიზგიზებს, ჯანსაღ მუშების მტკიცე სიტყვები, მარილიანი ლაღი ოხუნ-

ჯობა, ვინ დაიგვიანა, ვინ მიატოვა დაზგა, ბრძოლა ტემპებისათვის.

ბორია ბუთხუზი რიგის მუშაა. სოცშეჯიბრებამ და დამკვრელობამ ის ზევით ასწია. ის სულ მაღლა მავალი გზით მიდის, ვითარდება, ყველგან მას ირჩევენ ყველგან მას გაავნიან, ყველა მას ეკითხება. ბორია დაიბნა, თავქვე დაექანა. ამაში ხელი შეუწყო მისი ცხოვრების ახალმა თანაგზავრმაც. დაბლა მავალ გზაზე თანამგზავრიც შესაფერისი გაიჩინა. უცხო სოციალური წრის ქალი ოჯახში ამხანაგად შემოიყვანა, ნათავადარმა თავადური „ზამაშკები“ და პრენტენზიები გააცხადა, კომფორტი და ფუფუნება მოითხოვა.

ორი სხვადასხვა სოციალური წრე ოჯახის შიგნით ერთმანეთს ებრძვის, ერთხანს ქალმა გაიმარჯვა. ბორია გატყდა, ქედი მოიხარა, დაქანდა. ბორიამ თავის წინააღმდეგ აალაპარაკა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, პარტიული და უპარტიო ამხანაგები, პასუხისმგებელი და რიგის მუშაკები. კომუჯრედი და მოწინავე მუშები ბორიას ებრძვიან, უკეთ რომ ვსთქვათ იბრძვიან ბორიას ისევ უკან დასაბრუნებლად. ბორიას დაკარგვა არ უნდათ.

ბორია ვერ უძლებს ორ ფრონტზე ბრძოლას. ბორია ჩაფიქრდება უკვირდება თავის მდგომარეობას. მის წინაშე დილემათ სდგას ან ერთი ან მეორე. ან იმ ჭაობამდი დაქვეითება მის ოჯახში რომ მისმა ცოლმა დააყენა, და ან კიდევ ძველი მდგომარეობის აღდგენა.

ბორია შეუტევს უცხო სოციალური წრის შთამომავლობის გავლენას თავის ოჯახში. ის თავის ქალს გასცილდება. თავის ცოდვებს გულწრფელად ინანიებს, დაზგას უბრუნდება და ისევ შრომის ენტუზიასტი ხდება.

მოთხრობის ნაკლს ის შეადგენს, რომ ნაწარმოების სხვა მომქმედი პირი ძალიან ცალყბად არის მოცემული. ნამეტურ ეს ითქმის ქეთოზე. საჭირო იყო და უკეთესიც იქნებოდა ქეთოს სოციალური ბუნება უფრო დაეწურა და მასში მეტად ღრმად ჩაეხედა.

მეორე მისი მოთხრობა „მინდვრის კვირეული“ კიდევ უფრო მეტი ლაღი ალმაფრენით დაწერილი ნაწარმოებია. აქ მოცემულია სოფელი გაკვრით, დამახასიათებელ შტრიხებში, უმთავრეს მომენტებში კოლექტივიზაციისადმი, და მთელი თავისი სიგრძე—სიგანით კოლექტივიზაციის დროს.

მოთხრობის ცენტრალურ ფიგურას ტიტიკო შეადგენს. ტიტიკოს ბიოგრაფია და სოციალური წარმოშობა ვერ აქვს შესაფერისი. ის მდიდარი ვარდენ უნგიაძის შვილია. მამა მალე მოუკვდა, დედა გაუთხოვდა, ობოლი ტიტიკო ბებიას ხელში დარჩა. ტიტიკო კომკავშირულ წრეში ხვდება. არის ზოგიერთი ყალბი ადგილები: ბავშვი ტიტიკოს ამხედრება დედის წინააღმდეგ იმის გამო რომ დედა გათხოვდა.

კულაკი გეგიძე, მისი ოინები კოლექტივის წინააღმდეგ უეჭველად სწორ ხაზებშია მოცემული. რელიეფურად არის ნაჩვენები კომკავშირლების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში.

კოლექტივიზაციის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში სარეცენზიო ნაწარმოებს უეჭველად ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია.

ფარი

მიხეილ ჩიქოვანი: „ანეული“

გამოცემა, „ქართული წიგნის“ 1931.

მიხ. ჩიქოვანის სარეცენზიო ნაწარმოები „ანეული“ კოლექტივიზაციის დიდ დღეებზე ნარკვევის ფორმით დაწერილი ნაწარმოებია.

„ანეულში“ მოხდენილად არის გამოჯერილი მშრომელი გლეხობის ენტუზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზმი და სიხარული. განსაკუთრებით ეს სიხარული და ენტუზიაზმი ძლიერია ახალგაზრდობაში. სოფლებში გაშლილია კოლექტივიზაციის ფრონტი. ხალხი ამეტყველებულია მხოლოდ ერთი საგნის გარშემო. მტერი და მოყვარე ყველა კოლექტივებზე ლაპარაკობს.

ღარიბ გლეხთა ქოხებსა და მიწურებში კოლექტივიზაციის მზე უხვად აფრქვევს თავის ცხოველმყოფელ სხივებს. ტრაქტორის გრიალი და ქშინვა არღვევს სოფლის იდილიურ მეურნეობას. ღარიბ და საშუალო გლეხობას ეუფლება სიხარული, შრომითი ენტუზიაზმი.

მაგრამ ყველაფერი „გაკრიალებულად" არ ვითარდება. არის ზოგიერთი დაბრკოლება, სიძნელე. ყველას ერთნაირად არ უცემს გული. აქა-იქ თავს წამოყოფს შემოპარებული მავნე ელემენტი.

გლეხები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ მიწათმოქმედ კომისიის მუშაობაზე. მან ისე დაასრულა მუშაობა რომ კოლექტივის მიწების მოწყობა არ ჩაუტარებია. გლეხები იმაზედაც ლაპარაკობენ რომ ამხანაგობაში ზოგი ისეთი წევრი შემოიპარა, რომელიც სახელს უტეხს კოლექტივს.

კოლექტივის ერთი ასეთი მტერია იოსებ ხოდონაშვილი. თაფლიანი სიტყვებით და შავი გულით ის კომისიის წევრად გაძვრება და ხალხში პროვოკაციულ ხმებს უშვებს იმის შესახებ რომ კოლექტივები მალე დაიშლება, ამითაც არ კმაყოფილდება და ზოგიერთ კულაკებთან შეთანხმებით მთელი წლის მოსალას ცეცხლს უჩენს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებს, რომ ავტორი აღებულ თემას დაშაკმაყოფილებლად ვერ ამუშავებს და ნარკვევს ვიწრო ნაჯუჯში ამწყვდევს, მომქმედ პირთა პროფილი მინიატურამდი არის დაყვანილი და მინიატურები კინემოტაგრაფიული სისწრაფით შემოდიან და გადიან სცენიდან. მკითხველი მის სახეს კარგად ვერ დაკვირვებია, მეხსიერებაში ვერ ჩაუბეჭდია, ისინი ავტორს ისევ უკანვე მიყავს. ყოველ შემთხვევაში სცენაზე მოსჩანს პროფილის უმნიშვნელო წერტები და მთავარი ხაზები კი დაჩრდილულია.

სარეცენზიო ნაწარმოებში კულაკი ამეტყველებულია არა მთელი თავისი ბრაზით, არა მთელი თავისი გაბოროტებით, არა მთელი თავისი მავნებლური მოქმედებებით. იოსებ ხოდონაშვილი და გიორგი გაბარაშვილი შხამს კი არ ანთხევენენ, ბრაზით და გაბოროტებით კი არ იხვრჩებიან, არამედ რაღაზე წუწუნებენ და ქურდულად კალოებზე ცეცხლს აჩენენ. კულაკების წინააღმდეგობა და გაბოროტება მარტო, ცეცხლის გაჩენაში როდი გამოიხატა. ისინი გაცილებით უფრო შორს წავიდნენ, იმათ ტერორსაც მიმართეს.

მიხ. ჩიქოვანი საგნებს იძლევა ერთი შეხედვით, წუთიერი შთაბეჭდილებით. ის ეუურებს საგანს და მას აგვიწერს ისე, როგორც არის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ისე როგორც ეს ავტორს სურს. მაგრამ ხელოვნურ ნაწარმოების დანიშნულება ამაში როდია. საგანი თავისი ზრდისა და მოძრაობის პროცესშიც უნდა დატრიალოს, სხვა საგნებს უნდა დააჯახოს, მისი დინამიკაც გამოაჩინოს.

ნაწარმოები სუსტდაა გამართული დიალოგებით, მასიური სცენებით, დრამატიული კოლიზიების გაშლით და სხვა.

ენა მძიმეა.

მიხ. ჩიქოვანს შემდეგ დაწერილი მოთხრობებში უკვე ეტყობა ამ მხრივ განვითარება.

ქ. ხ.

ბორის ჩხეიძე: „დღეები"

გამოცემა „ქართული წიგნის" 1931.

ბორის ჩხეიძის „დღეები" ისეთ დამწყებ პროლეტარ მწერალისათვის, როგორც ავტორია, უეჭველად გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს. მოთხრობაში ჩხე-

იძე ცდილობს მოგვცის ოსეთი მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

ჩხეიძის ოსეთი ეს არის მშრომელი გლეხისა და მუშის ოსეთი, ეს არის თავისუფლებისათვის თავდადებულად მებრძოლი ოსეთი.

მაგრამ რაც მთავარია და რაც წიგნის ღირსებას შეადგენს არც ოსეთი და არც საქართველო მოცემული ხაწარმებით ერთ მთლიან მონასტერს არ წარმოადგენს. საკითხის სიმძიმე სულ სხვაგან არის. აქ მთავარი სოციალური მომენტია, კლასიური მიდგომაა.

ორი მხრივ ამართულია ბარიკადა. ბარიკადის როგორც აქეთა, ის იქეთა მხარეზე ოსიცაა, ქართველიც. ქართული კონტრრევოლუცია ოსეთის კონტრევოლიუციას ემყარება, ქართველ კონტრევოლიუციონერებს ოსი კულაკები უმშვენებს მხრებს, ოსთ კულაკები უდგია ბურჯათ. ბითარიშვილი, ბუჩუკური, ვაქსა კლასობრივ პაზიციებზე დგანან და არა ეროვნულზე. სამაგიეროდ ქართველების მთელი რიგი იბრძვის ოსთა რიგებში. ბრძოლის პროცესში უპატრონოდ სახლკარიდან აყრილს ოსების ცოლშვილის ემატება ქართველი ღარიბი გლეხობა, რომელიც არა ნაკლებ სძულდა მენშევიზმს და რომელსაც არაფერი ქონდა საჩხუბარი და სადაო ოსეთთან.

ავტორმა გამოიჭირა ეს მთავარი მომენტი და ეოთხრობის მსვლელობაში ის განავითარა ინტერნაციონალურ სოლიდარობის სიმაღლემდი. ჯინიყაშვილი ეს საუკეთესო მებრძოლი ოსი გლეხი, რომელიც ავტორმა ერთობ პატარა კაცად შემოიყვანა მოთხრობის დასაწყისში, მაგრამ რომელიც სამართლიანად მედგარ მებრძოლად გაზარდა მოთხრობის მსვლელობაში, პირველი იტყვის ამ ინტერნაციონალური სოლიდარობის სიმართლეს.

ოსი ჯინიყაშვილი როდესაც თავისი საკუთარი თვალებით უყურებს ქართველ ლომსაძის კიდევ უფრო უარეს ხვედრს მენშევიკების სატრაპებისაგან მას გულიდან აღმოსქდება შემდეგი სიტყვები: „აქ ოსი არ არის, აქ ქართველი არ არის გიკაეკო“.

სარეცენზიო ნაწარმოების ნაკლოვანებად ის ჩაითვლება, რომ იქ სისრულით არ არის მოცემული ქართველ ბოლშევიკების დიდი მონაწილეობა ოსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მოთხრობა ამით ბევრს მოიგებდა არა მარტო იმით, რომ მაშინდელი სინამდვილის უფრო მეტი მკვეთრი გამომხატველი იქნებოდა, არამედ იმითაც, რომ სიმძიმის ცენტრი ეროვნულობიდან კლასობრივ მომენტზე იქნებოდა მთლიანად გადატანილი.

მოთხრობა თუმცა გამართულად არის დაწერილი, და მენშევიზმის შავი მურიანი სახე მოხაზულია შარა გზის ყაჩაღ გვარდიელებით, ქრთამებით, ლოთობით, მცარცველებით, ეგზეკუციებით, ხალხის დაწიოკებით, საგადასახადო პოლიტიკით და სხვა, მაგრამ ავტორს უეჭველად ახასიათებს ზოგიერთ დამხმარე მომენტებში გადავარდნა. მ. გალითად ასეთად უნდა ჩაითვალოს ცხრა მუხაში დღეობის და ცხენების ჯირითის აღწერა. აქ ავტორი საგანს აგვიწერს ძველი ქართული მწერლობის შაბლონური ხერხებით. დღეობა და ჯირითი ისეა მოცემული თითქოს ეს იყვეს თვითმიზანი ზეკლასიური და უდიდესი სიმაღლე. ამიტომაც ხალხი იქ გამოიყურება „ბრბოს ფსიქოლოგიით“, ის „ცხენის ძარღვებივით იჭიმება“ და ზოგიერთ მომენტებში „ველურ სიცილსა და კივილის“ მორთავს. ამაში არის რასაკვირველია, ზოგიერთი ძველი ადათ ჩვეულების გაზვიადება, გადაჭარბება, რაც უფრო ნიკო ლორთქიფანიძეს შეშვენის ვიდრე პროლეტ. მწერალს.

ახალგაზრდა ავტორი თუმცა დიდი სიფრთხილით უდგება ეროვნულ მომენტს, მაგრამ მაინც აქვს აქაც ზოგიერ-

თი გადაჭარბება, თუნდაც ამბავი იმის შესახებ, რომ „ოსეთში ჩასახლებული აზნაურთა ბანდა ოს და ქართველ გლეხების ერთიმეორეს აჯახებდა და ისინი მართლაც მიზანს ახწევდენ. ქართველი და ოსი მოსახლეობა ერთხანს ერთმანეთს გადაეკიდა". ეს არ არის საკვლევით მართალი; ყოველშემთხვევაში უმთავრესი სიმართლე. ეს ნაწილობრივად უკან წაღებაა ჯინიყაშვილის ჯანსაღ და გამართლებულ დებულებისა. ამას გარდა მენშეგიზმი არასოდეს არ უნდა გადავაქციოთ ქართველი ერის სინონიმათ, მენშევიზმის სახეში ყოველთვის წარმოდგენილი უნდა გვყავდეს ქართველი ერის მშრომელ ნაწილის მუშებისა და ღარიბი გლეხების ყველაზე უფრო საზიზღარი მტერი. იმ გარემოებამ სრულებითაც არ უნდა დაგვაბნიოს და კლასობრივ პოზიციებიდან ფეხი არ აგვაცდენიოს, რომ მენშევიზმი თავის მურიან სახეს ნაცუმცირესობაში კიდევ უფრო მეტი სისასტიკით იჩენდა.

რეცენზენტი

სარედაქციო კოლეგია: კ. ლორთქიფანიძე,
ა. მაშაშვილი, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი, პ. მ. საყვარელიძე,
ალ. სულავა, პ. ჩხიკვაძე.
პ/მგ. რედაქტორი. ვ. ლუარსამიძე.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

შეკვეთა № 3087. მთავლიტი 2053. ტირაჟი 3050.

ფასი 1 მ. 50 კ.

ჟურნალის სამეცნიერო-პუბლიცისტურ
და ლიტერატურულ-კრიტიკულ განყოფი-
ლებათა [illegible] ფილოლოგენ:

ფ ი ლ ი ა ლ ი

რუსთაველის -ურ. 21
ცეკას პარტ-მუშაობის
ცენტრალურ კომიტეტს
/მე-3 სართული/
I/I-31/XII 2ც

ძე, ალასა
ე, გაიოზ
, ფილიპე
ძე, გიორგი
ულაძე, ვ.
ლი, ზალვა
სულავა,
ვ. ზარია.

პროლეტარული მწერლობა

გათვალისწინებულია მოწინავე ფუშა მკითხველისათვის, პარტიული და ორმკავშირული აქტივისა და მზრუნველი ინტელიგენციისათვის.

1931 წ. „პროლეტარულ მწერლობაში" მოთავსდება: რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბეიჯანის, ოსეთის და აფხაზეთის პროლეტარული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები მოძმე რესპუბლიკათა პროლეტლიტერატურულ მოძრაობაზე.

პ/მ. რედაქტორი: ვ. ლუარსაბიძე

ბელიეტმოწერა მიიღება: ტფილისი, რუსთაველის გაზეთი № 30, ხალხეულავის პერიოდსტერი; პროვინცია—ხალხეულავის ყველა ფილიალში.

რედაქციის მისამართი: ტფილისი. ი. მაჩაბელის ქ. № 13. ხელოვნების სახლი.